

იონე დრახანაკერძელი

სომხეთის ისტორია

786-925 წ.წ.

მეცნიერება

1965

9 (C 41) + 90 (C 43)

9 (47 · 922) (001) + 90 (47 · 925)

IX — X სს. სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტლის ნაშრომი „სომხეთის ისტორია“ გადმოგვეცემს სომხეთის თვითგადასავალს დასაბამიდან 925 წლამდე. აღნიშნული თხზულება ჯაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ იგი სომხეთის ისტორიის პარალელურად, მასთან უშუალო კავშირში საქართველს შესახებაც ბევრ საგულისხმო ცნობას გვაწვდის. იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ლირება იმითაც იზრდება. ო. ავრორი იყო თეიმნზილველი და ხშირად აქტიური მონაწილეობის თხზულებაში აღწერილი ამბებისა.

წინამდებარე წიგნში მოცემულია სომხური ტექსტის იმ ნაწილის ქართული თარგმანი, რომელიც 786 — 925 წლების ისტორიის მოიცავს. იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ შემცველ ხელნაწერთა შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე სომხურ ტექსტში შესწორებულია ზოგიერთი ადგილი. ტექსტს წინ ერთევის გამოკვლევა, რომელიც „სომხეთის ისტორიის“ ბონოგრაფიული შესწავლის ცდას წარმოადგენს. გამოკვლევაში უმთავრესი ყურადღება ექცევა „სომხეთის ისტორიის“ შექმნის ისტორიული პირობების ჩვენებას, მისი ძირითადი წყაროების გამოვლენას, აგრეთვე აღნიშნული ნაშრომის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, თვით სომხეთის IX — X საუკუნეების პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური ვითარების შესასწავლად. ხალხო იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ, მათი მნიშვნელობა და ღირებულება საქართველოს ისტორიის გარკვეული საკითხების შესწავლის საქმეში ცალკე ქვეთავშია განხილული.

მთავარი რედაქცია: ილ. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ხ. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ხ. ჯიქია.

სომხური წყაროების სერიის
რედაქტორი
ილია აბულაძე

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები, რომლებიც არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად საყურადღებო მასალას გვაწვდიან საქართველოს წარსულის შესასწავლად, ორ ძირითად ჯგუფად განიყოფებიან: საკუთრივ ქართული წყაროები და უცხოური.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ მრავალსაუკუნოვან საისტორიო მწერლობას მოეპოვება საისტორიო მწერლობის ყოველი დარგის ნაწარმოები უმარტივეს, ლიტონად აღწერილ თხზულებათაგან მოყოლებული, რომლებშიაც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ ურთულეს და უწარჩინებულეს საისტორიო ნაწარმოებათამდე, როგორც არის გიორგი მერჩულის, ბასილ ზარზმელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონის, ეფრემ მცირის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა და ვახუშტ ბატონიშვილის კმნილებანი“¹, მაინც ხშირად საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების გასარკვევად და დასაზუსტებლად. ქართული მასალის სანდოობის შესამოწმებლად, უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შესახებ უცხოურ წყაროებში დაცული ცნობების გამოვლინებასა და შესწავლას.

საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის სოციალურ-ეკონომიური. თუ პოლიტიკური ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებს ძველადმოსავლური წყაროები (ასურულ-ურარტული ეპიგრაფიკული ძეგლები) გვაწვდიან, ხოლო ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ძირითად წერილობით წყაროდ ბერძენი და რომაელი მწერლების თხზულებებია მიჩნეული. ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს შესახებ კი მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული ძველ

¹ ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 14.

სომხურ საისტორიო წყაროებში, რომლებიც, ისევე როგორც ქართული წერილობითი ძეგლები, შედარებით მოგვიანო დროიდან ჩნდებიან და V—XVIII საუკუნეებით იფარგლებიან.

სომხურმა საისტორიო მწერლობამ აღრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება იმ ცნობების ნაირსახეობით, რომლებიც დაცულია სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში. უცხოელების დიდი ინტერესი ძველი სომხური საისტორიო ძეგლების მიმართ იმით აიხსნება, რომ სომხური საისტორიო მწერლობა მხოლოდ სომხეთისა და სომეხი ხალხის ისტორიის გადმოცემით კი არ იფარგლება, არამედ სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომები, უმრავლეს შემთხვევაში, მასალის მრავალსახეობითა და მოვლენათა დაწვრილებითი აღწერით სანდო წყაროს წარმოადგენენ სხვა ქვეყნებისა და ხალხთა ისტორიისათვის. სომხურ საისტორიო ძეგლებში უხვად არის გაბნეული ცნობები ბიზანტიის, საქართველოს, არაბეთის, სპარსეთის, თურქეთისა თუ სხვათა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. ზემოთაღნიშნულმა გარემოებამ სომხური საისტორიო წყაროების სომხურის არამცოდნეთათვის მისაწვდომ ენებზე თარგმნის აუცილებლობა წარმოშვა. სწორედ ამან შეუწყო ხელი მთელი რიგი სომხური ძეგლების არა თუ ერთ, არამედ რამდენიმე ევროპულ ენაზე თარგმნას.

ძველ სომხურ საისტორიო ძეგლებში საინტერესო ცნობებს ეხვდებით საქართველოს ისტორიის იმ ბუნდოვანი საკითხების გასარკვევად. რომელთა შესახებაც ქართულ წყაროებში ცნობები ან არ მოიპოვება, ან ეს ცნობები არ არის სრული და ზედმიწევნითი.

იოანე დრასხანაკერტელიც, რომლის თხზულების „სომხეთის ისტორიის“ მონოგრაფიულ შესწავლას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, ერთ-ერთია იმ სომეხ ისტორიკოსთაგან, რომლებმაც საქართველოს შესახებაც ბევრი საყურადღებო ცნობა მოგვაწოდეს.

IX—X საუკუნეები, რომელთა მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იოანე დრასხანაკერტელი, საქართველოს ისტორიაში მეტად საინტერესო ხანას წარმოადგენს. ეს პერიოდი მთელი რიგი რთული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა როგორც საქართველოსა და სომხეთისათვის, ასევე ბიზანტიისა და განსაკუთრებით არაბთა სახალიფოსათვის. IX—X საუკუნეებში ფეოდალურ ურთიერთობათა მომწიფებამ კიდევ უფრო დააჩქარა არაბთა სახალიფოს აღრევე დაწყებული დაშლის პროცესი, რამაც

თავის მხრივ ხელი შეუწყო ახლად აღმოცენებულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა გაძლიერებას, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ასევე საქართველოსა (კახეთის სამთავრო, აფხაზეთის სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ჰერეთის სამთავრო) და სომხეთში (შირაქის ანუ ბაგრატიუნიანთა სამთავრო, ვასპურაკანის ანუ არწრუნთა სამთავრო და სივნიეთის სამთავრო). ამჟამად შეიმჩნეოდა ცალკეულ სამთავროთა შორის ურთიერთდაპირისპირება და ქიშპი, მეზობელი მთავრის ხარჯზე საკუთარი სამფლობელოს გაფართოების დაუცხრომელი სურვილი. უკვე საკმაოდ მომწიფებული ფეოდალური ურთიერთობა ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა პოლიტიკურ ერთეულთა ერთ მთლიანად გაერთიანებისათვის. „კახეთის ქორეპისკოპოსი, ტაო-კლარჯეთისა და საქართველთა მეფეები“. აფხაზთა მეფეებიც და სომეხთა მეფეებიც ამისათვის იბრძოდნენ, ზოგჯერ ცალცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულნი და თანდათანობით, მაგრამ მედგრად ამ მიზნის განხორციელებასა ცდილობდნენ. დიდი ყურადღების ღირსია ეს შეუჩერებელი, ზოგჯერ ჩუმი, ზოგჯერ პირდაპირი ბრძოლა ბატონობის მოპოების და ქვეყნის გაერთიანების გულისათვის².¹ ზემოთ აღნიშნულ შინაგან ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და სომხეთში IX—X საუკუნეებში, საგარეო ვითარების სირთულეც ემატებოდა. როგორც ცნობილია, არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის ინტერესები არაერთხელ შეჯახებია ერთმანეთს საქართველოსა და სომხეთში, რაც გარკვეულ დაღს ასვამდა ამ ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიურსა თუ კულტურულ განვითარებას.

იოანე დრასხანაკერტელის მიერ „სომხეთის ისტორია“-ში ვაღმოცემული ამბები ძირითადად სწორედ ზემოთ აღწერილი პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარების ფონზე იშლება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ავტორის არათანადროულ ხანას (დასაბამიდახ IX საუკუნის მეორე ნახევრამდე), რომლის შესახებ საუბრისას იგი თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებით სარგებლობს.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ უმთავრესად საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას შეეხება, გვხვდება მასალები აგრეთვე საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან და სხვ.

² ი ვ: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948, გვ. 91.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“, როგორც ისტორიული წყარო (თავისი დადებითი, თუ უარყოფითი მხარეებით), მისი ღირებულება და მნიშვნელობა ჯეროვნად არ არის შესწავლილი და შეფასებული. არ არსებობს აგრეთვე მისი სრული თარგმანი ქართულ ენაზე³.

³ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“ ქართულ ენაზე თარგმნილია უმთავრესად მხოლოდ საქართველოს შესახები ცნობები. თარგმანი ეკუთვნის პროფ. ილია აბულაძეს. იხ. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბილისი, 1937.

თავი პირველი

იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრება და მოღვაწეობა

იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად ძირითად და, შეიძლება ითქვას, ერთადერთ წყაროს მისივე თხზულება „სომხეთის ისტორია“ წარმოადგენს. ავტორის თანამედროვე და მომდევნო ხანის ისტორიკოსები (თომა არწრუნი, სტეფანოს ტარონელი, სტეფანოს ორბელიანი, სამუელ ანელი, კირაკოზ განძაკელი, მხითარ ანელი, ვარდან დიდი)⁴ მხოლოდ გაკვირვებით იხსენიებენ მას. მართალია, „სომხეთის ისტორიის“ შექმნისას იოანე დრასხანაკერტელს მიზნად სრულიადაც არ ჰქონია დასახული თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეტაპების დაწვრილებით ჩვენება, მაგრამ ვინაიდან იგი თვითმხილველი და ხშირად აქტიური მონაწილეც იყო თავის თხზულებაში აღწერილი ისტორიული ამბებისა, ბუნებრივია, ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობების გადმოცემასაც ვერ აუვლიდა გვერდს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მის თხზულებაში დატული ცნობების მეშვეობითაც ვერ ხერხდება ისტორიკოსის ბიოგრაფიის მთლიანი სახით შესწავლა. მაგრამ ამის მოთხოვნას ვერ წავუყენებთ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიას“, რადგანაც იგი საისტორიო პირველწყაროა და არა ბიო-

⁴ *Թովմայի վարդապետի Արժրուհույ Պատմութիւն տանն Արժրուհեաց, Թիֆլիս, 1917, გვ. 391, 396; Մտեփանոսի Տարօնեցույ Ասողկան Պատմութիւն տիեզերական, Ս. Պետերբուրգ, 1885, გვ. 7, 160, 168, 170; Պատմութիւն նահանգին Սիսական արարեալ Մտեփանոսի Օրբէլեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց, Թիֆլիս, 1910, გვ. 106, 226, 276, 502; Մամուէլի Բահանայի Անեցույ հաւաքմունքի դրոց պատմագրաց... Յոռաջանով, համեմատութեամբ, յաւելածներով եւ ծանօթութիւններով Արշակ Տէր-Միքելեանի, վաղարշապատ, 1893, გვ. 3, 85, 95; Կիրակոս Գանձակեցի. Պատմութիւն հայոց. Աշխատասիրութեամբ Կ.Ա. Միքիլ-Օհանջանյանի, Երևան, 1961, გვ. 7, 81—82, 85. Մխիթարայ Անեցույ Պատմութիւն, Ս. Պետերբուրգ, 1879, გვ. 11, 15; Մեծին վարդապետայ Բարձրեղեցույ Պատմութիւն տիեզերական, ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա, 1961, გვ. 119.*

გრაფიული ენარის ნაწარმოები. ჯერ კიდევ გასარკვევი და დასადგენია იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე. ეს უქანასკნელი გარემოება კი სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ იოანე დრასხანაკერტელი თავისი ახალგაზრდობის ხანის ამბებს, რომლებშიც მას არ უხდებოდა უშუალოდ მონაწილეობის მიღება, სხვა ისტორიკოსების ნაწარმოებებზე დაყრდნობით მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში ისტორიკოსის მიერ ძალაუფლებურად უგულვებელყოფილია საკუთარი ავტობიოგრაფიიდან ამა თუ იმ მომენტის გადმოცემის აუცილებლობა.

მოუხედავად იმისა, რომ იოანე დრასხანაკერტელის ბიოგრაფიას არა ერთი მკვლევარი შეჰხებია, მაინც იგი დღემდე ყოველ-

ბ *Պատմութիւն Հայոց ի սկզբանէ մինչև ցամառն 1784... Յօրինեալ էր հայր Միգայէլ վգայէ Զամախանց Կոստանդինուպոլսեցոյ... հատոր Ա, Վենետիկ, 1784, 83. 14. հատոր Բ. Վենետիկ 1785, 83. 717, 725, 731, 733, 741, 742, 745. 763, 778, 780 — 781, 785—788, 807 — 810, 815, 1014 — 1016.*

Histoire d'Arménie par le patriarche Jean VI dit Jean catholikos. Traduite de l'Arménien en français par M. J. Saint-Martin, Paris, 1841, 83. III — XLVIII.

Յ *Սիմեոնի և Կաթողիկոսի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1912, 83. Ա — ԺԲ. (გმინის წინასიტყვაობა).*

L'Arménie chrétienne et sa littérature, par Felix Nève, Louvain, 1886, 83. 317 — 340.

Ե *Եղիշէ Վ. Դիւրեան, Պատմութիւն հայ մատենադրութեան, Կ. Պոլիս, 1885, 83. 39.*

Զ. *Զարբանալեան, Հայկական հին դպրութեան պատմություն (4 — 14 դար), Վենետիկ, 1897, 83. 511 — 517.*

Հայապատում. Պատմիչք և պատմութիւնք հայոց. յօրինեալ և հավաքեալ Ի. Է. Ղևոնդեան, Վ. Մ. Ալիշան. Վենետիկ, 1901, 83. 81.

Վ. *Փափաղեան, Պատմութիւն հայոց գրականութեան. Մասն I, Երևան, 1907, 83. 178 — 180.*

Ս. *Մեսրոբի և գրբուր գիւտի պատմութիւն, կազմեց Է. Աճառեան, Բաքի, 1907, 83. 31 — 32.*

Ա *Ազգապատում. Հայ ուղղափառ եկեղեցւոյ անցքերը սկիզբէն մինչև մեր օրերը. գրեց Մաղաքիա արքեպիսկոպոս Օրմանեան, Կոստանդնուպոլիս, 1912, 83. 1018 — 1070.*

Ա. *Զամախան. Հայ գրականութեան պատմութիւն, Նոր-Նախիջևան, 1914, 83. 139 — 141.*

იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ი. აბულაძისა, თბილისი, 1937, 83. IV — VII.

ლ. *მელიქსეთ-ბეგო, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941, 83. III.*

Պ *Պատմութիւն հայ գրականութեան. Առաջին մաս, Ա. հատոր, Վենետիկ, 1944, 83. 221 — 223.*

მხრივ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მკვლევართა უმრავლესობა მხოლოდ ისტორიკოსის ბიოგრაფიული ცნობების მშრალად, ყოველგვარი გაანალიზებისა და სხვა მონაცემებთან შეჯერების გარეშე გაღმომცემით კმაყოფილდებოდა და გვერდს უვლიდა ამ ცნობების კრიტიკულად განხილვის აუცილებლობას. ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო მკვლევართა ერთი ჯგუფი (მ. ემინი, მ. აბელიანი, ვ. ფაფაზიანი)⁶ გადაჭარბებით დადებითად აფასებდა იოანე დრასხანაკერტელის მოღვაწეობასა და შემოქმედებას, სხვები (მაგ. სტ. მალხასიანი)⁷ კი პირობით, სრულიად უგულვებელყოფდნენ მისი თხზულების „სომხეთის ისტორიის“ ისტორიულსა, თუ ლიტერატურულ ღირებულებას.

ჩვენ შევეცადეთ „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ცნობების შესწავლისა და მათი სხვა წყაროებთან შეჯერების საფუძველზე შეძლებისდაგვარად წარმოგვედგინა იოანე დრასხანაკერტელის როგორც ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრული სუ-

შანოღა მუხეჯან, ჯაიყ ჩინ დრასხანოქიან აკათოქიან. ზქრე I, ხრექან, 1944, გვ. 433 — 446.

ჯ. მ. აბელიანი, ჯაიყ არხანოქიანსერქ რაიარან, ნათორ ზ, ხრექან, 1946, გვ. 558 — 559.

სტ. მალხასიანი, სქონქრ IX — X დარხრიომ, ხრექან, 1959, გვ. 14 — 16.

ჯ. მ. ჯარიოქიან, ჯაკაითან IX — X დარხრიომ, ხრექან, 1959, გვ. 320 — 321.

სტ. შალჩიასიანი, შათხნაქითასქან დქითოქიქიანსერქ, ხრექან, 1961, გვ. 203 — 209.

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართაგან ზოგიერთის საბუთიანობა იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრება-მოღვაწეობისა თუ შემოქმედების ამა თუ იმ მხარის კვლევისას სასებით დამაჯერებლად არ გვეჩვენება, მაგრამ აქ ამაზე არ შევჩერდებით, არამედ ცალკეული საკითხების განხილვისას შევეხებოდით მათ და იქვე მივეუბნებთ მკვლევართა დებულებებისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებაც.

6 შიქრანსილ ხაქოქიქიანი ზრახიანოქიანსერქ აკათოქიანსერქ ჯაიყ, ზქრე I, 1912, მ. ემინის წინასიტყვაობა, გვ. 1 — 10.

შანოღა მუხეჯან, ჯაიყ ჩინ დრასხანოქიან აკათოქიანსერქ ზქრე I., ხრექან, 1944, გვ. 433 — 446.

ჯ. ფაფაზიანი, აკათოქიანსერქ ჩაიყ დრასხანოქიანს. შათი I, ხრექან, 1907, 178 — 180.

7 სტ. შალჩიასიანი, შათხნაქითასქან დქითოქიქიანსერქ, ხრექან, 1961, გვ. 203 — 209.

რათი, ასევე მონოგრაფიულად შეგვესწავლა მის თხზულებაში დაცული ცნობები.

იოანე ისტორიკოსი წარმოშობით დაბა დრასხანაკერტიდან იყო, რაზედაც მიუთითებს მისივე ზედწოდება „დრასხანაკერტელი“. თავის მეორე ნაშრომში „*წარღ ჩაქრასაქსთაჲ ჩაქიჲ*“⁸ იგი წერს: „მე, საწყალობელი იოანე. ნეტარი მამტოცის მოწაფეთაგანი, მისი სისლით ნათესავი და ახლობელი, წარმოშობით დიდ დაბა-სოფელ დრასხკერტიდან, ღმრთის კაცის⁹ გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ დავეუფლე მის ტახტს“¹⁰

დაბა-სოფელ დრასხანაკერტის სახელწოდება სხვადასხვა ფორმით ვეხვდება საისტორიო წყაროებსა თუ ხელნაწერებში. თვით იოანე კათალიკოსი მას დრასხკერტს (*დრასაქსკერა*) უწოდებს. იგივე სახელი „მატენადარანის“ 1771 წლის № 3537 ხელნაწერში დრასპონაკერტად (*დრასაინასკერა*) არის მოხსენებული¹¹. ასეთივე ფორმით დასტურდება იგი „მატენადარანის“ 1887 წლის № 6716 ხელნაწერში¹². აღრინდელი ხანის სომხურ საისტორიო წყაროებში — მოსე ხორენელისა და ელიშეს თხზულებებში იხსენიება დაბა-სოფელი დრასხანაკერტი (*დრასაქსანასკერა*)¹³. სამეცნიერო ლიტერატურაშიც უმთავრესად დრასხანაკერტი და მისგან წარმოებული „დრასხანაკერტელი“ ფორმა გვხვდება. სიტყვა „დრასხანაკერტ“ კომპოზიტს წარმოადგენს: დრასხან და კერტ. კერტ (*ქერა*) ნიშნავს ნაგებს, ნა-

⁸ „*წარღ ჩაქრასაქსთაჲ ჩაქიჲ*“ გამოკვეყნებულია დანართის სახით სამეფლ ანელის „ეპიმთალმწერლობა“-ში. იხ. *სამილქქი წაჩანაქი Անსეღლი ჩაღადამინჯ ქეღიჲ ასითამღრეჲ... ქაღაღადანიქ, ჩამამათიქსამაქ, ქასლიკაბზჩიქ ხღ ბანაქლიქჩინსჩიქ Արჯაქ Տեր-Միգելեանի, Վարդապետ, 1893, გვ. 272 — 277.*

⁹ იგულისხნება სომხეთის კათალიკოსი მამტოც ელივარდელი (897 წ.), რომელიც საკათალიკოსო ტახტზე შეეცვალა იოანე დრასხანაკერტელმა.

¹⁰ *სამილქქი წაჩანაქი Անსეღლი ჩაღადამინჯ ქეღიჲ ასითამღრეჲ .. გვ. 277.*

¹¹ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 3537, გვ. 1 რ.

¹² „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6716, გვ. 1.

¹³ *Մովսէսի Յարենսեղուի Պատմիկին ჩաქի. Թիֆլիս, 1910, გვ. 247.*

Նղქէլէ վասն վարդանաց և ჩոյի պատերազմին, ի լոյս ածեալ ըողջատիքსամբ ձեռագրաց տղխատիքսամբ Ե. Տէր-Մինասիսն, Երեւան, 1957, გვ. 79.

შენებს. სიტყვის პირველი ნაწილის მნიშვნელობა უცნობია¹⁴. უნდა ვივარაუდოთ. რომ „დრასხანაკერტ“ ვულისხმობს ვინმე დრასხანის მიერ ნაგებს, ნაშენს. მაგრამ თქმა იმისა, თუ სახელდობრ ვინ არის ამ ადგილის დამაარსებელი, თუ განმარტებული დრასხანი, ძნელია. ვინაიდან ამ საკითხის გასარკვევად არავითარი ხელშესახები მასალა არ მოგვეპოვება. ზემოთ მოტანილი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას სომხურ გეოგრაფიულ სახელთა შორის დრასხანაკერტის ანალოგიური კომპოზიტების მრავლად არსებობაც უწყობს ხელს: ერვანდ-ა-კერტ-ი, ვალარშ-ა-კერტ-ი, ვარდან-ა-კერტ-ი, ტიგრან-ა-კერტ-ი და სხვ.. რომელთა მნიშვნელობა ანუ უნდა გავიგოთ: ერვანდის. ვალარშის, ვარდანისა თუ ტიგრანის დროს ან მათ მიერ ნაშენი ადგილები.

რა დროს განეკუთვნება დაბა-სოფელ დრასხანაკერტის გაშენება? ამ კითხვაზე ზედმიწევნით პასუხის გაცემა ძნელია. ერთი კია, რომ აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის არსებობა შესაძლებელია ვივარაუდოთ არა უკვიანეს I საუკუნის მიწურულისა და II საუკუნის დასაწყისიდან, უფრო ზუსტად, სომხეთის მეფის არტაშესის (88—129 წწ.) დროიდან მაინც. ამის უფლებას გვაძლევს მისი მოხსენიება პირველად მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ში. აი. რას გვამცნობს მოსე ხორენელის თხზულების ერთი ადგილი: „ამ დროს მათი ნათესავი კამსარიც თავისიანებთან ერთად მოინათლა დიდი გრიგორის ხელით და [ტრდატ მეფემ]¹⁵... სამეპკვიდრეოდ მისცა მას არტაშესის დიდი დაბა-სოფელი, რომელიც ეხლა დრასხანაკერტად იწოდება და აგრეთვე შირაკის გავარიც [უწყალობა], როგორც თავის ნათესავსა და ახლობელს“¹⁶. აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ დაბა-სოფელი დრასხანაკერტი ჯერ კიდევ სომეხთა მეფის არტაშესის დროს არსებობდა, ხოლო მოტანილი ცნობის შემდეგი ნაწივეტი „რომელიც ეხლა დრასხანაკერტად იწოდება“ — იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ადრე, არტაშესის დროს მას სხვა სახელი ერქვა, დრასხანაკერტი კი უფრო გვიან შერქმევია, ყოველ შემთხვევაში, მოსე ხორენელის დროს უკვე ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი.

¹⁴ იხ. ზին ნაკიე თხილიკ ანიონხერე, ვერე ზ. ზქღეჲმან... Վիեննა, 1907, გვ. 338.

¹⁵ სომხეთის მეფე ტრდატ III მეფობდა 287 — 330 წწ.

¹⁶ Մովսեսի Մաբեխացույ Պատմութիւն հայոց... გვ. 247.

იოანე დრასხანაკერტელის წარმოშობის ადგილად ხშირად დაბა-ქალაქი გარნისია დასახელებული. ასე მაგალითად, სომეხი ისტორიკოსები კირაკოზ განძაკელი და სამუელ ანელი აღნიშნავენ, რომ იოანე დაბა-ქალაქ გარნისიდან იყო¹⁷. ასეთივე ცნობას წაეაწყდით „მატენადარანის“ 1849 წლის № 6296 ხელნაწერი-შიც: „იყო ნეტარი იოანე სოფელ გარნისიდან“¹⁸. ზემოთ მოტანილი მასალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იოანე ისტორიკოსის „*Շարք հայրապետաց հայոց*“-ში დაცულ ცნობას მისი დაბა-სოფელ დრასხანაკერტიდან წარმომავლობის შესახებ, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: „მატენადარანის“ № 6296 ხელნაწერის გადამწერი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ისტორიკოსები კირაკოზ განძაკელი და სამუელ ანელი მაინც გაცნობილნი იქნებოდნენ იოანე დრასხანაკერტელის შრომას „*Շարք հայրապետաց հայոց*“, ე. ი. ეცოდინებოდათ, რომ იოანე ისტორიკოსი წარმოშობით დაბა-სოფელ დრასხანაკერტიდან იყო, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მათ უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს მისი წარმოშობის ადგილად დაესახელებინათ არა თვით დრასხანაკერტი, არამედ მასთან შედარებით უფრო ცნობილი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტი, რომლის რაიონშიც, თუ უშუალოდ ახლოს, მეზობლად მდებარეობდა დაბა-სოფელი დრასხანაკერტი. ასეთ ადგილად, ეტყობა, დაბა-ქალაქი გარნისი იყო მიჩნეული. სომეხი მკვლევრის მალაქია ორმანიანის თქმისა არ იყოს, ძველად არსებობდა ერთგვარი ტრადიცია მთავარი ქალაქის სახელის მიხედვით მოეხსენებინათ უმნიშვნელო სოფლიდან წარმომავლილი პიროვნება¹⁹. ამის დამამტკიცებელი მაგალითების მოტანა ჩვენ მრავლად შეგვიძლია, მაგრამ საილუსტრაციოდ მხოლოდ ორიოდეთი დავკმაყოფილდებით. VII საუკუნის ცნობილი კოსმოგრაფი და მათემატიკოსი ანანია შირაკელი, როგორც ვარაუდობენ, წარმომავლი იყო ან შირაკავანიდან, ან ანისიდან²⁰, მაგრამ იგი მაინც შირაკელის (და არა შირაკავანელის, ან ანელის) სახელითაა ცნობი-

¹⁷ *Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց...*, გვ. 82.

Սամուէլի քահանայի Անեցւոյ հաւաքմանը ի դրոց պատմա-դրոց... გვ. 96.

¹⁸ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6296, გვ. 1.

¹⁹ *Ազգագրագիտ.*, გვ. 1017.

²⁰ ორივე გეოგრაფიული პუნქტი შირაკის გავარში მდებარეობს.

ლი როგორც პირველ წყაროებში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე X საუკუნის ისტორიკოს მოსე კალანკატუელთან დაკავშირებითაც. ისტორიკოსისავე მითითებით იგი წარმოშობით სოფელ კალანკატვიდან იყო²¹, რომელიც უტიის გავარშია. ამიტომ ხშირად იგი მოსე უტიელადაც კი იწოდება.

სომეხი მკვლევარი მიქელ ჩამჩიანი იოანე ისტორიკოსის გარნელად მოხსენებას შემდეგი გარემოებით ხსნის: „მაშტოც შამამთავარი გარნისში დაკრძალეს და მის შემდეგ მაშინვე დაჯდა [საპატრიარქო ტახტზე] იოანე — მისი ნათესავი და მოწაფე, ამიტომ, თვლიდნენ, რომ ისიც ქალაქ გარნისიდან უნდა ყოფილიყო“—²². ჩამჩიანის მსჯელობა იოანე ისტორიკოსისათვის ზედწოდების — „გარნელის“ — შერქმევების მიზეზის ახსნის შესახებ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. დაბა-ქალაქ გარნისში მაშტოც კათალიკოსის დაკრძალვის ფაქტი სრულებით არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ მაშტოცის შემცვლელი კათალიკოსი იოანე, რადგან იგი მისი ნათესავი და მოწაფე იყო, აუცილებლად „გარნელად“ მივიჩნიოთ. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი, ასოლიკად წოდებული, თავის „მსოფლიო ისტორია“-ში მიუთითებს, რომ იოანე დრასხანაკერტელი დვინიდან იყო²³. რას უნდა ემყარებოდეს სტეფანოს ასოლიკის ეს განცხადება? ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ მიქელ ჩამჩიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თავის თხზულებაში „სომხეთის ისტორია“ მკვლევარი შენიშნავს: „თუ კი იოანე კათალიკოსი ზოგიერთთაგან დვინელად იწოდება, ამის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ იგი აღიზარდა და მომწიფდა საპატრიარქო სახლში, დვინში, სადაც კიდევ დაჯდა საკათალიკოსო ტახტზე“²⁴. იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში გაბნეული ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობების გაანალიზების შედეგად მართლაც ირკვევა, რომ იგი მთელი თავისი საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული დვინის საპატრიარქო

²¹ *Մ ո Վ յ ի խ ի Գ ա ղ ա ն կ ա տ ու ա ջ ե ո յ Պ ա տ մ ի թ ի Ն Ա ղ ի ւ ա ն ի ց ա շ խ ա Ր ի ՚, Թ ի Փ լ ի ՚, 1912, թ. 155.*

²² *Պ ա տ մ ի թ ի Ն հ ա յ ի ց... յ ի Ր ի ն ի ա լ ի ՚ հ ա յ Ր Մ ի Ջ ա յ է լ Զ ա մ չ ի խ ո ն ց... հ ա տ Ր II, թ. 1015.*

²³ *Ս տ ի Վ ո Ն ի ի ՚ Տ ա Ր ի ն ի ց ե ո յ Ա ս ո ղ կ ա ն Պ ա տ մ ի թ ի Ն տ ի ն ՝ զ Բ ո լ կ ա ն, Ս. Գ ի տ ի Ր ի Ր զ, 1885, թ. 160.*

²⁴ *Պ ա տ մ ի թ ի Ն հ ա յ ի ց... յ ի Ր ի ն ի ա լ ի հ ա յ Ր Մ ի Ջ ա յ է լ Զ ա մ չ ի խ ո ն ց... հ ա տ Ր II, թ. 1015.*

სახლთან ჯერ კიდევ ადრე, სომხეთის კათალიკოსად მის დამტკიცებადღეც, კერძოდ. გეორგ კათალიკოსისა (877—897 წწ.) და შემდეგ მაშტოც ელივარდელის დროსაც (897 წ.). სწორედ ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ იოანეს ხშირად მისი სამოღვაწეო ადგილის მიხედვით ღვინელსაც უწოდებენ. მსგავსი შემთხვევები სხვა მოღვაწეთა ბიოგრაფიიდანაც არის ცნობილი. მაგალითად XIV—XV სს. სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი წარმოშობით სოფელ ალიოვიტიდან იყო, მაგრამ ვინაიდან მან დაწყებითი სწავლა-განათლება მეწოფის მონასტერში²⁵ მიიღო, ამიტომ „მეწოფელის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთივე ნიშნის მიხედვით აქვს შერქმეული X—XI სს. სომეხ პოეტს გრიგოლ ნარეკელს ზედწოდება „ნარეკელი“. როგორც ცნობილია, იგი განისწავლა და შემდეგ მოღვაწეობდა კიდევ ნარეკის მონასტერში, რომელიც ვასპურაკანის ოლქის რმტუნიქის გავარში მდებარეობს. ასევე ახპატის ლიტერატურული სკოლის დამაარსებელი იოანე სარკავაგი, XI—XII სს. მოღვაწე, ხშირად ახპატელადაც იწოდება ამ სკოლაზე მის მიერ გაწეული ღვაწლის გამო.

გარდა ზემოთ აღნიშნული ზედწოდებებისა (დრასხანაკერტელი, ღვინელი, გარნელი) იოანე დრასხანაკერტელი რიგი სომეხი ისტორიკოსების (თომა არწრუნის, სტეფანოს ტარონელის, სტეფანოს ორბელიანის, კირაკოზ განძაკელის, ვარდან დიდის) ნაშრომებში. მისი თხზულების „სომხეთის ისტორიის“ შემცველ თითქმის ყველა ხელნაწერსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც უმთავრესად იოანე სომეხთა კათალიკოსის, იოანე VI სომეხთა კათალიკოსის, ან უბრალოდ იოანე ისტორიკოსის სახელითაა მოხსენებული.

ამრიგად. ზემოთ მოტანილი მასალების გათვალისწინების შედეგად შემდეგი ირკვევა: იოანე დრასხანაკერტელი, იოანე ღვინელი (ან იოანე ღვინიდან), იოანე გარნელი (ან იოანე გარნისიდან), იოანე VI სომეხთა კათალიკოსი, იოანე ისტორიკოსი ერთი და იგივე პიროვნებაა -- IX—X სს. სომხეთის კათალიკოსი, ისტორიკოსი. ავტორი ჩვენთვის საინტერესო „სომხეთის ისტორიისა“.

იოანე დრასხანაკერტელის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც „სომხეთის ისტორიიდან“. ასევე სხვა სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდანაც. იოანე ისტორიკოსის „სომხეთის ისტორიის“ სენ-მარტენისეული ფრანგული თარგმანის გამომცემელი

²⁵ მეწოფის ცნობილი მონასტერი მდებარეობს ვანის ტბის ჩრდილოეთით ტურუბგრანის ოლქის ალიოვიტის გავარში.

ფელიქს ლაგარდი იოანე დრასხანაკერტელის დაბადების თარიღად 830—835 წლებს დებს. ასეთი ვარაუდის დაშვება მას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია, ვინაიდან, მისივე მსჯელობით, იოანემ ღრმა მოსუტეებულობის ასაკს მიაღწია და 925 წელს გარდაიცვალა²⁶. ფელიქს ლაგარდის მიერ იოანე დრასხანაკერტელის დაბადების თარიღის 830—835 წლებში მოთავსებას მეორე ფრანგი მკვლევარი ფელიქს ნევეც უპერს მხარს²⁷. სომეხი მკვლევარი ა. ზამინიანი. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, იოანეს დაბადების თარიღად 835 წელს მიიჩნევს²⁸. ასეთივე აზრისაა პროფ. ლეონ მელოქსეა-ბეგი²⁹.

მართალია, პირდაპირი მითითება იოანე დრასხანაკერტელის დაბადების თარიღის შესახებ პირველწყაროებში არ მოგვეპოვება, მაგრამ იოანე ისტორიკოსის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული სხვა ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობების გათვალისწინების შედეგად ნათელია, რომ დაბადების თარიღის ასე შორს, კერძოდ, IX საუკუნის 30-იან წლებში გადატანას ერთი საკმაოდ სერიოზული დაბრკოლება ელობება წინ. ეს არის იოანე დრასხანაკერტელის თხზულების დაწერის დრო.

ჩვენი დაკვირვებით, რაზედაც უფრო დაწერილებით შემდეგ მივივითხოვთ, „სომხეთის ისტორია“ 920 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ასე რომ, თუ დავუშვებთ, რომ იოანე დრასხანაკერტელი 830 წელშია დაბადებული, გამოდის, რომ მას 90—95 წლის ასაკში მიუყვია ხელი ამ საკმაოდ სერიოზული და დიდი მოცულობის თხზულების წერისათვის, რაც ნაკლებ დასაჯერებელია. მართალია, ისტორიკოსი „სომხეთის ისტორიის“ შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ „ავადმყოფური სიბერე მაახლოებს რა სიკვდილის კარს, მაიძულებს დროულად გადმოგცეთ ჩვენს თავს გადამზღარი ჭირი და ვაება“-ო³⁰, მაგრამ ეს სიტყვები კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ

²⁶ Histoire d'Arménie par le patriarche Jean VI dit Jean catholicos. Traduite de l'Arménien en français par M. J. Saint-Martin, Paris, 1841, გვ. VIII.

²⁷ L'Arménie chrétienne et sa littérature, par Felix Nève, Louvain, 1886, გვ. 319.

²⁸ Ա. Զ ա մ ի Ն ի խ ա ն, Հայ գրականության պատմություն..., გვ. 139:

²⁹ ლეონ მელოქსეა-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 111.

³⁰ Յ ո վ ՚ ա Ն ու Ն ՚ ա թ ո ղ լ ի ո ս ի Դ ը ա ս ի ա Ն ա կ ի ը ո հ զ ո յ Պատմություն Հայոց..., გვ. 5.

იოანე დრასხანაკერტელი ღრმა მოხუცებულობის გამო უკვე სიკვდილის პირს იყო მისული. ამ შემთხვევაში ასე პესიმისტურად მას უფრო მეტად ის ფიზიკური და სულიერი ტკივილი ალაპარაკებდა, რაც ცხოვრების მანძილზე თავის ხალხთან ერთად განიცადა და გადაიტანა. იოანე დრასხანაკერტელისათვის საერთოდ უჩვეულო არ არის საკუთარი პიროვნების დაკნინებულ, დაბეჩავებულ და შესაბრალის ვითარებაში წარმოსახვა. „სომხეთის ისტორია“-სა და „*Նարք հայրապետաց հայոց*“-ში იგი არა ერთხელ ამკობს თავის თავს ეპითეტებით „მე საწყალობელი და უბედური იოანე“³¹ ან „მწუხარე“, „ნაღვლიანი“, „ცოდვილი“, „ექვევით შეპყრობილი გული“, „უბადრუკი“, „ლტოლვილი“³² და სხვა მრავალი. საერთოდ იოანე დრასხანაკერტელისათვის ერთ-ერთ ყველაზე ნიშანდობლივ თვისებას გადაქარბებული სენტიმენტალობა წარმოადგენს, რომელიც, როგორც ზემოთ თქმულიდანაც ირკვევა, სიბერის ჟამსაც გაჰყვა ისტორიკოსს. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე აღნიშნულს, მის გამოთქმაში „მტკივნეული სიბერე“ (*ժերուժիւն պատուիւն*) არ უნდა ვიგულისხმოთ აუცილებლად ღრმა მოხუცებულობა, სიკვდილის კარს მიღწეული მდგომარეობა.

გარდა ამისა, 830—835 წლებში იოანე დრასხანაკერტელის დაბადების თარიღის მოთავსებას ერთი სხვა გარემოებაც ელოდება დაბრკოლებად. იოანე ისტორიკოსი რომ მართლაც IX საუკუნის 30-იან წლებში დაბადებულიყო, მას აუცილებლად კარგად ეხსომებოდა აშოტ სუმბატის ძის (885 წელს მეფედ კურთხეულის) ახალგაზრდობა, ყოველ შემთხვევაში, მისი სპარაპეტობის პერიოდი მაინც (855—862) და არ დასჭირდებოდა იმის მითითება, რომ აშოტის „სიძლიერე და სიმბნე, ბრძოლები და თავდასხმები როგორც სხვებზე, ასევე სხვათაგან მასზე; ყოველივე ეს საკმარისად იქნება აღწერილი [ჩემ მიერ] შაპუჰისაგან ნამშობის [მიხედვით]“-ო³³. როგორც ჩანს, იოანე IX საუკუნის 50—60-იან წლებში, აშოტ სუმბატის ძის მოღვაწეობის I პერიოდში³⁴, მისი სპარაპეტობის დროსაც,

³¹ „*Նարք հայրապետաց հայոց*“, იხ. წიგნში *Ս ա մ Ի Լ Է Լ ի Ք ա հ ա ն ա յ ի Ա ն հ Ե Լ Կ հ ա ւ Լ ճ մ Ի ն Ե ի Գ ր Ե ր պ ա տ Ի մ ա Գ ր ա ց ...* გვ. 277.

³² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-მდებარე გამოცემა, გვ. 99, 124, 126, 127, 133, 204, 205 და სხვ.

³³ იქვე, გვ. 29.

³⁴ აშოტ სუმბატის ძის დაბადების თარიღად ისტორიკოსი ლეო (არაქელ ბაბახანიანი) 820 წელს მიუთითებს, მარკვარტის ცნობაზე დაყრდნობით. იხ. *Լ Է Ե, Հայոց պատմություն, երկրորդ հատი, Երեւան, 1947*, გვ. 508.

არასრულწლოვანობის გამო არ იყო რა დაახლოებული სამეფო კარს. ვერ ადევნებდა თვალს იმდროინდელი ისტორიული ამბების მსვლელობას; სწორედ ამიტომ აშოტ სუმბატის ძის ახალგაზრდობის წლების შესახებ საუბრისას იგი შაბუპ ბაგრატიუნს მიმართავს.

ამრიგად, მოტანილი მასალების საფუძველზე ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია იოანე დრასხანაკერტელის დაბადების თარიღი უფრო აქედ 845—850 წლებისაკენ მაინც გადმოვიტანოთ. თუ დავეყრდნობით ჩვენ მიერ იოანეს დაბადების თარიღის ზემოთ აღნიშნულ ქრონოლოგიურ საზღვრებში მოქცევას, გამოდის, რომ იოანეს თავისი ნაშრომის წერისათვის 70—75 წლის ასაკში მიუყვია ხელი, რაც უფრო მართებულად გვესახება.

რაც შეეხება იოანე დრასხანაკერტელის გარდაცვალების თარიღს, მის შესახებ ზედმიწევნითი სიზუსტით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. რადგან იგი თავის თხზულებას 924 წლის ამბების გადმოცემით ამთავრებს, შეიძლება ითქვას, რომ გარდაიცვალა 924 წლის შემდეგ, მაგრამ სახელდობრ რომელ წელს, ვერაფერს ვიტყვით სათანადო მასალების უქონლობის გამო. სომხური საისტორიო წყაროები მხოლოდ გაკვირვებით ეხებიან იოანე დრასხანაკერტელის ბიოგრაფიას და ხელშესახებს არაფერს გვაწვდიან ისტორიკოსის გარდაცვალების თარიღის დაზუსტებისათვის. მაგალითად, სტეფანოს ტარონელის „მსოფლიო ისტორია“-ში დაცულ ცნობას რომ დაეყრდნოს კაცი, გამოვა, რომ იოანე დრასხანაკერტელი 918 წელს უკვე გარდაცვლილია. სტეფანოსის მითითებით იოანე საპატრიარქო ტახტზე ავიდა 897 წელს და ეპყრა იგი 22 (ჩჲ) წელით³⁵. მაღაქია ორმანიანის მითითებით აქ უბრალოდ გრაფიკულ აღრევასთან გვაქვს საქმე: ნაცვლად—(ჩჲ)—22-ისა, უნდა იყოს მითითებული (ჩღ)—28³⁶, რაც უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, რადგანაც მაშინ იოანეს გარდაცვალების თარიღი 925 წელს ემთხვევა. კირაკოზ განძაკელსაც იოანეს კათალიკოსობის ხანად 28 წელი აქვს აღნიშნული³⁷, მაგრამ ვინაიდან იგი არაფერს ამბობს მისი საპატრიარქო ტახტზე ასვლის დრო-

³⁵ Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասիղկան Պատմութիւն տի-
եգրական... ԶՅ. 160.

³⁶ Ազգասպասում..., ԶՅ. 1064.

³⁷ Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց..., ԶՅ. 81 — 82.

ის შესახებ³⁸, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ, რომელი წელი მიაჩნია კირაკოზ განძაკელს იოანე ისტორიკოსის გარდაცვალების თარიღად. მხითარ ანელსაც მისი კათალიკოსობის პერიოდად 28 წელი აქვს მითითებული³⁹.

სტეფანოს ორბელიანის „სიგნიფიკანსის ისტორია“-ში⁴⁰ დაცული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით იოანე საპატრიარქო ტახტზე მკდარა 27 წელი, მაგრამ ავტორი აქაც არაფერს ამბობს იოანე დრასხანაკერტელის კათალიკოსად დადგინების თარიღის შესახებ. ისტორიკოსი სამუელ ანელი იოანეს საპატრიარქო ტახტის დაუფლების თარიღად 899 (478) წელს მიიჩნევს და იქვე დასძენს, რომ იოანე 28 წელი უძღვებოდა თავის სამწყსოსო⁴¹. ამრიგად, სამუელ ანელის ცნობის მიხედვით იგი 927 წლამდე ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს. მაგრამ ამ მონაცემებს ვერ დავუყრდნობით, ვინაიდან იოანეს კათალიკოსად კურთხევის თარიღი 899 წ., რასაც სამუელ ანელი იძლევა, სიმართლეს არ შეესაბამება. თვით იოანე დრასხანაკერტელი თავის ნაშრომში „*Շորք հայրապետաց հայոց*“ საპატრიარქო ტახტზე ასვლის თარიღად (მსჯ.) წელს ე. ი. 897 წ. (346 + 551) ასახელებს⁴², ასე რომ აქ უკვე არაფერია საკვლევი და საძიებელი. რატომღაც ძველ სომეხ ისტორიკოსთა და მკვლევართა ერთი ჯგუფი უგულვებლყოფს იოანეს ამ სარწმუნო ცნობას და მის კათალიკოსად დადგინების თარიღად 898, ან 899 წელს მიუთითებს. ხშირად სწორედ იოანე დრასხანაკერტელის საკათალიკოსო ტახტზე ასვლის არასწორ თარიღს შეცდომაში შეჰყავს მკვლევარები მისი გარდაცვალების თარიღის დადგენისას. სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე ისტორიკოსის გარდაცვალების რამდენიმე თარიღია მითითებული. მკვლევართა ერთი ჯგუფი (მ. ჩამჩიანი, ფ. ლაგარდი, მ. ემინი, ფ. ნევე, ე. დიურენი, გ. ზარბჰანალიანი, ა. ზამინიანი) იოანე დრასხანაკერტელის გარდაცვალების თარიღად 925 წელს მიიჩნევს. მკვლე-

³⁸ იოანე დრასხანაკერტელის საკათალიკოსო ტახტზე ასვლის რამდენიმე თარიღია ცნობილი სომეხ პირველწყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში.

³⁹ *Մխիթարյ Անեղւոյ Պատմութիւն...*, გვ. 11.

⁴⁰ *Պատմութիւն Նահանգին Սիսական արքայալ Ստեփաննոսի Օրէնքէն առ արքայիսկոյսի Սիւննաց...* გვ. 502.

⁴¹ *Սամուէլի Քահանայի Անեղւոյ հաւաքմունք ի դրոց պատմադրաց...* გვ. 95.

⁴² *Շորք հայրապետաց հայոց*. იბ. წიგნში *Սամուէլի Քահանայի Անեղւոյ հաւաքմունք ի դրոց պատմադրաց...* გვ. 277.

ვართა ერთი ნაწილის ჩვენებით კი (მ. ორმანიანი, პ. აჭარანი, პ. არუთუნიანი) იოანე დრასხანაკერტელი 929 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი. ვენეციაში 1944 წელს გამოცემულ „სომხური ლიტერატურის ისტორია“-ში⁴³ იოანე ისტორიკოსის გარდაცვალების თარიღად 931 წელია აღნიშნული. სომეხი მკვლევარი მ. აბელიანი⁴⁴ იოანეს გარდაცვალების თარიღს 925—930 წლებით შემოჰგარგლავს.

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ სომხურ პირველწყაროებში შემონახულ ცნობებს იოანე დრასხანაკერტელის გარდაცვალების თარიღის შესახებ და სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს, შესაძლებელია იოანეს გარდაცვალება 925—931 წლებში ვივარაუდოთ.

იოანე დრასხანაკერტელის მშობლებისა და საერთოდ მისი ნათესაობის შესახებაც არაფერი ვიცით, თუ არ შივილებთ მხედველობაში თვით იოანეს ცნობას მისსა და მამტოც ელივარდელს შორის ნათესაური დამოკიდებულების შესახებ. „*ნარკ ზაკარაკისიოვ ზაკაც*“-ში იოანე დრასხანაკერტელი თავის თავს მამტოც კათალიკოსის მოწაფეთაგანს, მის სისხლით ნათესავსა და ახლობელს უწოდებს⁴⁵. მაგრამ არაფერია თქმული, სახელდობრ რა იგულისხმება ამ ნათესაურ კავშირში. მიქელ ჩამჩიანი თავის „სომხეთის ისტორია“-ში შენიშნავს, რომ იოანე დრასხანაკერტელი მამტოც კათალიკოსის დისშვილი იყო⁴⁶. მალაქია ორმანიანი კი მიუთითებს, რომ იოანე დრასხანაკერტელის სიტყვებიდან უფრო შესაძლებელია იგი მამტოცის დისშვილად, ან ძმისშვილად მივიჩნიოთ⁴⁷. რამდენად სარწმუნოა სომეხი მკვლევრების ეს ცნობები, ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ისინი არსად სხვა წყაროებში არ პოულობენ დადასტურებას. თან თვით მ. ჩამჩიანსა და მ. ორმანიანს არა აქვთ ზუსტად მითით-

⁴³ *გათმობილნი ზაყ ერასხანოქსანს. Առաջին մաս... Ա. հատոր... Զ. 221.*

⁴⁴ *Մ. Ա. Ե. զյան, Հայոց հին դրասხանոქյան պատմութիւն, զերբ I... Զ. 435.*

⁴⁵ ასეთივე ცნობაა დაცული კირაკობ განძაკელთან და სამუველ ანელთან. იხ. *Կիրակոս Չան ձակիցի. Գատմութիւն Հայոց... Զ. 81. Սամուէլի Քահանայի Անხելոյ հաւաքմունք ի գրոյ պատմագրաց... Զ. 95.*

⁴⁶ *Գատմութիւն Հայոց... Յօրինակ ի հայր Միքայէլ Զատնանց. հատոր Բ. Զ. 725.*

⁴⁷ *Ազգապատմ... Զ. 1017.*

ბული, თუ რა მონაცემებს ეყრდნობიან ასეთი კატეგორიული განცხადებისას.

იოანე დრასხანაკერტელის აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ ცნობების სიმცირის გამო ვერ ხერხდება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის I პერიოდის საფუძვლიანად შესწავლა და მასზე სრული წარმოდგენის შექმნა. როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ. იოანე დრასხანაკერტელი თავის თავს მაშტოც ელივიარდელის მოწაფეს უწოდებს. მისი თანამედროვე ისტორიკოსი თომა არწრუნიც იოანეს შესახებ საუბრისას განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იოანე „აღიზარდა და განისწავლა წმინდა მაშტოცთან, მის სასწავლებელში განათლდა და გაიწრთვნა ცოდნით“⁴⁸.

ჯერ კიდევ სივნიეთის მაქენელთა სასწავლებელში სწავლით, ხოლო შემდეგ არტავაზდისა და სევანის მონასტრებში მოღვაწეობით მაშტოცი ცნობილი პიროვნება შეიქნა⁴⁹. როგორც სტეფანოს ორბელიანი აღნიშნავს, მან განსაკუთრებით ფართოდ გაითქვა სახელი სივნიეთში იმ საალმშენებლო საქმიანობით, რომელიც სივნიეთის მთავრის ვასაკ გაბუროს მეუღლის მარიამის მხარდაჭერით და დახმარებით წამოიწყო. 874 წელს სევანის კუნძულზე მისი თაოსნობით აშენდა ორი ეკლესია — ერთი წმინდა მოციქულთა, ხოლო მეორე ღვთისმშობლის სახელობაზე. აშრტ მთავართა-მთავარი თვით ეახლა მოწიწებით მაშტოც ელივიარდელს, დიდი პატივი მიაგო მას და ამ მნიშვნელოვანი ფაქტის აღსანიშნავად „წმინდა ეკლესიას სამემკვიდრეოდ უწყალობა სოფლები: ვარსერი, ცამაქაბერდი, გომადორი, ბერდქი, ურეაცტაფი... აგრეთვე გარნისსა და ერევანში და სხვა ადგილებში მდებარე ბალები“⁵⁰. ახლად გაშენებული ეკლესიები მაშტოცმა სწავლა-განათლების კერებად აქცია⁵¹. სევანის სას-

⁴⁸ *შ ი ი მ ა ქ ე მ რ ბ რ ი ს ს ი კ მ ა თ ი მ ც ქ ი ს თ ა ნ ს ს რ ბ რ ი ს ხ ა ე ...* გვ. 391.

⁴⁹ VI — IX საუკუნეებში, როგორც ცნობილია, სომხეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დვინის საპატრიარქო და სივნიეთის მაქენელთა სკოლები, რომლებიც მცოდნე მასწავლებლებით ამარაგებდნენ სხვა სომხურ, სასწავლებლებს. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჯ. *ს. ჯ ა რ ი მ ც ქ ი ს ი ა ნ ს, ჯ ა კ ო ს თ ა ნ IX — X դ ა რ ს რ ი მ ...*, გვ. 306—318. *ს. ს ე ლ ი კ ა ნ ი ა ნ ს, მ ა თ ი მ ც ქ ი ს ჯ ა კ ე ლ ი ვ ი ც, ჯ ა რ ქ ე ნ, 1947, ს. შ ი ი ა ქ ი ა ნ ს, ი ლ ი ა ჟ ბ ე რ ჯ ა კ ე ლ ი ვ ი ც ს მ ა ნ ს ჯ ა მ ი ლ ი მ ც ქ ა ნ თ ა თ ი მ ც ქ ა ნ ს, ს რ ბ ი ა ნ ს, 1958.*

⁵⁰ *მ ა თ ი მ ც ქ ი ს ჯ ა ნ ა ნ ჯ ე ს ს ქ ი ა ს ხ ა ნ ა რ ა რ ხ ა ჯ შ თ ხ ე ჯ ა ნ ს ი ა ქ ო რ ე ჯ ე ჯ ა ნ ა რ რ ს ა ქ ს ი ი ვ ი ც ს ქ ი ს ხ ა ე ...* გვ. 174.

⁵¹ ცნობა მაშტოც ელივიარდელის მიერ სევანის სასწავლებლის დაარსების შესახებ სტეფანოს ორბელიანზე ადრე ჯერ კიდევ სტეფანოს ტარონელთან

წავლებელმა, რომელშიც სწავლობდა სწორედ იოანე დრასხანაკერტელი, განსაკუთრებით გაითქვა სახელი მე-10—11 საუკუნეებში, როდესაც იგი კულტურისა და განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. მაშტოც ელივარდელის სიბრძნე და განსწავლულობა მრავალ ახალგაზრდას იზიდავდა. მათ რიცხვში იყო იოანე დრასხანაკერტელიც.

მართალია, იოანე ისტორიკოსის სწავლა-აღზრდის შესახებ პირდაპირი ცნობები არ გავაჩნია, მაგრამ მაინც. შესაძლებელია ზოგადად ვიმსჯელოთ მის განათლებაზე. ამის უფლებას ძირითადად მისივე თხზულება „სომხეთის ისტორია“ გვაძლევს, რომლის მიხედვითაც იოანე დრასხანაკერტელი მცოდნე და იმ დროისათვის განათლებულ პიროვნებად წარმოგვიდგება. როგორც ირკვევა, იგი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იყო გაცნობილი სომხურ ლიტერატურასა და განსაკუთრებით სომხურ საისტორიო მწერლობას, რამაც შესაძლებლობა მისცა ისტორიკოსს თავისი არათანადროული ხანა (დასაბამიდან IX საუკუნის მე-2 ნახევარამდე) ზოგად ხაზებში მაინც გადმოეცა თავის წიგნში. იოანე დრასხანაკერტელს სასულიერო განათლებაც მიუღია თავისი მასწავლებლის მაშტოც ელივარდელის დახმარებით. ამის დამადასტურებელი მაგალითები მის თხზულებაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. იოანე ისტორიკოსის მითითება თვისი კათალიკოსად დადგინების შესახებ რომ არც გვცოდნოდა, მისი „სომხეთის ისტორიის“ გადაკითხვითაც კი დავრწმუნდებოდით, რომ იგი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. იოანე საკმაოდ კარგად იცნობს ბიბლიას და ხშირად იშველიებს ციტატებს როგორც ძველი აღთქმიდან, ისე ახლიდანაც, რომელთა ზედმიწევნითი ცოდნა კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ სევანის სასწავლებელში, ისევე როგორც საერთოდ ამ ტიპის სომხურ სკოლებში, ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი საღვთისმეტყველო ლიტერატურის გაცნობასა და მის საფუძვლიან შესწავლას ეთმობოდა.

იოანე დრასხანაკერტელსაც, თავისი მასწავლებლის მსგავსად, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადება ყოველი ადამიანის ღირსეულ თვისებად მიაჩნია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ისტორიკოსის უდიდესი გულისწყრომა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა წინააღმდეგ მოქმედ ყველა პირთა მიმართ. ამის ნათელ

გვხვდება. იხ. *Մ տ Ի Կ ա ն ի ի ի Տ ա ր ի ն Ե Ե Լ ի Կ Ա ս ի Կ Լ ա ն Գ ա տ մ ի Լ ի Ի ն Խ ի Կ Ե ր Կ ա լ ա ն*..., გვ. 259.

მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გეორგ კათალიკოსის წინააღმდეგ აბას სპარაპეტისა და მის მხარდამჭერთა ბოროტი საქმიანობის ჩაშლისა და საერთოდ მათი დამარცხების სურათის აღწერა, რომელიც „სომხეთის ისტორია“-ში გვხვდება².

თავის თხზულებაში, ისტორიული ამბებისაგან წიაღსელებისას, იოანე ისტორიკოსი უმთავრესად სწორედ სარწმუნოებრივ საკითხებზე ჩერდება და მისი გულისწუხილი, გოდება (რაზედაც ხშირად მიუთითებს იგი) უმთავრესად ქრისტიანული რჯულის სარკინოზთაგან შელახვით, ქრისტიანთა შევიწროებითა და ტანჯვითაა გამოწვეული. ავტორის ასეთი განწყობილება სრულიადაც არ არის გასაკვირი. არაბთა აუტანელ სარწმუნოებრივ პოლიტიკას, რომელიც ქრისტიანული რელიგიის მატარებელთა განადგურებისაკენ იცო მიმართული, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა თავისებური რეაქცია არ გამოეწვია იოანე დრასხანაკერტელშიც, მით უმეტეს რომ იგი სომხეთის ეკლესიის საქეთმპყრობელი იყო. საკუთარი სამწყსოს გამოღწიზლებისა და მისი ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ არის მიმართული სწორედ იოანეს გულმზურვალე ქადაგება ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დაცვის მოთხოვნის შესახებ, რაც მას სომეხი ხალხის სარწმუნოებრივი და ეროვნული გადაგვარებისაგან გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიაჩნია. ეს გარემოება ფრიად აღელვებდა და მოსვენებას უკარგავდა იოანე კათალიკოსს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ იგი თავის თხზულებაში არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და ზოგჯერ გაზვიადებულადაც კი წარმოსახავს საქმის ვითარებას: „ეჭვებით შეპყრობილი ჩემი გული წუხს და იგვემება, — წერს იოანე კათალიკოსი. — მიუძღურდება მუცელი ტირილისაგან, რადგანაც ჩვენი ურჯულოებისათვის უგულებელგვყო უფლის მოხილვამ და ჩვენი დაბნელებული საქმეების გამო აღმაცერად დაგვიწყო ცქერა [თვით] ჭეშმარიტმა მზემაც. ხელთ ჩაუვარდით გულფიცხელ მეორე ფარაონსა და მის მრისხანე მოხელეებს, რომლებიც ალიზის გამოსაწვავი ქურის უღელზე უფრო მძიმე ტვირთად გვექვენ. დაგვახვეს. ჩვენ წარმოუდგენელი ცემა-გვემით, ქარიშხლის მსგავსად მოგვბერა ჩვენ ისმარტელთა მომავდინებელმა სასტიკმა ქარმა, როგორც გრიგალმა მტვერი გაგვფანტა და გაგვაძევა ჩვენი სამკვიდროდან და ნიაღვ-

² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 59—60.

რის სიმძაფრის მსგავსად წარღვნა, წალეკა ღა საერთოდ უკუნუ-რებით დაათრო [ჩვენ] სული“⁵³.

ქრისტიანული სარწმუნოებისათვის სომეხი ხალხის თავგანწი-რული ბრძოლის მაგალითებით „სომხეთის ისტორიის“ ზოგჯერ გა-დაჭარბებითაც გამდიდრება შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: თავდადებულ მოწამეთა თავგადასავლის მოთხრობით იოანე დრასხა-ნაკერტელს სურს მორალურად დამოძღვროს თავისი თანამედროვე საზოგადოება, მიუთითოს მას მოქმედების სწორ გზაზე.

როგორია იოანე დრასხანაკერტელის სარწმუნოებრივი მრწამ-სი? სანამ უშუალოდ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროდ მიგ-უაჩნია ზოგადად გაეიხსენოთ სადავო დოგმატური საკითხით გა-მოწვეული ის უთანხმოებანი, რომლებმაც ჯერ კიდევ IV—V საუ-კუნეებიდან იჩინეს თავი ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა შო-რის. დოგმატური უთანხმოების ნიადაგზე წარმოქმნილი განხეთქი-ლება თანდათანობით რელიგიურ კრიზისში გადაიზარდა. „მეოთხე საუკუნისათვის, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — ქრისტიანობა უკვე მთლიანი ეკლესიის სახით იყო ჩამონაკვეთილი და დოგმათა შემოქმედებისათვისაც მას გარკვეული ნიადაგი ჰქონდა შემზადებუ-ლი“⁵⁴. მწვალებლობათა ახალ-ახალი სახეების -- არიანობის, ნეს-ტორიანობის, მონოფიზიტობის -- აღმოცენება აღეწევდა აღ-მოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას და შიშს გვრიდა მას, რადგანაც ამ წინააღმდეგობებს დოგმატური ხასიათის საფარველ ქვეშ ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძველი ჰქონდა.

რელიგიურ კონფლიქტთან მჭიდროდ იყო გადახლართული პო-ლიტიკური ინტერესები და მიზნები. ფრანკი ბიზანტოლოგის შარლ დილის თქმით: „ამ კონფლიქტში არაერთგზის იჩენდა თავს პოლი-ტიკური ინტერესები და შეჯახებები, რომლებმაც საკმაოდ ღრმა კვალი დასტოვეს ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. ამ უთანხმოე-ბებს, გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სახელ-მწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთდამოკიდებულებისათვის აღმოსავლეთში, ასევე ბიზანტიასა და დასავლეთს შორის კავშირის განსაზღვრისათვის“⁵⁵.

⁵³ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ წინამ-დებარე გამოცემა, გვ. 133 — 134.

⁵⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 304.

⁵⁵ Ш. Диль, История византийской империи. Перевод с французского А. Е. Рогинской, под редакцией и с предисловием Б. П. Горянова, Москва, 1948, стр. 23.

წინააღმდეგობამ მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო მარკიანე კეისრის მიერ მოწვეული ქალკედონის 451 წლის IV მსოფლიო კრების შემდეგ, რომელმაც დაგმო მონოფიზიტობა და დიოფიზიტური მრწამსი აღიარა. მაგრამ მონოფიზიტობის მიმდევრები ასე ადვილად როდი შეეგუენ თავიანთ საწინააღმდეგო განაჩენს. მთელმა აღმოსავლეთმა, ასურეთმა, ეგვიპტემ, პალესტინამ, სპარსეთმა მონოფიზიტობას დაუჭირა მხარი. მას ბიზანტიის სამეფო კარზეც ბევრი მომხრე აღმოუჩნდა. ზემოთ აღნიშნული დოგმატური ბრძოლის ისტორიიდან საყურადღებოა 482 წელს იმპერატორ ზენონის ბრძანების, ე. წ. „ენოტიკონის“ გამოქვეყნება, რომლითაც იკრძალებოდა ყოველგვარი დავა არსთა შესახებ. ასე რომ, ამ ღონისძიების შედეგად იმპერატორების ზენონისა (471—491) და ანასტასის (491—518) დროს ცოტათი შენედა დოგმატურ საკითხთან დაკავშირებული დავა⁵⁶. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი სიწყყნარე.

რელიგიურმა ბრძოლამ ორ მიმართულებას შორის ამიერკავკასიის ქრისტიანულ სახელმწიფოებშიც — საქართველოსა და სომხეთშიც — ბოვა თავისებური ანარეკლი. იგი განსაკუთრებით გამძაფრდა სომხეთსა და საქართველოში VI საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის დასავლეთ ნაწილში გაიმარჯვა ქალკედონურმა მიმართულებამ, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთსა და საერთოდ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში მონოფიზიტობა გავრცელდა. VII საუკუნის დამდეგისათვის სომხური ანტიქალკედონური და ქართული ქალკედონური ეკლესიები უკვე აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კონფლიქტი მათ შორის ქართველთა და სომეხთა ეკლესიების საჭეთმპყრობელთა შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ გააღვივა. საბოლოოდ ეს განხეთქილება სომხური და ქართული ეკლესიების ერთმანეთისაგან გათიშვით დამთავრდა, რასაც 607—609 წლებში ჰქონდა აღვლილი⁵⁷.

⁵⁶ ნ. რ. ქ. *ს ს რ - შ ი ნ ა ა ს ხ ა ნ ე, ღ ნ ო ა ნ ი ო რ ს ს ხ ი გ ნ ა კ ა ნ ა ყ ა თ ა ი ო ლ - მ ი ო ნ, ხ ე ქ ა ბ ა ტ ნ, 1908. გვ. 332 — 336.*

⁵⁷ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი და ს ო მ ხ უ რ ი ე კ ლ ე ს ი ე ბ ი ს გ ა ყ ო ფ ი ს თ ა რ ი ლ ა დ 607 წ ე ლ ს მ ი ი ჩ ნ ვ ე ს, ნ ე რ ს ე ს ა კ ი ნ ი ა ნ ი კ ი 609 წ ე ლ ს. იხ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ო ს ის ტ ო რ ი ა, წ ი გ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი, თ ბ ი ლ ის ი, 1951, გვ. 391. *ნ ს რ ა ს ე ა ს ს ქ ნ ხ ა ნ. ზ ი რ ც ი ო ნ კ ა მ ი ი ქ ი ლ ა ჯ რ ა ვ, ჟ ი ჯ ნ ა ზ ა, 1910, გვ. 245 — 256.*

მალე უთანხმოებამ თვით სომხურ ეკლესიაშიც იჩინა თავი და 726 წელს, მანაზკერტის საეკლესიო კრების შემდეგ იგი სომხური მონოფიზიტური მრწამსის აღიარებით დაგვირგვინდა. თუ თვალს გადავაგლებთ ქალკედონელებისა და ანტიქალკედონელების ბრძოლის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ სარწმუნოებრივი განხეთქილება შემდგომშიც არაერთხელ გამოვლინებულა სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ხალხებში. აღნიშნულმა ბრძოლამ გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და თავისებურადაც აირეკლა იგი ამა თუ იმ ხალხის შემოქმედებაშიც, იქნება ეს ფილოსოფია, ლიტერატურა. თუ ისტორია. ყოველი მოღვაწე მეტ-ნაკლებად ეხმაურებოდა მას თავისი შემოქმედებითა. თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

ზემოთ განხილულ სარწმუნოებრივ პრობლემას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ასე ძლიერ აღელვებდა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, არ შეიძლებოდა არ ემოქმედა იოანე დრასხანაკერტელზეც — სომხური ანტიქალკედონური ეკლესიის საჭეთმპყრობელზე.

იოანე დრასხანაკერტელის სარწმუნოებრივი მრწამსის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობა არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართა ერთი ჯგუფი იოანე კათალიკოსს ქალკედონელად მიიჩნევს, სხვები კი მონოფიზიტური აღსარების მიმდევრად აცხადებენ მას.

იოანე დრასხანაკერტელის ქალკედონელად გამოცხადების ავტორი მიქელ ჩამჩიანია. მისი აზრით იოანე კათალიკოსმა „ისტორიის [ნაწილი] დაწერა აშოტამდე, თავის კათალიკოსად დადგინებამდე. [ამ ნაწილში] იგი თავის თავს ქალკედონელების მტრად წარმოგვიდგენს, თვლის რა მათ ნესტორიანელებად. ისტორიის [მეორე ნაწილი] კი შექმნა კათალიკოსად დადგინების შემდეგ, თითქმის სიცოცხლის დასასრულს. [ამ ნაწილში] თავის თავს არ აჩვენებს [ქალკედონელების] მტრად, არამედ უფრო კეთილგანწყობილია მათ მიმართ; რაც მკვლევანდება კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი მის მიერ გაგზავნილი წერილიდან. თავისივე მტკიცებით, უფროსოდა რა ზოგიერთ უმეცართა ცილისწამებას, არ ისურვა ცხადად ეჩვენებინა თავისი თავი ქალკედონელთა მომხრედ“⁵⁸.

იოანე დრასხანაკერტელის ქალკედონელობა მიქელ ჩამჩიანის მიზაძვით სხვა მკვლევარებმაც (ფ. ლაგარდმა, გ. ზარბჰანალიან-

⁵⁸ *Գառնուցիւն Հայոց... Թօրինակ ի Միգայէլ Զամչոսնց...*
հատոր Բ, გვ. 725.

მა) ვაიხიარეს. პირველი მკვლევარი, რომელმაც აჩვენა მ. ჩამჩიანის ზემოხსენებული მოსაზრების უსაფუძვლობა და გაილაშქრა მის წინააღმდეგ. მკრტიჩ ემინი იყო. მან იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში დაასაბუთა მცდარობა მიქელ ჩამჩიანის გავლენით მკვლევართა შორის ბრძალ ვაერცელელებული აზრისა იოანე კათალიკოსის ქალკედონელად გამოცხადების შესახებ. მართლაც, საკმარისია გადავიკითხოთ იოანე კათალიკოსის თხზულება, რომ სრულიად საწინააღმდეგოს დავინახავთ. „სომხეთის ისტორიის“ პირველი სტრაქონებიდანვე იგრძნობა სომხეთის ეკლესიის საკეთმპყრობელის შეურიგებლობა ქალკედონის კრების გადაწყვეტილებისადმი და საერთოდ სიძულვილი ქალკედონური მიმდინარეობის მიმართ. მაგალითად, ისტორიკოსის მიერ „სომხეთის ისტორიის“ 1912 წლის ემინისეული გამოცემის 62-ე გვერდზე ფიქსირებულია ანასტას კეისრის მიერ ქალკედონის კრებისა და საერთოდ მისი მიმდევრების ანათემას გადაცემის ფაქტი. იოანე კათალიკოსი ანასტას კეისრის ამ ნაბიჯს განსაკუთრებული კეთილგანწყობით აღნიშნავს. საინტერესოა აგრეთვე „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ცნობა სომეხთა, ქართველთა და ალბანთაგან ქალკედონის კრების დაგმობის შესახებ. იოანე კათალიკოსი წერს: „ხოლო შემდეგ რომელთა ქვეყნის კეთილმსახურების ჟამს⁵⁹ სომეხთა დიდმა მამამთავარმა ბაბგენმა სომეხთა, ქართველთა და ალბანთა ეპისკოპოსების კრება მოიწვია ნორ-ქალაქში. წმინდა კათოლიკეს. სომეხთა დედა-ეკლესიაში. მათ მსგავსადვე... დაგმეს ქალკედონის კრება... [ისინი] წმინდა გრიგორის იმავე საფუძველზე განმტკიცდენ [და] დადგენ. ამრიგად, იმ დროს საერთოდ ყველგან თანაბრად კეთილმსახურების ერთი სარწმუნოება დამტკიცდა რომელთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანთა ქვეყნებში...: [ყველამ] დაგმო ქალკედონის კრება“⁶⁰.

ზემოთ მოტანილი ცნობის გაანალიზებისა და მისი სხვა წყაროების მონაცემებთან შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ აქ იოანე დრასხანაკერტელი გულისხმობს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის თაოსნობით მოწვეულ სომხეთის საეკლესიო კრებას, რომელიც სომხურ წყაროებში სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიების გა-

⁵⁹ იგულისხმება ანასტას კეისრის იმპერატორობის პერიოდი (491 — 551 წწ.). ანასტას კეისრის თანამედროვე იყო ბაბგენ სომეხთა მამამთავარი, რომელსაც საკათალიკოსო ტახტი ეპყრა 490 — 516 წლებში.

⁶⁰ *მ ი ძ ა ნ ა ნ ი ლ ზ ა მ ო ი ჯ ი ს ი ს ი ზ ო რ ა ა ხ ა ნ ა ს ჯ ს რ ო ხ ე ლ ი ჟ ა თ ი დ მ წ ლ ა ნ ჯ ა ი ე . მ ზ ზ ქ ი ა , 1912, გვ. 62.*

ერთიანებული კრების საბელწოდებითაა ცნობილი. როგორც ჭერ კიდევ აკად. ივ. ჭავჭავაძის შენიშნავდა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ამ კრების თარიღის შესახებ. დავას იწვევდა შემდეგი საკითხი: სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიების შეთანხმება და მათ მიერ ქალკედონის კრების ვადაწყვეტილების უარყოფა (რახედაც მიუთითებს იოანე ისტორიკოსი) 518 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე მოხდა, თუ ამისათვის საგანგებო კრება მოიწვიეს? თუ დაწვრილებით შევისწავლით „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ მასალებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აშკარაა, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე არ ვადაწყდარა სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიების წარმომადგენელთა შეთანხმება და მათ მიერ მონოფიზიტური მრწამსის აღიარება. ბაბგენ კათალიკოსი 506 წლის დვინის საეკლესიო კრების შემდეგ, რომელიც, როგორც ირკვევა, მხოლოდ სომეხეთის საეკლესიო კრება იყო და არა სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიების გაერთიანებული კრება, სპარსელ მონოფიზიტებს ეპისტოლეთი აცნობებდა, რომ მონოფიზიტური მიმართულების მომხრენი ვართ სომეხები, ბერძენები, ქართველები და ალბანელები⁶¹. ასეთივე შინაარსისა იყო ბაბგენ კათალიკოსის მეორე ეპისტოლეც. როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, ბაბგენის ეპისტოლიდან ჩანს, რომ „506 წ. სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიებს შორის ძირითად დოგმატურ საკითხში უკვე სრული, წერილობით აღბეჭდილი, თანხმობა არსებობდა... რადგან ბაბგენ კათალიკოსი უკვე სპარსეთის მონოფიზიტების მიმართულ თავის პირველ ეპისტოლეში ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა სარწმუნოებრივ თანამოაზრობაზე ლაპარაკობს, ამიტომ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს თანხმობა ან იმავე 506 წ., ან ახლო ხანში უნდა ყოფილიყო მოპოვებული. მაინცადა-მაინც ცხადია, რომ ვითარცა სამი დამოუკიდებელი ერის ეკლესიის წარმომადგენელთა შეერთებული კრება, ეს საეკლესიო კრება არ შეიძლება იმავე დვინის 506 წ. კრებად მივიჩნიოთ, რომლის ძეგლის წერა ბაბგენ კათალიკოსის სპარსეთის მონოფიზიტ ქრისტიანებისადმი მიმართულ პირველ ეპისტოლეში არის აღბეჭდილი. რადგან ეს დვინის კრება მართლ სომეხეთის ადგილობრივი საეკლესიო კრება იყო“⁶². იოანე დრას-

⁶¹ *Григорий Великий, Римский*, 1901, გვ. 41 — 47.

⁶² ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი. 1951, გვ. 313 — 314.

ხანაყერტელის ზემოთ მოტანილ ცნობაშიც საეკლესიო კრების მოწვევის ადგილად დვინი კი არ არის დასახელებული, არამედ ნორ-ქალაქი, რომელიც ხშირად, როგორც ეს საისტორიო წყაროებიდანაც ცნობილი, ქალაქ ვალარშაპატს ეწოდებოდა⁶³. ასე რომ, ეს უკანასკნელი გარემოებაც ნერსეს აკინიანის⁶⁴ მიერ კრების ადგილად ვალარშაპატის გამოცხადებას უჭერს მხარს.

იოანე ღრასხანაყერტელის „სომხეთის ისტორია“-ში ზემოთ მოტანილი მასალის გარდა კიდევ ვხვდებით ქალკედონური მიმდინარეობისადმი მისი დამოკიდებულების მაუწყებელ ორიოდ ცნობას. თუ კი იოანე ისტორიკოსი ყოველგვარი ანტიქალკედონური მოქმედების მხარდამჭერად და თანამგრძნობელად გვევლინება, სამაგიეროდ იგი მთელი სისასტიკით თავს აცხრება და აკრიტიკებს ყველა მათ, რომლებიც ლალატობენ მონოფიზიტურ მრწამსს და ქალკედონური მიმდინარეობისაკენ იხრებიან. ასეთთა რიცხვში იოანე ღრასხანაყერტელი კირიონ ქართლის კათალიკოსსაც იხსენიებს. აი რას გვამცნობს იგი მის შესახებ: „კირიონი... მიდრკა ქალკედონის კრებისაკენ. მიჰყვა პატივმოყვარეობას და უღალატა თავისი ქვეყნის წინაპრებს. შემდეგ კი მალე ფუჭად ჩაიარა მის მიერ განზრახულმა ღალატმა. მოსემ კი დიდი ბრძოლა აწარმოვა მის წინააღმდეგ, კეთილი და ღვთაებრივი სიტყვებით მოძღვრავდა და ამხილებდა მას, რათა ცვლავ მობრუნებულიყო გმობათა ურიუელი სიცოფიდან წმინდა მა-

⁶³ ვალარშაპატისა და ნორ-ქალაქის იგივეობის ფაქტი ჯერ კიდევ მოსე ხორენცელსა აქვს მითითებული თავის „სომხეთის ისტორია“-ში: „ვალარშაპა შემოხლუდა იგი კედლითა და მტკიცე ზღუდით და უწოდა ვალარშაპატი, რომელიც არის ნორ-ქალაქი“. *Մովսէսի Ռորեսնացւոյ Պատմութիւն Հայոց.*, გვ. 202.

კორიუნთან მოხსენებულ ნორ-ქალაქშიც ვალარშაპატი იგულისხმება. იხ. *Կորլէն Պատմութիւն վարուց և մահուան սրբոյն Մեսրոպայ վարդապետի մերոյ թարգմանչի, Քիֆլիզի*, 1913, გვ. 16, 27, 39, 62.

ღაზარე ფარაბელიც ვალარშაპატსა და ნორ-ქალაქს ერთნაგეთან აიგივევებს. მაგალითად, თავისი თხზულების ერთ ადგილას იგი წერს: „გარდაიცვალა ნეტარი მანტოცი ქალაქ ვალარშაპატში, რომელსაც ნორ-ქალაქსაც უწოდებენ“. *Ղազարայ փարպեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Աշխատութեամբ Կ. Տէր-Մկրտչեան եւ Ստ. Մալխասեանց, Տիփլիս*, 1904, გვ. 38.

ამ ორი სახელის გაიგივების მაგალითს ვხვდებით აგრეთვე იმავე თხზულების 176-ე გვერდზე. აგათანგელოზის „სომხეთის ისტორია“-შიც ნორ-ქალაქი ვალარშაპატის გაგებით გვხვდება. იხ. *Ագաթանգեղոյ Պատմութիւն Հայոց, Քիֆլիս*, 1914, გვ. 84.

⁶⁴ *Ներսէս Ալեկնեսեան, Կլարիւն կաթողիկոս ՚Լրաց, Վիեննա*, 1910, გვ. 90 — 94.

მათა აღსარების ქეშმარიტ მცნებაზე. მაგრამ მან არ მოისურვა ბრძენი მკურნალისაგან წამლის მიღება⁶⁵.

იოანე დრასხანაკერტელი სარწმუნოებრივ საკითხებს ყოველთვის ანტიქალკედონური პოზიციებიდან უდგება როგორც კათალიკოსად დადგინებამდე (ე. ი. 897 წლამდე), ისე მის შემდეგ პერიოდშიც, მაგრამ თუ კი VI — VII საუკუნეების სარწმუნოებრივი უთანხმოების ამბებს, (რომლებიც მან მ. ჩამჩიანისა და მისი მიმდევრების აზრით თითქოს კათალიკოსად კურთხევამდე აღწერა) იგი უფრო მეტად ეხმაურება და ფართო ადგილსაც უთმობს მათ გადმოცემას, ვიდრე VIII—X საუკუნეების სომხეთის ეკლესიის თავგადასავლის შესახებ საუბარს, ყოვლივე ეს, ჩვენი აზრით, შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა შორის დოგმატური უთანხმოების ნიადაგზე წარმოქმნილმა განხეთქილებამ, როგორც ცნობილია, სომხეთსა და საქართველოში განსაკუთრებით სწორედ VI საუკუნეში მიიღო მწვავე ხასიათი. სომხეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის საცილობლად გადაიქცა ზოგადსარწმუნოებრივი საკითხები. VI საუკუნის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში ქალკედონურმა მიმდინარეობამ იწყო ფეხის მკვიდრად მოკიდება. ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 506 წლის ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა გაერთიანებულ კრებას 33 ქართველი ეპისკოპოსიდან 9 არ დასწრებია, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს უკანასკნელი უკვე აღარ უთანაგრძნობდენ რა მონოფიზიტურ მიმდინარეობას, საჭიროდ არ ცნეს აღნიშნულ კრებაში მონაწილეობის მიღება. დავამ სომხეთისა და საქართველოს ეკლესიების საკეთმპყრობელთა შორის, რომლებიც თავს იმართლებდნენ და ატეხილ უსიამოვნებას ერთმანეთს აბრალებდნენ, თანდათანობით უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა, როდესაც დოგმატიკურ საკითხებში შეუთანხმებლობის ნიადაგზე აღმოცენებულ განხეთქილებაში პოლიტიკური და ეროვნული ელემენტიც შეიჭრა. შექმნილი ვითარების საფუძვლიანად შესწავლისათვის საუკეთესო წყაროს „ეპისტოლეთა წიგნი“ წარმოადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა მიწერ-მოწერა აბრაამ სომეხთა კათალიკოსსა და კირიონ ქართლის მამამთავარს შორის⁶⁶. აღნიშნული საკითხი არც იოანე დრასხანაკერტელს დაუტოვებია

⁶⁵ *Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն Հայոց*, Թիֆլիս, 1912, გვ. 65 — 66.

⁶⁶ *Գիրք Քղթոց*..., გვ. 153 — 196.

ყურადღების გარეშე. იოანე კათალიკოსი, სომხური ანტიქალკედონური ეკლესიის საკეთილშობილი, სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებაში, რა თქმა უნდა, ბრალს სდებს ქალკედონური მიმართულების მიმდევარს — კირიონ ქართლას კათალიკოსს, რადგან, მისი გაგებით, კირიონმა და მისმა მომხრეებმა არ ისურვეს აბრაამ მამამთავრისათვის ყურის გდება და განუდგნენ გრიგოლ განმანათლებლის რჯულს, „რომელმაც მათ ჭეშმარიტი ღმრთის მეცნიერების სინათლის კარი გაუღო“⁶⁷. იოანე დრასხანაკერტელი ტენდენციურად უდგება ამ საკმარად რთულ პრობლემას, უგულვებელყოფს ამ უთანხმოების პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეროვნულ საფუძვლებს და ყოველივეს მხოლოდ დოგმატიკურ საკითხებში შეუთანხმებლობით ხსნის. სურს რა გაამართლოს აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ კირიონ კათალიკოსის მიმართ ჩადენილი მკაცრი მოქცევა, იოანე ისტორიკოსი გადაჭარბებით მუქ ფერებში ხატავს ქართლის მამამთავრის მოქმედებას. „ხოლო დიდი მამამთავარი აბრაამი — წერს იოანე დრასხანაკერტელი — ქრისტიანული წესითა და საოცრად მხნე გარჯით ცდილობდა, რომ ეგებ მოექცია კირიონი და მისი მორჩილნი ცდუნების გზიდან. ხოლო ისინი პატივს აღარ სცემდნენ ჭეშმარიტებას, არამედ აღორძინებდნენ სისაძაგლისა და პატივმოყვარე საქციელის მცენარეს. შემდეგ დიდმა აბრაამ კათალიკოსმა მხნე სუმბატისა და სხვა ნახარათა ბრძანებით მრავალ ეპისკოპოსთა კრება მოიწვია ქალაქ დვინს... [მათ] დაწყევლეს ქრისტეს ეკლესიის დაშარღვეველი კირიონი და ბოროტი ერესის ყველა მორჩილი და თანამოაზრე და სასტიკ ანათემას გადასცეს ჩვენი თემის მართლმადიდებელი აღმსარებლები, რათა ისინიც სავსებით არ დაკავშირებოდნენ მათ, რომლებიც ურწმუნო კირიონს მიემხრნენ და არ გამხდარიყვნენ მათი მოზიარენი და არც სააღებშიცემო ვაჰრობა ეწარმოებინათ მათთან, არც ქორწინებით დანათესავებოდნენ, რათა ასეთი დაახლოებით არ შერეულიყვნენ ერთმანეთთან და ამით არ არეულიყო ჩვენი რჯულის უმანკო და წრფელი აღსარების რწმენა და არ გაბზარულიყო სამოციქულო ზღუდე“⁶⁸.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობების განხილვიდან აშკარად ჩანს იოანე დრასხანაკერტელის სარწმუნოებრივი მრწამსი,

⁶⁷ *მთქრანული ჰატიქტიხი ზრასხანაკსრთიელი*
ყათილმის ჯივი... გვ. 71 — 72.

⁶⁸ იქვე, გვ. 71 — 72.

მისი შეურიგებელი პოლიტიკა ქალკედონურ მიმდინარეობასა და მისი მიმდევარი ყველა პიროვნების მიმართ. ვფიქრობთ, მისივე „სომხეთის ისტორიიდან“ მოტანილი მასალების გათვალისწინების შემდეგ სრული დარწმუნებით შეგვიძლია მივიჩნიოთ იგი მონოფიზიტობის მხურვალე დამცველად და ქალკედონური მიმდინარეობის აშკარა მოწინააღმდეგედ.

იოანე დრასხანაკერტელის ანტიქალკედონელობაში, მხოლოდ მისი მოღვაწეობის I პერიოდში, კათალიკოსად დადგინებამდე, არც მიქელ ჩამჩიანსა და მისი შეხედულების გამზიარებლებს ეპარებათ ექვი. სამაგიეროდ, იოანე კათალიკოსის მოღვაწეობის II პერიოდი, ე. ი. 897 წლიდან მის გარდაცვალებამდე, მათ ისტორიკოსის სარწმუნოებრივი მრწამსის შეცვლის ხანად მიაჩნიათ. ჩამჩიანისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებით იოანე დრასხანაკერტელმა კათალიკოსად კურთხევის შემდეგ ქალკედონურ მიმდინარეობას დაუჭირა მხარი. თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევრებს მეტად სუსტი არგუმენტაცია მოეპოვებათ. ეს არის იოანე დრასხანაკერტელის წერილი ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი. თუ დაკვირვებით გადავიკითხავთ იოანე კათალიკოსის ზემოთ დასახელებულ წერილს, დავრწმუნდებით, რომ მისი ავტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ქალკედონელად. ხოლო მხოლოდ ფაქტი -- ანტიქალკედონური ეკლესიის გამგებლის მიერ ქალკედონური მრწამსის აღმსარებელი კეისრისათვის წერილის გაგზავნა — სრულიადაც არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ იოანე დრასხანაკერტელი თავისი მრწამსის მოღალატედ, დიოფიზიტად გამოვაცხადოთ.

საკითხის ნათელსაყოფად საჭიროა გავითვალისწინოთ სომხეთში შექმნილი იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება: აფშინ და იუსუფ ოსტიკანების არაერთგზისი შემოსევა სომხეთში და მით გამომწვეული რბევა-აოხრება, შიმშილი, ხალხის ტყვედ წასახმა, ავადმყოფობა და ყოველგვარი სიავე საგონებელში აგდებდა სახელმწიფოს მესვეურებს. სომხეთის მეფეს — აშოტ სუმბატის ძეს — საკუთარი ქვეყნის ბედი მოსვენებას უკარგავდა. საჭირო იყო გამოსავლის მოძებნა, რათა თავი დაეღწიათ ამ მძიმე და სახიფათო ვითარებისაგან, რომელიც სომეხი ხალხის ფიზიკური მოსპობის საშიშროებას ქმნიდა. არც სომხური ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო დამშვიდებული. იოანე დრასხანაკერტელი იუსუფის ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ კვლავ დვინში დაბრუნდა, მაგრამ, იხილა რა საპატრიარქო სახლი აგარიანელთაგან მიტაცებული, ჯერ ალბანელ-

თა ქვეყანას მიაშურა, იქიდან გუგარეთს, ხოლო შემდეგ კი ქართ-ველთა მეფესთან ადარნასესთან პოვა თავშესაფარი. არაბთა განუწყვეტელი თავდასხმებით გამოწვეულ სავალალო მდგომარეობას განსაკუთრებით მწვეავედ ქრისტიანული სახელმწიფოები განიცდიდ-ნენ და თანაუგრძობდნენ სომეხ ხალხს. სომხეთის თავს გადამ-ხდარი უბედურება არც ბიზანტიის მესვეურებს გამოჰპარვიათ მხედ-ველობიდან. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ის გარემოება, რომ შექმნილი ვითარების გამო სომხეთი მათგან რაიმე რეალურ დახმარებას თუ არა, მორალურ თანაგრძობას მაინც საჭიროებდა. ბიზან-ტიის სამეფო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი და სომხების სარწმუნოებრივ მრწამსთა სხვადა-სხვაობისა, არ შეეძლოთ გულხელდაკრევით ეცქირათ ქრისტიანი ხომხების უბედურებისათვის. მათ გადაწყვიტეს სიტყვიერი ნუგეში მაინც ეცათ საფრთხეში მყოფი ხალხისათვის. ამის საუკეთესო და-დასტურებაა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზის⁶⁹ წერი-ლი იოანე სომეხთა კათალიკოსისადმი⁷⁰.

ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ იოანე სომეხთა კათალიკოსისათვის წერილის გაგზავნა, რა თქმა უნდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქის პირად ინიციატივას არ წარმოადგენდა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი მის მიერ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის მითითებით იყო გადადგმული. ზემოთ აღნიშნული წერილი სრული სანითაა დაცული იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტო-რია“-ში; მაგრამ, სამწუხაროდ მისი თარიღის შესახებ ისტორიკოსი არაფერს ამბობს. მიქელ ჩამჩიანის მითითებით წერილი 920 წელს უნდა იყოს დაწერილი⁷¹, მაღაქია ორმანიანი კი წერილის გაგზავნის

⁶⁹ ნიკოლოზი, მისტიკოსად წოდებული, ორჯერ იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქად: 901—907 წლებში და 912 — 925 წლებში. ნიკოლოზ მისტიკოსის ბევრი საინტერესო წერილია შემონახული, რომლებიც საყურადღებო მასალას გვაწვდიან როგორც ბიზანტიის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარების შესახებ. უფრო დაწვრილებით ნიკოლოზ პატრიარქის შესახებ იხილეთ წიგნში „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შე-სახებ“, ტომი მეოთხე, ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ღ მ ა. თბილისი, 1952, გვ. 209 — 218.

⁷⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-მდებარე გამოცემა, გვ. 189 — 193.

⁷¹ *Աստու՛ճիւն Հայոց... Երկնալ ի հայր Միքայէլ Զաւչե-տնց...*, *հատոր B.*, გვ. 776.

თარიღად 918—919 წწ. მიიჩნევა⁷². ასეთი ვარაუდის დაშვებისას მკვლევარს მხედველობაში აქვს იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაშივე მოცემული შემდეგი მასალა: სუმბატ მეფის სიკვდილით დასჯისა და საერთოდ სომხეთის დარბევა-აწიოკების შემდეგ, რასაც 914 წელს ჰქონდა ადგილი, იუსუფ ოსტიკანი განმტკიცდა დედაქალაქ დვინში. მართალია, იოანე დრასხანაკერტელს არაფერი აქვს თქმული დვინში დამკვიდრების ხანგრძლიობის შესახებ, მაგრამ ამ ხარვეზს სტეფანოს ტარონელის „მსოფლიო ისტორიაში“ დაცული ერთი ცნობა ავსებს. ასოლიკის თხზულების 169 გვერდზე ვკითხულობთ: „ამრიგად, ამირა იუსუფმა 5 წელი დაყო სომხეთში და მხვილით, შიმშილითა და ხალხთა ტყვედ წასხმით სძლია ამ ქვეყანას“⁷³.

ამ უკანასკნელი ფაქტის მოშველიება იოანე დრასხანაკერტელისათვის ნიკოლოზ პატრიარქის წერილის გამოგზავნის თარიღის დასადგენად იმიტომ დასჭირდა მალაქია ორმანიანს, რომ, როგორც იოანე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, სომეხთა კათალიკოსს წერილი მიუღია მაშინ, როცა იუსუფ ოსტიკანი ჯერ კიდევ სომხეთში იმყოფებოდა. იუსუფი სწორედ იმ ხანებში დაიძრა დვინიდან და ხელახლა დალაშქრა სომხეთის მხარეები. ასე რომ მალაქია ორმანიანის მიერ წერილის გამოგზავნის თარიღად 918—919 წწ. მიიჩნევა (914 + 5 = 919 წ.) დასაბუთებულად ჩანს.

წერილის შინაარსი საეცებით გასაგებია და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს მით სურთ გულწრფელი თანაგრძნობა გაუწიონ სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს მისი სამწყსოს უბედურებით გამოწვეულ „დიდ წუხილსა და დაუნელებელ ტკივილში“ და დაუსახონ გზები ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ასე რომ აღნიშნული წერილი სრულიად არ ისახავს მიზნად გაარკვიოს სარწმუნოებრივი საკითხები, ან მოაგვაროს ის უთანხმოება და გაუგებრობა, რომელიც დოგმატიკურ დავასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ადრე წარმოიშვა ქალკედონური და ანტიქალკედონური მიმდინარეობების მომხრეთა შორის. წერილის პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ღრმა პატივისცემა სომხეთის კათალიკოსის მიმართ. „უდიდეს ღმრთისმოყვარეს, სულიერ უფალსა და

⁷² *Աղբյուրատուն... գրքე Մ ա ղ ա ճ ի ա Օ Ր Մ ա ն ի ա ն...*, გვ. 1045, § 719.

⁷³ *Ս տ ի լ ի ա ն ո ս ի Տ ա Ր ը ն Ե Լ Ո յ Ա ս ի ղ կ ա ն Պ ա տ մ ի Թ ի ի ն տ ի ի ղ Եր ա կ ա ն...*, გვ. 169.

მარად ჩვენს საყვარელ ძმას, დიდი სომხეთის კათალიკოსს, იოანეს ღმრთის მოწყალებით ნიკოლოზ არქიეპისკოპოსისაგან კონსტანტინეპოლელისა და ღმრთის მონათა მონისაგან უფლისმიერი სიხარული⁷⁴ — ასე მიმართავს ნიკოლოზ მისტიკოსი იოანე დრასხანაკერტელს.

ნიკოლოზ პატრიარქი გამოთქვამს რა გულსტიკვილს იოანეს სამწყსოზე მოწეული უბედურების გამო, რაც ისმაიტელთა თავდასხმებით იყო გამოწვეული, ამხნეებს იოანე კათალიკოსს და აძლევს მას პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს ამ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. კონსტანტინეპოლელი პატრიარქი სომხეთის მძიმე მდგომარეობის ძირითად მიზეზად იმ შეუთანხმებლობასა და შინაურ შუღლს მიიჩნევს, რომელიც არსებობდა როგორც სომეხ, ქართველ და ალბანელ ხელისუფალთ შორის, ასევე სომეხ მთავართა და გამგებელთა შორისაც, რაც ხელს უწყობდა გარეშე მტრის მომძლავრებასა და მის განუწყვეტელ თარეშს შინაური ბრძოლებით დასუსტებულ სომეხთა ქვეყანაზე. „ნუ დართავ ნებას, — მიმართავს ნიკოლოზი იოანე კათალიკოსს. — რომ ველურ სიმხეცეში დარჩნენ ისინი, რომლებიც განრისხებულნი ერთმანეთის ამოწყვეტას ლამობენ. დე მიიღონ [მათ] კაცობრივი გონიერება და ქრისტიანული მოთმინება, რომელიც მისცემს ხსნას შენი ქვეყნის, სომხეთის ხალხისა და ქართლისა და ალბანეთის გადარჩენილ ნაწილს“⁷⁵. მაგრამ მართო რჩევა-დარიგებით როდი ამოიწურება ბიზანტიის იმპერატორისა და პატრიარქის გამამხნევებელი წერილი. ისინი რეალურ დახმარებასაც აღუთქვამენ სომეხთა ქვეყანას. „თუ იქნებით ერთზრახვითა და თანხმობით, ველარ წაახდენს თქვენს ქვეყანას ბოროტება. სანამ თქვენ ერთმანეთს შორის შეთანხმდებით, თვითმპყრობელი და ღვთივგვირგვინოსანი ჩვენი მეფე თქვენდა დასახმარებლად შესაფერის დროს დიდძალ ჯარს გამოგიგზავნით, რომ ეგ კურაპალატი, აფხაზთა მეთაური, სომეხთა მთავრები და დიდებულნი, ჩვენს ჯართან შეერთებული ღმრთის დიდი შეწევნითა და თქვენი დიდი მღვდელმსახურებით შეებრძოლონ მტერს, დალუპვის მომასწავებლის ეშმაკის მსახურს და სძლიონ მას“⁷⁶.

როგორც წერილის ამ ნაწყვეტიდანაც ირკვევა, იოანე დრასხანაკერტელი ადარნასე ქართველთა მეფესთან იმყოფებოდა, როდეს-

⁷⁴ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 189.

⁷⁵ იქვე, გვ. 191.

⁷⁶ იქვე, გვ. 192.

საც ნიკოლოზ პატრიარქის წერილი მიიღო. ამ ფაქტზე მიუთითებს სწორედ გამოთქმა „ევ კურაპალატი“, რომელშიც ნამდვილად აღარნასე იგულისხმება.

თუ თვალს გვადევნებთ იოანე კათალიკოსის საქმიანობას კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზის წერილის მიღების შემდეგ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ბიზანტიის პატრიარქის წერილმა ცოტათი გაამხნევა იოანე დრასხანაკერტელი, რომელმაც გადაწყვიტა მიეღო გარკვეული ზომები თავისი ქვეყნის შიგნით მშვიდობიანობისა და შეთანხმების დასამყარებლად. უპირველეს ყოვლისა მან თავის სტუმართმოყვარე მასპინძლისაგან აღარნასე ქართველთა მეფისაგან მიიღო ფიცის წიგნი, რომ იგი „მშვიდობას, სიყვარულსა და მტკიცე ერთობას გაჰყვებოდა ყველასთან — სომეხს და ქართველ მთავრებთან და მფლობელებთან“⁷⁷. იოანემ სომეხს მთავრებსა და ნახარებშიც პოვა მოკავშირენი და თანამზრახველნი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამით ვერ მოგვარდებოდა საქმე. მალე დროებით დამყარებული შინაური სიმშვიდე და თანხმობა გარეშე ძალის — „უცხოთესლ ავაზაკების“ შემოსევამ დაარღვია. იუსუფ ოსტიკანის გამოლაშქრებამ სომხეთზე ქვეყნის ფიზიკური განადგურების ახალი საფრთხე წარმოშვა. მთელი სომხეთი, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ტოვებდა თავის მამულს სახლ-კარს და მტრისაგან უშიშარ მხარეებში იხიზნებოდა. იოანე დრასხანაკერტელმა კი ტარონის მხარეს მიაშურა, სადაც, როგორც თვით ამბობს, „მთავრებმა და ხალხმა ნუგეში სცეს ჩემს ჭირსა და მწუხარებას, გაცოცხლდა და განახლდა ჩემი სული“⁷⁸. სომეხთა კათალიკოსი დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციას, რამაც მალე დაარწმუნა იგი, რომ გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნის საუკეთესო საშუალებას სომეხთა ქვეყნის ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მოქცევა წარმოადგენდა. იოანე დრასხანაკერტელი, ჭერ-ერთი, როგორც თვითმხილველი აღწერილი ამბებისა და მეორე მხრით კი, ვითარცა სომხეთის სამეფო კართან დაახლოებული პიროვნება, სომხური ეკლესიის საპეტამყარობელი, მთელი სერიოზულობით უდგებოდა დიდაბულ პოლიტიკურ ვითარებას და ითვალისწინებდა სომეხი ხალხის ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული გადაგვარების საშიშროებას. და აი, იოანე დრასხანაკერტელმა გადაწყვიტა წერილით

⁷⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 193.

⁷⁸ იქვე, გვ. 194.

მემატა ბიზანტიის კეისრისათვის — კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის (912—959 წწ.). სომეხთა კათალიკოსის მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რასაც მ. ჩამჩიანი და მისი თანამოაზრეები მისი სარწმუნოებრივი მრწამსის შეცვლას მიაწერენ, მხოლოდ შემდეგი გარემოებით შეიძლება აიხსნას: იოანე დრასხანაკერტელი, როგორც თავისი სამშობლოს ბედზე მოჭირნახულე პიროვნება, ბიზანტიის იმპერიას მიიჩნევდა ერთადერთ მხსნელ ძალად გარეშე მტრის თარეშისაგან სომხეთის გასათავისუფლებლად. ბიზანტიის კეისრისათვის წერილის მიწერა მას უფრო იმ ფაქტმაც გააბედვინა, რომ ბიზანტიის იმპერიის მესვეურები პირველად თვითონ გამოეხმაურნენ სომხური ეკლესიის საკეთმპყრობელს და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კიდევ ალუთქვეს დახმარება. კონსტანტინე კეისრისადმი იოანე დრასხანაკერტელის წერილი სრული სახითაა დაცული მისსავე თხზულებაში⁷⁹.

აღნიშნული წერილი დაახლოებით იმავე ხანებში უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი, როდესაც ნიკოლოზ პატრიარქის წერილი, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1 წლისა. ამას მოწმობს იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ფაქტობრივი მასალა. სავარაუდებელია, რომ იგი გაგზავნილია 919—920 წლებში⁸⁰. იოანე ისტორიკოსის წერილი, ისევე როგორც ნიკოლოზ პატრიარქის წერილი იოანე დრასხანაკერტელისადმი, არ ეხება რელიგიურ საკითხებს, არამედ ავტორი მთელ ყურადღებას ამახვილებს სომხეთში შექმნილ მძიმე და აუტანელ პოლიტიკურ ვითარებაზე, რათა ამით კიდევ უფრო მეტად იმოქმედოს ბიზანტიის მესვეურებზე და მით რაიმე რეალურ დახმარებას მიიღწიოს მათგან თავისი ქვეყნის გადასარჩენად. იოანე დრასხანაკერტელის წერილი კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი გადაჭარბებული განცდებითა და ჩვეული სენტიმენტალობითაა აღსავსე. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იოანე კათალიკოსის კონსტანტინე კეისრისადმი მიმართვის ფორმა, რითაც სომეხთა კათალიკოსს სურს ხაზი გაუსვას

⁷⁹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 196 — 210.

⁸⁰ მიქელ ჩამჩიანის აზრით იოანე კათალიკოსის წერილი დაწერილია 920 წლის ნოემბერში. მკვლევარს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად არავითარი მასალა არ მოჰყავს. იხ. *Պատմութիւն Հայոց... Թորիսիսի ի հայր Միգայէլ Զամչեանց...*, *Հատոր Բ.*, გვ. 776.

მაღაქია ორმანიანის ვარაუდით კი აღნიშნული წერილი გაგზავნილი უნდა იყოს 919 წლის დასაწყისში. იხ. *Աղգայատում...*, *գրքի Մ ա ղ ա ճ ի ա Օ Ր մ ա ն ի ա ն...*, გვ. 1045.

ბიზანტიის იმპერიის სიდიადეს, რომელზედაც იგი მთელ იმედებს ამყარებდა, როგორც გარეშე დამხმარე ძალაზე. „უმაღლესო და თვითმპყრობელი რომელითა კეისარო — მიმართავს იოანე ბიზანტიის კეისარს — უავგუსტოესო კონსტანტინევ. ღმრთისაგან გვირგვინოსანო, განდიდებულო მსოფლიოს მძლეო მეფეო, ღმრთისმოყვარეო და კეთილმსახურო, ცხოვრების სარბიელზე ყოველთა ნათელთა ზედამდგომელო და ყველას მიმართ ქვემარატი მშვიდობის მოქმედო, ზეციურ ცხრა დასის მიმსგავსებულო, სულიერი მშენებლობის მიზეზო, ყოველი ტომისა და ხალხის ქვემარატიო წინამძღვარო, ნამდვილო საღმრთო ფინიკო, უფლის სახლში დანერგილო“⁸¹.

აღწერს რა სომხეთის თავს გადამხდარ ღიდ უბედურებას, იოანე დრასხანაკერტელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა დევნას სარკინოზთაგან, რომლებმაც „დაუწყეს დევნა წმინდა ეკლესიას, აქციეს იგი ხილისმცველთა ქონად, ტყესავით დაჩეხეს ცულოთ მისი კარები და ცეცხლით დაწვეს უფლის სიწმინდე, წაბილწეს მისი სახელობის კარავი, ურჯულოების საკლავი დაკლეს, სიბილწის მსხვერპლი შესწირეს მართალთა სადგომში, შეურაცხვეს უფალი ღმრთის მსასობელნი. მხეცთა საჭმლად და ცის ფრინველთა მძორად დაყარეს მალათა შინა მყოფის წმინდანთა გვამები. ეკლესიის დასის უბრალო სისხლი დაიღვარა, როგორც წყალი იერუსალიმის გარშემო. მეგრძოლ ხელთა სიმტკიცე მოიშალა ღიდი ელეთისა და სისხლისღვრის [შედგად]. თორგომიანთა ტომის ნახარარები, მოქალაქენი და სოფელენი შეუბრალებლად გაფანტეს და განდევნეს“⁸². დიდხანს ჩერდება იოანე ისტორიკოსი აგრეთვე სუმბატ აშოტის-ძის, სომეხთა მეფის მოწამეობრივი თავგადასავლის აღწერაზე, არც საკუთარ თავზე გადამხდარი უბედურების აღნიშვნას ივიწყებს კათალიკოსი, მაგრამ ყოველივე ზემოხსენებულის დაწვრილებით და მუქ ფერებში გადმოცემა ისევ და ისევ სომხური ეკლესიის საჭეთმპყრობლის ძირითადი მიზნის განხორციელებას ემსახურება — უფრო მეტად გააღვივოს ბიზანტიის იმპერიის მესვეურთა თანაგრძნობა სომეხთა მიმართ. იოანე დრასხანაკერტელი არა ერთ მეთოდს იყენებს, რათა თავის წერილს უფრო მეტი შთამაგონებელი ძალა მიანიჭოს. სწორედ ამ მიზნით იგი წარსული ისტორიის ფაქტების მოშველიებასაც მიმართავს. იოანე კათალიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტს

⁸¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 196.

⁸² იქვე, გვ. 200 — 201.

„შეახსენებს თავისი წინაპრების ბედს, რომლებიც „დაუზარელი ზრუნვით, გულმოდგინებით და უშიშარი რწმენით აძოვებდნენ მათ- დამი რწმუნებულ სამწყსოს თავთავის დროს და მეც იმასვე გთხოვ, შუამავლად მიპყრია რა სიცოცხლის მომნიჭებელი მხსნელი ჯვარი.. მინდა მშვიდობიანი ცხოვრება და მოსასვენებელი სადგომი მოკუ- პოვო ჩემიანებს თქვენი, უავგუსტოესი, სასიქადულო, დიდებული და ძლიერი მეფობის შესაფერისად, დავაღწიოთ თავი ისმაიტელთა- გან და თქვენს ფრთათა ქვეშ შეფარებულებმა ვაძოვოთ ჩვენდამი [რწმუნებული] ღმრთის სამწყსო“⁸³.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი ნაწყვეტებისა და საერთოდ წერილის მთელი შინაარსის გათვალისწინების შედეგად ირკვევა, რომ აქ არავითარი საარწმუნოებრივი არსის შეცვლასთან არა გვაქვს საქმე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავტორის მთელი ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრ ფერებში გადმოცემაზეა გადატანილი. ასე რომ მიქელ ჩამ- ჩიანის ლიტონი განცხადება, თითქოს იოანე დრასხანაკერტელი კათა- ლიკოსად დადგინების შემდეგ შეუთანხმდა ქალკედონელებს, რაც ვითომ ჩანს იოანეს მიერ კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი გაგ- ზავნილი წერილიდან, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მაგ- რამ ყოველივე ზემოთქმულს რომ თავი დავანებოთ, თვით იოანე კათალიკოსის როგორც მოქმედება, ასევე მისი სიტყვები მიქელ- ჩამჩიანისა და მის თანამზრახველთა მოსაზრების საწინააღმდეგოზე მიუთითებენ. იოანე ისტორიკოსის „სომხეთის ისტორია“-ში მო- ცემული ცნობებიდანვე ირკვევა, რომ როდესაც კონსტანტინე კეი- სარმა წერილის შიღებისთანავე სომხეთის მეფე აშოტ სუმბატის ძე და იოანე დრასხანაკერტელი თავისთან მიიპატიჟა, აშოტ მეფე გაე- მართა ბიზანტიის კეისართან, ხოლო სომხეთის კათალიკოსმა თავი აარიდა ამ მიპატიჟებას გარკვეული მოსაზრებით. „მე კი გავემართე და წავედი დერჯანის გავარში — წერს იოანე დრასხანაკერტელი — და ერთი თვე დავყავი იქ. თუმცა ხშირად მაწვეველი [მომდიოდა] და სიყვარულით აღსავსე სურვილით მიწვევდა კეისართან სასახ- ლეში, მაგრამ მე არ ვისურვე, რადგან ვფიქრობდი, რომ შეიძლება გამოჩენილიყო ვინმე, ვინც თავისი თვალთ მნახვდა და ჩემს იქ მისვლას ჩემი ქალკედონიტობით [ახსნიდა] და მე გადაბირებულად მიმიჩნევდა“⁸⁴.

⁸³ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ წინა- მდებარე გამოცემა, გვ. 208.

⁸⁴ იქვე, გვ. 213.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული ექსკურსისა და თვით იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ მონაცემების საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ იოანე დრასხანაკერტელი მტკიცედ იღვა მონოფიზიტური მრწამსის დაცვის პოზიციაზე და არასდროს არ გადახრილა ქალკედონელებისაკენ, უკიდურესად მძიმე პოლიტიკური ვითარებაშიც კი.

იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრება და მოღვაწეობა პირობითად 2 პერიოდად შეიძლება გაიყოს: I — 897 წლამდე, ე. ი. იოანეს კათალიკოსად დადგინებამდე, ხოლო II — 897 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე. როგორც აღრევე გვქონდა შენიშნული, იოანე ისტორიკოსის ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობები მისსავე თხზულებაშია დაცული, მაგრამ ეს ცნობები იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორივე პერიოდს ერთნაირი სისრულით არ ასახავს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ ისტორიკოსის ცხოვრების I პერიოდის სრული სახით შესწავლა ვერ ხერხდება ბიოგრაფიული მასალის სიმცირის გამო.

იოანე დრასხანაკერტელს, როგორც ეს მის „სომხეთის ისტორია“-ში მოცემული მასალების მიხედვით ირკვევა, ძნელბედობის ხანაში უხდებოდა მოღვაწეობა, მაგრამ იგი გულხელდაკრეფილი როდი იყო. იოანე დრასხანაკერტელი კათალიკოსად დადგინებამდეც აქტიურად მონაწილეობდა ყოველ საჭირბოროტო საქმის მოგვარებაში. ხოლო შემდეგ კი, როცა იგი ოფიციალური თანამდებობის მფლობელი შეიქნა, მას უკვე ხშირად ვხედავთ, როგორც მომხრეებელს სომეხ მთავრებსა თუ მეფესა და მთავრებს შორის, ასევე როგორც ელჩს, მივლენილს არაბ ოსტიკანებთან საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად.

ასეთი საპასუხისმგებლო მისიის შესრულება იოანე ისტორიკოსს ჯერ კიდევ სომეხთა კათალიკოსის გეორგ გარნელის (877—897) დროს დააკისრეს. აფშინ ოსტიკანმა დაინახა რა სომეხთა მეფის სუმბატ აშოტის ძის წარმატებები. როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე შინაურ საქმიანობაში, შურით აღიესო მის მიმართ და გადაწყვიტა, ეცადა სომეხთა მეფის ძლიერების შერყევა. მან ჯართა სიმრავლეს მოუყარა თავი და დაახლოებით 892—893 წელს სომხეთისაკენ დაიძრა. აღნიშნული ფაქტის შესახებ სუმბატ მეფემ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც მტერმა ნახიჭევანს მიაღწია, მეფემ სასწრაფოდ შემოიკრიბა გარშემო თავისი სამხედრო ძალები და გამაგრებულ ადგილებს შეაფარა თავი. გეორგ სომეხთა კათალიკოსმა განიზრახა საქმის მშვიდობიანად მოგვარება და „მიეგება ოსტიკანს,

რომ ეგებების მისი ქვის გული მოეღობო და ეზრუნა უფლის პირმეტყველი სამწყსოსათვის⁸⁵. აფშინ ოსტიკანმა თავდაპირველად კეთილგანწყობით მიიღო კათალიკოსი და სუმბატ მეფის თავისთან მოპატრუებაც დაავალა მას. სუმბატ მეფემ, გაითვალისწინა რა ოსტიკანის არაერთგზისი ვერაგობა, უარი განაცხადა მასთან წასვლაზე, გეორგ კათალიკოსმა კი არ მოისურვა პირობის დარღვევა და კვლავ ეახლა აფშინს. ამრიგად, აფშინ ოსტიკანმა ვერ შეისრულა თავისი ვერაგული განზრახვა, ხელში ვერ ჩაიგდო სომხეთის მეფე სუმბატი და ამ დამარცხებით გამოწვეული მთელი სიბრაზე გეორგ კათალიკოსზე გადმოანთხია. მან შეიპყრო გეორგ გარნელი და დიდი ტანჯვა-წამება განაცდევინა მას ტყვეობაში. ორი თვის შემდეგ კი აფშინ ოსტიკანმა პირობა მისცა კათალიკოსს, რომ უვნებლად დააბრუნებდა თავის ქვეყანაში, თუ კი მისგან ოქროსა და ვერცხლის განძს მიიღებდა. გეორგ კათალიკოსმა ამის შესახებ თავისი ქვეყნის მესვეურებს შეატყობინა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გეორგ კათალიკოსის განთავისუფლებისათვის ზრუნვა თავს იდვა იოანე დრასხანაკერტელმა, რომელიც იმ დროს ეპისკოპოსი იყო. მისი თაოსნობით დაუყოვნებლივ შეგროვდა სათანადო გამოსაღები — განძი, რომლის საშუალებითაც მოხერხდა გეორგ კათალიკოსის დახსნა ტყვეობიდან.

იოანე დრასხანაკერტელს, არაბ ოსტიკანებთან და გამგებლებთან მომრიგებლად წარგზავნილს, განსაკუთრებით ხშირად ვხვდავთ კათალიკოსად დადგინების შემდეგ. მასზე დაკისრებული საპასუხისმგებლო მისიის შესრულებისას იგი არაერთხელ მდგარა საშიშროების წინაშე, მაგრამ არასდროს უკან არ დაუხევია. იოანე კათალიკოსი უკანასკნელ შესაძლებლობამდე ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა, ოღონდ კი როგორმე ეხსნა თავისი სამწყსო როგორც საგარეო, ისე საშინაო საფრთხისა და განსაცდელისაგან. მისი დიპლომატიური მისია, რომელიც რთულსა და დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციასთან იყო დაკავშირებული, ყოველთვის ერთნაირი შედეგით როდი მთავრდებოდა. ერთ შემთხვევაში ვერაგ მტერთან მოსალაპარაკებლად და საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად მივლინებული იოანე კათალიკოსი ოსტიკანისაგან ნდობასაც კი იმსახურებდა და მისგან პატივითა და დიდძალი ძღვნით განდიდებული უბრუნდებოდა თავის ქვეყანას⁸⁶. მაგრამ ხშირად მისი მცდელობა უშედე-

⁸⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 69.

⁸⁶ იქვე, გვ. 106.

გოდ მთავრდებოდა და იგი ბრაზმორეული მტრის ჯავრის ამოყრის ობიექტად იქცეოდა. სწორედ ასეთი ერთ-ერთი წარგზავნის დროს იოანე კათალიკოსი იუსუფ ოსტიკანის ტყვეობაში მოექცა. ტყვეობაში განცდილ სიმწარესა და იქ გადატანილ გაჭირვებას არაერთგზის იხსენიებს იოანე შემდეგშიც. „ქალაქ დვინის საპყრობილეში... — წერს ისტორიკოსი — გადავითანე მტარვალთაგან ბევრი მომაკვდინებელი შეურაცხყოფა, გვემა. შებორკილება და პყრობილება ბნელსა და ვიწრო ადგილებში. მაგდებდნენ გვირაბებსა და ღრმა ხარობებში. [მაწამებდნენ] სასტიკადა და მწარედ. მცველთა საშინელი ხმაური და შემაწუხებელი ღრიანცელი მწუხრიდან გათენებადის არ სცილდებოდა ჩემს ყურებს და ამის გამო მომესპო თვალთა რული და სხეულის მოსვენება“⁸⁷.

იუსუფ ოსტიკანის მიერ იოანე დრასხანაკერტელის დატყვევების თარიღის დაზუსტებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ თვით თხზულებაში დაცული ფაქტობრივი მონაცემები, კერძოდ, იუსუფ ოსტიკანის შემოსევა და მის მიერ სხვადასხვა მხარეების დალაშქვრა, რასაც იოანე დრასხანაკერტელი თორგომიანთა წელთაღრიცხვის 358 წლით ათარიღებს, ე. ი. 909 წლით. იმ დროს იოანე უკვე დატყვევებული იყო იუსუფის მიერ, ასე რომ იოანეს შეპყრობაც დაახლოებით 909 წელს უნდა მომხდარიყო. ხოლო რაც შეეხება იოანეს ტყვეობიდან თავდასხნის თარიღს, ჩვენი აზრით, იგი 909—910 წლით უნდა განვსაზღვროთ. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ისევ და ისევ იუსუფის სომხეთში ლაშქრობის ამსახველ მასალებს ვეყრდნობით. იოანე კათალიკოსს, გეორგ გარნელის მსგავსად, ვერაგმა ოსტიკანმა ოქროს გამოსაღები ზოსთხოვა, მაგრამ ვინაიდან იუსუფი მცირედით არ დაკმაყოფილდა, უფრო მეტი გადასახადის შესაძლებლობა კი კათალიკოსს არ ჰქონდა, თან არავინ იყო შემწე და დამხმარე, იოანე დრასხანაკერტელმა ციხიდან გაქცევით იხსნა თავი. ხოლო რადგანაც „ბოროტი მარბიელი წარმტყვევენლები ჯერ კიდევ ძლიერად იყვნენ მოდებული ჩვენს ქვეყანაში — წერს იოანე — ამიტომ მეც უფლის ბრძანებით დევნილი ალბანეთის აღმოსავლეთ მხარეებისაკენ წავედი... შემდეგ იქიდან წავედით და გავსწიეთ გუგარელთა მხარეებისაკენ. იქ დავბინავდით და ველოდით უფლისაგან ხსნას“⁸⁸.

⁸⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 126 — 127.

⁸⁸ იქვე, გვ. 130.

იოანე დრასხანაკერტელს ამის შემდეგ ადარნასე ქართველთა მეფის კარზე ვხედავთ თავშეფარებულს⁸⁹.

იოანე კათალიკოსის დიპლომატიური მოღვაწეობის ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს მისი ბიზანტიის იმპერიის მესვეურებთან — ნიკოლოზ პატრიარქთან და კონსტანტინე პორფიროგენეტთან ურთიერთობა წარმოადგენს, მაგრამ ვინაიდან ამის შესახებ სათანადო ადგილას უკვე გვქონდა აღნიშნული, ხელმეორედ მის ირგვლივ აღარ ვისაუბრებთ.

იოანე დრასხანაკერტელი — სომხური ეკლესიის საჭეთმპყრობელი — ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლების თავდადებულ დამცველად გვევლინება. იგი მუდამ სიფხიზლით ადევნებდა თვალყურს სომხეთის საშინაო ცხოვრებას და თუ კი რაიმე განხეთქილება იჩენდა თავს მეფე-მთავრებსა თუ თვით სომეხ მთავრებს შორის, ყოველთვის საიმედო კანდიდატი იყო საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. ყოველივე ზემოთქმულის მაუწყებელი ფაქტები მრავლად გვხვდება „სომხეთის ისტორია“-ში. იოანე კათალიკოსის მოღვაწეობიდან საინტერესოა გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ამბავი, რომელიც არწრუნთა მთავრის აშოტისა და მისი მამიდაშვილის ჰასან არწრუნის უთანხმოებას შეეხება. ერთხელ აშოტ არწრუნიმ თავისი სამფლობელო მხარეების გარშემოვლისას მიაღწია ხევს, სახელად ლომბი ფორაკს და დამე აქვე გაათია ერთ სოფელში. ამის შესახებ შეიტყო ჰასან არწრუნიმ, რომელმაც რატომღაც საშიშროება დაინახა თავისი ბიძაშვილის ასეთ მოქმედებაში და უეცრად დამით, შეიარაღებულ მეომართა თანხლებით, თავს დაესხა აშოტს და იგი მისი ამალითურთ დააპატიმრა. მაგრამ ჰასანის უმტყუნა ბედმა, აშოტის თანამებრძოლებმა შეძლეს ჰასანის ხელში ჩაგდება. „ამრიგად, — დასძენს იოანე კათალიკოსი — ორმოში, რომელიც ამოთხარა ჰასანმა, თვითონ შთაინთქა. აშოტ მთავარმა საკერელის ჯაჭვი დაადო მას და წაიყვანა სევანის ციხეში“⁹⁰. აშოტ

⁸⁹ როგორც იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“ ირკვევა, სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს საკმაოდ ხანგრძლივად მოუხდა მეზობელ ქვეყნებში ყოფნა, სადაც იგი ახლოს გაეცნო სხვადასხვა ხალხებს, მათ ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს და რიგ შემთხვევებში სარწმუნო ცნობებიც შემოგვინახა მათ შესახებ. საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ადარნასე ქართველთა მეფისა და საერთოდ ქართველების შესახები ცნობები, რომელთა განხილვა და შეფასება სათანადო ადგილას იქნება ჩვენ მიერ წარმოდგენილი.

⁹⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 98.



არწრუნებ მოსახოვა ჰასანს სევანის ციხის მისთვის გადაცემა და აღეთქვა უვნებლად განთავისუფლება. მაგრამ ჰასანის დედამ და ძმამ, არიყენენ რა დარწმუნებულნი აშოტის მიერ აღთქმული დაპირების შესრულებაში, არ მოისურვეს აშოტისათვის ციხის გადაცემა. შექმნილი მდგომარეობის შესახებ აცნობეს სუმბატ მეფეს, რომელმაც საქმის მოგვარება იოანე კათალიკოსს მიანდო. იოანემ შეძლო ჰასანის დედის დარწმუნება აშოტისათვის ციხის გადაცემის აუცილებლობაში. აშოტისგანაც მიიღო ფიცის წიგნი, რომ ჰასანს უვნებელს გაუშვებდა. ასე, თითქოს მშვიდობიანად, მოგვარდა დავა მამიდაშვილ-ბიძაშვილს შორის, მაგრამ აშოტ მთავარი „შემდეგ ზოგიერთი აზნაურის ფუქსა და ბოროტ რჩევას აჰყვა, თვალები დასთხარა ჰასანს და დააბრმავა იგი“⁹¹. ეს ფაქტი იოანე დრასხანაკერტელის შუამდგომლობის მოულოდნელ დამარცხებას წარმოადგენდა, რასაც ახე იოლად ვერ შეეგუებოდა სომეხთა კათალიკოსი. იგი დიდი აღშფოთებითა და გულსიტკივილით იხსენებს ამ შემთხვევას და აშოტ მთავარს მიაკუთვნებს ისეთ ადამიანთა რიცხვს, „რომელნიც არ ემორჩილებიან ფიცის წესსა და შუამდგომლების წინამძღვრობას და მერყევი არიან და გულმოდგინეობით მიდიან მოწინააღმდეგეებთან, ამით თვითონ პოულობენ სიკვდილის საბაბს და არ შეუძლიათ დაიმკვიდრონ მტკიცე სიცოცხლე“⁹².

იოანე დრასხანაკერტელს კარგად ესმოდა შინაური ბრძოლების დამარღვეველი როლი სახელმწიფოს სიმტკიცისა და ერთიანობის საქმეში. სწორედ ამიტომ, რათა შთაეგონებინა თავისი თანამედროვე საზოგადოებისათვის ასეთი უთანხმოებისა და ქიშპის დიდი ზიანი სომეხთა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მუქ ფერებში წარმოადგენდა მეფე-მთავრებს შორის გაუთავებელი განხეთქილების ამბებს. ასე მაგალითად, როდესაც იოანე დრასხანაკერტელი აღწერს სომეხთა მეფის აშოტ სუმბატის ძისა (აშოტ ერკათად წოდებულსა) და მისი ბიძაშვილის აშოტის ბრძოლას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისინი „საბოლოოდ მაინც ვერ დადგნენ წესიერ სიტყვებზე, არამედ მყისვე კვლავ მიდრკნენ ბოროტი შურისაკენ, კიცხავდნენ ერთმანეთს ძვირის ყვედრებითა და აგზნებული შურით შემდეგ ისინი კვალში ჩაუდგნენ ერთმანეთს და ერთმანეთს გარს უტრიალებდნენ. შეირყა, შეიძრა, აოხრდა, დაიქცა და დაემხო

⁹¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომეხთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 99.

⁹² იქვე, გვ. 99.

მათი სამფლობელოები. თავიანთი დიდება უცხო ტომს ანაცვალეს, სხვათა გასამდიდრებლად და თავიანთი თავის დასაღარიბებლად გაართოვეს თავიანთი გზა“⁹⁵.

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრების გზას, შევნიშნავთ, რომ მას სომხეთში არაბთა ბატონობის ყველაზე მძიმე პერიოდში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. თავის სამწყსოსთან ერთად მრავალი ტანჯვა, საპყრობილე, დევნა და შევიწროება გადაიტანა, დვინის საპატრიარქოდან ჩამოშორებულმა, წლების განმავლობაში უცხო ქვეყნებს თავშეფარებულმა მწარედ განიცადა სამშობლო ქვეყნიდან მოცილება. მაგრამ როდესაც იგი კვლავ დაუბრუნდა თავის სამწყსოს, ახალი უბედურების მოწმე გახდა. სომეხთა ქვეყანა ახალი ოსტიკანის ნისრის, ანუ სბუკის დარბევა-აოხრების მსხვერპლი შეიქნა, რამაც კვლავ მწუხარებაში ჩააგდო სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელი. „ჩემამდეც მოაღწია იმ არეულობის, უბედურებისა და ჩვენ მორწმუნე უფალთა და წარმართთაგან სიმწირის ნალექის შესმის ამბავმა, რაც მოჰყვა აგარიანელთა უკეთურ გრივალს, — წერს იოანე დრასხანაკერტელი, — მეც არანაკლებ შემპყრო გულის წუხილმა...“⁹⁶ შფოთის სამწუხარო ამბავი სარწმუნო ადამიანებმა მომიტანეს და მიჩიქეს, რომ ავჩქარებულებიყავი და მოვრიდებოდი ზღუდის გარემოცვას, რომელიც ჩვენც გვემუქრებოდა. ჩემთან მყოფი ეკლესიის დასი, შიშის ზარით შეპყრობილი, ჩემი სახლის კარებთან შეკრებილიყო და მევედრებოდნენ, რომ გავცლოდი მოსალოდნელ რისხვას. მომავონდა უფლის ბრძანება — დევნა ქალაქიდან ქალაქს და არა დგომა ბოროტის წინააღმდეგ“⁹⁷. იოანე დრასხანაკერტელი მასთან მყოფი საეკლესიო დასის თანხლებით იძულებული შეიქნა სევანის კუნძულზე წასულიყო, შემდეგ კი ბიურაკანის ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი, სადაც ააშენა ეკლესია და მონაზონთა და მოწესეთა მონასტრად განაწესა. ბიურაკანში თავშეფარებულმა იოანე დრასხანაკერტელმა დაუყონებლივ გაუგზავნა ნისრს წერილი, რომელშიც თხოვდა ფიცის წიგნს თავისი სამწყსოს უშიშროებაზე. ნისრ ოსტიკანმა აღუთქვა მას თხოვნის შესრულება და ფიცის წიგნიც მოსცა იოანე კათალიკოსს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი დაიმედება იყო. ცოტა ხნის შემდეგ ნისრ ოსტიკანმა თავის ირგვლივ მყოფ მაჰმადიანთა წაქეზებით დაარღვია პირობა და დიდძალი ჯარით შემოესია

⁹⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 229 — 230,

⁹⁶ იქვე, გვ. 273.

სომხეთს. ნისრმა ბრძანა თავდასხმა ბიურაკანის ციხეზე და იოანე კათალიკოსის ხელში ჩაგდება. იოანე დრასხანაკერტელმა და ეკლესიის სხვა მსახურებმა ძლივს დააღწიეს თავი მოსალოდნელ საფრთხეს და გასწიეს ბაგარანის სამეფო სასახლისაკენ აშოტ მეფესთან და დარჩენ იქ შემოდგომამდე. სიცოცხლის უკანასკნელი ხანა იოანე დრასხანაკერტელმა ვასპურაკანის მეფე გაგიკთან გაატარა, „რომელმაც იზრუნა ჩვენთვის — აღნიშნავს ისტორიკოსი — სულიერი სიყვარულით და ერთგულებით, მტკიცე რწმენით, შეურყეველი სასოებითა და უშიშარი სიყვარულით დაგვიცვა თავის ძმასთან გურგენტან ერთად. უხვად მოგვანიჭა ხორციელი საჭიროებანი, შემდეგ ჩვეული სიბრძნით მტკიცედ დაგვაიმედა, რომ სულით და გულით შეეცდებოდა და იზრუნებდა ჩვენს სამკვიდროში ჩვენს დაბრუნებაზე, ამასთანავე მთელი ქვეყნის მშვიდობისა და წმინდა ეკლესიათა განმტკიცებაზე, როგორც ამას ქრისტიანული წესიც მოითხოვს“⁹⁵.

იოანე დრასხანაკერტელმა აქვე, ვასპურაკანში, კერძოდ ძოროვანქში დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ასეთია იოანე ისტორიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა.

⁹⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 303.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა მ

იოანე ღრასხანაქერტელის „სომხეთის ისტორია“ — საისტორიო პირველწყარო სომხეთისა და საქართველოს IX—X საუკუნეების ისტორიის შესასწავლად

1. „სომხეთის ისტორიის“ შიგნის დრო და ისტორიული პირობები

იოანე ღრასხანაქერტელის „სომხეთის ისტორია“ სომხური სა-ისტორიო მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშთაგანია. ამ საინტერესო ძეგლის შექმნის აუცილებლობა გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა წარმოშვეს. იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ წარმოქმნა შეიძლება ჩაითვალოს იდეოლოგიურ გამოხატულებად იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთში IX—X საუკუნეებში. აღნიშნული პერიოდი სომხეთის ისტორიაში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა.

საუკუნეთა მანძილზე ორი დიდი დამპყრობის, ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს შორის პაექრობის ასპარეზად ამიერკავკასია იყო ქცეული, რომლის ხელსაყრელმა სტრატეგიულმა ადგილმდებარეობამ თავიდანვე მიიპყრო ორივე ქვეყნის ყურადღება. ბრძოლა არაბეთსა და ბიზანტიას შორის თავდაპირველად ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობდა, მაგრამ როდესაც ბრძოლის ასპარეზმა სომხეთისა და საქართველოს საზღვრებში გადმოინაცვლა, ამ ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა მეტად დაიძაბა და გართულდა. ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება, რაც აპირობებდა მათ საგარეო პოლიტიკას, სომხეთის საგარეო მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორსაც წარმოადგენდა.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ორი დამპყრობის საგარეო პოლიტიკას სომხეთის მიმართ, შევნიშნავეთ, რომ იგი ცვალებადი წარმატებით ხორციელდებოდა: ბიზანტიის საგარეო ექსპანსია ამიერკავ-

კასიის ქვეყნების მიმართ VII საუკუნისათვის, როგორც ცნობილია, არაბ დამპყრობთა ლაშქრობებით შეიცვალა, რომლებიც საემიგრაციო ზოძრაობის უკანასკნელ ტალღას წარმოადგენდნენ⁹⁶. არაბთა დაწინაურებას თვით არაბეთში სახელმწიფოებრივი ძალების მომწიფებაც უწყობდა ხელს. არანაკლები როლი ითამაშა აგრეთვე ისლამმაც, რომლის გავრცელების მნიშვნელოვან საშუალებას იძულება წარმოადგენდა. „უკვე მუჰამადმა — აღნიშნავდა აკად. ს ჯანაშია — მისცა თავის მოძღვრებას მკაფიოდ აგრესიული ხასიათი, როგორც ყველა ძველი დამპყრობელი, არაბთა სარდლებიც მიზნად ისახავდნენ არა ურწმუნოთა მოქცევას. არამედ არაბული სამფლობელოს გაფართოებას, ხარკსა და ნადავლს“⁹⁷.

არაბებმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სწრაფად დაიპყრეს თითქმის მთელი მახლობელი აღმოსავლეთი: 630—640-იანი წლებისათვის მათ ხელთ აღმოჩნდა სირია, პალესტინა, ირანი, ეგვიპტე. ასეთ წინსვლას, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაუფლებას თვით დაპყრობილი ხალხების საშინაო ვითარებაც აპირობებდა. ბიზანტიის მოხელეთაგან შევიწროებული მოსახლეობა ახალ დამპყრობელში — არაბებში თითქოს მსხნელს ხედავდა. აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ არაბები ამიერკავკასიისაკენ დაიძრნენ. სომხეთში არაბთა შემოსევების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობენ არა მარტო სომეხი ისტორიკოსები (სებეოსი, ლევონდი, იოანე დრასხანაკერტელი, თომა არწრუნი, სტეფანოს ტარონელი), არამედ საინტერესო ცნობებს ვხვდებით აღნიშნული საკითხების შესახებ ბიზანტიელ და განსაკუთრებით არაბ ისტორიკოსებთანაც (ბალაძორი, იაკუბი, ტაბარი).

სომხეთში არაბთა I (640 წ.), II (642, 643 წ.) და III (650 წ.) ლაშქრობებს უმთავრესად თარეშის ხასიათი ჰქონდა. მოსახლეობის ტყვედ წასხმა, ნადავლის დატაცება და ქვეყნის აოხრება — არაბ დამპყრობთა პირველი ლაშქრობების დამახასიათებელი თვისებებია. როგორც აკად. შ. მანანდიანი შენიშნავდა, „არაბთა ბატონობა სომხეთში დამყარდა არა ამ ლაშქრობების დროს, არამედ მე-7 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში“⁹⁸. VII საუკუნის 50-იან

⁹⁶ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, იხ. შრომები, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 390 — 391.

⁹⁷ იქვე, გვ. 354.

⁹⁸ ჯ. შანანდიანი, *წინასწარ თხილქილს ზაქ ჭიოქიქიქი აყათ-მილქიანს, ზათორ ჩ. ჩ მასხ ნიკოქსე, ხერქიანს*, 1960, გვ. 201.

წლებამდე სომეხთა ქვეყანა ჯერ კიდევ ბიზანტიის უზენაესი ხელი-სუფლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, სომეხი მთავრები და გამგებელნი ერთ გარკვეულ საგარეო პოლიტიკას როდი მიჰყვებოდნენ. ისინი ხან ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდნენ, ხან კი არაბთა მხარეზე აღმოჩნდებოდნენ. ეს უკანასკნელი გარემოება ბიზანტიის მმართველ წრეებში უდიდეს გულისწყრომას იწვევდა. ასე მაგალითად, როდესაც სომხეთის მმართველი თეოდორე რშტუნი 652 წელს ბიზანტიელებს გადაუდგა და არაბებს მიემხრო, კონსტანტინე კეისარმა სათანადო ზომები მიიღო ამ კავშირის დასარღვევად და მის წინააღმდეგ სამხედრო ძალაც კი გამოგზავნა⁹⁹. სომეხ მთავართა შორის ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მტრის დახმარებით თავიანთ მოქიშპე მთავრების მიწებს დაეუფლებოდნენ, ამიტომ ისინი ხშირად ღალატსაც კი ჩადიოდნენ საკუთარი ქვეყნის მიმართ. სომეხ მთავართა ორჭოფული პოლიტიკით სწორედ არაბი მოხელეები სარგებლობდნენ: ისინი ხიბლავდნენ მათ ნაირნაირი ძღვნებით, თუ დაპირებებით, სამაგიეროდ კი თავის სასარგებლოდ იყენებდნენ სომეხ მთავრებსა და გამგებლებს.

VII—X საუკუნეები არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის დაუცხრომელი ბრძოლის პერიოდია. დროაღრო ამ ხნის განმავლობაში არაბთა გარდა, ბიზანტიაც ცდილობდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას სომეხთა ქვეყანაზე, მაგრამ იგი წარმატებებს ვეღარ აღწევდა, რისი მიზეზიც უმთავრესად სახალიფოს წინააღმდეგობა იყო. მაგრამ, გარდა ზემოთქმულისა, არანაკლებ დაბრკოლებას წარმოადგენდა მისთვის ის სარწმუნოებრივი განხეთქილება, რომელიც ბიზანტიასა და სომხეთის ეკლესიებს შორის არსებობდა.

თუ VII—VIII საუკუნეებში არაბ დამპყრობთაგან გაწამებული და აოხრებული სომხეთი პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა და არაბთა მკაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკის წყალობით ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა, IX საუკუნის II ნახევრიდან იგი უკვე განთავისუფლდა არაბთა პოლიტიკური მორჩილებისაგან. მე-9 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც სომეხთა ქვეყანას ბაგრატიანიანთა დინასტია ჩაუდგა სათავეში, სახალიფოს გავლენამ და უფლებებმა თანდათანობით დაკარგეს თავისი წინანდელი ძალა,

⁹⁹ *Գ ա ս ա մ ի Ը Թ ի ւ ն Ս ե բ ռ ի ի Լ Ե յ ի ս Կ ի յ Կ ի յ ի Ի Լ Ե ռ ա Կ ւ ն, Թ ի ֆ ի ս, 1913, გვ. 222 — 248.*

ხოლო X საუკუნის პირველი ნახევრისათვის სრულიად აღიკვეთნენ საერთოდ - ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. სომხეთში მურვან ყრუსა (732 წ.) და შემდეგ ბულა თურქის (852 წ.) ლაშქრობები, შეიძლება ითქვას, იყო უკანასკნელი ძლიერი შემოტევა არაბ დამპყრობთა მხრიდან, რომლებმაც მძიმე ლახვარი ჩასცეს სომეხთა ქვეყანას. სარკინოზთა შემდგომი პერიოდის შემოსევებს (აფშინის, იუსუფისა და სბუქის შემოსევებს) უკვე თარეშის, ქვეყნის დოვლათის დატაცების ხასიათი ჰქონდა.

თავდაპირველად ასეთი წარმატებებით დაწყებული არაბთა საგარეო ექსპანსიის შესუსტება თვით სახალიფოს შინაური საქმეების გართულებამ განაპირობა. სახალიფოს ფეოდალურმა დაშლამ — დამოუკიდებელი საემიროების წარმოშობამ, რის ნიშნებმაც ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე იჩინეს თავი¹⁰⁰, საფუძვლივ შეარყია სახალიფოს წინანდელი ძლიერება. IX საუკუნისათვის განსაკუთრებით მატულობს სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამდგარ ადგილობრივ არაბ მმართველთა რიცხვი, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ქვეყნის შიგნით სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას. „კავკასიის განაპირა ქვეყნებში — წერს აკად. ს. ჯანაშია — IX ს. ჩვეულებრივი სურათია: გადაუდგება იქაური ამირა თავის მბრძანებელს, ითვისებს პოლიტიკურ სუვერენიტეტსა და უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივ გადასახადებს... იმართება ბრძოლა, ჯერ ცვალებადი შედეგებით; შემდეგში კი ცენტრიდან მსრბოლი ძალები იმარჯვებენ და ხალიფატი იშლება. საინტერესოა, რომ ხალიფატის პოლიტიკური დაცემა ხდება სწორედ მაშინ, როდესაც ამ უშველებელ სახელმწიფოში შემავალი ცალკე ქვეყნები აშკარა სამეურნეო აღმავლობას განიცდიან; სრულიად სხვა პირობებში და სხვა ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკური ფორმა შეუფერებელი აღმოჩნდა განვითარების ახალი ტენდენციებისათვის და არაბების მსოფლიო სახელმწიფოს გამოეყო მთელი რიგი, შინაგან საზოგადოებრივ-ეკონომიური. მთლიანობის მქონე, ერთეული“¹⁰¹.

აბასელთა სახალიფოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში სხვადასხვა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული

¹⁰⁰ ვ. გაბაშვილი, სახალიფოს ფეოდალური დაშლა, იხ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 107.

¹⁰¹ ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში..., გვ. 390 — 391.

წარმოიშვა: საემიროები, სამთავროები, სახანოები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებასთან მხოლოდ რელიგიურ კავშირს თუ ინარჩუნებდნენ. სანამ ხელისუფლებას აბასიდები ჩაუდგებოდნენ სათავეში (ე. ი. 750 წლამდე) არაბთა ფეოდალურ საზოგადოებაში თითქმის სრულიად არ იგრძნობოდა, ორიოდე გამონაკლისის გარდა, პარტიკულარული მისწრაფებანი. ასე რომ, არაბთა სახალიფო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პოლიტიკურ მთლიანობას. მაგრამ. მას შემდეგ. რაც სახალიფოს მთლიანობაში ბზარი წარმოიშვა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან ადგილობრივი მმართველების განკერძოების ტენდენციებმა იჩინეს თავი, არაბთა სახელმწიფომ დაცემისაკენ იქცია პირი. პ. ჟუზეს სამართლიანი შენიშვნით „ბაღდადის ხალიფებს უკვე აღარ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ ცენტრიდანული ძალებისათვის და იძულებული იყვნენ შეგუებოდნენ ცალკეული პირების მიერ მათი პროვინციების დაპყრობას. საკმარისია თვალი გადავავლოთ აღნიშნულ ეპოქაში სახალიფოს პოლიტიკურ რუკას, რომ უმაღვე დაინახავთ, თუ რაოდენ საგრძნობლად შემცირდა მისი საზღვრები და პირიქით, თანდათანობით როგორ გაფართოვდა ახალ ფეოდალ გამგებელთა სამფლობელოები, რომლებიც რკინის მარწუხებივით სულ უფრო ავიწროვებდნენ ხალიფების განკარგულებაში დარჩენილ ბაღდადის ოლქს...“¹⁰².

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, არაბთა სახალიფოს ძლიერება საფუძვლიანად შეარყია დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა აჯანყებებმა. მათ რიცხვს სომხებიც ეკუთვნოდნენ. ეს ბრძოლები ხან აშკარად იყო მიმართული არაბთა პოლიტიკის წინააღმდეგ, ზოგჯერ კი რელიგიური დროშის საფარველ ქვეშ მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გახშირდა აჯანყებები აბასიდთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამის უმთავრესი მიზეზი არაბთა უღლის დამძიმება იყო, რაც ძირითადად არაბთა საგადასახადო სისტემის მძარცველურ ხასიათსა და მათ მიერ ქრისტიანების მიმართ მკაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებაში გამოიხატებოდა.

სომხეთის ისტორია მე-8 საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ხელისუფლების სათავეში აბასიდების მოქცევის დროიდან (750 წ.) არაბთა პოლიტიკური ბატონობის საბოლოო აღკვეთამდე, მრავლად გვაწვდის სომეხი ხალხის არაბთა ბატონობის წი-

¹⁰² П. К. Жузе, Мутагалины в Закавказьи в IX — X вв. их маналები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი III, ტფილისი, 1937, გვ. 177, 196.

ნააღმდეგ ბრძოლის მაგალითებს¹⁰³. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სომხეთში 774—775 წწ. საყოველთაო სახალხო აჯანყება, რომლის მიზეზი სწორედ არაბთა აუტანელი საგადასახადო პოლიტიკა იყო. 774—775 წწ. აჯანყების შემდეგ სრულიად ამოწყდა ორი ძლიერი სომხური სანახარაო გვარი: მამიკონიანელთა და კამსარაკანელთა, რომელთა სამემკვიდრეო სამფლობელოებს ბაგრატიუნები დაუფლდნენ¹⁰⁴. IX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობ ცვლილებებს აქვს ადგილი სომხეთის საშინაო ცხოვრებაშიც. სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პოლიტიკურმა წრეებმა ისარგებლეს სახალიფოს დასუსტებით და შეძლეს მეფობის აღდგენისათვისაც კი მიეღწიათ. ამრიგად, 885 წელს სომეხთა ქვეყანას ბაგრატიუნიანთა დინასტია ჩაუდგა სათავეში.

აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ წრეებს, რომელთა მიზანი ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა იყო, უპირისპირდებოდნენ ცალკეული მთავრები და გამგებლები, რომლებიც აშკარა წინააღმდეგი იყვნენ მათთვის არასასურველი და შემბოჰველი ერთიანი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევისა. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა არაკეთილგანწყობილება შირაკის ბაგრატიუნიანთა მიმართ სომხეთის ორი ძლიერი სამთავროსი — ვასპურაკანისა¹⁰⁵ და სივნიეთისა¹⁰⁶, რომლებიც თავისი ძლიერებით არც დიდად ჩამოუვარდებოდნენ ბაგრატიუნიანთა ხელისუფლებს. აღნიშნული სამთავროების გამგებლების მთელი ყურადღება საკუთარი მიწა-წყლის გაფართოებისა და ხელისუფლების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდენ სახელმწიფოს ერთიან ინტერესებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდნენ ურჩი მთავრების სეპარატისტულ მისწრაფებებს.

¹⁰³ დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. ჯ. *Մանասդյան*, *Ժողովրդական ապստամբությունները Հայաստանում արաբական տիրապետության դեմ, Երևան*, 1939.

¹⁰⁴ ჯაი *Ժողովրդի պատմություն*, *Առաջին մաս խմբագրություն* Բ. Ն. *Առաքելյանի* և *Մ. Ռ. Հովհաննիսյանի*, *Երևան*, 1951, გვ. 150.

¹⁰⁵ ვასპურაკანის, ანუ არწრუხთა სამთავროს ისტორია ეკუთვნის თომას არწრუხის, იხ. მისი თხზულება *Թովմայի Վարդապետի Արժրուհուն* *Պատմության տանը Արժրուհես, Թիֆლის*, 1917.

¹⁰⁶ სივნიეთის ისტორია დაწვრილ სივნიელმა სტეფანოს ორბელიანმა. იხ. *Պատմության նაწահվին Միսական արարեալ Ստեփաննոսի Օրբելյան* *Արքեպիսկոպոսի Միսხես, Թიֆლის*, 1910.

ამრიგად, IX საუკუნისათვის სომხეთის ტერიტორია, ისევე როგორც საქართველოსი, წვრილ ფეოდალურ სამთავროებად იყო დაყოფილი, რომლებიც მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან. ამის დამამტკიცებელი მაგალითები გვხვდება იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში.

IX—X საუკუნეების სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიურმა ვითარებამ თავისებური ასახვა პოვა სომხურ საისტორიო მწერლობაში, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: ისტორიკოსთა ერთმა ჯგუფმა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ისტორიის აღწერას მიჰყო ხელი, ხოლო ნაწილმა შირაკის ანუ ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიის გადმოცემა დაისახა მიზნად¹⁰⁷. ისევე როგორც ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომადგენელთა და ფეოდალურ სამთავროთა, ვთქვათ, ვანანდის, ვასპურაკანის, ან სივნიეთის გამგებელთა ინტერესები სრულიად საპირისპირო იყო, ასევე მათი იდეოლოგიის გამომხატველი ისტორიკოსების ნაშრომებიც რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. აღნიშნული პერიოდის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიკოსთა ჯგუფს ეკუთვნიან შაპუჰ ბაგრატუნი და იოანე დრასხანაკერტელი. სომხური საისტორიო მწერლობის მეორე მიმართულების, ე. ი. ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ისტორიკოსებიდან უნდა დავასახელოთ X საუკუნის ისტორიკოსი თომა არწრუნი. რომელმაც ვასპურაკანის ანუ არწრუნთა სამეფოს საკმაოდ დაწვრილებითი ისტორია დაგვიტოვა.

საკმარისია ერთმანეთს შევედაროთ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ და თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია“, რომ აშკარად დავინახავთ IX—X საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობის ორი ძირითადი მიმართულების წარმომადგენელთა სრულიად საპირისპირო ინტერესებს: იმ დროს, როდესაც იოანე დრასხანაკერტელი, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების დამცველ და ყოველგვარი პარტიკულარული მისწრაფებების მოწინააღმდეგე პიროვნებად გვევლინება, თომა არწრუნის მთელი გულისყური მხოლოდ და მხოლოდ არწრუნთა, ანუ ვასპურაკანის სამეფოს გამგებელთა განდიდებისა და მათი საქმიანობის ხშირად გაზვიადებუ-

¹⁰⁷ *Մ ա ն ու կ Ա ճ ե դ ո ս ն, Հայոց հին դրսևանութեան պատմութիւն, ԴԻՔԲ I...*, გვ. 433 — 450.

ლი ფორმით წარმოდგენისაკენ არის მიმართული. ერთი რამ თვალნათლივ შესამჩნევია: იმ დროს, როდესაც იოანე დრასხანაკერტელი ყოველგვარი მორიდებისა და ანგარიშგაწვევის გარეშე კილავს ცალკეული მთავრების (განსაკუთრებით კი სივნიელთა და არწრუნთა ანუ ვასპურაკანელთა) მოღალატეობრივ საქმიანობას, რაც ძირითადი მიზეზი იყო არაბებთან ბრძოლაში სომხეთის არაერთგზისი დამარცხებისა, თომა არწრუნი თავს არიდებს არწრუნელ მთავართა სახელისა და ღიღების შემბლაღავი ასეთი მოქმედების აღწერას და მხოლოდ ქებითა და ხოტბით იხსენიებს არწრუნთა გვარის ყველა წარმომადგენელს.

იოანე დრასხანაკერტელი, თომა არწრუნისა და სხვა სამეფოსამთავროების ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ერთი გარკვეული კუთხის (ვთქვათ, ვანანდის, ვასპურაკანის, ან სივნიეთის) ისტორიის გადმოცემით კი არ იფარგლება, არამედ მრავალმხრივ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორია“ საუკეთესო და ზოგჯერ ერთადერთი პირველწყაროა არა მარტო შირაკის ანუ ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიის შესასწავლად, რომლის ინტერესების დამკველადაც გვევლინება იოანე, როგორც სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელი, არამედ მასთან საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე სხვა სამთავროების, განსაკუთრებით კი ვასპურაკანისა და სივნიეთის ისტორიული წარსულის შესახებაც. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი უდიდესი ნდობით ეკიდებოდა იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში სივნიეთის სამთავროს შესახებ დაცულ ცნობებს და იყენებდა მათ თავის თხზულებაში IX—X საუკუნეების სივნიეთის ისტორიის გადმოსაცემად. იგი არაერთგზის იხსენიებს იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიას“, როგორც წყაროს¹⁰⁸. ასევე საგულისხმო ცნობებია შემონახული იოანეს თხზულებაში არწრუნის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ისტორიიდან. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „სომხეთის ისტორიის“ მთელი მასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ იოანე დრასხანაკერტელი უმთავრესად ბაგრატუნიანთა დინასტიის ისტორიკოსი იყო.

სწორედ ამიტომ იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში უმთავრესი ადგილი ეთმობა ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომად-

¹⁰⁸ *Պատմութիւն Նահանգին Սիսական արքերալ Ստեփաննիսի Օրբելեան Արքեպիսկոպոսի Սիւննաց...*, გვ. 106, 226, 276.

გენელთა (აშოტ სუმბატის ძის, სუმბატ აშოტის ძისა და აშოტ ერ-
კათის) დროის ე. ი. IX საუკუნის მიწურულისა და X საუკუნის I
მეოთხედის სომხეთის თავგადასავლის გადმოცემას.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა სწორედ თხრობის არათანა-
ზომიერება იოანე კათალიკოსის თხზულების ცალკეულ ნაწილებს
შორის. დასაწყისი ნაწილი ზოგად ხასიათს ატარებს. მართალია, აქ
იოანეს წინარე ხანის თითქმის ყველა საყურადღებო ფაქტზეა მი-
თითებული, მაგრამ მოკლედ. სამაგიეროდ მისი თანადროული ხანა,
დაახლოებით IX საუკუნის II ნახევრიდან 925 წლამდე, ფაქ-
ტებით მდიდარია; აქ უფრო მეტად იგრძნობა თვით ავტორის მიერ
განცდილი და თვითხილული ამბების სიმრავლე. თან მას ერთ-
ვის იოანესათვის ჩვეული სენტიმენტალიზმი, რომელიც ხშირად
გადაჭარბებულ ხასიათს ღებულობს. ახალი და ძველი აღთქმიდან
ციტატების სიხშირეც უმთავრესად თხზულების II ნაწილზე მოდის.
რაც ხშირად ბუნდოვანსა და ორაზროვანს ხდის მთელ რიგ ადგი-
ლებს და ამძიმებს სტილს. ამჯერად ჩვენს მიზანს სცილდება თხზუ-
ლების მხატვრული ანალიზი, რადგანაც ძველი გვანტერესებს რო-
გორც ისტორიული წყარო, მაგრამ ერთს კი მივუთითებთ: იოანე
დრასხანაკერტელი ხშირად მიმართავს სხვადასხვა პოეტურ ხერ-
ხებს (ჰიპერბოლას, მეტაფორას, ეპითეტს, შედარებას და სხვ.).
რომლებიც უმთავრესად გმირებისა, თუ სიტუაციების იდეალიზა-
ციისათვის არის გამოყენებული.

იოანე დრასხანაკერტელი თითქოს გაურბის გარკვეულ, მარ-
ტივ ფრაზებს და მთელი თხზულება ხშირად ზედმეტი ლირიული
წიაღსვლებით აქვს გადატვირთული. აკად. მანუქ აბელიანი ერთ-
გვარ წინააღმდეგობაში ვარდება იოანე კათალიკოსის პოეტური ხე-
ლოვნების შეფესებისას; მაგალითად, ერთ ადგილას იგი წერს:
„იოანე უფრო ხშირად წერს მსუბუქად და ნათლად“; მაგრამ იქვე,
ცოტა ქვევით მკვლევარი დასძენს: „იოანე არ არის მოყვარული ნა-
თელი და გასაგები სტილისა“¹⁰⁹.

ჩვენი აზრით, უფრო მართებულია და სინამდვილესთან ახლოს
მდგომი აკად. მანუქ აბელიანის მეორე მოსაზრება იოანე დრასხანა-
კერტელის სტილის შესახებ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ აკად. სტ. მალ-
ხასიანცის შეხედულებას, თითქოს იოანე დრასხანაკერტელის მძიმე
და ხშირად ბუნდოვანი სტილი „შედგება ცუდი სკოლისა, განუსჯე-
ლი მიმდევრობისა, ბრმად აღებისა ძველ ავტორთაგან იმისა, რაც

¹⁰⁹ *Մ ա ն ու լ է Ա բ ե դ յ ա ն, Հ ա յ ո յ հ ի ն գ ր ա խ ա ն ու լ թ յ ա ն պ ա տ մ ու լ թ յ ա ն, 4 և ր ք 1... 3 ք. 438, 439.*

რამ ლამაზია, იმისათვის ანგარიშგაუწევლად, ეს ნასესხობები შეესაბამებიან თუ არა თავიანთ დროს... იოანე კათალიკოსის ეს ნაკლი ცუდი სკოლის, მისი უკემოვნობისა და განურჩევლობის შედეგია¹¹⁰.

საქმე ისაა, რომ იოანე დრასხანაეკრტელის სტილის. მისი წერის მანერის შესახებ საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: იოანე კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში საგრძნობ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი სომხური ენის განვითარებაში. აღნიშნული ხანისათვის ძველი სომხური ენა — გრაბარი — სასწავლო, სასკოლო ენად იქცა, ხოლო მის პარალელურად უკვე სასაუბრო ე. წ. მდაბიო (*ყსყჲოც*) სომხური ენა შემოვიდა ხმარებაში. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული როდინიშნავდა იმას, რომ ეს ორი ენა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან¹¹¹.

ძირითადი სხვაობა მათ შორის სტილსა და წერის მანერაში გამოიხატებოდა. იმ დროს, როდესაც I ენაზე, ე. ი. გრაბარზე, შექმნილი ნაწარმოებები ხასიათდებოდნენ სტილის სიმძიმით, პოეტური სიტყვაკაზმულობით, წარსულის ამსახველი შემოქმედების მიმბაძველობითა და ხშირად გადაჭარბებული ლირიული წიაღსვლებით. ე. წ. „მდაბიო“ ენაზე დაწერილი თხზულებები გამოირჩეოდნენ სტილის სისადავით, მარტივი და გასაგები წერის მანერით.

იოანე დრასხანაეკრტელის „სომხეთის ისტორია“ სწორედ გრაბარით დაწერილ ნაწარმოებს წარმოადგენს და მას თითქმის უკლებლივ ახასიათებს ამ ენაზე შექმნილი თხზულებების ზემოთ აღნიშნული დამახასიათებელი თვისებები. იოანე კათალიკოსი, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ძველი სომხური ენის სიტყვაკაზმულობისა და მხატვრული ოსტატობის უპირატესობას „მდაბიო“ ენასთან შედარებით. თითქმის თავის თანამედროვე ისტორიკოსს შაჰუჰ ბაგრატუნს, რომელიც სწორედ ამ ე. წ. მდაბიო ენაზე წერდა, იოანე კათალიკოსი უწუნებს წერის მანერას, ნათელ და გასაგებ სტილს. „თუმცა მან ვერ შეძლო—წერს იგი—მწიგნობრული ხერხებით მოკლედ გადმოეცა განმსაზღვრელი სიტყვის ახსნის კეშმარიტება... მაგრამ თავისი დროის

¹¹⁰ *Ս տ. Մ ա լ խ ա ս յ ա ն ց, Մ ա տ ի ն ա ղ ի տ ա կ ա ն ղ ի տ ո ղ ու թ յ ու ն ն ք...*, 83. 206.

¹¹¹ *Մ. Ա բ և զ յ ա ն, Հ ա յ ո յ Գ ի ն զ ր ա կ ա ն ու թ յ ա ն ս կ ա տ ու թ յ ու ն, զ ի ը Ը I...*, 83. 438.

მისედვით ახლოს იყო რა ყველა ამ ამბავთან, მდაბიო ენით საკმარისად გაწვდის შენ ცნობებს“¹¹²..

იოანე დრასხანაკერტელის წერის მანერის ერთ ყველაზე თვალსაჩინო და მტკივნეულ ნაკლს ქრონოლოგიის საგრძნობი სიმცირე წარმოადგენს. აკად. სტ. მალხასიანცის სამართლიანი მითითებით „იოანეს, როგორც ამბების თანამედროვესა და ხშირად მონაწილეს, შეეძლო სწორი თარიღით აღენიშნა ესა თუ ის მნიშვნელოვანი შემთხვევა, მაგრამ მის ისტორიაში ვერ ვხვდებით ქრონოლოგიას“¹¹³.

იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში სულ რამდენიმე თარიღია მითითებული, ისიც ნაკლებ საყურადღებო. ქრონოლოგიის მიმართ იოანე კათალიკოსის ასეთი გულგრილი დამოკიდებულებით არის სწორედ გამოწვეული მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა, თუ თვით „სომხეთის ისტორიის“ შესახები მრავალი საკითხის ჯერ კიდევ გაურკვეველობა და უზუსტობა. ასეთ დასაზუსტებელ საკითხთა რიგს ეკუთვნის სწორედ საკითხი იოანე დრასხანაკერტელის შრომის დაწერის დროის შესახებ. სამწუხაროდ, იოანე ისტორიკოსს არსად არა აქვს მითითებული თხზულების წერის დაწყების დროის შესახებ. ჩვენთვის საყურადღებო საკითხის გადაწყვეტა ისევ მისავე „სომხეთის ისტორია“-ში დაცული მასალის გაანალიზებისა და შესწავლის შედეგად თუ მოხერხდება.

იოანე დრასხანაკერტელის თხზულების დაწერის თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრებანი იყო გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. პირველი მკვლევარი, რომელიც ამ საკითხს შეეხო, მიქელ ჩამჩიანი იყო. იგი „სომხეთის ისტორიის“ დაწერის დროის საკითხს იოანე კათალიკოსის სარწმუნოებრივი მრწამსის განსაზღვრისათვის იშველიებდა და დარწმუნებით აღნიშნავდა, თითქოს იოანე ისტორიკოსმა თავისი თხზულების I ნაწილი შექმნა კათალიკოსობამდე, ხოლო მეორე ნაწილი კათალიკოსად დადგინების, ე. ი. 897 წლის შემდეგ. მიქელ ჩამჩიანის მოსაზრების დაწვრილებით განხილვა აქ ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან სათანადო ადგილას, სახელდობრ, იოანე დრასხანაკერტელის სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ საუბრისას, ამ საკითხსაც ვეხებით. მხოლოდ მიუუთითებთ, რომ როგორც მიქელ ჩამჩიანის, ასევე მისი თანამოაზრე

¹¹² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 29

¹¹³ *Մ ա. Մ ա լ խ ա ս յ ա ն ց.*, *Մատենագիտական դիտողություններ...*, გვ. 206 — 207.

მკვლევრების (ფ. ლაგარდის, გ. ზარბჰანალიანისა და სხვ.) შეხედულება იოანე კათალიკოსის თხზულების დაწერის თარიღის შესახებ თავის დროზე გააკრიტიკა მკრტიჩ ემინმა და ამხილა მისი უსაფუძვლობა¹¹⁴. მკრტიჩ ემინის აზრით „სომხეთის ისტორია“ უნდა დაწერილიყო იოანე დრასხანაკერტელის კათალიკოსად დადგინების შემდეგ, სასელდობრ, სიბერის ასაკში. აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ, მხოლოდ საკითხის უფრო დაზუსტებისა და გარკვევისათვის ერთ გარემოებაზე გვსურს შევამჩროთ. ყურადღება: იოანე დრასხანაკერტელი თავისი თხზულების წინასიტყვაობაში გარკვევით მიუთითებს, რომ ვინაიდან დროით შეზღუდულობა მას არ აძლევს შესაძლებლობას ვრცლად ილაპარაკოს წარსული ისტორიის შესახებ, მოკლედ ეხება მას და უფრო დაწვრილებით აღწერს თავის თანამედროვე ამბებს¹¹⁵. იოანე ისტორიკოსს რომ მართლაც ჯერ კიდევ კათალიკოსად დადგინებამდე, ე. ი. 897 წლამდე დაეწყო თავისი თხზულების წერა, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა იმის აღნიშვნა, რომ სიბერე კარს არის მომდგარი და უნდა ვიჩქარო წარსული თავგადასავლის აღწერაო.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად ერთი რამ ირკვევა: იოანემ თავისი თხზულების წერა დაიწყო არაუადრეს 921 წლისა. ასეთ გადაწყვეტილებამდე ჩვენ შემდეგმა ფაქტებმა მიგვიყვანეს: „სომხეთის ისტორიის“ წინასიტყვაობაში იოანე დრასხანაკერტელი უკვე მომხდარ და წარსულ ამბებს შორის აშოტ ერკათის ბიძაშვილის — აშოტ შაპუჰის ძის სომხეთის მესამე მეფედ¹¹⁶ კურთხევის ფაქტზეც მიუთითებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 921 წელს. „სომხეთის ისტორიის“ წერის დაწყების დროს, ვთქვათ არაბთა წინააღმდეგ სომხების 923—924 წლების ბრძოლა უკვე მომხდარი ფაქტი რომ ყოფილიყო, იოანე კათალიკოსი ისევე მოიხსენიებდა მას თავისი თხზულების წინასიტყვაობაში, როგორც იხსენიებს აშოტის გამეფებას 921 წელს. ვინაიდან ეს უკანასკნელი ფაქტი ყველაზე უგვიანესი ფაქტთაგანია იმათ შორის, რომლებზედაც იოანე „სომხეთის ისტორიის“ დასაწყის ნაწილში მიუთითებს. ამიტომ

¹¹⁴ *მ. ი. ჯანაშვილი, ლაგარდის, ზარბჰანალიანისა და სხვ. შეხედულება იოანე კათალიკოსის თხზულების დაწერის თარიღის შესახებ, თბილისი, 1958 წ.*

¹¹⁵ იქვე, გვ. 3 — 10.

¹¹⁶ აღნიშნული პერიოდისათვის სომხეთში სამი მეფე იყო: აშოტ სუმბატის ძე, ვრკათად წოდებული, გაგიკ არწრუნი და აშოტ შაპუჰის ძე.

იოანე დრასხანაკერტელის თხზულების წერის დაწყების თარიღად უნდა მივიჩნიოთ დრო არაუადრეს 921 წლისა. ხოლო რაც შეეხება თხზულების დამთავრების ხანას, „სომხეთის ისტორია“-ში მოცემული მასალები შემდეგი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას გვაძლევენ: იოანე დრასხანაკერტელი თავის თხზულებას 924 წლის ამბების აღწერით ამთავრებს. მის „სომხეთის ისტორიას“ დამთავრებული სახე აქვს, ძირითად ტექსტს ბოლოსიტყვაობაც კი ერთვის, ასე რომ ავადმყოფობისა, თუ სიკვდილის მიზეზით თხზულების წერის შეწყვეტა გამორიცხებულია. უფრო შესაძლებელია, რომ იოანეს საკმარისად მიუჩნევია სომხეთის თავგადასავალი აშოტ სუმბატის ძის არაბთა წინააღმდეგ წარმატებითი ლაშქრობის აღწერით დემთავრებინა, რასაც 923—924 წლებში ჰქონდა ადგილი. სავსებით დასაშვებია, რომ იოანემ დაასრულა თხზულება და შემდეგ კიდევ იცოცხლა რამდენიმე წელი. მაგრამ, ვინაიდან იოანეს გარდაცვალების თარიღად ვვარაუდობთ 925—931 წწ.-ს, ასევე არ არის უჩვეულო მისი თხზულების დასრულების ვადაც 925—931 წლებით შემოვფარგლოთ.

პირდაპირი მითითება იმის შესახებ, თუ ვისი დაკვეთით დაწერა იოანე კათალიკოსმა ეს საკმაოდ დიდი მოცულობის თხზულება, არ მოგვეპოვება. მხოლოდ ერთხელ, „სომხეთის ისტორიის“ ბოლოსიტყვაობაში იოანე დრასხანაკერტელი გაკვრით მიუთითებს, რომ ისტორიის აღწერას ხელი მიჰყო მეფეთა ბრძანებით¹¹⁷. აკად. მ. აბელიანის სწორი შენიშვნით ამ მეფეებში უნდა ვივარაუდოთ აშოტ სუმბატის ძე, ერკათად წოდებული და გაგიკ არწრუნი¹¹⁸, რომლებთანაც წლების მანძილზე საკუთარ სამწყსოს მოშორებულმა იოანემ მშვიდობიანი თავშესაფარი პოვა.

თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მძიმე გზას, დავრწმუნდებით, რომ იოანე ისტორიკოსს სწორედ მხოლოდ 920-იანი წლებისათვის თუ შეეძლო „სომხეთის ისტორიის“ წერას შესდგომოდა, რადგანაც 920-იან წლებამდე გარეშე და შინაური ბრძოლებით შექმნილი ძნელებდობის ხანაში სომხური ეკლესიის საქეთმპყრობელს — იოანე კათალიკოსს — მშვიდად ჯდომისა და თავს გადამხდარი უბე-

¹¹⁷ მიქაილანოი. *Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցույ Պատմութիւն Հայոց*... 362 — 363.

¹¹⁸ Մ. Աբելյան, *Հայոց հին գրականության պատմութիւն, գիրք 1...*, 33. 436.

დურებების აღნუსხვის შესაძლებლობა არ ექნებოდა, რასაც აშკარად მოწმობს „სომხეთის ისტორია“-ში დაცული მასალები.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებისა და მასალების ერთმანეთთან შეჭერების საფუძველზე შესაძლებელია იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ დაწერის დრო 921—930-იანი წლებით შემოვფარგლოთ.

2. „სომხეთის ისტორიის“ წყაროები

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროების საკითხი სპეციალური კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. მკვლევართა უმრავლესობა იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ განხილვისას სრულიად გვერდს უხვევდა მისი წყაროების გარკვევის საჭიროებას, ხოლო ისინი (ფ. ლაგარდი, ფ. ნევე, გ. ზარბ-ჰანალიანი, ლ. ალიშანი, ვ. ფაფაზიანი, ა. ზამინიანი, მ. აბელიანი, სტ. მალხასიანი, ჰ. არუთუნიანი), რომლებიც კი ოროდღე ფრაზით ეხებოდნენ ამ საყურადღებო საკითხს, „სომხეთის ისტორიის“ წყაროთაგან მხოლოდ ზოგიერთის დასახელებით კმაყოფილებოდნენ და სრულიად არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ. თუ როგორ სარგებლობდა იოანე ამ წყაროებით, ან ამა თუ იმ მასალას რომელ თხზულებაზე დაყრდნობით გადმოსცემდა.

„სომხეთის ისტორიის“ ყოველმხრივ შესწავლისა და მისი, როგორც ისტორიული ძეგლის მეცნიერული ღირებულების შეფასებისათვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ წყაროების გამოვლენას, რომლებითაც უსარგებლია იოანე ისტორიკოსს.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროების კვლევისას მთელი რიგი საკითხები წამოიჭრა ჩვენს წინაშე. ჯერ-ერთი, დასადგენია თვით იმ წყაროების ხასიათი, რომლებიც გამოიყენა ისტორიკოსმა თავისი არათანადროული ხანის გადმოსაცემად. მეორე მხრივ კი გასარკვევია მის მიერ ამ წყაროების გამოყენების მეთოდები: რა დამოკიდებულებაშია ავტორი წინარე ხანის ისტორიკოსებთან, როგორ ამუშავებს მათი ნაშრომებიდან აღებულ მასალას, უმატებს რაიმეს, ან ასწორებს, თუ უცვლელი სახით გადმოაქვს თავის „სომხეთის ისტორია“-ში და სხვ.

სანამ უშუალოდ დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროების გამოვლინებასა და დაზუსტებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად ჩამოვავალიბოთ მის მიერ პირველ-წყაროებით სარგებლობის მეთოდები და თან დაეაჯგუფოთ იოანეს

თხზულებაში გამოყენებული მასალა მისი ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით.

როგორც ირკვევა, იოანე დრასხანაკერტელი დიდი სიფრთხილითა და სერიოზულობით ეკიდება სხვათა თხზულებიდან, თუ ზეპირი გადმოცემების მეშვეობით მოპოვებული მასალის შერჩევასა და გამოყენებას საკუთარი თხზულებისათვის და მის სანდოობასა და უტყუარობასაც ხშირად საცესებით ვერ იღებს თავის თავზე. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გადავიკითხოთ მისი თხზულების „სომხეთის ისტორიის“ შესავალი და დასაწყისი ნაწილი, რომელიც სწორედ იოანეს არათანადროულ ხანას ასახავს. იოანე ისტორიკოსი, საერთოდ, მოკლედ, ზოგად ხაზებში ეხება თავის არათანადროულ ხანას, მაგრამ მის გადმოცემის დროსაც განსხვავებული ინტერესითა და მოცულობით აღწერს ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას. იგი ამ შემთხვევაში ითვალისწინებს თავისი წინარე ხანის ისტორიის სრული და ზედმიწევნითი სახით გადმოცემის შეუძლებლობას და თავისი თანადროული ხანის ამბებამდე მხოლოდ ისეთი ფაქტების გადმოცემაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც აუცილებელია თხზულების სისრულისათვის და მისი მიზანდასახულობის გასამართლებლად. იოანე დრასხანაკერტელს ზედმეტად მიაჩნია მეორეხარისხოვანი ამბისა, თუ მოვლენის დაწვრილებით აღწერა. მისი საგანი, მისივე სიტყვებით, იმ ჰიროვარამისა და უბედურების გადმოცემაა, რომელიც თავს დაატყდა სომეხ ხალხს¹¹⁹. განსაკუთრებით კი იგი ყურადღებას ამახვილებს თავის თანადროულ პერიოდზე. ამ უკანასკნელ ფაქტზე მეტყველებს სწორედ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში გადმოცემული თანადროული და წინარე ხანის ამბების ურთიერთთან შეფარდება: სომხეთის ისტორიას. დასაბამიდან 850 წლამდე ამსახველ მასალას, უჭირავს დაახლოებით მთელი თხზულების ერთი მესამედი ნაწილი, თხზულების დანარჩენ ნაწილს კი იოანეს თანადროული ხანის ამბები მოიცავენ.

იოანე დრასხანაკერტელს ზედმეტად მიაჩნია კვლავ დაწვრილებით გაიმეოროს მისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან აღწერილი ამბები. ასე მაგალითად, როდესაც იგი აშოტ ბაგრატიუნის თავგადასავლის აღწერას მიჰყოფს ხელს, წინასწარ აფრთხილებს მკითხველს, რომ „საჭიროდ ვცანი, აღარ გამემეორებინა ჩვენი დროის ისტორი-

¹¹⁹ მ ი ძ ა ნ ა ნ ი ლ ჯ ა მ ბ ი ე ლ ი ი ზ ო რ ა ა ხ ა ნ ა ლ ხ რ ა ს ე ლ ი ე
ყ ა თ ა მ ი ლ მ ჭ ა ნ ჯ ა ნ ე . . . , გვ. 5.

კოსის შაჰუპ ბაგრატუნის [მიერ აღწერილი] ამბები... ამრიგად მე აქ ყოველივეს მას ვუტოვებ და რაც ეხლა აუცილებლობის გამო საჭიროა მოსათხრობად, მხოლოდ მას გადმოგცემ შენ მოკლედ, ვეცდები მცირედი შესავლის სახით¹²⁰. იოანე დრასხანაკერტელის მიერ შაჰუპ ბაგრატუნის ნაშრომით სარგებლობის მეთოდი შეიძლება გავაერცლოთ იმ წყაროთა მიმართაც, რომლებსაც, მართალია, ისტორიკოსი არ ასახელებს, მაგრამ მათი გამოყენების უტყუარი კვალი თვით „სომხეთის ისტორია“-ში მოცემულ მასალას ატყვია. იოანე კათალიკოსი თითქოს თავს იზღვევს მოსალოდნელი საყვედურისა და 'მენიშენებისაგან, რომლებიც შესაძლებელია დაებადოს მკითხველს არათანადროული ხანის ამბების მის თხზულებაში არასრული სახით გადმოცემის გამო. ამიტომ იოანე კათალიკოსი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ესა თუ ის ამბავი უფრო ადრე სხვა ისტორიკოსებთან არის მოთხრობილი, ამიტომ ამჯერად ამითაც დავეკმაყოფილდეთ¹²¹.

იოანე დრასხანაკერტელს გამოყენებულ წყაროთაგან ყველა როდი აქვს დამოწმებული. იგი მხოლოდ მისე ხორენელს, აგათანგელოსსა და შაჰუპ ბაგრატუნის ასახელებს და ისიც ზოგადად; თითქმის არსად არ მიუთითებს, თუ ესა და ეს მასალა რომელი ისტორიკოსის თხზულებიდან აქვს აღებული. მართალია, იოანეს მიერ გამოყენებულ სხვა წყაროებზე „სომხეთის ისტორია“-ში არაფერია თქმული, მაგრამ ერთი კი უდავოა: ავტორის გამოთქმებში: „მოგვითხრობენ“, „გადმოგვცემენ“, „გვიჩვენებენ“, „აღწერენ“, „ზოგიერთთაგან გაგვიგონია“, „როგორც ამბობენ“ და სხვა მრავალი, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად თხზულების წინა ნაწილში გვხვდება, სწორედ ის დაუსახელებელი წყაროები ივარაუდება, რომელთა გამოვლინება და შესწავლა ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროების კვლევას ხშირად ის გარემოება ართულებს, რომ მისი თხზულების ზოგ ადგილს სუსტად ატყვია წყაროს კვალი. იოანე კათალიკოსი თავისი თხზულებისათვის საჭირო მასალის ერთი გარკვეული წესით გამოყენებას როდი მისდევს. რიგ შემთხვევებში იგი მიმართავს ამა თუ იმ წყაროს მისთვის საინტერესო ამბისა, თუ მოვლენის მოკლე

¹²⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 28 — 29.

¹²¹ *Մեյքաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտელი Գատուժիւն Հայոց...*, გვ. 8 — 53.

შინაარსის გადმოსაცემად, ზოგჯერ კი მას უცვლელი სახით გამოაქვს რომელიმე წყაროდან გარკვეული მასალა. მაგრამ ასეთ შემთხვევას, როგორც ირკვევა, უმთავრესად ბიბლიით სარგებლობისას აქვს ადგილი.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროთაგან უმრავლესობა მწიგნობრულია, მაგრამ მას ხალხური ზეპირსიტყვაობაც უნდა ჰქონდეს გამოყენებული. წერილობითი წყაროები კი მათი ხასიათის მიხედვით შემდეგნაირად შეგვიძლია დავაჯგუფოთ: 1. ბიბლიური, 2. ლიტერატურული და 3. ისტორიული.

X საუკუნისათვის, როდესაც შეიქმნა იოანე კათალიკოსის თხზულება „სომხეთის ისტორია“, სომხურ ენაზე საკმაოდ მდიდარი ორიგინალური ისტორიული ლიტერატურა არსებობდა. იოანე დრასხანაკერტელი, როგორც იმ დროისათვის განათლებული პიროვნება, იცნობდა სომხურ სასიტორიო წყაროებს და სათანადოდაც იყენებდა მათ. „სომხეთის ისტორიის“ ყველა ის ადგილი, რომელიც იოანეს არათანადრული ხანის ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას ასახავს, უმრავლეს შემთხვევაში, მსგავს შესატყვისს პოულობს წინარე პერიოდის სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ ერთი უეჭველი წყაროთაგანი, რომელსაც თვით ავტორი ასახელებს, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ა. სანამ უშუალოდ ამ ორი ნაწარმოების ურთიერთმიმართებაზე გვექნება საუბარი, მივუთითებთ გავლენის იმ კვალზე, რომელიც მოსე ხორენელის ნაწარმოებს იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ კონსტრუქციაზე დაუჩნევია. ფორმის მხრივ თხზულების ანალიზის დროს უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ ორი ნაწარმოების ერთნაირი სათაური — „სომხეთის ისტორია“. ამრიგად, ორივე ისტორიკოსის თხრობის საგანი ერთი და იგივეა — ალიწეროს სომხეთის ისტორია დასაბამიდან ავტორების თანადროულ ხანამდე. სტილის მხრივაც საკმაოდ მსგავსება შეინიშნება იოანე ისტორიკოსისა და მოსე ხორენელის ნაწარმოებებს შორის. ასე მაგალითად, აგარიანელთაგან თავს დატეხილი უბედურების უფრო მუქ ფერებში წარმოსადგენად იოანე დრასხანაკერტელი ისეთივე მეთოდებს მიმართავს, რომლებიც მოსე ხორენელს აქვს გამოყენებული თავისი თხზულების ბოლო თავში, სადაც ისტორიკოსი გოდებს და მოთქვამს სომხეთში მეფობის გაუქმებასთან დაკავშირებით, რასაც 428 წელს ჰქონდა ადგილი. იგივე ადგილი, რომელსაც ვხვდებით მოსე ხორენელთან, იოანე

დრასხანაკერტელს ოდნავ შეცვლილი სახით თავის თხზულებაში შეუტანია:

მოსე ხორენელი

„სედგეია ტყვედ წაიყვანეს და აღარც ზორაბაბელი ჩანს, რომ სამეფო განაახლოს. ანტიოქოსი გვიძღლებს მივატოვოთ მშობლიური რაჯული, ხოლო მატათეა ვერ შეებრძოლება [მოძალადეს]; ბრძოლამ გარემოგვიცვა ჩვენ, ხოლო მაკაბე ვერ გვიხსნის“¹²².

იოანე დრასხანაკერტელი

„სედგეია ტყვედ წაიყვანეს და აღარც ზორაბაბელი ჩანს, რომ სომეხთა შერყეული სამეფო განაახლოს. აზაიელი მიწვეულია ისრაელის ამოსაწყვეტად და ჩვენ ბრძოლით გარემოგვიცვის. მაკაბე ლალატით მოიკლა უბოროტეს მტარვალთაგან და არ შეუძლია ჩვენი ხსნა ჩვენს შემვიწროებელთაგან, ანტიოქოსი გვიძღლებს მივატოვოთ ჩვენი ქრისტიანული რაჯული და წესი. მატათეა არ არის ცოცხალი, რომ შეებრძოლოს ბოროტ ნოძალადეს“¹²³.

იოანე დრასხანაკერტელის მიერ გამოყენებულ წყაროთაგან ყველაზე მეტად იგი სწორედ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ზე ჩანს დამოკიდებული. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ საუბრის დროსაც კი, როგორცაა მესრობ-მაშტოცის მიერ სომხური ანბანის გამოგონება, ფაქტობრივი მასალის გადმოცემისას იოანე კათალიკოსი უშუალო წყაროთი, კორიუნის „მესრობ-მაშტოცის ცხოვრებით“ კი არ სარგებლობს, არამედ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ მიმართავს. მაშტოცის მიერ ანბანის გამოგონების აღწერის შემცველი ადგილები, რომლებსაც კი ცხვდებით იოანე ისტორიკოსის ნაშრომში, ყველაზე მეტად მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ შესაბამის მონაკვეთებს ემთხვევა. მაგრამ, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, თითქოს იოანე დრასხანაკერტელი კორიუნის თხზულებას სრულებით არ იცნობდა და ამიტომ გამოიყენა ამ შემთხვევაში მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“. ჩვენი აზრით, იოანე კათალიკოსმა საქმის გასაადვილებლად უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია მესრობ-მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ საუბრისას მოსე ხორენელის თხზულებაში სომხური ანბანის გამოგონებლის შესახებ უკვე თავმოყრილი ცნობებით ესარგებლა, ვიდრე კორიუნის მთელი თხზულების შესწავლასა და იქიდან თავისთვის საჭირო მასალე-

¹²² *Մ յ յ ա խ յ ա ի Ն ի ը Ն ի ղ ա ղ յ յ Պ ա տ մ ի լ խ ի Ն Հ ա յ յ յ ...*, გვ. 377.

¹²³ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 203.

ბის შერჩევას შესდგომოდა. აქვე ამასთანავე იმსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ თავიდანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ მომდევნო ხანის ისტორიულ ნაშრომთა ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ წარმოადგენდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ იოანე დრასხანაკერტელმა მესრობ-მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას თავისი თხზულებისათვის საჭირო ცნობები მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიიდან“ ამოკრიბა.

თუ მესრობ-მაშტოცის შესახებ იოანესა და მოსე ხორენელის თხზულებებში დაცულ მასალებს ერთმანეთს შევეუდარებთ, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში იოანეს ზოგი ადგილი ხორენელის ნაწარმოებიდან სიტყვა-სიტყვით შეუტანია თავის „სომხეთის ისტორია“-ში, ზოგიერთი ცოტაოდენ გარდაუქმნია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოუკრებიან მხოლოდ ძირითადი მომენტები, მაგრამ მაინც მას აშკარად ატყვია მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ გავლენის კვალი.

მოსე ხორენელი

„ამ დროს მოვიდა მესრობი და მოიტანა ჩვენი ანბანი და ვრამშაპუჭისა და დიდი საპაკის ბრძანებით შეკრიბა რჩეული, გონიერი და მხნე საამოდ მოსაუბრე ყრმები. ყველა გავარსი დააარსა სკოლები და განსწავლა სპარსულთა ნაწილის ყველა მხარე, ბერძენთა ნაწილის გარდა, რომელიც, ემორჩილებოდა კეისრის ტახტს და უნდა ესარგებლა ბერძენული ანბანითა და ენით და არა ასურულით.“

ხოლო მესრობი წავიდა ქართველთა კვეყანაში. ზეგარდმო მადლის წყალობით მათთვისაც შექმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძენული და სომხური ენებიდან მთარგმნელი იყო. მათი დამხმარე იყო ბაკურ მცფე და მოსე ეპისკოპოსი. შეარჩიეს ყრმები, დაჰყვეს ორ ჯგუფად, მათ მასწავლებლებად განაწესა თავის მოწაფეთაგან ხორძენელი და მუშე ტარონელი.

თვით კი გაემართა ალბანეთს, მათ მეფესთან არსვალენთან და ერეგია კა-

იოანე დრასხანაკერტელი

„ამ დროს მოვიდა მესრობი და მოიტანა ჩვენი ანბანი, რომელიც მას თითქოს მონიკებული ჰქონდა ღმრთის მადლთა განგებით, ხოლო დიდი საპაკის ბრძანებით მან მაშინვე შეკრიბა გონიერი, მოაზროვნე, გულისხმიერი და საამოდ მოსაუბრე ყრმები და ყველა გავარსი სკოლები დააარსა, რათა განესწავლა ისინი დიდი გულმოდგინებით.“

ამის შემდეგ იგი წავიდა ქართველებთან და იქ მათი ენის მიხედვით შეადგინა ანბანი და დააარსა სკოლები და განაწესა იქ მასწავლებლები.

შემდეგ [მესრობი] გადავიდა ალბანთა მხარეში და მათაც შეუქმნა ანბანი მა-

თალიკოსთან, რომლებმაც ნებით მიიღეს მისი მოქალაქეობა და მისცეს მას რჩეული ყრმები. მან მოიხზო თავისთან ერთი მადლიანი მთარგმნელი, სახელად ბენიამინი, რომელიც დაუყონებლივ გამოგზავნა სივნიეთის ახალგაზრდა უფალმა ვასაკმა თვისი ეპისკოპოსის ანანიას საშუალებით. მათი დახმარებით [მესროპმა] შექმნა ანბანი მათი ხორხისმიერი, უხეში და ტუხილი ენის შესაბამისად. იქ ზედამხედველად დასტოვა თავისი მოწაფე ჰოენათანი, ამავე დროს სამეფო კარზე მღვდლები განაწესა.

თვით კი დაბრუნდა სომხეთში და პოვა იქ წმინდა საპაკი, რომელიც გართული იყო [საღმრთო წიგნის] ასურულიდან თარგმნით, ვინაიდან ბერძნულად არ არსებობდა [სათარგმნელი წიგნი]¹²⁴.

როგორც აღნიშნული ნაწყვეტებიდან ჩანს, იოანე დრასხანაკერტელი თავის მხრივ არაფერს არ უმატებს, არამედ მხოლოდ ძირითადის გადმოცემით კმაყოფილდება. მაგალითად, მას საჭიროდ არ მიუჩნევია მოსე ხორენელის თხზულებაში მითითებული რამდენიმე ფაქტის გადმოტანა თავის „სომხეთის ისტორია“-ში, კერძოდ, ქართველთა მეფის ბაკურისა და მოსე ეპისკოპოსის მიერ მესროპ-მამტოცისათვის გარკვეული დახმარების აღმოჩენა, ან ალბანთა მეფისა და კათალიკოსის სახელთა მოხსენება, ან სივნიეთის უფლის ვასაკის საქმიანობა, რომელიც ალბანეთში მესროპ-მამტოცის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

ძველ სომეხ ისტორიკოსთაგან, გარდა კორიუნისა და მოსე ხორენელისა სომხური ანბანის შექმნის ფაქტი ლაზარე ფარპელის თხზულებაშიც დასტურდება. როგორც მოსე ხორენელისათვის, ასევე ლაზარე ფარპელისათვის ამ საკითხის ირგვლივ საუბრისას ამოსავალ წყაროს კორიუნის თხზულება წარმოადგენს. მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებებიდან ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ნაწყვეტები ახლოს დგანან კორიუნის ნაწარ-

თი ნახევრად ხორხისმიერი და ტუხილი ენის შესაბამისად და იქაც სასწავლებლები დააწესა.

შემდეგ კი თვით კვლავ დაბრუნდა სომხეთში და პოვა იქ წმინდა საპაკი, რომელიც დაუცხრომელი თარგმნითი [საქმიანობით] იყო გართული¹²⁵.

¹²⁴ Մ ի վ ի ն է ի ի Ն ի ր Ե Ն ա զ Ե յ Պ ա տ մ ի թ ի Ն Հ ա յ ր ց... , გვ. 341 — 343.

¹²⁵ Յ ի վ ր ա Ն Ն ի Լ Հ ա թ ի ղ ի Լ ի յ ի Ն Դ ր ա ի խ Ն ա Ն Կ Ի ր տ Ե Ն Ե Լ յ Պ ա տ մ ի թ ի Ն Հ ա յ ր ց... , გვ. 54.

მოების შესაბამის ნაწყვეტთან¹²⁶. მაგრამ მიუხედავად ამისა. იოანე დრასხანაკერტელისათვის მესროპ-მამტოცის ისტორიის გადმოცემისას უშუალო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ მოსე ხორენელის თხზულება „სომხეთის ისტორია“ და არა კორიუნის „მესროპის ცხოვრება“. რადგანაც მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებათა შესაბამისი ნაწყვეტების ერთმანეთთან შედარებიდან არკვევა, რომ გარდა შინაარსობლივი იგივეობისა, ამ მონაკვეთების ფრაზეოლოგიურ დამთხვევებთანაც გვაქვს საქმე.

იოანე დრასხანაკერტელის, კორიუნისა და მოსე ხორენელის თხზულებათა სათანადო ადგილების შედარებისას განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება: მიუხედავად იმისა, რომ იოანე ისტორიკოსს მესროპ-მამტოცის შესახებ საუბრისას უშუალო წყაროდ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ აქვს გამოყენებული, სომხური ანბანის შექმნის თარიღის განსაზღვრისას იგი მოსე ხორენელის თხზულებას კი არ ემყარება, არამედ მხედველობაში აქვს კორიუნის ნაწარმოებში მოცემული მასალა, მაგრამ ისიც არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილი. აღნიშნულის ნათელსაყოფად შევუდაროთ ერთმანეთს სამივე წყაროს მონაცემები სომხური ანბანის შექმნის თარიღის შესახებ.

კორიუნი	მოსე ხორენელი	იოანე დრასხანაკერტელი
„[ვრამშაპუჰის] მეფობის მე-5 წელს [ჰაბელმა] მიადწია მასთან. ხოლო მეფემ საჰაკთან და მამტოცთან შეთანხმებით მიიღო ანბანი ჰაბელისაგან და ფრიად განიხარეს. ნეტარმა მამტოცმა მეფის ბრძანებით აიყვანა ყრმების ერთი ჯგუფი და წმინდა საჰაკთან შეთანხმებით... სომეხთა მეფის	„არკადი გარდაიცვალა, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი თეოდოსე, მცირედ წოდებული. მას ისეთივე მეგობრობა ჰქონდა ჩვენ ქვეყანასთან და ჩვენ მეფე ვრამშაპუჰთან... და მშვიდობა ჩამოაგდო სპარსთა მეფე იეზდიგერდთან. ამ დროს მოვიდა მესროპი და მოიტანა ჩვენი ანბანი“ ¹²⁷ .	„გარდაიცვალა სპარსთა მეფე არტაშირი და მის ნაცვლად გამეფდა ვრამი. ამ დროს მოვიდა მესროპი და მოიტანა ჩვენი ანბანი“ ¹²⁸ .

¹²⁶ *Մ Ր Ժ Ե Կ Ի Խ Ո Ր Է Ն Ա Մ Ե Լ Ո Կ Պատմութիւն Հայոց...*, გვ. 341--343. *Կ Ո Ր Է Լ Ն Պատմութիւն վարդաբեկ մահուան սրբոյն Մխարոյայ վարդապետի...*, გვ. 48 — 49.

Յ Ո Վ Դ Ա Ն Ն Ո Ը Կ Վ Ք Ո Ղ Ի Կ Ո Ս Ի Դ Ե Ր Ա Ս Խ Ա Ն Ա Կ Ի Ը Ր Ե Տ Ե Լ Ո Կ Պատմութիւն Հայոց..., გვ. 54 — 55.

¹²⁷ *Մ Ր Ժ Ե Կ Ի Խ Ո Ր Է Ն Ա Մ Ե Լ Ո Կ Պատմութիւն Հայոց...*, გვ. 341.

¹²⁸ *Յ Ո Վ Դ Ա Ն Ն Ո Ը Կ Վ Ք Ո Ղ Ի Կ Ո Ս Ի Դ Ե Ր Ա Ս Խ Ա Ն Ա Կ Ի Ը Ր Ե Տ Ե Լ Ո Կ Պատմութիւն Հայոց...*, გვ. 54.

ვრამშაპუჰის მეფობის მე-5 წელს გაემართა და მი-აღწია არამის მხარეს, ასურელთა ორ ქალაქს, რომელთაგან ერთს ედესია ერქვა, მეორეს კი ამიდა“¹²⁹.

„სომხური დამწერლობა დასაბამს იღებს იეზიდოგერდის მეფობის მე-8 წლიდან“¹³⁰.

„ამ დროს გამეფდა თეოდოსე მცირე, მოვიდა ნეტარი მესროპი, სომეხთა მოძღვარი, და მოუტანა ჩვენი ანბანი წმინდა სპაჰსა და სომეხთა მეფე ვრამშაპუჰს“¹³¹.

დასახელებული ნაწყვეტების გაანალიზებისა და მათი ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსების შედეგად შემდეგი ირკვევა: კორიუნის I ცნობა მაშტოცის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდს შეეხება, IV საუკუნის დასასრულს, უფრო ზუსტად, ცნობაში მითითებული მონაცემების მიხედვით 391—392 წელს (ვრამშაპუჰის მეფობის მე-5 წელს)¹³². იმავე კორიუნის მე-2 ცნობა სომხური დამწერლობის დასაბამს იეზიდოგერდის მეფობის¹³³ მე-8 წლიდან, ე. ი. 406 წლიდან მიიჩნევს. მე-3 ცნობის თანახმად კი მაშტოცის მიერ ანბანის შექმნის ფაქტი თეოდოსე მცირის¹³⁴ გამეფების პერიოდს ემთხვევა, ე. ი. დაახლოებით 408—410 წლებს. მოსე ხორენელიც კორიუნის მესამე ცნობის მიხედვით მესროპ-მაშტოცის მიერ ანბანის გამოგონებას თეოდოსე მცირის გამეფების ხანას უკავშირებს. იოანე დრასხანაკერტელი კი სომხური ანბანის შექმნის პერიოდად სპარსთა მეფის ვრამის¹³⁵ გამეფების ხანას მიიჩნევს.

¹²⁹ ყ ი რ ქ ს ზ მ ა თ მ ი ლ მ ქ ს ზ ქ თ რ ი ლ ე ..., გვ. 12 — 14.

¹³⁰ ი ქ ე ე, გვ. 43.

¹³¹ ი ქ ე ე, გვ. 48.

¹³² სომეხთა მეფე ვრამშაპუჰი სამეფო ტახტს განაგებდა 387 — 8 — 413 — 414 წლებში.

¹³³ სპარსეთის მეფე იეზიდოგერდი მეფობდა 399 — 420 წლებში.

¹³⁴ თეოდოსე მცირე, მეფე არკადის შვილი, მეფობდა 408 — 450 წლებში.

¹³⁵ სპარსთა მეფე ვრამი მეფობდა 388 — 399 წლებში.

ამრიგად, მოსე ხორენელის ნაშრომიდან ზემოთ მოტანილი მონაცემების მიხედვით, სომხური ანბანი ჩამოყალიბდა მე-5 საუკუნის დასაწყისში, ხოლო იოანე დრასხანაკერტელის თანახმად — მე-4 საუკუნის მიწურულში. რაც შეეხება კორიუნის თხზულებას, აქ ცოტა სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე: კორიუნის ნაწარმოებიდან ჩვენ მიერ მოტანილი ცნობების ერთმანეთისაგან ქრონოლოგიური განსხვავება (I ცნობით სომხური ანბანის შექმნის ხანად მითითებულია მე-4 საუკუნის მიწურული, II და III ცნობების მიხედვით კი მე-5 საუკუნის დასაწყისი) შემდეგნაირად უნდა აიხსნას: კორიუნის I ცნობა მაშტოცის საქმიანობის დასაწყისს შეეხება, II და III ცნობები კი უკვე სომხური ანბანის შექმნის შემდგომ ეტაპებს ასახავენ. ასე რომ აღნიშნულ ცნობებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა სრულიად გასაგებია.

როგორც ჩანს, მოსე ხორენელმა განსაკუთრებით ყურადღება მიჰქცია სომხური ანბანის შემუშავების უკანასკნელ ეტაპს და ამიტომაც საერთოდ სომხური დამწერლობის დასაწყის ხანად მე-5 საუკუნის დამდეგი მიიჩნია. რაც შეეხება იოანე დრასხანაკერტელს, მან სომხური ანბანის შექმნის შესახებ საუბრისას ამ საკითხის ირგვლივ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ფაქტობრივი მონაცემებით ისარგებლა, ხოლო თარიღის განსაზღვრისათვის კორიუნის ნაშრომი გამოიყენა. მაგრამ, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, იოანე დრასხანაკერტელმა გაითვალისწინა კორიუნის მხოლოდ I ცნობა, რომელიც მესროპ-მაშტოცის მოღვაწეობის I პერიოდს შეეხება, ე. ი. IV საუკუნის დასასრულს. იოანე დრასხანაკერტელის მიერ კორიუნის დანარჩენი ცნობების, კერძოდ, მისი ნაშრომის დასასრულის გაუთვალისწინებლობა (სადაც საუბარი სწორედ სომხური ანბანის შექმნის უკანასკნელ ეტაპზეა, V საუკუნის დასაწყისზე) შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას. იოანე დრასხანაკერტელი, ჩვენი აზრით, სარგებლობდა კორიუნის თხზულების შემცველი არასრული ნუსხით, ე. ი. ისეთით, რომელსაც არ ჰქონდა დასასრული, ან ისეთით, რომელშიც ნაწარმოების დასასრული თავდაპირველ დედანთან შედარებით ფაქტების დამახინჯებას შეიცავდა; ვთქვათ, იქაც ნაცვლად V საუკუნის დასაწყისისა, მითითებული იყო IV საუკუნის მიწურული. ზემოთქმულთან დაკავშირებით ასევე შეიძლება გავიზიაროთ ჰ. მანანდიანის მოსაზრება, რომლის თანახმადაც იოანე დრასხანაკერტელი სარგებლობდა კორიუნის ნაწარმოების დასასრულის იმ თავდაპირველი ტექსტით, „რომელშიც სომხური დამწერლობის დასაწყისად მითი-

აებულება ვრამ კრმანის პერიოდი, ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელი¹³⁶.

თუ გავითვალისწინებთ შემდგომი პერიოდის ამბებს, დაახლოებით V საუკუნის 40-იან წლებამდე, საპაჰ კათალიკოსისა და მესროპ-მამშტოცის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდამდე, დაეინახავი, რომ მათ შესახებ საუბრის დროსაც იოანე კათალიკოსი უშუალოდ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიურ დამთხვევებთან არა გვაქვს საქმე, არამედ ავტორს მხოლოდ ამოუკრებია ძირითადი მომენტები და მათი მოკლე შინაარსი გადმოუცია¹³⁷.

მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებიდან ზემოთ დასახელებული მაგალითების გარდა იოანე ისტორიკოსის „სომხეთის ისტორია“-ში კიდევ მრავლად გვხვდება ისეთი ხელჩასაქიდი მასალა, რომელიც გვარწმუნებს, რომ იოანე დრასხანაკერტელს უმთავრესად მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიით“ უსარგებლია. ხშირად ერთი და იგივე მასალა მოსე ხორენელსა და იოანე დრასხანაკერტელს განსხვავებული სისრულითა და განლაგებით აქვთ გადმოცემული. იმ დროს, როდესაც მოსე ხორენელი დაწვრილებით აღწერს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტსა. თუ მოვლენას, იოანე კათალიკოსი ზოგადად ეხება მას. საერთოდ იოანე დრასხანაკერტელი თავისი წინარე ხანის ამბების გადმოცემისას გვერდს უხვევს თხზულების უამრავი ფაქტებით გადატვირთვას. და მხოლოდ ძირითადზე ამახვილებს ყურადღებას. იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ მისი წინამორბედი სომეხი ისტორიკოსების თხზულებებთან შედარებამ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: იოანე კათალიკოსი თავისი ქვეყნის აღრინდელ ისტორიას უმთავრესად სწორედ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ზე დაყრდნობით აღწერს. ასეთი განცხადების უფლებას, სომხური წყაროების ერთმანეთთან შედარების გარეშეც კი, შემდეგი გარემოება გვაძლევს: იოანე დრასხანაკერტელის წინამორბედ ისტორიკოსთაგან, გარდა მოსე ხორენელისა, არც ერთი ისტორიკოსი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში VII საუკუნის ისტორიკოს სებეოსს, რომელიც სქემატურად წერს სომხეთის აღრინდელ ისტორიას) არ ეხება სომხეთის ის-

¹³⁶ ჯ. შ ა ნ ა ნ ი კ ა ნ, *Հայ դրերի գյուտի տარեթիլի հარეცი շուրջ*. იბ. *Մեհարոպ Մաչათու, Հովակոսների ժողովածու, Երևան*, 1962, გვ. 102.

¹³⁷ შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 343 — 382, იოანე დრასხანაკერტელი გვ. 55 — 58.

ტორიის ადრინდელ პერიოდს, არამედ უფრო გვიანდელი ამბების აღწერით; იწყებენ თავის თხზულებებს.

მოსე ხორენელის მსგავსად იოანე დრასხანაკერტელიც წარლენიდან, ნოეს შთამომავლობის ისტორიის გადმოცემით იწყებს თავის თხზულებას, მაგრამ უფრო მოკლედ და ზოგადად ეხება ამ საკითხს¹³⁸. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე იოანე დრასხანაკერტელისა და მოსე ხორენელის თხზულებებში მითების (ჰაიკისა და ბელის, არამის, არა მშვენიერისა და სემირამიდას) ამსახველი მასალების ერთმანეთთან შედარებისას¹³⁹. როგორც მოსე ხორენელი, ასევე იოანე დრასხანაკერტელი ერთნაირი თანმიმდევრობით გადმოგვცემენ სომეხთა პირველი მეფის პარუირისა და მისი შთამომავლობის (ჰრაჩიას, ფარნავაზის, პაქუიჯის, კორნაკის, ფავოსის, მეორე ჰაიკის, ერვანდისა და ტიგრან დიდის) თავგადასავალს¹⁴⁰. განსხვავებას მხოლოდ მასალას მოცულობაში ვხედავთ. იმ დროს, როდესაც მოსე ხორენელი დეტალურად ეხება მათ ისტორიას, იოანე დრასხანაკერტელი იგივეს მოკლედ გადმოსცემს და უმთავრესად პარუირის შთამომავლობის მხოლოდ სახელების ჩამოთვლით კმაყოფილდება. მოსე ხორენელის მსგავსად, იოანე დრასხანაკერტელიც უფრო მეტ ადგილს უთმობს სომხეთის ისტორიული ეპოქის აღწერას. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ტიგრან დიდის მოღვაწეობაზე, მაგრამ მაინც „სომხეთის ისტორია“-ში და მოსე ხორენელის თხზულებაში ტიგრანის შესახები მასალები მოცულობის მიხედვით საგრძნობ განსხვავებას იძლევა¹⁴¹. ასეთივე ვიოარება გრძელდება შემდგომი პერიოდის ამბების დროსაც. მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომებიდან შესატყვისი ადგილების მოტანით ჩვენ აქ აღარ დავყოვნდებით, მხოლოდ მივუთითებთ, რომ იოანე დრასხანაკერტელი მეტ-ნაკლები სისრულით ყურადღების გარეშე არ ტოვებს სომხეთის უძველესი პერიოდის ის-

¹³⁸ შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 3 — 25.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 9 — 14.

¹³⁹ ვინაიდან ყველა შეატყვისი ადგილას საილუსტრაციოდ მოტანა შეუძლებლად მიგვაჩნია, ორივე თხზულებიდან მხოლოდ შესაბამისი გვერდების დასახელებით დავკმაყოფილდებით.

შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 31 — 37, 42 — 49.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 15 — 16, 17 — 18.

¹⁴⁰ შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 65 — 71.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 20 — 21.

¹⁴¹ შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 71 — 85.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 21 — 22.

ტორიის თითქმის არცერთ საკითხს და სომეხ მეფეთა თავგადასავალთან ერთად გადმოგვეცემს როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდელ, ასევე ჩვენი წელთაღრიცხვის ამბებს¹⁴².

იოანე დრასხანაკერტელი ერთხელ გაკვირით მოიხსენიებს ისტორიკოს აგათანგელოზს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს, რომ იოანე კათალიკოსი თავის „სომხეთის ისტორია“-ში გარკვეული ისტორიული ამბების გადმოცემისას აუცილებლად სწორედ აგათანგელოზის თხზულებიდან აღებული მასალით სარგებლობს.

იოანე დრასხანაკერტელისა და აგათანგელოზის თხზულებების ერთმანეთთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ იოანე დრასხანაკერტელს აგათანგელოზის „სომხეთის ისტორიით“ არ უსარგებლია. ბუნებრივია, დაიბაღოს კითხვა: სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხის გადმოსაცემად იოანე დრასხანაკერტელმა რომელ წყაროს მიანიჭა უპირატესობა აგათანგელოზის თხზულებასთან შედარებით, რომელიც ამ საკითხის შესასწავლად ერთ-ერთ პირველ წყაროს წარმოადგენს. თუ კი იოანე სხვა წყაროს იყენებს, მაშინ რატომღა მიუთითებს: „როგორც ყოველივე სრულად გადმოგვეცანიჭებრმა ისტორიკოსმა აგათანგელოზმაო“¹⁴³. საკითხის გასარკვევად ისევ ისტორიულ წყაროებს მივმართოთ.

გარდა აგათანგელოზისა სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს იოანეს წინამორბედ ისტორიკოსთაგან სისრულით ეხებიან ფავსტოს ბიზანტიელი, მოსე ხორენელი, ლაზარე ფარპელი. სებეოსი.

იმის გამოსარკვევად, თუ ამ ავტორთაგან რომლის ნაწარმოებით ისარგებლა იოანემ აღნიშნული საკითხის გადმოსაცემად, საჭიროდ ჩავთვალეთ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ მასალის შედარება ჩამოთვლილი ისტორიკოსების ნაშრომებთან. მასალების ერთმანეთთან შეჯერებამ გამოარკვია, რომ ამჯერადაც იოანე დრასხანაკერტელს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიით“ უსარგებლია. ასეთ გადაწყვეტილებამდე შემდეგმა გა-

¹⁴² შდრ. მოსე ხორენელი, გვ. გვ. 98 — 113, 113 — 116, 116 — 122, 122 — 133, 133 — 135, 135 — 140, 140 — 156, 156 — 161, 174 — 193, 205 — 244, 244 — 248, 248 — 260, 265 — 270, 281 — 307, 307 — 338

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. გვ. 23 — 24, 24 — 27, 27 — 28, 28 — 31, 31 — 32, 32, 32 — 35, 35 — 36, 36 — 37, 37 — 39, 39 — 40, 41 — 43, 43 — 45, 45 — 50, 51 — 54.

¹⁴³ მ ი ქ ა ნ ა ნ ი ლ ზ ა მ ი ე ლ ი ი ა ნ ზ რ ა ა ხ ა ნ ა კ ს რ თ ს ე ლ ი
«კათალიკოსი ჯაკიფი», გვ. 37.

რემოებამ მიგვიყვანა: როგორც იოანე დრასხანაკერტელი, ასევე მოსე ხორენელი გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის გადმოცემასთან დაკავშირებით ასახელებენ აგათანგელოზს. მართალია, ფრანგოლოგიურ დამთხვევას არა აქვს აქ ადგილი, მაგრამ შინაარსი ერთი და იგივეა. მოსე ხორენელიც ამ ამბების მომწოდებელ წყაროდ ასახელებს ტრდატ მეფის ნიჭიერ მდივანს აგათანგელოზს.

ზემოთ აღნიშნული ამბების გადმოცემისას იოანე დრასხანაკერტელი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“-ზე რომ არ იყოს დამოკიდებული, მაშინ ზუსტად იგივეს აღარ გაიმეორებდა და რაღაც სხვაგვარ კონტექსტში მოიხსენებდა აგათანგელოზს.

ფაქტების ასეთი თვალსაჩინო დამთხვევა¹⁴⁴ კი იმის დამამტკიცებელია, რომ იოანე დრასხანაკერტელს ამ შემთხვევაშიც მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიით“ უსარგებლია და არა აგათანგელოზის თხზულებით.

მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. იოანე დრასხანაკერტელს თავისი თხზულების დასაწყისში ერთი ასეთი ცნობა აქვს დაცული: „მარ-აბას კატინა, ტომით სირიელი, ჩვენი მეფის ვალარშაკის ბრძანებით წავიდა სპარსეთის მეფეთა არქივში. იგი გონიერი და განსწავლული კაცი იყო, მცოდნე ქალდეურისა და ბერძნულისა. მან იქ გამოიძია და იბოვა ერთი სანდო მატთანე, რომელიც ნექტანების შვილის ალექსანდრეს ბრძანებით თარგმნილი იყო ქალდეურიდან ბერძნულად. [ამ მატთანეში] თუმცა მრავლად იყო მოცემული თქმულებები სხვადასხვა ხალხის შესახებ, მაგრამ [მარ-აბას კატინამ]... მხოლოდ ჩვენი ხალხის შესახებ [ცნობები] ამოკრიბა და მოუტანა ვალარშაკს“¹⁴⁵.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით ფრანგმა მკვლევარმა ფელიქს ლაგარდმა არასწორი დასკვნები გამოიტანა. მისი აზრით „ორი მთავარი წყარო, საიდანაც [იოანე დრასხანაკერტელი] კრებს ცნობებს სომეხი ხალხის წარმოშობის შესახებ, არის ბიბლია და უცხო მწერალთა მიერ შედგენილი ქრონიკები. ეს უმთავრესად შეეხება ქალდეველ ისტორიკოსებს, რომელთა ნაშრომები

¹⁴⁴ შდრ. მოსე ხორენელი, გვ. 205 — 206.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 37 — 38.

¹⁴⁵ *Мелкисаянц. История Армянской Церкви*, гл. 14.

თარგმნილია ბერძნულად და ინახება სპარსეთის სამეფო არქივში, სომეხთა მეფის ვალარშაკის დროიდან¹⁴⁶.

ფელქის ლაგარდმა ყურადღება მიაქცია მხოლოდ იოანე ისტორიკოსის მითითებას იმის შესახებ, რომ მარ აბას კატინას¹⁴⁷ მიერ აღმოჩენილი მატანე ქალდეურიდან ბერძნულად იყო თარგმნილიო. იოანეს ამ განცხადებიდან მან დაასკვნა, თითქოს იოანე კათალიკოსმა უშუალოდ ქალდეველ ისტორიკოსთა ნაშრომებით ისარგებლა. როგორც მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, იოანე დრასხანაკერტელს არა თუ ქალდეური, ან ბერძნული მატანეებით არ უსარგებლია, არამედ მისთვის უშუალო წყაროს არც მარ აბას კატინას ნაშრომი წარმოადგენს. რაც შეეხება მარ აბას კატინას სახელის მოხსენებას იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში, ამ შემთხვევაშიც აგათანგელოზის სახელის მოხსენიების ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, იოანე დრასხანაკერტელისათვის უშუალო წყაროს მარ აბას კატინას ნაშრომი არ წარმოადგენს. მას იგი მხოლოდ მოსე ხორენელის თხზულებიდან იცნობს და უცვლელადვე იმეორებს მოსე ხორენელთან მარ აბას კატინას შესახებ დაცულ ცნობას.

სომხეთის მომდევნო პერიოდის ისტორიის გადმოცემისას იოანე დრასხანაკერტელის თხრობაში დარღვეულია ის თანმიმდევრობა, რომელიც მას მოსე ხორენელის თხზულებით სარგებლობის დროს ახასიათებს. ეს უმთავრესად იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ V საუკუნის მომდევნო ხანის ისტორიის აღწერისას იოანე კათალიკოსს უკვე ხელთ აღარ ჰქონდა მოსე ხორენელის თხზულების მსგავსი, სომხეთის თავგადასავლის სრული სახით შემცველი რაიმე ისტორიული წყარო, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსე ხორენელის გარდა, იოანე დრასხანაკერტელის წინამორბედი ისტორიკოსები სომხეთის მხოლოდ გარკვეული პერიოდის თავგადასავალს გადმოგვცემენ. აღნიშნულმა გარემოებამ თავისებური დალი დასვა იოანე დრასხანაკერტელის თხზულების იმ ნაწილს,

¹⁴⁶ Histoire d'Arménie par le patriarche Jean VI..., გვ. XIII.

¹⁴⁷ მარ აბას კატინას ნაშრომი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ ერთ-ერთ წყაროდ არის მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში. მოსე ხორენელი მას უმთავრესად ძველი მითების გადმოსაცემად მიმართავს. როგორც აკად. მანუკ აბელიანი აღნიშნავს, მოსე ხორენელი სარგებლობს მარ აბას კატინას მასალებით თავისი „სომხეთის ისტორიის“ I წიგნის მე-9 თავიდან დაწყებული II წიგნის მე-9 თავამდე. უფრო დაწვრილებით მარ აბას კატინას შესახებ იხ. *Մ. Ա. Է. Կ. Կ. Կ. Կ., Հայոց ինն դրսեանիւթյան պատմութիւն, գլ. Բ. 1.*, გვ. 262 — 266.

რომელშიც ასახულია სომხეთის თავგადასავალი V საუკუნის მე-2 ნახევრიდან იოანეს თანადროულ ხანამდე. ყოველივე ზემოთქმულის გამო უფრო რთულდება იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ ამ მონაკვეთის წყაროების დაძებნა.

თუ აღრეული პერიოდის (დასაბამიდან V საუკუნის II ნახევრამდე) სომხეთის ისტორიის გადმოცემისას იოანე დრასხანაკერტელის ყურადღების გარეშე არ რჩებოდა თითქმის არც ერთი ფაქტი, V საუკუნის მომდევნო ხანის ამბების აღწერისას იგი ზოგ საყურადღებო საკითხსაც კი სულ ორიოდ ფრაზით ეხება. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სპარსელების წინააღმდეგ ვარდანელთა 450—451 წლის ცნობილი ბრძოლის ისტორია, რომელსაც ცალკე თხზულება მიუძღვნა ელიშემე. იმავე აჯანყების შესახებ არანაკლები სისრულით აქვს მოთხრობილი აგრეთვე ლაზარე ფარპელსაც. იოანე დრასხანაკერტელი კი სულ ორიოდ ფრაზით, ზოგადად მოიხსენიებს ვარდანელთა ბრძოლის ისტორიას¹⁴⁸, ყოველგვარი ფაქტობრივი მასალის დამოწმების გარეშე. იოანე დრასხანაკერტელთან არაფერია თქმული აჯანყების გამომწვევი ძირითადი მიზეზების, ან ვარდან მამიკონიანისა და მისი თანამებრძოლების სამხედრო გეგმებისა და საომარი მოქმედების შესახებ, რაც ასე დაწვრილებით აქვთ აღწერილი ელიშესა და ლაზარე ფარპელს.

V საუკუნის I ნახევრის შემდგომი პერიოდის ამბების გადმოცემისას, ისევე როგორც თხზულების წინა ნაწილში, იოანე დრასხანაკერტელი ზედმიწევნითი სიზუსტით იცავს სომეხი კათალიკოსების რიგს, რის მიხედვითაც ხერხდება „სომხეთის ისტორია“-ში გადმოცემული ფაქტების ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა. ამ უკანასკნელ გარმოებას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს თარიღების სიმცირის დროს, რაც იოანე დრასხანაკერტელის თხზულების ერთ ყველაზე შესამჩნევ ნაკლს წარმოადგენს. ჩვეულებრივ იოანე დრასხანაკერტელის წერის მანერის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს რომელიმე სომეხი კათალიკოსის კათალიკოსად ყოფნის დროის ხანგრძლივობის დასახელება (მაგ. ეპყრა საკათალიკოსო ტახტი 11 წელი) და იქვე მითითება: მის დროს, ან ამ დროს (*იორომ ძამანასიქი, ეაკიოლ ძამანასკად, იქნჩი აკიოიხი...*) ამა და ამ ფაქტს ჰქონდა ადგილიო.

¹⁴⁸ *Յուդիաննու Հայկողիկոսի Դրասխտնակե ըտեցւոյ Պատմութիւն Հայոց...*, թ. 59 — 60.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული იოანე დრასხანაკერტელის იდეოლოგიის განხილვისას, იგი თავის თხზულებაში მითითების გარეშე არ ტოვებს სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებულ თათქმის არც ერთ საკითხს. განსაკუთრებით კი ხაზს უსვამს იგი ჯერ კიდევ აღრე, კერძოდ. VI საუკუნეში, სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის დოგმატიკური დაპირისპირების ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას.

როგორც ირკვევა, აღნიშნული საკითხის შესახები მასალები იოანე დრასხანაკერტელს „ეპისტოლეთა წიგნი“-დან (*ჟიქე ქიქიე*) ამოუკრებიან. მაგალითად, სომეხთა კათალიკოსის ბაბგენის (450—516) თაოსნობით მოწვეული სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა კრების შესახებ საუბრისას¹⁴⁹ იოანე ისტორიკოსი სწორედ ეპისტოლეთა წიგნიში დაცულ მასალებს ეყრდნობა¹⁵⁰.

„სომეხეთის ისტორია“-ში კიდევ ერთ საყურადღებო ცნობას ვხვდებით, რომლის უშუალო წყაროს „ეპისტოლეთა წიგნი“ უნდა წარმოადგენდეს¹⁵¹. ეს ცნობ. აბრაამ სომეხთა კათალიკოსისა და კირიონ ქართლის კათალიკოსის დავას შეეხება.

იოანე ისტორიკოსი „ეპისტოლეთა წიგნით“ სარგებლობისას, ბუნებრივია, გაეცნობოდა როგორც აბრაამ კათალიკოსის (607—615 წწ.), ასევე კირიონ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლეებს¹⁵². მაგრამ, როგორც მის თხზულებაში აღნიშნული საკითხის შესახები მასალების განხილვიდან გაირკვა; იგი უგულებელჰყოფს დიოფიზიტური ეკლესიის გამგებლის კირიონის მიერ სომხური ეკლესიის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს და მხოლოდ აბრაამ კათალიკოსის ეპისტოლეებზე დაყრდნობით ყველაფერში ქართლის კათალიკოსს ადანაშაულებს. ამ შემთხვევაში აშკარად მკლავნდება იოანე დრასხანაკერტელის ტენდენციური დამოკიდებულება ისტორიული წყაროს მიმართ. როგორც ჩანს, „ეპისტოლეთა წიგნი“-დან გარკვეული საკითხების შესახები მასალების მთლიანი სახით მოტანა იოანე ისტორიკოსს საჭიროდ არ მიუჩნევია და მხოლოდ შინაარსის მოკლე გადმოცემით დაკმაყოფილებულა.

¹⁴⁹ *ბიქიანსილ ყაქიქიქიასი...* *შათილქისს ჯაიე...*, გვ. 62.

¹⁵⁰ *ჟიქე ქიქიე...* გვ. 45 — 50.

¹⁵¹ ეინაიდან აღნიშნული ცნობა განხილულია იოანე დრასხანაკერტელის სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ საუბრისას, ამჯერად მასზე აღარ შეეჩერებდით.

¹⁵² *ჟიქე ქიქიე...* გვ. 110 — 195.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში ავტორის არათანადროული ხანის ამსახველი მასალების შესწავლამ ამ თხზულების კიდევ ერთ უეჭველ მწიგნობრულ წყაროს მიგვაგნებინა. ეს არის VII საუკუნის ისტორიკოსის სებეოსის ნაშრომი.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელი თავის წიგნში არსად არ ახსენებს სებეოსის სახელს, მაგრამ, როგორც ამას უფრო კვემით დავინახავთ, მას აუცილებლად ხელთ ჰქონდა სებეოსის თხზულება და სათანადოდაც გამოუყენებია იგი. სებეოსის და იოანე კათალიკოსის ნაშრომებში შესატყვისი ადგილების ურთიერთთან შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ იოანე დრასხანაკერტელს უმთავრესად ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის შინაარსი გადმოაქვს თავის წიგნში, ასე რომ ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიურ დამთხვევებს ვერ ვხვდებით.

იოანე კათალიკოსი სებეოსის თხზულებით უმთავრესად მავრიკე (582—602 წწ.), ჰერაკლე (610—641 წწ.) და კონსტანტინე (642—668) კეისრების ეპოქის ამბების გადმოცემისას სარგებლობს.

იოანე დრასხანაკერტელის წინარე ხანის მასალების შესწავლისას ჩვენი ყურადღება ერთმა ასეთმა ცნობამ მიიპყრო: „მავრიკე კეისრის ბრძანებით ბერძენთა მხარეში კათალიკოსად დაადგინეს ვინმე. იოანე, რომელიც კოგის გავარის სოფელ ბაგარანიდან იყო. დაამკვიდრეს იგი დაბა-ქალაქ ავანში... ხოლო დიდი მამამთავარი აბრაამი... დამკვიდრდა სპარსთა ნაწილში, ქალაქ დეინში, რადგანაც, მდინარე აზატი ორივე ნაწილის შუაში საზღვრად გადის...“.¹⁵³

მოტანილ ცნობაში ქრონოლოგიური სიზუსტის დარღვევასთან გვაქვს საქმე. მავრიკე კეისრისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ერთად მოხსენიება რაღაც გაუგებრობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგანაც აბრაამ ალბათანელი სომხეთის ეკლესიას განაგებდა 607—615 წლებში¹⁵⁴, მავრიკე კეისარს კი 582—602 წლებში ვხედავთ ბიზანტიის სამეფო ტახტის გამგებლად¹⁵⁵.

ასეთივე ცნობას სებეოსის თხზულებაშიც ვხვდებით, მხოლოდ იქ ქრონოლოგიის დარღვევას არა აქვს ადგილი. სებეოსთან ნაცვლად აბრაამ კათალიკოსისა მოხსენებულია სომეხთა კათალიკოსი მოსე ელივარდელი, რომელიც კათალიკოსად იყო 574—604 წლებში¹⁵⁶.

¹⁵³ *Յոհաննէս Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն Հայոց...*, გვ. 72 — 73.

¹⁵⁴ *Աղբյուրատուն...*, გვ. 615 — 658.

¹⁵⁵ *Ш. Дилъ, История Византийской империи*, 1948, гв. 44, 48.

¹⁵⁶ *Աղբյուրատուն...*, გვ. 567 — 614.

ამ უკანასკნელისა და მავრიკე კეისრის ერთად მოხსენიება კი არც ქრონოლოგიურ სიზუსტეს არ არღვევს და სინამდვილესთანაც უფრო ახლოს დგას. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ჩვენთვის საინტერესო ცნობის ანალოგიურ ცნობას სებეოსის თხზულებიდანაც: „[მავრიკე] კეისრის მიერ გამოიცა ბრძანება, რომ სომხეთის ყველა ეკლესიაში ექადაგათ ქალკედონის კრების [გადაწყვეტილებანი]... ამავ დროს საკათალიკოსო ტახტი ორ ნაწილად დაიყო. ერთი [კათალიკოსის] სახელი იყო მოსე, მეორისა კი იოანე. მოსე სპარსთა მხრიდან, იოანე კი ბერძენთა“¹⁵⁷.

ამრიგად, მასალები შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: იოანე დრასხანაკერტელს მავრიკე კეისრის დროს სომხეთის საკათალიკოსო ტახტის გაყოფის შესახებ ცნობები ამოუკრებიან სებეოსის თხზულებიდან, მხოლოდ დაუშვია შეცდომა — ნაცვლად მოსე ელივარდელისა აბრაამ სომეხთა კათალიკოსი მოუხსენებია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე შეცდომა გამეორებული აქვს სომეხ ისტორიკოს სტეფანოს ტარონელს, რომლისთვისაც იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორია“ საერთოდ ერთ-ერთ ძირითად წერილობით წყაროს წარმოადგენს. აი, რას ვკითხულობთ სტეფანოს ასოლიკის „მსოფლიო ისტორია“-ში: „მავრიკე კეისარმა ვინმე იოვანე დასვა კათალიკოსად ბერძენთა ნაწილში, აბრაამი კი დაჯდა დვინში“-ო¹⁵⁸.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბიზანტიის კეისრის მავრიკეს ეპოქის ამბების აღწერისას იოანე დრასხანაკერტელი სებეოსის თხზულებით სარგებლობდა. მაგრამ, როგორც მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, მავრიკეს დროინდელ ყველა ფაქტზე როდი შეიძლება აწიის თქმა. იოანე კათალიკოსის თხზულებაში ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული მავრიკე კეისრის მიერ სომხეთის სხვადასხვა ნაწილებად დაყოფის შესახებ, რასაც ვერ ვხვდებით არა თუ სებეოსის, არამედ იოანეს წინამორბედა სხვა ისტორიკოსის ნაშრომშიც. ამ ცნობის თანახმად: „მავრიკე კეისარმა სახელები შეუტევა იმ ქვეყნებს, რომლებიც ჩვენმა არამმა დააარსა, არმენიას, რომელსაც ადრე ბ ი რ ვ ე ლ ს ო მ ხ ე თ ს უწოდებდნენ, მავრიკემ მ ე ო რ ე ს ო მ ხ ე თ ი შეარქვა. აქ იყო დედაქალაქი სებასტია. კაპადოკიას, სადაც იყო დედაქალაქი კესარია და რომელსაც ადრე მ ე ო რ ე ს ო მ ხ ე -

¹⁵⁷ *გაათმობილნი შერქიანი სულცილიიანი ჰერაკლნი...*, გვ. 84.

¹⁵⁸ *შათიქანიანი შაქინსელია გაათმობილნი თინიქრასიანი...*

თი ეწოდებოდა. მან მე ს ა მ ე ს ო მ ხ ე თ ი უწოდა. მელიტენეს, რომელსაც თავისივე სახელწოდების გავარები აქვს, მე ს ა მ ე ს ო მ ხ ე თ ს პ ი რ ვ ე ლ ი ს ო მ ხ ე თ ი შეარქვა, პანტოს, სადაც არის დედაქალაქი ტრაპიზონი, უწოდა დიდი ს ო მ ხ ე თ ი ს ნაწილი და მე ო რ ე ს ო მ ხ ე თ ი, სადაც არის დედაქალაქი მარტიროსოპოლი, ანუ ნტრკერტი, იუსტინეს საჯდომი ქალაქი... კარინის ქვეყანას, სადაც დედაქალაქი თეოდოსიოპოლი იყო, დიდი ს ო მ ხ ე თ ა ი ს დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ი უწოდა. დიდი სომხეთიდან რომაელთა მხარეს დარჩენილ ნაწილს, ბასიანიდან ასურეთამდე, დიდი ს ო მ ხ ე თ ი შეარქვა, ხოლო ტაიას მხარეს, თავისი საზღვრებითურთ — უ ლ რ მ ე ს ი ს ო მ ხ ე თ ი, ქალაქ დვისის მხარეს — შ ი გ ნ ი თ ა ს ო მ ხ ე თ ო. ასეთი ცვლილებები მოახდინა მეავრიკემ და ყოველივე აღბეჭდა სამეფო არქივში“.¹⁵⁹

ზუსტად ასეთივე ცნობას, არა თუ შინაარსის, არამედ ფრაზების დამთხვევითაც კი, წავაწყდით XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის (აღმოსავლელის) ნაშრომში „მსოფლიო ისტორია“¹⁶⁰. ადგილების ასეთ. დამთხვევა უფრო იმით უნდა აიხსნას, რომ ამ შემთხვევაში ვარდან დიდი იყენებს იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომს, მაგრამ არც ის არის წარმოუდგენელი, თუ ვივარაუდებთ, რომ ვარდან დიდსა და იოანე დრასხანაკერტელს რომელიღაც მესამე საერთო წყაროთი უსარგებლიათ. ხელშესახები მასალების უქონლობის გამო ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით ამ ვარაუდის სასარგებლოდ, მაგრამ ერთს კი მივუთითებთ. ჩვენი აზრით, იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში ჩართული ეს საინტერესო ცნობა მეავრიკე კეისრის მიერ სომხეთის ნაწილებისათვის სახელების გადაარქმევის შესახებ დღეისათვის უცნობი რომელიღაც მწიგნობრულ წყაროს თუ არა, ზეპირ გადმოცემას მაინც უნდა ემყარებოდეს და არ უნდა წარმოადგენდეს იოანე კათალიკოსის შენათხზსა და პირად ფანტაზიას, რასაც ყოველგვარი საბუთის გარეშე აცხადებს მკვლევარი ა. ზამინიანი¹⁶¹.

მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ შემდეგ, ჩვენი დაკვირვებით, იოანე დრასხანაკერტელი ყველაზე მეტად სებეოსის თხზულებით სარგებლობს. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული

¹⁵⁹ *Յովհաննու Սամբուկուսի Պատմութիւն հայոց...*, გვ. 68. — 69.

¹⁶⁰ *Մեծիւն Վարդանայ Բարձրընդհեղոյ Պատմութիւն-տիեզերական, ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա, 1861*, გვ. 83.

¹⁶¹ *Ա. Զամինան, Հայ գրականութեան պատմութիւն...*, გვ. 140.

ის გარემოება, რომ იოანე კათალიკოსისა და სებეოსის ნაწროლებში ხშირად ვხვდებით შესატყვის ადგილებს.

რა თქმა უნდა, ყველა შესატყვისის ჩამოთვლა აქაც ზედმეტად მიგვაჩნია, ამიტომ მხოლოდ ორიოდის მოტანით დავეკმაყოფილდებით. მაგალითად, სუმბატ ბაგრატუნისათვის¹⁶² გურგანიის მარზპანის წოდების მინიჭებისა და მის მიერ საგასტანის სომხურ სამწყსოზე მზრუნველობის გაწევის შესახები მასალა იოანეს სწორედ სებეოსის თხზულებიდან ამოუკრებიან.

მოვიტანთ შესაბამის ნაწყვეტებს აღნიშნული თხზულებებიდან:

სებეოსი

„სუმბატ ბაგრატუნის [ქცევა] მოიწონა ხოსროვ მეფემ და მიანიჭა მას გურგანიის ქვეყნის მარზპანობა, იმ ქვეყნის ყველა მხარეების გამგებლად აქცია, განადიდა იგი პატივითა და ძალაუფლებით... იმ ქვეყანაში იყო სომხეთიდან წაყვანილი ხალხი. ისინი დაბანაკებული იყვნენ დიდი უდაბნოს ძირას, თურქეთისა და დელაჰისტანის მხარეს. მათ დაევიწყებინათ თავიანთი ენა და დამწერლობა... მაგრამ აღუდგინეს მათ რწმენა, შეასწავლეს ენა და დამწერლობა და ვინმე აბელი იმ ქვეყანაში მღვდლად განაწესეს“¹⁶³.

იოანე დრასხანაკერტელი

„[სუმბატის ქცევით] განიცვიფრდა ხოსროვი და უფრო მეტად მოიწონა [მისი მოქმედება]. დიდძალი ძღვენით განადიდა იგი და გურგანიის მარზპანობაც უბოძა. ხოლო სუმბატი წავიდა და მიადწია იმ ქვეყანას და პოვა იქ სომხეთიდან ტყვედ წასხმული ხალხი. ისინი თურქეთის მხარეს, დიდ უდაბნოში, საგასტანში დამკვიდრებულიყვნენ, დაევიწყებინათ თავიანთი ენა და დამწერლობა. ეს რომ სუმბატმა იხილა... მისი ბრძანებით კვლავ შეასწავლეს მათ სომხური ენა და დამწერლობა, აღუდგინეს რწმენა, ხოლო ერთერთი მღვდელი, სახელად აბელი, ჩვენი დიდი მანამთავრის მოსეს ბრძანებით, ეპისკოპოსად განაწესეს“¹⁶⁴.

აღნიშნული ფაქტი, თითქმის ისეთივე სიზუსტით, როგორც იოანე დრასხანაკერტელსა და სებეოსს აქვთ დაცული, გვხვდება XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანელის თხზულებაშიც. იოანე დრასხანაკერტელი, სებეოსის მიბაძვით, VI—VII საუკუნეების სომხეთის ისტორიას ბიზანტიელი კეისრების მავრიკეს, ფოკას, ჰერაკლესა და კონსტანტინეს მოღვაწეობას უკავშირებს და

¹⁶² სებეოსთან და იოანე დრასხანაკერტელთან სუმბატ ბაგრატუნი ხშირად ჩანს სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის ამტყდარი დავის მონაწილედ.

¹⁶³ *Պատմութիւն Սեբեոսի Եպիսկոպոսի Ի Հերակւն.*, გვ. 94 — 95.

¹⁶⁴ *Յովհաննիս Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն հայոց...*, გვ. 69.— 70.

მასთან უშუალო კავშირში გადმოსცემს. იოანე ისტორიკოსი ამ პერიოდის თავგადასავლის აღწერის დროსაც ზუსტად იცავს კათალიკოსების რიგს და მათ შესახებ საუბრისას სებეოსის ნაშრომიდან ხშირად ფრაზებიც კი შეუცვლელად გადმოაქვს¹⁶⁵.

იოანე დრასხანაკერტელი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში არაბთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის აღწერას. როგორც ცნობილია, სომხურ საისტორიო წყაროთაგან სომხეთში არაბების პირველი შემოსევის შესახებ ცნობები შემონახული აქვთ სებეოსსა და VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს ლევონდს, რომელიც თავის ისტორიას 632 წლიდან (ე. ი. მუჰამედის გარდაცვალებიდან) იწყებს და ამბების თხრობა 788 წლამდე მოჰყავს. სებეოსი კი გადმოგვცემს სომხეთის ისტორიას უძველესი დროიდან 661 წლის ამბებამდე.

ამრიგად, როგორც ირკვევა, სომხეთის ისტორიის ერთი ვარკვეული პერიოდის, სახელდობრ 630—660-იანი წლების თავგადასავალი ასახავს პოულობს როგორც სებეოსის, ასევე ლევონდის თხზულებაში. საინტერესოა გაირკვეს, ამ პერიოდის ამბების აღწერისას ვისი თხზულებით სარგებლობს იოანე დრასხანაკერტელი, სებეოსისა, თუ ლევონდის შრომით? ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ შევაჯერეთ საძივე წყაროში აღნიშნული ხანის ამსახველი მასალები. გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში ერთიდაიგივე ფაქტი თუ მოვლენა დასტურდება როგორც სებეოსთან, ისე ლევონდთან და იოანე დრასხანაკერტელთან. ამჯერად თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ შემდეგ მაგალითს:

სებეოსი

ლევონდი

იოანე დრასხანაკერტელი

„ვიდრე [ვარახტიროციისათვის] კურაპალატის წოდების მინიჭების ბრძანება მოაღწედა, იგი უცრად ავად გახდა და გარდაიცვალა. მისი ცხედარი აღეს, წაასვენეს და დაკრძალეს მამამისის ახლოს, დარუინქში. ხოლო მეფემ მის უფროს

„[მოავიამ] თავისი მმართველობის პირველ წელს და ჰერაკლეს შვილიშვილის კონსტანტინე იმპერატორის მეფობის 25-ე წელს დაიწყო ჯარების თავმოყრა სომხეთზე გამოსალაშქრებლად. ეს რომ შვიტყო კონსტანტინემ, უბრძანა

„ხოლო [ვარახტიროცი] საგამგენლო პატივის მიღებისას უცრად გარდაიცვალა. წაიღეს იგი და დაფლეს მისი მამის, მხნე სუმბატის ახლოს ტარონში. ნერსესმა ითხოვა [ვარახტიროციის] შვილის სუმბატის მამამისის პატივში დამტკიცება“¹⁶⁶.

¹⁶⁵ სებეოსისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებების შესატყვის ადგილებს გვერდებით მიეუთითებთ.

შდრ. სებეოსი გვ. გვ. 124, 157, 156 — 157, 228.

იოანე დრასხანაკერტელი გვ. გვ. 74, 76, 75, 85 — 86.

¹⁶⁶ *Յ Վ ի Վ ա ՚ Ն ի Ն Կ Ի Ք ի Վ ի Ն ի Դ ր ա ՚ խ ա ՚ Ն ա լ Ե Ր Ո Ն Ե Մ Ե Կ Պ ա ս ա լ Ք ի Ն Լ ա յ յ ւ... ,* გვ. 85.

შვილს სუმბატს მამამისის პატივი და წოდება მიაგო, მიანიჭა მას უფლება განეგო საკუთარი სანახარარო სახლი...¹⁶⁷.

თავის მთავარსარდალს, რომელიც კილიკიაში იყო, რომ [მოავიას] წინააღმდეგ გამოსულიყო. ამავე დროს ძალაუფლება ჩამოართვა თეოდოროს მთავარს... მის ნაცვლად დანიშნა სუმბატი ბაგრატიუნთა ტომიდან და თავის სარდალთან ერთად გაგზავნა¹⁶⁸.

მოტანილი ცნობები ძირითადად ერთ ფაქტს შეეხება: ვარაზტიროციის შვილის სუმბატის დაწინაურებას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. თუ ერთმანეთს შევეუდარებთ ამ მასალებს, დავინახავთ, რომ იოანეს ცნობა სებეოსის ცნობასთან უფრო ახლოს დგას, მისი ვრცელი მასალის არასრული სახით გამეორებას წარმოადგენს.

იოანე დრასხანაკერტელი შემდგომი პერიოდის ისტორიის შესახებ საუბრის დროსაც ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსცემს სომეხ კათალიკოსთა რიგს. როგორც ჩანს, მას ამ შემთხვევაში ხელთ ჰქონია საპატრიარქო სახლის არქივის გარკვეული დოკუმენტები. რადგანაც სებეოსის შემდეგ, ე. ი. VII საუკუნის II ნახევრიდან უკვე არ არსებობს არც ერთი ისტორიული წყარო, რომელშიც ზუსტად იყოს დაცული სომეხ მამამთავართა რიგი.

იოანე კათალიკოსის თხზულების „სომხეთის ისტორიის“ წყაროთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ლევონდის „ისტორია“, რომელშიც ასახული ამბებით იოანეს უმთავრესად მე-7 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის გადმოცემისას უსარგებლია, დაახლოებით ანასტას სომეხთა კათალიკოსის (661—667 წწ.) დროიდან მოყოლებული. მაგრამ აქვე უნდა მივეუთითოთ, რომ VII—VIII საუკუნეების სომხეთის თავგადასავლის შესახებ საუბრისას იოანეს, გარდა ლევონდისა, სხვა რალაც წყაროთიც უნდა ესარგებლა, ვინაიდან ზოგჯერ იოანე დრასხანაკერტელთან ისეთი ფაქტებია გამოცემული, რომლებსაც ვერ ვპოულობთ ლევონდისთან.

ლევონდისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებებში შესატყვისი ადგილების ჩვენებისას ისეთსავე ხერხს მივმართავთ, რო-

¹⁶⁷ *ჟათომიძის* *სსრკ-ის ხელისუფლების ზღვრის...* გვ. 188.

¹⁶⁸ *ჟათომიძის* *ღმრთის ხელისუფლების ზღვრის...* *ს. მხობერძიძე*, 1887, გვ. 12.

გორიც ზემოთ დასახელებული წყაროების მიმართ გამოვიყენეთ, სახელდობრ, ყველა შესატყვისის თვალნათლივ ჩვენების შეუძლებლობის გამო შესაბამისი გვერდების დასახელებით დავეკაყოფილდებით¹⁶⁹. თვალსაჩინოებისათვის კი მაინც მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: როგორც ლევონდისთან, ასევე იოანე დრასხანაკერტელთან ერთნაირად დასტურდება არუქის ცნობილი ეკლესიის აშენების ფაქტი:

ლევონდო

„სომეხთა მთავარმა გრიგორმა თავისი მმართველობის დროს... ააშენა სამლოცველო ტაძარი არაგაწოტისსი გაეარში, დაბა არუქში“¹⁷⁰.

იოანე დრასხანაკერტელი

„ამ დროს კეთილმსახურმა მთავარმა გრიგორ მამიკონიანმა საღმრთო მოხილვით საფუძველი ჩაუყარა საამო სახილველ ეკლესიას დაბა არუქში“¹⁷¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ესა თუ ის ფაქტი ლევონდის თხზულებაშიც დასტურდება და იოანე დრასხანაკერტელსაც აქვს მითითებულქ; მაგრამ თითოეულ მათგანთან ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობითაა იგი გადმოცემული.

ასე მაგალითად, ორივე წყაროში გვხვდება სომხეთში მურვან ყრუს შემოსევის ისტორია, მაგრამ იგი განსხვავებულად არის აღწერილი.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობის მიხედვით მურვან ყრუს სომხეთში შემოსევის დროს აუღია და დაუნგრევია სომხეთის ციხეები, მოსახლეობა ტყვედ წაუხსამს, გაუძარცვაეს, ყოველივე აუოზრებია და მტვრად უქცევია¹⁷².

ლევონდისთან კი ნათქვამია, რომ მურვან ყრუმ სომხეთში, სახელდობრ, დვინში, მოსვლისთანავე, სომეხ მთავრებთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო. ლევონდს მხოლოდ გაკვრით აქვს მითითებული მურვანის შემოსევის შედეგად სომხეთში შექმნილი მძიმე და აუტანელი ვითარება. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მურვანის თაოსნობით არაბ-სომეხთა შეერთებულ ექსპედიციას ჰონების წინააღმდეგ. ამრიგად, ლევონდისთან ვერ გვხვდებით მურვანის მიერ სომხეთის ციხეების დანგრევის ფაქტის აღწერას, რაზედაც მიუთითებს იოანე კათალიკოსი.

¹⁶⁹ შდრ. ლევონდი, გვ. გვ. 14, 15, 21.

იოანე დრასხანაკერტელი, გვ. გვ. 89, 90, 98 — 99.

¹⁷⁰ *Գատուիժին Դեւոնդեայ Մեծի Վարդապետի հայոց...*, გვ. 15.

¹⁷¹ *Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցու Գատուիժին հայոց...*, გვ. 90.

¹⁷² იქვე, გვ. 93.

ლევონდისა და იოანე დრასხანაკერტელის ცნობებს სომხეთში მურვან ყრუს შემოსევის შესახებ ეხება აკად. ს. ჯანაშია თავის წიგნში „არაბობა საქართველოში“. განსვენებულ მეცნიერს განხილული აქვს ქართული წყაროს — ჭუანშერის ცნობები ამიერკავკასიაში მურვან ყრუს შემოსევის შესახებ. ამ ცნობებში განსაკუთრებით საზგასმულია ის გარემოება, რომ „იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანაია. და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“¹⁷³. აკად. ს. ჯანაშიას აზრით „გაცილებით უფრო ეთანხმება ქართული მატიანის მოთხრობას... იოანე კათალიკოსის ცნობები, რომელთა მიხედვითაც მურვანს სომხეთის ციხეები აუღია და დაუქცევია, მოსახლეობა აუწოკებია და გაუძარცვავს, ნაწილიც ტყვედ წაუსხამს“¹⁷⁴.

აკად. ს. ჯანაშიას ზემოთ მოტანილი მოსაზრება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ იოანე დრასხანაკერტელსა და ქართველ მემატიანეს რომელიღაც მესამე წყაროთი უსარგებლიათ, რომლის დადგენა ჭერჭერობით ვერ ხერხდება.

ასეთივე მდგომარეობასთან, კერძოდ, იოანე დრასხანაკერტელის თხზულების ერთ რომელიღაც გამოუცნობელ წყაროსთან გვაქვს საქმე მის „სომხეთის ისტორია“-ში ბულა თურქის სომხეთში ლაშქრობის ამსახველი მასალის განხილვისას. სომხურ წყაროთაგან ბულა თურქის ლაშქრობას თომა არწრუნის თხზულებაც ეხება, მაგრამ ამ შემთხვევაში იოანე დრასხანაკერტელისათვის წყაროდ ვერ გამოდგება თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია“, რადგანაც, როდესაც თომა არწრუნი თავის თხზულებას წერდა, იოანე უკვე გარდაცვლილი იყო. ამის დასამტკიცებლად გამოგვადგება თომა არწრუნის მიერ იოანე კათალიკოსის შემდეგი ეპითეტით მოხსენიება: „ნ ე ტ ა რ ი უ ფ ა ლ ი იოანე“¹⁷⁵. აქაც ასევე სავარაუდებელია.

¹⁷³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 239.

¹⁷⁴ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, იხ. პროზები, II, თბილისი, 1952, გვ. 374. ვინაიდან ლევონდის, იოანე დრასხანაკერტელისა და ჭუანშერის ცნობები მურვანის შემოსევის შესახებ ვრცლად აქვს განხილული აკად. ს. ჯანაშიას, ამიტომ აქ ანახე ალარ შეეჩერდებით. იხ. ს. ჯანაშია. შრომები, II... გვ. 370 — 378.

¹⁷⁵ აკად. მანუკ აბელიანის მითითებით თომა არწრუნი წერდა თავის თხზულებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იოანე დრასხანაკერტელის გარდაცვალების შემდეგაც. იხ. *Մ ա Ն Ո Ա Է Ա Կ Ի Գ Կ Ն, Հ ա յ Կ Ե Կ ի ն Գ Ր Ա Վ Կ Ն Ն Ո Ա Բ Յ Ա ն պատմություն, գիրք I...*, გვ. 447.

რომ ორივე ისტორიკოსი რომელიღაც მესამე წყაროთი სარგებლობდა, რომლის მიგნება დღესდღეობით შეუძლებელია.

დასასრულ. იოანე დრასხანაკერტელის თხზულების ისტორიულ პირველწყაროთაგან უნდა დავასახელოთ თვით ავტორის მიერ არაერთგზის მოხსენებული შაპუპ ბაგრატიუნის ნაშრომი, რომელშიც, როგორც ჩანს, დაწვრილებით იყო გადმოცემული აშოტ სუმბატის ძის (885 წელს მეფედ კურთხეულის) თავგადასავალი, უმთავრესად ახალგაზრდობის პერიოდი. სამწუხაროდ ეს საინტერესო ისტორიული ძეგლი დაკარგულია. შესაძლებელია, სწორედ შაპუპის თხზულებაში იყო გადმოცემული ბულა თურქის შემოსევის ამბავი და იოანემ და თომა არწრუნიმ მით ისარგებლეს. მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდად რჩება, რადგანაც ჯერ ხელთ არ არსებულის მიხედვით მსჯელობა ძნელია.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ, რომ იოანე დრასხანაკერტელის თხზულების ერთი ძირითადი წყარო ძველი და ახალი აღთქმაა, რომლიდანაც მოტანილი ციტატებით, ხშირად გადაჭარბებითაც კი, გამდიდრებულია ფაქტობრივი მასალა.

როგორც ირკვევა, გარდა სომხური ისტორიული მწერლობისა, იოანე აგიოგრაფიულ მწერლობასაც იცნობდა. იოანე დრასხანაკერტელი თავისი თხზულების 64-ე გვერდზე მოკლედ ეხება იზიდ-ბოზიდის მოწამეობრივ თავგადასავალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნერსეს სომეხთა კათალიკოსის დროს (548—557 წწ.). ჩანს, იოანე კათალიკოსმა აგიოგრაფიული ძეგლით „მარტვილობაჲ იზიდ-ბოზიდისი“ ისარგებლა.

ამრიგად, იოანე დრასხანაკერტელის წინარე ხანის ამსახველი მასალების შესწავლამ და მისი წყაროების ძიებამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა: იოანე დრასხანაკერტელს განსაკუთრებით უხვად უსარგებლია მდიდარი ორიგინალური სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლებით (მოსე ხორენელი, კორიუნი, ეპისტოლეთა წიგნი, სებეოსი, ლევონდი, შაპუპ ბაგრატიუნი), ასევე გამოუყენებია ძველი და ახალი აღთქმა, ზეპირი გადმოცემები, საარქივო მასალები. ამასთანავე ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც აგიოგრაფიული მწერლობა.

3. სომხეთის პოლიტიკურ-მაცონომიური და სოციალური მითარება IX — X საუკუნეებში „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ ერთადერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი საისტორიო პირველწყა-

როა IX საუკუნის II ნახევრისა და X საუკუნის პირველი მეოთხედის სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიური თუ სოციალური ვითარების შესასწავლად. მასში, შესაძლებელია, სათანადო სისრულით არ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე, მაგრამ, როგორც ჩანს, იოანე ისტორიკოსს მეტნაკლები ყურადღება მიიწეოდა მიუქცევია თავისი დროის თითქმის ყველა საჭირობო საკითხისათვის. იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორიის“ ერთ-ერთ ღირსებად სწორედ მისი ცნობების მრავალმხრივობა უნდა ჩაითვალოს. აქ ვხვდებით სომხეთის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ამსახველ სანდო და უტყუარ მასალებს. ავტორის მიერ განსაკუთრებით დაწვრილებით არის წარმოდგენილი არაბთა თარეშის სურათი სომხეთში და ამასთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე ეკონომიური ვითარება. ყურადღების გარეშე არც ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხია დატოვებული. აღნიშნულ საკითხებთან არის დაკავშირებული თვით სომეხ გამგებელთა პოლიტიკური ურთიერთობა გარეშე დამპყრობ ძალებთან — ბიზანტიასთან და არაბებთან. იოანე დრასხანაკერტელს, როგორც ჩანს, მხედველობის არიდან არ გამოჰპარვია სომხეთში სოციალური მოძრაობის ცალკეული შემთხვევებიც და, შეძლებს დაგვარად, როგორც ეს X საუკუნის ისტორიკოსსა და თან სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს შეეფერება, გაკვირვით, მაგრამ მაინც აუსახავს თავის თხზულებაში.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, იოანე დრასხანაკერტელი ერთი რომელიმე კუთხის ისტორიის გადმოცემით როდი ემაყოფილება. მასთან საინტერესო ცნობებს ვხვდებით სომხეთის სხვადასხვა სამთავროს შესახებ.,

მართალია, იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორია“-ში თავმოყრილი ცნობები მრავალ საკითხს ეხება, მაგრამ ძირითადად ავტორის ყურადღება მიიწეოდა პოლიტიკური ისტორიის აღწერისკენა მიმართული. ჩანს, იოანე დრასხანაკერტელს, როგორც სომხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს, სომხეთის საგარეო პოლიტიკისა და მისგან გამომდინარე ეკონომიური მდგომარეობის გართულების საკითხი თავის დროის ყველაზე საჭირობო და მოსაგვარებელ საკითხად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში ერთმანეთთანაა დაკავშირებული IX—X საუკუნეების სომხეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის ამსახველი მასალები.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბაგრატიუნიანთა დინასტიის წარმომად-

გენელთა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სრული სახით ჩვენებას. აღნიშნული საკითხების შესახებ მასალების გაანალიზებისას ასეთი სურათი ისახება: აშოტ სუმბატის ძის და უფრო მეტად კი ძისი მემკვიდრის—სუმბატის—დროს სამეფო ხელისუფლების სიმტკიცე და ქვეყნის ერთიანობა არაერთხელ მდგარა საფრთხის წინაშე. ასეთ სახიფათო მდგომარეობას გარეშე დამპყრობ ძალაზე უფრო მეტად ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები ქმნიდნენ.

ვინ იყვნენ ეს ძალები და რა პრეტენზიებით გამოდიოდნენ ისინი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ?

როგორც ცნობილია, IX—X საუკუნეებში, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ხანაში, სომხეთში არა ერთი დამოუკიდებელი სამეფო-სამთავრო წარმოიშვა. შირაკის ბაგრატუნინანთა სამეფოს როგორც ტერიტორიით, ასევე ხელისუფლების სიძლიერით განსაკუთრებით ვასპურაკანისა და სივნიეთის სამთავროები დაუპირისპირდნენ. მათი მთავრები ვერ ეგუებოდნენ შირაკის სამეფოს გამგებელთა პოლიტიკას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ძლიერი ხელისუფლების შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული. სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ცალკეული სომეხი მთავრების ურჩობისა და განდგომის მაგალითები მრავლად გვხვდება იოანე კათალიკოსის ნაშრომში. როგორც აქ დაკული მასალებიდან ირკვევა, ბაგრატუნინანთა დინასტიის პირველი მეფე აშოტი გამეფების პირველ დღეებიდანვე დიდ წინააღმდეგობას წააწყდა არწრუნთა და სივნიეთის მთავართა მხრივ. აშოტ სუმბატის ძის სწრაფი დაწინაურება (ჯერ მთავართა-მთავრის ტიტულის მიღება, შემდეგ მეფედ კურთხევა), მისი ენერგიული საქმიანობა ქვეყნის შიგნით, სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება, ახალი მხარეების შემოერთება¹⁷⁶, როგორც ჩანს, არც თუ ისე მოსწონდათ სეპარატისტული მისწრაფებებით გამსჭვალულ მთავრებს და ყოველ მომენტს ეძებდნენ როგორმე ხელი შეეშალათ მეფისათვის ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების პრეტენდენტებმა განსაკუთრებით აშოტ სუმბატის ძის გარდაცვალების (890-891 წ.) შემდეგ იჩინეს თავი. სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს სუმბატს — აშოტის ვაჟს — დაუპირისპირდა მისი ბიძა აბას სპარაპეტი, რომელმაც ვერ მიაღწია რა თავის საწაადელს, გამხდარიყო სომეხ-

¹⁷⁶ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე განოცემა, 31 — 32.

თა ქვეყნის გამგებელი — ჯავრი ჯერ ადარნასე ქართველთა კურა-პალატზე იყარა, როგორც სუმბატის თანამგრძობელზე და დააპატიმრა იგი¹⁷⁷, ხოლო როდესაც ამითაც ვერაფერს გახდა. „შურათ აღივსო და უფრო მეტად [გეორგ] კათალიკოსის მიმართ გზბოროტდა, რადგან მას თელიდა იმის მიმეზად, რომ დაჰკარგა [გამეფების შესაძლებლობა], სუმბატი კი გვირგვინოსანი შეიქმნა“¹⁷⁸. აბას სპარაპეტის პატივმოყვარეობამა და განდიდების სურვილმა იქამდეც კი მიადღწია, რომ მან ბოროტი გზით, მაშტოც ელივარდელთან გეორგ კათალიკოსზე ცილისმწამებლური წერილის მიწერითაც კი სცადა როგორმე შეესრულებინა საწადელი. სპარაპეტის ზემოთ აღწერილი მოქმედება ტიპური გამოხატულებაა სწორედ იმდროინდელი ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა მისწრაფებებისა, რომლებიც განდიდებისა და სახელის მოხვეჭისაკენ არიან მიმართული.

იოანე დრასხანაკერტელის დროის სომხეთის ფეოდალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მეფის შემდეგ სომეხი მთავრები იდგნენ, რომლებიც ფეოდალური კლასის ერთი ყველაზე პრივილეგირებული ჯგუფი იყო. ისინი ფლობდნენ გარკვეულ მამულს, ჯარსა და სიმაგრეებს და წარმოადგენდნენ ძლიერ ძალას, რომლის წინააღმდეგობისა და ურჩობის დათრგუნვა არც თუ ისე იოლად შეეძლო მეფეს. როგორც იოანე დრასხანაკერტელის თხზულებიდან ჩანს, განსაკუთრებით ხშირი იყო სამეფო ხელისუფლებისაგან მთავართა განდგომის შემთხვევები სუმბატ აშოტის ძის მეფობის დროს. სომეხი მთავრები რიგ შემთხვევებში სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან რითიმე განაწყენებულნი ხშირად საკუთარი ქვეყნის მტრებთან, არაბ ოსტიკანებთან ამყარებდნენ კავშირს და ზოგჯერ სავსებით მათ მხარესაც კი გადადიოდნენ. ასე მაგალითად, დაახლოებით 896 წელს ვასპურაკანის დიდმა მთავარმა აშოტმა, რომელიც სუმბატ აშოტის ძის დისწული იყო, დაარღვია ბიძასთან დადებული სამშვიდობო პირობა და დიდძალი ძღვნით ეახლა აფშინ ოსტიკანს, რომლისგანაც განდიდებას მოელოდა¹⁷⁹. „მაგრამ [ოსტიკანმა] მხოლოდ ძვირფასი სამკაულით შემოსა იგი და უკან გამოგზავნა. შორს დაიყენა. [ამრიგად, აშოტმა], — დასძენს იოანე ისტორიკოსი, — მხოლოდ სასიკვდილო წყლული მიაყენა თავის თავს“¹⁸⁰.

¹⁷⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 43 — 46.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 47.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 73 — 74.

¹⁸⁰ იქვე, გვ. 74.

საერთოდ, მეფისაგან სომეხ მთავართა განდგომის მაგალითები მრავლად გვხვდება იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში¹⁸¹. გარდა სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან უთანხმოებისა, წინააღმდეგობასა და ქიშხს ცალკეულ მთავრებს შორისაც ხშირად ჰქონდა ადგილი, რის დამადასტურებელი მაგალითებითაც ასევე მდიდარია იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორია“. თვით იოანე დრასხანაკერტელი კი არაერთხელ ყოფილა მომსწრე და ხშირად მომრიგებელიც სომეხ მთავართა და გამგებელთა შორის ამტყდარი დავისა¹⁸².

იოანე კათალიკოსის თხზულებაში მოცემული ცნობების მიხედვით ფეოდალური კლასის ყველაზე პრივილეგირებულ ფენაში — მთავრებს შორისაც კი შეიმჩნევა ერთგვარი დაჯგუფებები. არიან ჩვეულებრივი მთავრები, მაგრამ მათ გვერდით იოანე დრასხანაკერტელი ასახელებს აგრეთვე დიდ მთავრებს (*მისი ჩქსანს*), მთავართა მთავრებს (*ჩქსანსაც ჩქსანს*), წარჩინებულ მთავრებს (*ჯარხრცე ჩქსანს*).

მთავართა-მთავრის ტიტულით იოანე ისტორიკოსი იხსენიებს: აშოტ სუმბატის ძეს, ბაგრატიუნთანა დინასტიის პირველ მეფეს. საყურადღებო ცნობა აქვს შემონახული იოანეს თავის თხზულებაში აშოტისთვის ამ წოდების მინიჭების შესახებ: „მამინ სომხეთს გამოგზავნილმა ვინმე ოსტიკანმა, სახელად ალი არმანმა, ხალიფას ბრძანებით იგი სომხეთის მთავართა-მთავრად დაადგინა, მრავალი შესამოსლითა და სამეფო პატივით შეამკო და მიანდო მას სომხეთს ხარკისა და სამეფო ბეგარის [აკრეფა]. ამგვარად, იგი ყველა სომეხს ნახარარზე უპირველესი და უპატივეცემულესი შეიქნა. ყველა მათგანი მასთან ზავს დებდა, როგორც ნამდვილ სამეფო გვარის [წარმომადგენელთან], აგრეთვე ყველამ განიზრახა, რომ თუ რაიმე შემთხვევა მიეცემოდათ, [ეცადათ] ღირსი გამხდარიყვნენ მის ტომს — სამეფო საგვარეულოს — დაახლოებოდნენ და [ამით] ისინი ყოფილიყვნენ გამორჩეულნი სხვა სანახარარო ტომთაგან“¹⁸³.

ამრიგად, როგორც იოანე კათალიკოსი მიუთითებს, მთავართა-მთავრის წოდება უბრალო ტიტული არ იყო, არამედ მისით აღჭურ-

¹⁸¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 34, 74 — 75, 270 — 271 და სხვ.

¹⁸² ვინაიდან იოანე კათალიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისას ამ საკითხსაც ვხვებით, ანჯერად აქ მასზე აღარ შევირდებით.

¹⁸³ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 30 — 31.

ვილ პიროვნებას გარკვეული უფლებებიც ენიჭებოდა, სახელდობრ, სამეფო ბეგარისა და ხარკის აკრეფის უფლება, რითაც იგი ქვეყნის დანარჩენი მთავრებისაგან განსხვავდებოდა. ასევე შეიძლება გავი-ზიაროთ სომეხი მკვლევრის ჰ. არუთუნიანის მოსაზრება, რომლის თანახმადაც „მთავართა-მთავრის წოდება ჩვეულებრივი ტიტული როდი იყო, რომელსაც ხალიფა უწყალობებდა ბაგრატიონიანთა ტომს. იგი წარმოადგენდა ახალ პოლიტიკურ პრივილეგიას ქვეყნის მთავრებზე და სამთავროებზე გასაბატონებლად“¹⁸⁴.

იოანე დრასხანაკერტელი განსაკუთრებით ხშირად ასახელებს სომხეთის საზოგადოების კიდევ ერთ პრივილეგიურებულ ფენას — ნახარარებს (*ნახარარე*)¹⁸⁵.

როგორც ცნობილია, „ნახარარი“ სასანიანთა და არაბობის ხანის სომხეთის სოციალური ფენის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენს, მაგრამ იგი მოგვიანო ხანის საისტორიო წყაროებსა თუ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება. ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ გვაქვს მხედველობაში, სადაც ასე ხშირად აქვს ავტორს მითითებული ადრეული პერიოდის ეს სოციალური ტერმინი. „ნახარარი“ იოანე დრასხანაკერტელს უმთავრესად „მთავრის“ გაგებით აქვს ნახმარი, ვინაიდან IX—X საუკუნეში სომხეთში, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ხანაში ყველაზე ძლიერ და გაბატონებულ სოციალურ ფენას სწორედ მთავრები (დიდნი და მცირენი) წარმოადგენდნენ:

¹⁸⁴ ჯ. Ա. Հարությունյան, Հայաստան IX — XI դդ..., გვ. 14.

¹⁸⁵ ტერმინი „ნახარარი“ ძველი სპარსული წარმოშობისაა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო ოლქისა თუ რომელიმე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაყოფის გამგებელი, მეთაური, თავი. სიტყვა „ნახარარის“ ლინგვისტური ანალიზი, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა მოცემული აქვს ნიკო მარს. იბ. Этимология двух терминов армянского феодального строя. „Записки Восточного отделения Российского Археологического общества“; том XI, გვ. 170 — 175. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის კაპიტულურ ნაშრომში „Государственный строй древней Грузии и древней Армении“. სხვა სოციალურ ტერმინებთან ერთად იხილავს ტერმინ „ნახარარის“ მნიშვნელობას ადრეული ხანის სომხურ საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე და მიუთითებს, რომ იგი ადრე წარმოადგენდა ერთ საერთო სახელწოდებას გვაროვნული არისტოკრატის ყველა წევრისა — ხემურისა (*սեպուհ*), მამასახლისისა (*տանուտէր*), თუ მთავრისა (*խէսან*). იბ. Ив. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, том I, С. Петербург, 1905, გვ. 128 — 132. ტერმინ ნახარარის შესახებ იბ. აგრეთვე ჯ. Մանասյան. Խնդրալիզը հին Հայաստանում, Մերսիան, 1934, გვ. 32 — 90. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908, гв. 450—470.

თავის თხზულებაში. ერთ ადგილას, სადაც იოანე ლაპარაკობს აშოტ სუმბატის ძისათვის მთავართა-მთავრის ტიტულის მინიჭებებს შესახებ და იქვე დასძენს „ამგვარად [იგი] ყველა სომეხ ნახარარზე უპირველესი და უპატივეცემულესი შეიქნა“-ო, სიტყვაში „ნახარარები“. „მთავრებს“ უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მთავართა-მთავრის წოდება უპირველესი და უპატივეცემულესი იყო სწორედ სომეხ მთავრებთან შედარებით.

მკვლევარ ს. პოლოსიანის მითითებით IX საუკუნიდან, როდესაც უფრო მეტად ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ფეოდალური ურთიერთობანი, თვალსაჩინოდ შესამჩნევი ხდებოდა ადრინდელი სანახარარო სისტემის ახალი ფეოდალური იერარქიით შეცვლა. ტერმინი „ნახარარი“ ადგილს უთმობს უკვე „მთავარს“¹⁸⁶.

ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც პროფ. ილია აბულაძე აღნიშნავს, სომხური ენიდან ქართულზე თარგმნილ ძეგლებშიც ტერმინი „ნახარარი“ უმთავრესად „შეცვლილია „მთავრით“. როშელიც IX—X სს-ის საქართველოში დიდისა, თუ მცირე ფეოდალებს აღვნიშვნელად იყო გავრცელებული“¹⁸⁷. პროფ. ილია აბულაძისავე მითითებით „ნახარარის“ შესატყვისად ხშირად „წარჩინებულაც“ იხმარებოდა¹⁸⁸.

გარდა ზემოთ განხილული სოციალური ფენებისა (მთავარი, ნახარარი) იოანე კათალიკოსი ფეოდალური კლასის სხვა წარმომადგენლებსაც ასახელებს: ესენი არიან დიდებულები (*მსხამსებ*), აზატები (*აჟაათ*) (ქართული „თავისუფალის“, „აზნაურის“ შესატყვისი)¹⁸⁹. სამწუხაროდ, იოანე ისტორიკოსი არაფერს არ ამბობს ზემოთ დასახელებული პრივილეგირებული სოციალური ფენების წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობის შესახებ. იგი იმდენად გატაცებულია სომხეთის პოლიტიკური ისტორიის აღწერით, რომ სოციალურ საკითხებზე იშვიათად ჩერდება. მართალია, იოანე დრას-

¹⁸⁶ *Ս. Պ. Պողոսյան, Դյուղաբնիկ ճորտայումը եվ դյուղաբնիկան շորժումները Հայաստանում IX — XIII դդ, Երեվան, 1956, გვ. 518.*

¹⁸⁷ *ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, თბილისი, 1944, გვ. 051.*

¹⁸⁸ *იქვე, გვ. 263.*

¹⁸⁹ *აზატი=აზნაური (აჟაათ) ტერმინის შესახებ იხ. И в. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении..., გვ 132—134. 2. Մանասդյան, Ֆեոդալիզմը հին Հայաստանում..., გვ. 90 — 126.*

В. Б. Бархударян, Феодалное землевладение в Армении в IX — XI веках, автореферат кандидатской диссертации, Ереван. 1954: гв. 10 — 11.

ხანაყერტელის მიერ გარკვევით არაფერია თქმული ფეოდალური კლასის ცალკეული ფენების შესახებ, მაგრამ ერთი კი აშკარაა. სომეხი ნახარარები, სპარაპეტები, დიდებულები, აზნაურები, სომეხი მთავრების მსგავსად, მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ როგორც სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ურთიერთშორისაც. ქვეყნის შიგნით სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებას. რაც ასე რიგად ვნებდა ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცესა და ქვეყნის მთლიანობას, სწორედ სომხეთის ფეოდალური კლასის წარმომადგენლები უწყობდნენ ხელს.

სომხეთის ფეოდალური კლასის მეორე ძლიერ მხარეს შეადგენდა ეკლესია თავისი ბერ-ჰონაზვნებითა და სამღვდლოებით. იოანე დრასხანაყერტელი, როგორც სომხეთის ეკლესიის საქეთმპყრობელი, თავის თხზულებაში საკმაოდ ფართო ადგილს უთმობს ეკლესიისა და მის მესვეურთა მოღვაწეობისა თუ ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების გადმოცემას. როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, იოანე დრასხანაყერტელი განსაკუთრებული სიზუსტით გადმოსცემს სომეხ მამამთავართა რიგს და მოკლედ თითქმის ყველა კათალიკოსის შესახებ გვაწვდის ორიოდ ცნობას. განსაკუთრებით კარგად აღწერს იოანე ისტორიკოსი სომხეთის კათალიკოსის თაოსნობით გარკვეული ცერემონიალის (ვთქვათ აშოტის მეფედ კურთხევასა, ან მისი გარდაცვალების ცერემონიალის) ჩატარების სცენებს.

იოანე დრასხანაყერტელის თხზულებაში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ სომხეთის ეკლესია განსაკუთრებული უფლებებით იყო აღჭურვილი. სომხეთის კათალიკოსი უფლებამოსილი იყო, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ჩარეულიყო ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში და მონაწილეობაც კი მიეღო მასში. სომხეთის ეკლესია-მონასტრები, ისევე როგორც სომეხი გაბატონებული კლასები, ქონებისა და მამულების პატრონებად გვევლინებიან. ამაზე უნდა მიუთითებდეს სწორედ იოანე დრასხანაყერტელის ერთი ასეთი ცნობა: „რაც ძალაუნებურად დავტოვეთ¹⁹⁰ ქონება, მონაგები და პირუტყვი საქონელი, ყოველივე ეს ჩვენივე ნებით ძღვნად უნდა მიგვეცა აგარიანელ ნისრისათვის, რომ იქნებ იგი ღმრთის ნებას დაჰყოლოდა და უშვილოდ არ დაეტოვებინა დედა სიონი საქორწინო ყრმათაგან“.¹⁹¹ საინტერესოა აგრეთვე იოანე კათალიკოსის ცნო-

¹⁹⁰ აქ იგულისხმება თვით იოანე კათალიკოსი და ეკლესიის მთელი დასი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა.

¹⁹¹ იოანე დრასხანაყერტელის „სომხეთის ისტორია“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 275 — 276.

ბა საკათალიკოსო სახლის განკარგულებაში ისეთი მამულების არსებობისა, როგორცაა არტაშატი, კავკაერტი და ჰორომოც მარგი თა-
ვიანთი სოფლებითურთ¹⁹². აგარიანელთაგან აობრებული ეკლესიის
მოძრავი თუ უძრავი ქონების ჩამოთვლისას იოანე დრასხანაკერ-
ტელი ასახელებს მრავალ პირუტყვს, საქონელს და ფუტკართა სკე-
ბის დიდძალ წყებას, მრავალ შენობებს, რომლებიც მოწესეთა მონას-
ტერში იყო¹⁹³. მოწესეთა და მონაზონთა მონასტრები გაჭირვების
დროს თავშესაფარადაც კი გამოსდგომია სომხეთის სამწყსოსა და მის
მესვეურებს¹⁹⁴.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაბალი
კლასის, უფრო ზუსტად მწარმოებელთა კლასის წარმომადგენლებსაც
ვხედავთ. ესენი არიან: რამიკი (*რამიკი*)¹⁹⁵, მსახური (*ბახურა*), მიწის
მუშაკი (*სერკრაფორბ მკაკი*). იოანე კათალიკოსი გაკვრით თუ იხსენი-
ებს დაბალი კლასის ამ წარმომადგენლებს¹⁹⁶. მხოლოდ ერთხელ
გვხვდება ტერმინი გლეხი (*გლხჩი*)¹⁹⁷: „მთის ღრმა ხევებში მცხოვ-
რებნი, რომლებიც ადრევე შეიპყრეს, მიწაზე დასცეს უწყალო მახ-
ვილით, ხოლო გვარის მხედრობა — გლეხობა — მახვილის საზრ-
დოდ აქციეს, სხვები შეიპყრეს და საბლით შეკრულნი მიჰგვარეს
მძლავრს (ამირას)“¹⁹⁸.

ეკონომიურად დაძაბუნებული და უფლებადაკრძობილი მშრომელი
მასა—მწარმოებელთა კლასი—ყველაზე მეტად განიცდიდა ქვეყნის

¹⁹² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-
მდებარე გამოცემა, გვ. 5.

¹⁹³ იქვე, გვ. 280.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 276 — 282.

¹⁹⁵ ერთხელ გვხვდება რამიკთა მხედრობა (*რამიკი მხედრობა*). „მარტ-
ვილობაჲ ატომისი და ძისა მისისაჲ“-ს ქართულ ტექსტში სომხურის „*რამიკი
მხედრობა*“-ის შესატყვისად გვხვდება „ჩინებული მხედარი“. იხ. ილია აბუ-
ლაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა..., გვ. 97.

¹⁹⁶ აღნიშნული ტერმინების გასაცნობად იხ. И. В. Джавахов, Го-
сударственный строй древней Грузии и древней Армении, С. Петербург,
1905, გვ. 130 — 136. С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в
древней Армении, ВДИ, 1950, № 1, გვ. 18 — 20.

С. Е. Акопян, История армянского крестьянства (IV—XIII в.в.),
автореферат докторской диссертации, Ереван, 1952, გვ. 28—29. Մ. Պ. Պո-
ղոսյան, Դիւանագիտական նորաստեղծ სიქ ფილიპეოსისა და ჯორჯიანის
საათონის IX — XIII դարების, 1956, გვ. 110 — 120.

¹⁹⁷ „გლეხის“ ეტიმოლოგიის შესახებ. იხ. ილია აბულაძე, ძველი
ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაზრებ., I, თბილისი, 1959,
გვ. 167 — 175.

¹⁹⁸ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-
მდებარე გამოცემა, გვ. 13 — 14.

საშინაო თუ საგარეო ვითარების გართულებას. IX საუკუნის მეორე ნახევარსა და X საუკუნის პირველ მეოთხედში ოსტიკანთა გახუფყვეტელმა თარეშმა და მის შედეგად ქვეყნის შიგნით შიმშილისა და განსაკუთრებით ეპიდემიების გავრცელებამ კიდევ უფრო გააუარესა სომხეთის დაბალი ფენების ეკონომიური მდგომარეობა. დაბეჩავებულმა მასებმა უკანასკნელი ძალების მოკრეფით სცადეს შებრძოლებოდნენ თავიანთ მჩაგვრელებს. როგორც აკად. პ. მანანდიანი შენიშნავს, IX—X საუკუნეების სომხეთის ისტორია სავსეა ხალხთა გახუფყვეტელი აჯანყებების მაგალითებით, მწვავე კლასობრივ ბრძოლას შემთხვევებით¹⁹⁹.

აღნიშნული პერიოდის სომხეთის ისტორიული თავგადასავლის თანამედროვე და ხშირად აღწერილი ამბების თვითმხილველიც კი: იოანე დრასხანაკერტელი, მიუხედავად თავისი მტრული განწყობილებისა კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ, გარკვეულ ადგილს მაინც უთმობს თავის „სომხეთის ისტორია“-ში დაბალი ფენების აჯანყების აღწერას. მაგალითად, იგი თავის თხზულებაში გულისწყრომით აღნიშნავს სომეხ შიწათმფლობელების წინააღმდეგ გლეხთა, დაბალი ფენების ამბოხების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედში, უფრო ზუსტად სუმბატ ამოტის ძის სიკვდილისა და იუსუფ ოსტიკანის მიერ სომეხთა ქვეყნის დარბევის (914 წ.) შემდეგ. „ამგვარად განვიცადეთ რა ჭირი და უმწეობა უცხო ავაზაკთაგან, — წერს იოანე კათალიკოსი, — ჩვენი ქვეყნის მეფეებს, მთაერებს, თავკაცებსა და ნახარარებს დაუწყეთ ცქერა [იმედის თვალით]. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ აღარ შეეცდებოდით მათგან და აღარ ჩაეცვივდებოდით განსაცდელში, არამედ ყოველ ღონეს ვიხმარდით და გასაჭირისაგან გამოსავალს გამოვძებნიდით, საერთო ძმობით ღირსეულად დაუუკავშირდებოდით ერთმანეთს და გავერთიანდებოდით, როგორც ერთი კაცი... ვერ ველირსეთ ჩვენ ყოველივე აჰას, არამედ ამის საწინააღმდეგო განვიცადეთ, რადგანაც უმცროსებნი დიდებულებზე ეტად ცდილობდნენ ყოფილიყვნენ თაოსანნი, ხოლო მონებს სოლომონისებრ სურდათ, რომ ქალამნიანი პატრონები მიწაზე ეტარებინათ, თვითონ კი განდგომილნი, გაამაყებულნი და გამედიდურე-

¹⁹⁹ ჯ. შანსიფიან, *წინასწარ თხზილქონს ზაჟ ქიიიქიქი აკათ-ქილქიანს, ნათიერ P...*, გვ. 207.

ბუნის შემსხდარიყვენენ ქედფიცხელ და ფეხ-
მარდ ცხენებზე²⁰⁰.

იოანე დრასხანაკერტელის არაკეთილგანწყობილება შეამბოხე ფენებს მიმართ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდანაც აშკარად ჩანს, მაგრამ მისი თხზულების სხვა ადგილებში უფრო თვალნათლივ იგრძნობა იგი. X საუკუნის პირველი მეოთხედის ამბების გადმოცემისას იოანე ისტორიკოსი განსაკუთრებით აღშფოთებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ პერიოდში არა მარტო მთავრებს ჰქონდათ მომარჯვებული იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ან კიდევ არა მარტო უცხო მტერთაგან ოხრდებოდა და იძარცვებოდა სომეხთა ქვეყანა, არამედ თვით ძირითადი მასა მოსახლეობისა — დაბალი ფენებიც — ხშირად შემოსულ მტრებს უერთდებოდნენ და ადგილობრივ გამგებელთა წინააღმდეგ მიმართავდნენ საბრძოლო იარაღს. გარეშე მტრებისა და თვით სომეხეთის აჯანყებული მოსახლეობის თავდასხმებისაგან პარტახდებოდა მთელი ქვეყანა. იოანე დრასხანაკერტელი უდიდესი გულის ტკივილით აღწერს ზემოაღნიშნულ ამბებს: „ესლა მე მკუმუნვარე და სევდიან ამბავს მოგიტხრობთ.—მიუთითებს ისტორიკოსი.—ჩვენმა მეზობლებმა და ხალხებმა, ჩვენს გარშემო რომ არიან, ბერძნებმა, მეგრელებმა, გუგარელებმა და უტიელებმა,—კავკასიის ძირას მოსახლე ჩრდილოელმა ტომებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალით ეხსნათ თავი, [რადგან] ბოროტი ოსტიკანი თუ კი სადმე გაშენებულ ქალაქს, დაბასა და სოფელს წააწყდებოდა, მაშინვე აღმოსაფხვრელად, მოსათხრელად, მოსასპობად და დასაქცევად გაემართებოდა. თითოეული [ამ ტომთაგანი] თავისი ქვეყნის მისადგომთან ცდილობდა [წინააღმდეგობა გაეწია ოსტიკანისათვის]. მაგრამ შემდეგ მათ ავაზაკები და მეკობრეები შეერივნენ [და] ჩვენს ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად წამოვიდნენ. ყველაზე [დიდი უბედურება] მაინც ის იყო, რაც მათგან თავს გადახდა ღმრთივნაშენ ეკლესიებს: გარემოედნენ მათ და დაარღვიეს, წააბღინეს და გააუქმეს. მრავალი ქვეყანა უდაბნოდ, გაუვალ და ურწყულ [ადგილად] აქციეს, თითქმის ისეთ ქვეყნად, სადაც არ გაუვლია კაცს და არც ძე კაცისა [იქ ოდესმე] დამკვიდრებულა. ამრიგად, გაშენებული დაბა უდაბნოდ იქცა. ერთმანეთთან შეტაკების დროს დიდძალი სისხლი დაიღვარა, ჩვენი ქვეყანა გვაშეშით აივსო. საერთოდ დიდ-

²⁰⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 179 — 180.

ძალი ალაფი და ნადავლი წაიდეს თითოეული ქვეყნისათვის თანაბრად. ასე გაუჟაცრეილდა, უმემკვიდრეოდ დარჩა, გაპარტახდა და დაკარგა ბრწყინვალეობა ჩვენმა დაბებმა და სოფლებმა. ისინი ნარეკლიან ყანებად იქცნენ. გადახმა ყანები და საძოვრები. ჩვენი ქალაქები კი დაემხო მოსახლეობის გადაშენების გამო. მიწათმოქმედნი დაძაბუნდნენ. გლოვამ მოიცივა სველა“²⁰¹.

მოტანილი ცნობის გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ იქ მოხსენებულ „ავაზაკებსა“ და „მეკობრეებში“ იოანე დრასხანაკერტელი სხვას არავის უნდა გულისხმობდეს, თუ არა სომხეთში მცხოვრებ აჯანყებულ ფენებს. ეს ეპითეტები — ავაზაკები და მეკობრეები არ უნდა ეკუთვნოდეს გარეშე მტრებს, ვინაიდან მათი სახელები თავისთავად ჩამოთვლილი აქვს ისტორიკოსს. ესენი არიან: ბერძნები, მეგრელები, გუგარელები, უტიელები და კავკასიის ტომები. იოანე კათალიკოსი „ავაზაკებსა“ და „მეკობრეებში“ ნამდვილად დაბალ ფენებს რომ გულისხმობს, ეს იქიდან ჩანს, რომ ისტორიკოსი თავის თხზულებაში არაერთხელ ასახელებს სივნიეთისა, თუ ვასპურაკანის მთავრების გამოსვლებს ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში იგი ამ შეთქმულებების მოთავე პირებს, რომლებიც უმთავრესად მთავრები, ან დიდებულები იყვნენ, ავაზაკებად, ან მეკობრეებად არ იხსენიებს. ყოველივე ზემოთქმული ზედმეტი დადასტურებაა იმისა, რომ იოანე ისტორიკოსს „ავაზაკებსა“ და „მეკობრეებში“ ნამდვილად ხალხის დაბალი მასა ჰყავს ნაგულისხმევი.

იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში დაკული მასალები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან არა მარტო სოფლ ის დაბალი ფენების აჯანყებების შესახებ, არამედ ისინი ქალაქის მოსახლეობის გამოსვლების შესახებაც მოგვითხრობენ. როგორც ირკვევა, აჯანყების ტალღა დაბა-სოფლების გარდა, ქალაქებსაც მოედვა. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს იოანე კათალიკოსის გამოთქმა „ჩვენი ქალაქები კი დაემხო მოსახლეობის გადაშენების გამო“-ო²⁰².

იოანე დრასხანაკერტელი განსაკუთრებით შვეთრ ფერებში აღწერს დაბალი ფენების აჯანყებათა შედეგად სომეხთა ქვეყნისათვის მიყენებულ ვნებას. „საერთოდ, როგორც შობილნი, ისე მშობელ-

²⁰¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 177 — 178.

²⁰² იქვე, გვ. 178.

ნი დაცვენილი, გაფანტული და გაბნეული იყვნენ [სხვადასხვა] ქალაქებში. ასე ილუპებოდნენ ჩვენი ხალხის შვილები ჩვენი ურჯულოების გამო. [ისინი] ერთ წამში სრულიად ამოწყდნენ და [განადგურდნენ]. მაგრამ — დასძენს ისტორიკოსი — უფრო მეტად მათ მემამბოხეთაგან [მიყენებული] ტანჯვა-წამება ღუპავდა, რადგან ხელთ ჰყავდათ რა შეპყრობილი, წარმოუდგენლად აწამებდნენ და გვემით ტანჯავდნენ მათ [იმ მიზნითაც], რომ რაიმე საკმელი ეპოვათ მათთან... დიდმა მღელვარებამ მოიცვა ქალაქები და სიკვდილით აღსავსე ღამეები დაეუფლა სოფლებსა და სახლებს. შიშველი გვამები ეყარა ქუჩებსა და პოედნებზე და შეურაცხყოფის საშინელ სურათს უშლიდა [თვალწინ] მნახველთ... ასე, მცირე ხნის განმავლობაში სიკვდილი ვავრცელდა და აღმოფხვრა ასქანაზის ტომი²⁰³.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელი ყოველთვის განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ ამბოხების გამანადგურებელ, ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველ შედეგებს, მაგრამ, რაც მთავარია, არაფერს ამბობს კლასობრივი ბრძოლის ძირითად მიზეზებზე. მხოლოდ ერთხელ, სუმბატ აშოტის ძის (890—891—914 წწ.) ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარი ამბოხების შესახებ საუბრისას, ისტორიკოსი, სხვათა შორის, ამ აჯანყების საბაბზეც მიუთითებს. როგორც ცნობილია, სუმბატ აშოტის ძის მეფობის პირველ წლებში სომეხთა ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების გზით მიდიოდა, მაგრამ არაბი ოსტიკანების (ჯერ აფშინისა, ხოლო შემდეგ იუსუფის) შემოსევებმა ეკონომიური კრიზისის წინაშე დააყენა ქვეყნის მეურნეობა. მწარმოებელი კლასის მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა იმ მძიმე გადასახადების შედეგად, რომლებიც დაბალ მასებს უნდა ეხადათ, ერთი მხრით, ხალიფებისათვის (ოსტიკანების საშუალებით), ხოლო, მეორე მხრით, ადგილობრივი სომეხი ფეოდალებისა და სამეფო კარისათვის. სომეხეთის მეფემ სუმბატმა ისარგებლა ხალიფასა და იუსუფ ოსტიკანს შორის დამოკიდებულების გაუარესებით და იმას მიაღწია, რომ ამიერიდან უშუალოდ ხალიფას გადაუხდოდა სომეხთზე შემოწერილ მთელ გადასახადს, თან ხალიფა გაუწევდა შეღავათს და რამდენიმე წელს ადროვებდა მას ხარკის გადახდას. მაგრამ მალე შეტრიალდა საქმის ვითარება. „იუსუფმა ერთსულოვანი მორჩილება განუტყადა ხალიფას და თავისი სამთავრო, რაც ეპყრა, კვლავ მას დაუბრუნა და დაუმორჩილა. ამრიგად, ამიერიდან

²⁰³ იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 186 — 188.

მეფის მიმართ ორივე მხრიდან — ხალიფასა და იუსუფ ოსტიკანი-საგან—გახშირდა მოციქული: ისინი ითხოვდნენ ორმაგად გადაეხდა [სუმბატს] სამეფო ხარკი, მონობის უღელი განუწესეს მძიმე ტვირთად.²⁰⁴ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დასახსნელად სუმბატმა ბრძანა მოსავლის ერთი მეათედის ნაცვლად ერთი მეხუთედი შეეგროვებინათ. ცხადია, სუმბატ მეფის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება უმთავრესად მშრომელი მასის ხარჯზე უნდა გახსორციელებულიყო. არც ისაა წარმოუდგენელი, თუ ყოველივე ეს რაოდენ დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა დაბალ ფენებში, მით უმეტეს, რომ მეფის ბრძანება მთავრებსაც კი მძიმედ მიუჩნევიათ.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელი აქ უკვე აღარაფერს ამბობს გადასახადის გადიდებასთან დაკავშირებით ხალხის გამოსვლების შესახებ, მაგრამ აშკარაა, რომ ზემოთ აღნიშნულმა ბრძანებამ სათანადო წინააღმდეგობაც გამოიწვია დაბალ მასებში. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს იოანე დრასხანაკერტელის შემდეგი ორაზროვანი ფრაზა, რომელიც სუმბატ მეფის მიერ გადასახადის გახუთკეცებასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას შეეხება: „თავისთვის კი [სუმბატ მეფემ] ის განიზრახა, რომ ერთით მშვიდობას დაიმკვიდრებდა სამეფო კარზე, ხოლო ოთხით ადვილად შეძლებდა მოეპოვებინა საზრდო. მაგრამ თუ კი მშვიდობა არ იარსებებს, ვერც ხუთით [გახდებოდა რამეს]“²⁰⁵. სუმბატ მეფის ასეთი მოქმედება მთავართა ერთმა ჯგუფმა თავისი ბოროტი მიზნების განხორციელების საბაზად გამოიყენა და შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც იოანე დრასხანაკერტელი აღნიშნავს, მათი მიზნები მალე გამომჟღავნდა და ბოროტებასაც დროულად მოეღო ბოლო.

როგორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში, სომხეთშიც კლასობრივი ბრძოლა უმთავრესად ეკონომიურ საკითხთან იყო დაკავშირებული. როგორც კი რაიმე გარემოება (გადასახადების გადიდება, გარეშე თუ შინაური მტრების წყალობით ეკონომიური პირობების გაუარესება) ოდნავ მაინც გააუარესებდა მწარმოებელი კლასის მდგომარეობას, იგი დაუყოვნებლივ ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია მოსალოდნელი საფრთხისაგან. ჩვენ მიერ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“ მოტანილი მაგალითებმა სწორედ ზემოთქმულის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

²⁰⁴ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 114.

²⁰⁵ იქვე, გვ. 115.

IX — X საუკუნეებში, ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანაში განსაკუთრებით გამძაფრდა სომხეთში კლასობრივი ბრძოლა. აღნიშნულ პერიოდში საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის განვითარება ყოველნაირად ხელს უწყობდა დაბალი მასების ექსპლოატაციის გაძლიერებას. საერო და სასულიერო ფეოდალებს ბატონობის უფლის ქვეშ მოქცეული სომხეთის მწარმოებელი კლასი გარდა აშკარა ბრძოლისა, რელიგიური დროშის საფარველ ქვეშაც ხშირად გამოდიოდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. სწორედ ასეთ ბრძოლას წარმოადგენდა ე. წ. თონდრაკელთა მოძრაობა²⁰⁶, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა სომხეთში. „პირველი შეხედვით თონდრაკელთა მოძღვრება, საეკლესიო-დოგმატურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მას ღრმა სოციალური ფესვები აქვს. თონდრაკელები არ აღიარებდნენ ეკლესიას, ... ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ მიწა, ქონება, ხელისუფლება ეკუთვნის უმცირესობას იმ დროს, როდესაც ხალხთა ფართო მასების ხვედრს უმიწობა, სიღატაკე და უუფლებობა წარმოადგენს“²⁰⁷.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელს, თონდრაკელთა მოძრაობის ერთი გარკვეული ეტაპის თანამედროვეს, თავის თხზულებაში პირდაპირ არ ჰყავს ისინი დასახელებული, მაგრამ გარკვეულ ადგილებში, სადაც დაბალი ფენების გამოსვლებზე აქვს ლაპარაკი, სომეხი მკვლევრის ს. პოლოსიანის სამართლიანი მითითებით²⁰⁸, სწორედ თონდრაკელთა აღნიშნულ მოძრაობას უნდა გულისხმობდეს. შემოთქმულის დამადასტურებელი ერთ-ერთი ასეთი ნაწყვეტის სრული სახით მოტანა აუცილებლად მიგვაჩნია. „ქეშმარიტად, წინასწარმეტყველი მხილველის მსგავსად ჩვენი ნუგეშისცემა არ შეუძლიათ ჩვენს შვილებს. ისინი სასოწარკვეთილი, ტყვედწასხმული, განდევნილი, მოკლული და მიძინებული არიან ყოველ გზაჯვარედინზე. ქეშმარიტად, ჩვენს მიმართ აღმოცენდა რისხვის მომავდინებელი სუნი, რადგანაც პატივი გვცეს და დაეტკბათ ღმრთის ნებათა სიტკბოს კურთხევით, [მაგრამ] ვერ შევიცნეთ ღირსეულად იგი, რისგანაც სიკეთე მოვისთვლეთ და არც შევწირეთ მადლი ნუგეშის მომცემს, რასაც ვალი მოითხოვდა ... სიმწრის ძირი უფრო

²⁰⁶ მოძრაობის ასეთი სახელწოდება წარმოდგება სოფელ თონდრაკიდან, სადაც დამკვიდრდა ამ მოძრაობის მეთაური სუჰბატ ზარეჰავანელი

²⁰⁷ ჯაკ ტილიქიჯი აკათიციანი, *Առաջին მաս, ხრესიან*, 1951, გვ. 177 — 178.

²⁰⁸ *Ս. Գ ո ղ ո ս յ ա ն, Գ յ ի լ զ ա ղ ի ն ի ռ ի ռ տ ա յ ի մ ը ե լ զ յ ի լ զ ա ղ ի ս կ ա ն շ ա ը թ ի մ ն ի ռ ը Լ ա յ ա ս տ ա ն ի մ IX — XIII դ ա ղ ի ի ռ մ . . .*, გვ. 390 — 392.

სახლიდან აღმოსცენდა, ვიდრე უცხოთაგან. რადგანაც ზოგიერთები. საყრდენად მიჩნეულნი; განუდგნენ უფალს და თავიანთი ენები ამა-ოებითა და ურჯულოებით შეჭურეს: მათ ჩვენს მთავრებს მრუდი და საცთური მიუთხრეს, მატყუარებმა და შემაცდენლებმა შეცვა-ლეს მართალი და გულწრფელი ადამიანები“²⁰⁹.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ზემოთ მო-ტანილი ამ ნაწყვეტიდან, ვფიქრობთ, ნათელია, რომ იქ წარმოდგე-ნილი ბრალდებები უბრალო შეამბოხებებს არ უნდა ეკუთვნოდეთ. აღნიშნული ხანისათვის იოანე ისტორიკოსის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებში მხოლოდ და მხოლოდ თონდრაკელები უნდა ვიგულის-ხმობთ, რადგანაც იოანე კათალიკოსის თანადროულ პერიოდში ეკ-ლესიისა და მისი დასის, საერთოდ ყოველგვარი რელიგიური წეს-ჩვევების წინაღმდეგ სწორედ თონდრაკელები გამოდიან. ასევე სა-ვარაუდებელია, რომ იოანე დრასხანაკერტელის მიერ „ავაზაკებად და მეკობრეებად“ წოდებული დაბალი ფენებიც სწორედ თონდრა-კელთა წარმომადგენლები არიან.

ამრიგად, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ზემოთ მოტანილი მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედე-გად სომხეთის სოციალური ვითარების სურათი IX—X საუკუნეებ-ში ასე გვესახება: ქვეყნის სათავეში დგას ფეოდალური კლასი, ბაგ-რატუნიანთა დინასტიის მეთაურობით, რომელიც სხვადასხვა ფენე-ბად იყოფა: მთავრები (დიდნი და მცირენი), მთავართა-მთავრები, დიდებული მთავრები, ნახარაბები, აზატები, დიდებულები. ფეოდა-ლური კლასის მეორე ძლიერ ფრთას წარმოადგენს ეკლესია, მფლო-ბელი დიდძალი ქონებისა (უძრავისა და მოძრავისა) და მამულებისა.

საზოგადოების დაბალ სოციალურ წრედ ითვლება მწარმოე-ბელთა კლასი, რომელშიც შედიან: რამიკები, რამიკთა მხედრობა, მსასქრნი, გლეხები; ისევე როგორც ყველა ფეოდალური საზოგა-დოებისათვის, სომხეთისათვისაც ნიშანდობლივია მწვევე კლასობრი-ვი ბრძოლა, რომელიც უმთავრესად აშკარა შეტაკებებში ვლინდება. ზოგჯერ კი რელიგიური დროშის საფარველქვეშ მიმდინარეობს. მაგრამ ღრმა სოციალური ფესვები აქვს.

აღნიშნულ ეპოქაში, სახელდობრ, IX საუკუნის მე-2 ნახევარს- და X საუკუნის პირველ მეოთხედში სომხეთის საშინაო ვითარების,

²⁰⁹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-მდებარე გამოცემა, გვ. 135 — 136.

ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორს მისი საგარეო პოლიტიკა წარმოადგენდა, რომელიც თავის მხრით სომხეთის მიმართ არაბთა სახალიფოს საგარეო პოლიტიკით იყო განსაზღვრული. მართალია, IX საუკუნის შუა წლებიდან არაბთა პოლიტიკური ბატონობა ფაქტიურად უკვე აღიკვეთა სომხეთში, მაგრამ არაბ ოსტიკანთა განუწყვეტელი თარეში, რომლის მიზანს ნადავლის დატაცება და ქვეყნის აოხრება შეადგენდა, ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიკას და ხშირად სომხეთის ფიზიკური განადგურების საფრთხესაც კი ქმნიდა. ბაგრატიონთა დინასტიის პირველ წარმომადგენელთა მოღვაწეობა მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში წარიმართებოდა. შედარებით მშვიდობიან პირობებში მოუხდა სახელმწიფოს მართვა აშოტ სუმბატის ძეს, რომელმაც როგორც ვარეშე მტრებთან, ასევე თვით ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგე ძალებთან შეძლო ერთგვარი მოქნილი პოლიტიკით საქმის მშვიდობიანად მოგვარება. „ამიერიდან მან თვალსაჩინო წესრიგი დაამყარა თავის სამფლობელო ქვეყანაში. [მოაწესრიგა] ნაგებობა სახლთა, ტომთა, ქალაქთა, დაბათა, სოფელთა, მთისა და კეთილშეზავებულ, ცხელ ქალოვან ბარის მცხოვრებთ თანაბრად დაუდგინა წესი; ვაკე ადგილებში ყანები და ბოსლები გააშენა, ხოლო ვენახებსა და ბაღებში საგრილობლები მოაწყო. მეფობის წესს, როგორც სამეფოს შიგნით, ასევე მის გარეთ, არაჟრით აფერხებდა. [მისი მეფობა] ყველა სხვათა მეფობასთან შედარებით უდიადესი და უკონიერესი აღმოჩნდა“²¹⁰.

განსაკუთრებით გამწვავდა სომხეთის პოლიტიკური და მისგან გამოძინარე ეკონომიური ვითარება აშოტის მემკვიდრის — სუმბატის მეფობის დროს, როდესაც ქვეყნის შიგნით სულ უფრო ფართო ხასიათი მიიღო მთავართა სეპარატისტულმა გამოსვლებმა, რასაც არაბი ოსტიკანები თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ. გავიხსენოთ არწრუნთა მთავრის გაგიკის სუმბატ მეფისაგან განდგომისა და აფშინ ოსტიკანის მხარეზე გადასვლის ამბავი. მეფე-მთავრის შორის უთანხმოების საბაზად ქალაქ ნახიჭევანის საკითხი იქცა. გაგიკ მთავარმა მეფეს მოსთხოვა მისთვის ქალაქ ნახიჭევანის, როგორც მამა-პაპისეული კუთვნილების, დაბრუნება. ქალაქი ნახიჭევანი კი სუმბატს აღრევე ძღვნად ჰქონდა მიცემული სივნიეთის მთავრისათვის და ამჯერად აღარ ისურვა „თავისი ხელწერილის მთავრისათვის წართმევა და მისთვის ბოძებული პატივის

²¹⁰ იო ან ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ს „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 37 — 38.

შეურაცხყოფად და უპატიობად ქცევა“²¹¹. სუმბატის ასეთმა საქციელმა უფრო მეტად განარისხა გაგიკ მთავარი, რომელმაც მეფის მიმართ ბოროტება განიზრახა, დატოვა სომხეთი და დიდძალი ძღვენით იუსუფ ოსტიკანისაკენ გაემართა სპარსეთში. „[ოსტიკანმა] კმაყოფილებით მიიღო [ყოველივე], მისცა [გაგიკს] სამეფო გვირგვინი და მეფური პატივი და ძღვენი მიაგო“²¹². ამრავად, იუსუფ ოსტიკანმა სუმბატის საწინააღმდეგოდ გაგიკის გამეფებით თავის შიზანს მიაღწია — ახალი არეულობა და შფოთი მოჰდინა ქვეყანას. ასეთივე განზრახვით იუსუფ ოსტიკანმა უფრო გვიან, სახელდობრ 921 წელს, როდესაც სომხეთის კანონიერი მეფე აშოტ სუმბატის ძე [915—928 წ.] ბიზანტიის კეისართან კონსტანტინესთან იმყოფებოდა, ახალი უთანხმოების ჩამოგდების მიზნით სომეხთა სპარაპეტს აშოტს, აშოტ სუმბატის ძის ბიძაშვილს, სამეფო გვირგვინი დაადგა. ბიძაშვილები „როგორც უცხო თესლ-ტომის მტრები, ეკვეთენ ერთმანეთს ჩხუბითა და ბრძოლით. ისინი ცდილობდნენ ეჯობნათ ერთმანეთისათვის ბრძოლასა და ჩხუბში. რადგან ორივე სამეფო სახელს ატარებდა, [ამიტომ] ერთმანეთის მიმართ ბოროტებითა და შურით აღივსნენ. ამან უფრო მეტად განარისხა და გაააფთრა ისინი. თითოეული თავისი თავის გამეფებისათვის ზრუნავდა“²¹³.

სომხეთის მეფე-მთავართა შორის უთანხმოების ჩამოგდების ასეთი მზაკვრული მეთოდებით (რასაც არაერთგზის მიმართავდნენ არაბი ოსტიკანები), მართალია, არაბი-გამგებლები უკვე მტკიცედ ვეღარ იმაგრებდნენ ფეხს სომხეთში, რადგანაც მათი პოლიტიკური ბატონობა ფაქტიურად უკვე აღკვეთილი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მათი ყოველი თარეში (აფშინის 892—893 წ, 896—97 წ, და 899 წ., შემდეგ კი იუსუფის 909—914 წლების, 915—922 წლებში იუსუფისა და სბუკის შემოსევები) გამანადგურებლად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. არაბთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად სომხეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას საკმაოდ სრული სახით გადმოგვცემს იოანე დრასხანაკერტელი თავის თხზულებაში. ხშირად შემზარავი სურათებით ხატავს ისტორიკოსი არაბ დამპყრობთაგან დატრიალებულ უსამართლობას. „მძიმე ტანჯვასთან ერთად სტიქიონმაც წარმოქმნა ჩვენში ბოროტება — წერს იოანე კათალიკოსი — კეთილად შეზავებული ჩრდილოეთის ჰაერი სამხრეთის მძაფრ ქარად

²¹¹ იო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ს „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 120.

²¹² ი ქ ვ ე, გვ. 120.

²¹³ ი ქ ვ ე, გვ. 223.

გადაიქცა, ტკბილი და სასიამოვნო გაზაფხული ზამთრის გლოვად შეიცვალა. ჩვენი მიწათმოქმედნი ერთ დროს მეტად ხელუხვნი იყვნენ თავიანთ ხელმონაგარზე, ეხლა კი დასუსტდნენ, გახევდნენ და უგრძობებლნი გახდნენ. სავეს ბეღლები დაცარიელდა. ერთ დროს წალკოტში მობალახე ფარა დამკლევდა და შეთხელდა. ნოყიერი და უხვი მიწები დამწუხრდა. ქალები, რომლებიც მრავლად იძლეოდნენ ხორბალს, სეტყვითა და ბოროტი ნიაღვრებით წაილეკა. საამო და სასარგებლო წვიმები უსარგებლო თქეშმა და თქორმა [შეცვალა] სამკალისა და კალოს წასახდენად, თუ კი სადმე ბარაქა მოიპოვებოდა. გაღალღებული მთები დაუშნოვდა, [რადგან] აღარ ჩანდა იქ მობალახე საქონელი. ათი უღელი ხარისა დავამუშავეთ და მივიღეთ მხოლოდ ერთი სარწყული. დავთესეთ და ვერ მოვიმკეთ, დავნერგეთ და ვერ მოვისთვლეთ. ლელვმა აღარ მოგვცა ნაყოფი, ვაზმა და ზეთისხილმა კი თავიანთი ნაყოფი. თუ კი რამე გვქონდა შემონახული, ისიც სხვებს დაუტოვეთ. აგვისრულდა უფლის სიტყვები: ჩუენ დავშუერით და ჩუენს ნაშრომსა სხუანი შევიდეს... ამგვარად მტრის ძარცვა-გლეჯას, მოუსაველიანობასა და უნაყოფობას დაემატა შიმშილიც, რაც ძლიერ გამძვინვარდა. ცეცხლი, ნაკვერცხალს რომ გვაწვიმდა, და მეომართა უწყალო მახვილი, რომელსაც ნიადაგ სიკვდილის სუნი მოჰქონდა, შეიდ წლამდის გაიზიდა და გაგრძელდა²¹⁴... გავჩანადით და დაცვარიელდით ქონებისა და სარჩო-საბადებლისაგან, არ გავაჩნია საქმელიც კი. ამიერიდან ფეხი მოიკიდა ჩვენში მომსრველმა შიმშილმა, განადგურდნენ არარატის ქვეყნის შვილები. ქალაქების, დაბებისა და სოფლების [მოსახლეობა] ფერდაკარგული, დახსნილ-დარღვეული მიცვალებულთა გვამებივით ირყეოდა...²¹⁵

ზემოთ მოტანილი ცნობა ორმხრივ არის საინტერესო: ჯერ-ერთი, რაც მთავარია, მასში საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი არაბთა შემოსევების შედეგად ქვეყნის უკიდურესი ეკონომიური გაჭირვების სურათი, მაგრამ ამასთან ერთად მკით-

²¹⁴ აქ ითანე დრასხანაკერტელი გულისხმობს არაბთა წინააღმდეგ სომხეთის მეფის აშოტ სუმბატის ძის [915 — 928 წ.] თაოსნობით 915 — 924 წლებში სომეხი ხალხის ბრძოლას, რომელმაც საბოლოოდ ძლიერი ლახვარი ჩასცა არაბთა ბატონობასა და თარეშს სოპხეთში. 922 წელს ბაღდადის ხალიფა იძულებული იყო არა მარტო სამეფო გვირგვინი გაეგზავნა აშოტ სუმბატის ძისათვის, აოამედ შაჰან-შაჰის ტიტულიც მიენიჭებინა მისთვის.

²¹⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 181 — 183.

ხველს შეუძლია თვალნათლივ დაინახოს ის სიუხვე და ეკონომიური ძლიერებაც, რაც ერთდროს სომხეთის მეურნეობას ახასიათებდა.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ერთი რიგი ცნობების საშუალებით ასევე შესაძლებელი ხდება რამდენადმე მაინც გავითვალისწინოთ სხვა საყურადღებო საკითხებიც. მაგალითად, საქალაქო ცხოვრების განვითარება სომხეთში, ვაჭრობა ალებ-მიცემობა, ხელოსნური წარმოება, სოფლის მეურნეობა და სხვ.

4. იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში გარდა სომხეთის თავგადასავლის ამსახველი მასალებისა, საქართველოს შესახებაც მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები იძებნება. იოანე კათალიკოსისათვის საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემა არსებითი არ ყოფილა, მაგრამ მას, როგორც თვითმხილველსა და თავის თხზულებაში აღწერილი ამბების ხშირად აქტიურ მონაწილეს თავისი ქვეყნის მეზობელი ხალხის — ქართველების ცხოვრებაც არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე და სომხეთის თავგადასავლის პარალელურად, მასთან უშუალო კავშირში საქართველოს შესახებაც გარკვეული მასალები შემოუნახავს.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ ისინი განსაკუთრებით იმით იპყრობენ ჩვენ ყურადღებას, რომ, ჯერ-ერთი, დამატებით შეუქს ჰყენენ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხს, ხოლო მეორე მხრით, ზოგჯერ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მხარის შესასწავლად სრულიად ახალ მასალებს გვაწვდიან, რომლებსაც ვერ ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ დღემდე მონოგრაფიულად, სრული სახით არ არის შესწავლილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აქამდე ინტერესმოკლებული იყო საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. პირიქით, საქართველოს ისტორიის მკვლევრები ხშირად მიმართავდნენ იოანე დრასხანაკერტელის ცნობებს სხვადასხვა თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიის გარკვეული საკითხების კვლევისას.

ჩვენი მიზანია წინამდებარე ქვეთავში წარმოვადგინოთ საქართველოს შესახებ იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში დაცული ცნობები, შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ, გავანალიზოთ, შევა-

მოწმით მათი სანდოობა სხვა წყაროთა მონაცემების შუქზე და და-
ვადგინოთ. რით ავსებენ ეს ცნობები საქართველოს ისტორიის გარ-
კვეული პერიოდის შესახებ ისტორიოგრაფიაში დღემდე ცნობილ
მასალებს და საერთოდ რა მნიშვნელობა აქვთ მათ საქართველოს ის-
ტორიის დაზუსტებისა და შესწავლისათვის.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, თუ რა ხასიათისაა იოანე
დრასხანაკერტელის ცნობები საქართველოს შესახებ, ძირითადად სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების რომელ მხარეს ეხებიან ისინი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოანე დრასხანაკერტელი თავის
თხზულებაში უმთავრეს ადგილს სომხეთის პოლიტიკური ისტორიის
აღწერას უთმობს. იგივე უნდა ითქვას საქართველოს შესახებაც. ის-
ტორიკოსი სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის გად-
მოცემაზე ამახვილებს მთელ თავის ყურადღებას და სრულიად არა-
ფერს აშობს საქართველოს საშინაო ცხოვრების, მისი ეკონომი-
ური თუ სოციალური ვითარების შესახებ. როგორც ცნობილია, იოანე
კათალიკოსი არაბთაგან დევნის გამო კარგა ხნის განმავლობაში იმ-
ყოფებოდა ქართველთა მეფის ადარნასეს სამეფო კარზე, ასე რომ
იგი კარგად იქნებოდა გაცნობილი საქართველოს საშინაო მდგომა-
რეობას, რაც შეეძლო სანდოდ გადმოეცა „სომხეთის ისტორიაში“-
მაგრამ, რატომღაც, იოანე დრასხანაკერტელი თავს არიდებს თავის
თანამედროვე საქართველოს სოციალური ვითარების აღწერას და მის
შესახებ საუბრისას მხოლოდ საქართველო-სომხეთის პოლიტიკური
ურთიერთობის ისტორიიდან ცალკეული ეპიზოდების გადმოცემით
იფარგლება.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობათაგან საქართველოს შესახებ
განსაკუთრებით საყურადღებო და სანდოა მისი თანადროული პე-
რიოდის, უფრო ზუსტად, IX საუკუნის 80-იანი წლებიდან X საუკუ-
ნის 20-იან წლებამდე, ამსახველი მასალები. აღნიშნული ქრონო-
ლოგიური მონაკვეთი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი რგოლია სა-
ქართველოს ისტორიის იმ ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდისა, რო-
მელიც ახლადწარმოქმნილ ფეოდალურ სამთავროთა ერთ ძლიერ
პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებისათვის ბრძოლით აღინიშნე-
ბა. ეს ბრძოლა კი XI საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს პო-
ლიტიკური გაერთიანებით დამთავრდა.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებულს საქართვე-
ლოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო ცხოვრებაში ძირეული გარ-
დატეხება შეინიშნება. აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს
ყველა მხარეში ერთგვარ გამოცოცხლებასა და საკუთარი ძალების

თავმოყრას აქვს ადგილი. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, ყველაზე კარგი პირობები დასავლეთ საქართველოში არსებობდა, რასაც შემდეგმა საგარეო ფაქტორმა შეუწყო ხელი: დასავლეთ საქართველო რამდენადმე გადაურჩა არაბ დამპყრობთა თარეშს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჭუანჭერის ცნობას იმის შესახებ, რომ „[მურვანმა] ვითარცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კულად მიიცივალნეს აფხაზეთად, შეუდგა კულასა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი და ციხეიგი სამზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შეელო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა...“²¹⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად²¹⁷ დასავლეთ საქართველო არაბთა ბატონობისა და მათი გავლენის გარეშე დარჩა, რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ფაქტების ანალოგიურ შემთხვევებს, ისინი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს წარმოადგენენ და მათზე დაყრდნობით არ შეიძლება მსჯელობა დასავლეთ საქართველოში არაბთა მფლობელობის დამკვიდრებაზე.

არაბთა მძლავრობას გადარჩენილი ეგრის-აფხაზეთი VIII საუკუნის მიწურულისათვის მჭიდროდ დასახლებულსა და სოციალურ-ეკონომიურად საკმაოდ ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება კლვევ უფრო მეტად უწყობდა ხელს წვრილი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებას დასავლეთ საქართველოში. ბრძოლაში აფხაზეთის მთავარმა ლეონ II გაიმარჯვა, რომელიც ამიერიდან უკვე ეგრის-აფხაზეთის ქვეყანას ფლობდა. დროთა

²¹⁶ ჭუანჭერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 234 — 235.

²¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი ნეორე, თბილისი, 1948, გვ. 89. ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 376. საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 117. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI — XVII в.в.), Сухуми, 1959, стр. 88 — 94.

მ. ლორთქიფანიძე, სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, თბილისი, 1958, გვ. 29.

მსვლელობამ მალე სახე უცვალა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას; აფხაზეთის სამთავრომ ბიზანტიის კეისარზე დამოკიდებულებისაგანაც იხსნა თავი. ამ უკანასკნელი ფაქტის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები თვით ბიზანტიის სახელმწიფოს დასუსტებამ წარმოქმნა, რაც არაბებთან ბრძოლითა და თვით ქვეყნის შიგნით შინაური საეკლესიო უთანხმოებით იყო გამოწვეული²¹⁸. ასე ჩაეყარა საფუძველი დასავლეთ საქართველოში მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებას ე. წ. „აფხაზთა სამეფოს“. ვინაიდან აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხი ჩვენ უშუალო მიზანს არ შეადგენს²¹⁹, ამიტომ მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ მივუთითებთ, რომ აფხაზთა სამეფო ეთნიკური შემადგენლობით არ იყო ერთგვაროვანი, არამედ მის ფარგლებში გარდა საკუთრივ აფხაზეთისა და ეგრისისა, შედიოდა სვანეთიც და საერთოდ მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. აკად. ნ. ბერძენიშვილის მითითებით „VIII საუკუნის მიწურულს ეგრის-აფხაზეთში მომხდარი ეს დიდი მნიშვნელობის აქტი (აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა — ე. ც.) არ ნიშნავდა ძველი ლაზიკის სამეფოს აღდგენას და არც აფხაზური სამეფოს ახლად წარმოქმნა იყო ის, იმისდა მიუხედავად, რომ გამეფებული დინასტიის მიხედვით ამიერიდან ქვეყანას „აფხაზთა სამეფო“ ეწოდებოდა“²²⁰. ამრიგად, VIII საუკუნის მიწურულიდან, აფხაზეთის სამეფოს შექმნის დროიდან ტერმინები „აფხაზები“, „აფხაზეთი“ ძველებური ვიწრო, ეთნოგრაფიული (ეთნიკური) გაგებით კი აღარ იხმარებოდა, არამედ მათ დამატებითი მნიშვნელობებიც შეიძინეს. ამიერიდან, „აფხაზეთში“ პოლიტიკური აფხაზეთი იგულისხმებოდა. თვით „მატიანე ქართლისა“-ის ზემოთ მოტანილი ცნობა აფხაზეთის სამეფოს შექმნისა და ლეონ II მიერ აფხაზთა მეფის წოდების მოპოვების შესახებ სხვას არას გულისხმობს, თუ არა დასავლეთ საქართველოს წერილი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებას აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებით და გამარჯვებული ლეონ მეფის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ტომების ერთ საერთო მეფედ აღი-

²¹⁸ იხ. Ш. Диль, История Византийской империи, 1948, გვ. 56 — 66.

²¹⁹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იხ. ს. ჯანაშია. О времени и условиях возникновения Абхазского царства. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 322 — 341. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии..., გვ. 95 — 120.

²²⁰ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 124.

არებას. „აფხაზეთის“ პოლიტიკური და არა ეთნოგრაფიული გაგებით ხმარების შემთხვევას ქართულ წყაროთაგან ჯერ კიდევ იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობა“-ში ვხვდებით. იოანეს გადმოცემით ქართლის ერისმთავარმა ნერსემ არაბთაგან თავის დასაღწევად თავშესაფარად აფხაზთა ქვეყანა მიიჩნია: „შემდგომად რავდენისამე უამისა, ევედრა ნერსმ მეფესა მას ჩრდილომასასა, რამეთა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარგზავნენს დედა და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა“²²¹, ან კიდევ „ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენთა ამათ დღეთა მგზავრ ილოცვიდა და იმარხვიდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა. და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსმ ყოვლით ერთ მისითურთ... მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბო მსთეს, რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერთ მისითურთ... და ნეტარი ჰაბო უფრომსლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ (ე. ი. აფხაზეთი. — ე. წ.) იგი სავსე ქრისტს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა. მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტომასაჲ, სამკვდრებელი ყოლადვე ქრისტეანეთაჲ; მისაზღვრადმდე ქალდიასა, ტრაპეზუნტიჲჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ, და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და აღგილები საბრძანებელად ქრისტს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა“.²²² სტეფანე მტბევარიც დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის დასავლეთით იხსენიებს: არაბთა ოსტიკანის აბულ-კასიმის (იგივე იუსუფის) რისხვისაგან თავის დასაღწევად სომეხთა მეფე სუმბატ „მიივლტოდა... მათთა ზედა აფხაზეთისათა“...²²³

²²¹ იოანე საბანისძე, მარტვილობა ჰაბო ტფილელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V - X სს.) დასაბუქდად მოამზადეს: ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით..., თბილისი, 1963, გვ. 58 — 59.

²²² იოანე საბანისძე, დაახ. ნაშრ., გვ. 59 — 60.

²²³ სტეფანე მტბევარი, მარტვილობა გობრონისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I..., გვ. 176.

გარდა ქართული წყაროებისა, სომხურ წყაროებშიც მრავლად გვხვდება ისეთი ცნობები, რომელთა მიხედვითაც ტერმინები — „აფხაზეთი“, „აფხაზები“ დასავლეთ საქართველოსა და იქ მცხოვრები ტომების მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ასეთ წყაროებად შეგვიძლია დავასახელოთ თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია“²²⁴, სტეფანოს ტარონელის „მსოფლიო ისტორია“²²⁵ და უხტანესის „სომეხთაგან ქართველთა განყოფის ისტორია“²²⁶.

დასახელებულ სომეხ ისტორიკოსთაგან განსხვავებით იოანე დრასხანაკერტელი დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ორჯერ იხსენიებს აფხაზეთის სახელწოდებით, უფრო ზუსტად, აფხაზთა მთავრის შესახებ აქვს საუბარი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი იოანე კათალიკოსი ხმარობს ტერმინებს „ეგრისი“, „ეგრისელები“. ან „სამეგრელო“, „მეგრელები“. ასეთი მაგალითების დასახელება ჩვენ საკმაო რაოდენობით შეგვიძლია, მაგრამ მხოლოდ ორიოდეთი დაუკმაყოფილებელით. აფხაზეთის სამეფოს გამგებელს — მეფე კონსტანტინე III-ს (893—922 წწ.) იოანე ისტორიკოსი ეგრისის მეფეს უწოდებს. „ამ დროს ე გ რ ი ს ი ს მეფემ კონსტანტინემ მეტად უჩვეულო და ურცხვი ქცევით იმუხთლა...“²²⁷ ხალხს კი ეგრისელებად იხსენიებს. „...[სუმბატმა] დაინახა განხეთქილება ე გ რ ი ს ე ლ თ ა, რომლებიც სასწრაფოდ დაიყვნენ და უკვე მომზადებული იყვნენ სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ...“²²⁸ იოანე დრასხანაკერტელი თავის თხზულებაში, ერთ ადგილას ეგრისელებს, ან მეგრელებს თავისი ქვეყნის მეზობლად მცხოვრებ ხალხთა შორის ასახელებს „ჩვენმა მეზობლებმა და ხალხებმა. — წერს ისტორიკოსი, — ჩვენს გარშემო რომ არიან, ბერძნებმა, მეგრელებმა, გუგარელებმა და უტიელებმა: — კავკასიის ძირას მოსახლე ჩრდილოელმა ტომებმა გადაწყვიტეს საქუთარი ძალით ეხსნათ თავი...“²²⁹ და სხვ.

ზემოთ მოტანილი ყველა მაგალითი კიდევ ერთხელ ზედმეტი დადასტურებაა იმისა, რომ ტერმინები „აფხაზეთი“, „ეგრისი“, „აფ-

²²⁴ *წიქმასქი վարդապետի Արժրունւոյ Պատմութիւն տան Արժրունաց...*, გვ. 168.

²²⁵ *Ստեփանոսի Տարոնեւոյ Ասոյւղան Պատմութիւն տի. և դերական...*, გვ. 164, 171, 172, 251, 252.

²²⁶ *Ուլխասնէս Պատմութիւն բաժանման վրացի Հայոց...*, გვ. 35.

²²⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 109.

²²⁸ იქვე, გვ. 111.

²²⁹ იქვე, გვ. 177.

ნახები“, „ეგრისელები“ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, სახელდობრ VIII საუკუნის მიწურულიდან, ე. ი. აფხაზეთის სამეფოს შექმნის დროიდან XI საუკუნემდე, ე. ი. საქართველოს გაერთიანებამდე გარდა საკუთრივ აფხაზეთისა და აფხაზეთისა აღნიშნავდნენ მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და იქ მცხოვრებ ხალხს. შემდგომ პერიოდში კი, უკვე XI საუკუნიდან, აღნიშნული ტერმინების მნიშვნელობა უფრო ფართოვდება. ისინი ამიერიდან „საქართველოსა“ და „ქართლის“ ჩინონიშებადაც კი იქცევიან²³⁰.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს საშინაო ცხოვრებაში ძირეული გარდატეხები შეინიშნება. დასავლეთ საქართველოს მსგავსად, აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველომაც იცვალა პოლიტიკური სახე. აქაც ახალ ფეოდალურ-პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას აქვს ადგილი. თუ VIII საუკუნის I ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო, რომელსაც ქართული და სომხური წყაროები პოლიტიკური მნიშვნელობის ტერმინით, „ქართლით“ აღნიშნავენ, ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს, იმავე საუკუნის II ნახევარში მისი მთლიანობა უკვე ირღვევა და იქ ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას აქვს ადგილი კახეთისა და ჰერეთის სამთავროების სახით²³¹.

ცოტა უფრო გვიან ახალი ფეოდალურ-პოლიტიკური ერთეული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზეც შეიქმნა. ეს იყო ტაოკლარჯეთის სამთავრო. ამრიგად, IX საუკუნის დასაწყისისათვის მთელი საქართველო ახალი სამეფო-სამთავროებით მოიფინა (აფხაზეთის სამეფო, კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამთავრო, ტაოკლარჯეთის სამთავრო). სამთავროების წარმოქმნამ ხელი შეუწყო მთავრებს (დიდთა და მცირეთა) მომრავლებას დროთა განმავლობაში. ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი მომწიფების პროცესში განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მიწისათვის, რაც მთავრების სიმდიდრის მთვარ წყაროს წარმოადგენდა. მათი მთელი გულისყური იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ დაეთრგუნათ მათთვის უფრო საშიში მოქიშპე მეზობელი, ძმა, თუ ნათესავი და მისი მამუ-

²³⁰ აღნიშნული საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. З. В. Анчабадзе, Из Истории средневековой Абхазии..., გვ. 171 — 177.

²³¹ იხ. მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. კახეთის სამთავრო VIII — XI სს. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. 11 — 51.

ლის ხარჯზე საკუთარი მიწა-წყალი გაეფართოებინათ. „ჩვეულებრივად მთავრები ჯგუფ-ჯგუფად ირაზმებოდნენ ხოლმე, მაგრამ გუ-ზინდელი მოკავშირე შესაძლებელია ხვალ მტრად გადაქცეულიყო და პირუტყუ“²⁰².

როგორც ქართული და სომხური საისტორიო წყაროები გვაუწყებენ, ადგილობრივი ქართველი მთავრების გარდა ბრძოლაში ხშირად სომეხი მთავრებიც იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ართულებდა საქმეს. თუ აქამდე ერთმანეთის მოქიშპედ ქართლის მთავრები გამოდიოდნენ, ამიერიდან სომეხი მთავრებიც ჩაებნენ ბრძოლაში. ბრძოლა ქართულ-სომხურ სამთავროებს შორის განსაკუთრები თგამწვავდა IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, აღნიშნულ პერიოდში სომხეთშიც, საქართველოს მსგავსად რამდენიმე სამთავრო არსებობდა. მათ შორის თავისი სიძლიერით გამოირჩეოდა შირაკის ანუ ბაგრატიონანთა სამთავრო, ვასპურაკანის ანუ არწრუნთა სამთავრო და სივნიეთის სამთავრო. სომეხი მეფე-მთავრებიც ცდილობდნენ თავისი უფლებები გაეგრცელებინათ საქართველოს შუაგულზე — ქართლზე, რადგანაც კარგად ესმოდათ ქართლზე გაბატონების მნიშვნელობა თითოეული მებრძოლი მხარისათვის. სომეხი მთავრების აქტიური მონაწილეობა ქართლისათვის ბრძოლაში, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებას გამოიწვევდა საქართველოს მმართველ წრეებში. უკმაყოფილების მიზეზი ისიც იყო, რომ ხშირად სომხეთის მეფე თუ მთავარი საქართველოს მთავართა ერთი, ან მეორე დაჯგუფების მოკავშირედ გამოდიოდა. (მაგალითად, აფხაზეთის მეფის მოკავშირედ ტაო-კლარჯეთის მფლობელთა წინააღმდეგ, ან, პირიქით, აფხაზთა მეფის წინააღმდეგ ტაო-კლარჯეთის მფლობელებთან კავშირში).

როგორც ცნობილია, აღნიშნული პერიოდისათვის ქართველ და სომეხ მეფე-მთავრებს ურთიერთშორის ბრძოლის პარალელურად ატრაპატაკანის საამიროს გამგებელთა წინააღმდეგაც უხდებოდათ ბრძოლა. არაბი ოსტიკანები თავიანთ ადგილსამყოფელოდან, ატრაპატაკანიდან (ადარბადაგანიდან), რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა სომხეთს. თვალყურს ადევნებდნენ საქმის მსვლელობას სომხეთში, საქართველოსა და ალბანეთში. ისინი განსაკუთრებით მოხერხებულად სარგებლობდნენ ქართულ-სომხურ სამთავროებს შო-

²⁰² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948, გვ. 154.

რის წარმოქმნილი წინააღმდეგობით და ხშირად ერეოდნენ მათ სა-
შინაო და საგარეო საქმეებში. ეს კიდევ უფრო ართულებდა მდგო-
მარეობას და ზოგჯერ სერიოზული განხეთქილებაც კი შექმონდა
ცალკეულ დაჯგუფებებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოქმნი-
ლი დაჯგუფებები ყოველთვის მყარი როლი იყვნენ, რაც შემთხვევებ-
ში, შექმნილი სიტუაციების შესაბამისად, ძველი მოკავშირეები
ერთმანეთის მტრად იქცეოდნენ და პირუკუ. მტრები კი უკავშირდე-
ზოდნენ ერთმანეთს. ძალთა ასეთ დაჯგუფებას, რა თქმა უნდა, მხო-
ლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა, და იგი ცალკეული სამთავროს
ინტერესებით იყო გაპირობებული. აკად. ნ. ბერძენიშვილის მითი-
თებით „თუ ერთი ვინმე მეორეს შველის მესამის წინააღმდეგ, ეს
იმ მიზნით, რომ უფრო საშიში მოქიშპე თავიდან მოიცილოს, რათა
შემდეგ დღევანდელი მოკავშირე თვითონ გადაყლაპოს. ძმა ძმებს
არ ინდობს, შვილები — მამას. ყველას უკავშირდებიან და ერთგუ-
ლობენ, ან მტრობენ და ებრძვიან — კეისარს, ხალიფას, ამირას, მე-
ფეებს და მთავრებს, შორეულს თუ ახლობელს, ოღონდ თავიანთ
მიზანს მიაღწიონ, გაძლიერდნენ, მოძმე მეზობელი დაიპყრონ, თა-
ვის ქვეყანას სხვისი ქვეყანა შეუერთონ.“²³³

ზემოთ აღნიშნული მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომელმაც
განსაკუთრებით მწვავე სახე IX საუკუნის მიწურულსა და X საუ-
კუნის დამდეგს მიიღო, მკრთალად არის აღწერილი ქართულ პირ-
ველწყრობებში. „მატიანე ქართლისა“ გვაწვდის ერთ მეტად მკირე
ცნობას კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და სომეხთა მეფის სუმბატ
აშოტის ძის შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: „მას უამ-
სა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემ-
ტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა
დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღ-
მოაგეს ზემო—ქერძო და წარიღეს ციხე კერკითა. ზოლო კეთილად
იმზახნეს სუმბატ და კოსტანტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყო-
ველი ქართლი...“²³⁴ აღნიშნული ცნობიდან ის კი ირკვევა, რომ
„იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“, მაგრამ ნათელი
არ არის, თუ რატომ მოხდა ასე სწრაფად მათი შეთანხმება, ან რა
პოზიცია ეკავა ადარნასე მეფეს. ქართულ წყაროებში, ერთი მხრივ,
კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და ადარნასე ქართველთა მეფის შო-

²³³ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო..., გვ. 130.

²³⁴ მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა..., გვ. 262.

რის ურთიერთობისა და, მეორეს მხრივ, სომეხ მეფე-მთავრებთან მათი დამოკიდებულების ამსახველი ცნობების სიმცირეს სწორედ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში მოცემული მასალები ავსებენ. აღნიშნულ ურთიერთობას, როგორც ირკვევა, უმთავრესად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათ შორის არც განხეთქილება იყო გამორიცხული.

იოანე დრასხანაკერტელს თავის თხზულებაში ერთი ასეთი ცნობა აქვს შემონახული. აშოტ სუმბატის ძემ, სომეხ ბაგრატიუნიანთა დინასტიის პირველმა მეფემ (885—891 წწ.), მეფის წოდების მინიჭების შემდეგ თავისი ქვეყნის საზღვრების უშიშროებაზეც იზარუნა; „ხელი აღმართა ჩრდილოეთის მხარეზე, დიდი მთის კავკასიის ხეობებზე, მის ქალებსა და გრძელწიაღოვან ხევეებში მცხოვრები ტომები დაიმორჩილა. ასევე დაიქვემდებარა მან გუგარეთის ნარევი მოსახლეობა და უტიის გავარის ავაზაკობის მიმდევარი ხალხი. ხელი ააღებინა მათ კაცთმოღალატეობასა და ავაზაკობაზე და ყველა წესიერი და მორჩილი გახადა. წინამძღოლები და მთავრებიც კი დაუყენა. ასევე ერთობითა და სიყვარულით დაიკავშირა ეგრისის მეფეც, რომელიც ხშირად ნახულობდა [აშოტს], შვილობილის მოვალეობას იხდიდა მის წინაშე და ყოველთვის ერთგულ სამსახურს უწევდა“²³⁵.

ვინაიდან ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში აშოტ ბაგრატიუნი უკვე მეფედ იხსენიება, აღნიშნულ ურთიერთობას სომეხთა მეფე აშოტსა და ეგრისის მეფეს შორის 885—891 წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი. იოანე დრასხანაკერტელთან მოხსენებული „ეგრისის მეფე“ უნდა იყოს აფხაზეთის მეფის დემეტრეს ვაჟი ბაგრატი. აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართოთ ქართულ წყაროებს.

როგორც „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს, ბაგრატი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ბიზანტიის კეისრის კარზე, კონსტანტინეპოლში. ბაგრატის თავის შეფარება კონსტანტინეპოლში იმ შინაური ბრძოლით იყო გამოწვეული, რომელიც მისი მამის დემეტრე II-ის (825—861 წწ.) გარდაცვალების შემდეგ დაიწყო; სამეფო ტახტს დაეუფლა დემეტრეს ძმა გიორგი I (861—868 წწ.), ხოლო „ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფა—მიუთითებს, ქართველი მემკვიდრე—დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან

²³⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 38.

გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა, დღ ეც-
რუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა.
ხოლო დემეტრე განაჩინა იგი და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპო-
ლედ“²³⁶.

კანონიერი მემკვიდრის ბაგრატის თავიდან მოშორების შემდეგ
აფხაზეთის სამეფო ტახტს დაეუფლა იოანე შავლიანი. თავისი მდგო-
მარეობის გასამტკიცებლად იოანემ ნათესაური კავშირიც კი დაამყა-
რა გვარამ მამფალთან. მან თავისი ვაჟი ადარნასე გვარამ მამფლის
ქალიშვილზე დააქორწინა. იოანეს გარდაცვალების შემდეგ ხელი-
სუფლებას დაეუფლა შისი ვაჟი ადარნასე. ბაგრატ დემეტრეს ძემ
კი მხოლოდ IX საუკუნის 80-იანი წლებისათვის შეძლო სამშობლო-
ში დაბრუნება. „ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი,
შესრულ იყო საბერძნეთად, კოსტანტინეპოლედ და მოსცა ბერძენ-
თა მეფემან ლაშქარი, და მოგზავნა ზღვთ, და ნავითა შემოვიდა აფ-
ხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი.
და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი; და გამოიყვანა
ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა ცოლის ძმა მისი საბერძნეთით და
მისცა ლაშქარი მისი“.²³⁷

როგორც „მატიანე ქართლისა“-სა და სუმბატ დავითის ძის
ქრონიკაში დაცული ცნობებიდან ირკვევა, ნასრა, გვარამ მამფლის
შვილი, შინაური ბრძოლის გამწვავებისა და მის მიერ თავისი ბიძა-
შვილის დავით ბაგრატის ძის მოკვლის შემდეგ, რასაც 881 წელს
ჰქონდა ადგილი, „წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა“.
ერთი წლის შემდეგ კი 882 წელს გარდაიცვალა მისი მამა გვარამ
მამფალი. ნასრას საბერძნეთში გამგზავრებისა და მისი მამის გვა-
რამ მამფლის გარდაცვალების ფაქტების აღნუსხვის შემდეგ „მა-
ტიანე ქართლისა“-ის ავტორი სწორედ ბაგრატ დემეტრეს ძის აფ-
ხაზეთში დაბრუნებისა და მის მიერ აფხაზეთის დაპყრობის ამბავს
მოგვითხრობს. ასე რომ, ქართულ წყაროებში დაცული მასალების
გათვალისწინებით, უფრო მართებულია ბაგრატის გამეფება 882
წლის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში 888 წლამდე მაინც ვივარაუ-
დოთ. 888 წელს მას, როგორც აფხაზთა მეფეს, ვხედავთ იმ დიდი
შინაური ბრძოლის მონაწილედ, რომელიც გვარამ მამფლის ძის
ნასრასა და დავითის ძის ადარნასეს. მომხრეთა შორის წარმოიშვა.
„და ამისსა შემდგომად, — აღნიშნავს სუმბატ დავითის ძე,—გამოვი-

²³⁶ მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა ..., გვ. 258.

²³⁷ ი ქ ვ ე, გვ. 261.

და ნასრ სამეფოთ და მოვიდა აფხაზეთს. და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, სიძე ნასრისი, და შესწია მან დიდითა ლაშქროთა. მეფემან აფხაზთამან, და მუნით ვარდამოვიდა ნასრ სამცხეს, და შეკრიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხვი, ხოლო ადარნასე, ძე მოკლელისა კურატპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჰყუა მისთანა შეწვევანად ადარნასესა გურგენ კურატპალატი და შვილნი მისნი. და ყუეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა, და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს. შეიპყრეს და მოკლეს ნასრა კეცსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქორანკონსა რჳ (= 108, ე. ი. 888 წ.). და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიკოცა საჭსენებელი მისი²³⁸.

ამრიგად, ზემოთ განხილულ მასალებზე დაყრდნობით ნათელი უნდა იყოს, რომ ბაგრატ დემეტრეს ძე მეფობდა IX საუკუნის 80--90-იან წლებში, დაახლოებით 882 წლის შემდეგ 893 წლამდე. 893 წელს მას შილა ვაჟი კონსტანტინე ცვლის. ისტორიკოს ზურაბ ანჩაბაძის აზრით კი ბაგრატი უნდა გამეფებულიყო XI საუკუნის 80-იანი წლების დამლევს²³⁹.

ე. წ. „მეფეთა დივანის“ მიხედვით, რომლის ტექსტი გამოქვეყნებულია ექვთაძე თაყაიშვილის მიერ²⁴⁰, ბაგრატ დემეტრეს ძის მეფობის ხანა 12 წლით არის შემოფარგლული (861--873 წწ.). აქ არაფერია თქმული აფხაზეთში შავლიანთა დინასტიის მეფობის შესახებ, რაც ბაგრატ დემეტრეს ძის გამეფებამდე გაგრძელდა. 861 წელს, როგორც ეს ზემოთ განხილული მასალებიდან ირკვევა, ბაგრატი მცირეწლოვანი იყო, რითაც ისარგებლა გიორგიმ, ბაგრატის ბიძამ და ხელთ ჩაიგდო ძალაუფლება. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა გიორგის გარდაცვალებისას 868 წელს. ამ, დროსაც ბაგრატმა ვერ შეძლო კანონიერი უფლებების მოპოვება. ბაგრატმა ძლივს დააღწია თავი შინაურ ბრძოლას და თავი შეაფარა კონსტანტინეპოლს. სადაც დარჩა აფხაზეთში უკან დაბრუნებამდე. ასე რომ, ბაგრატის მეფობის დასასრულის თარიღიც 873 წ., რაც „მეფეთა

²³⁸ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა მესამე, ტექსტი გაძლიერდა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949, გვ. 64.

²³⁹ З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии..., გვ. 123 — 124.

²⁴⁰ ძველი საქართველო, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1913, განყოფილება მესამე, გვ. 46 — 54.

დივნი“ მიხედვით ივარაუდება, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ წელს ბაგრატი კონსტანტინეპოლში იმყოფება. აფხაზეთს კი განაგებენ შავლიანთა დინასტიის წარმომადგენლები.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თითქოს უნდობლობით ეკიდებოდა „მატიანე ქართლისა“-ის და სუმატ დავითის ძის ცნობას 888 წლის შინაურ უთანხმოებაში ბაგრატ მეფის მონაწილედ დასახელების შესახებ. განსვენებულ მეცნიერს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა ბაგრატის მეფობის წლები „მეფეთა დივნი“ მიხედვით 861—873 წწ. 888 წლის ამბების მონაწილედ „მეფეთა დივანი“ ბაგრატის ვაჟს კონსტანტინეს ასახელებს, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, აკად. ივ. ჯავახიშვილს უპირატესობა ისევ „მატიანე ქართლისა“-ის და სუმატ დავითის ძის ქრონიკისათვის მიუნიჭებია და შესაძლებლად ჩაუთვლია ბაგრატის მონაწილეობა 888 წლის შინაურ ბრძოლაში²⁴¹.

ვინაიდან IX საუკუნის 80-იანი წლებისათვის, ყოველ შემთხვევაში, მისი დასასრულისათვის მაინც აფხაზეთის მეფედ ბაგრატი ჩანს, გვაქვს უფლება იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში აშოტ ბაგრატუნთან ერთად მოხსენებულ „ეგრიისის მეფედ“ ნამდვილად ბაგრატი მივიჩნიოთ. ამის ერთ-ერთ საბუთად შემდეგი გარემოებაც შეგვიძლია გავითვალისწინოთ. იოანე დრასხანაკერტელის გამოთქმაში „ეგრიისის მეფე“ კონსტანტინე აფხაზთა მეფე არ იგულისხმება. რადგანაც ისტორიკოსს ბაგრატის შვილი კონსტანტინე რომ ჰყავდეს მხედველობაში, ვფიქრობთ, ამჯერადაც ისევე მოიხსენებდა მის სახელს, როგორც შემდგომი ამბების გადმოცემისას არაერთგზის ასახელებს: კონსტანტინე მეგრელი, ეგრიისა მეფე კონსტანტინე და სხვ.

ამრიგად, ზემოთ განხილული ქართული და სომხური წყაროების მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია და უფრო მართებულად ბაგრატ დემეტრეს ძის მეფობის ხანად მივიჩნიოთ პერიოდი IX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დაახლოებით 893 წლამდე.

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაში ხშირად მეფე-მთავრებაც იღებდნენ მონაწილეობას. ასე მაგალითად, აშოტ ბაგრატუნი თავისი ტერიტორიის გაფართოების მიზნით ჩრდილოეთისაკენ (ე. ი. საქართველოსაკენ) ლაშქრობის დროს ძალაუბრებურად დაუპირისპირდა აფხაზეთის სამეფოს გამგებელს, ვი-

²⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე..., გვ. 99 — 100.

ნაიდან ეს უკანასკნელი განაგებდა მაშინ ქართლს. აშოტის ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამგებლებს. შექმნილმა გარემოებამ მებრძოლთა ახალი ჯგუფების წარმოქმნა გამოიწვია. გუარამ მამფალი, მისი ძე ნასრი და გურგენ ერისთავთ-ერისთავი აფხაზთა მხარეს იყვნენ, ხოლო დავით კურაპალატი (876—881 წწ.) და ბაღვაშთა საგვარეულოს დიდი აზნაური, კლდეკარის საერისთაოს დამაარსებელი ლიპარიტი სომეხებს უწევდნენ დახმარებას²⁴². სამწუხაროდ, აშოტ სუმბატის ძის ამ ბრძოლის შესახებ არაფერია თქმული იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიაში“. ალბათ, იგი აღნიშნული იქნებოდა შაჰუპ ბაგრატიუნის თხზულებაში, რომელშიც, როგორც იოანე კათალიკოსი გადმოგვცემს, დაწვრილებით ყოფილა გადმოცემული აშოტის „სიძლიერე და სიმხნე, ბრძოლები და თავდასხმები როგორც სხვებზე, ასევე სხვათაგან მასზე“²⁴³.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იოანე დრასხანაკერტელის გამოთქმაში „ბრძოლები და თავდასხმები როგორც სხვებზე, ასევე სხვათაგან მასზე“ სწორედ „მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნული ბრძოლის ეპიზოდით იგულისხმება. ზემოთ დასახელებული ბრძოლის შესახებ, რომელშიც საკმაოდ ძლიერი ხელისუფალნი იყვნენ ჩაბმულნი, აკად. ივ. ჯავახიშვილი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა: „რით დაბოლოვდება ეს ბრძოლა, ამის შესახებ არც ქართულსა და არც სომხურს წყაროებში ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ, როგორც ეტყობა, გამარჯვება სომეხთა ერისთავთ-ერისთავს აშოტს დარჩენია. ამის დამადასტურებელი ფაქტი ის არის, რომ აშოტს „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ სახელი მიუღია“²⁴⁴.

თუ გავითვალისწინებთ ქართული და სომხური წყაროების მონაცემებს ქართველ-სომეხ მეფე-მთავართა ბრძოლისა და ურთიერთდაპირისპირების შესახებ, დავინახავთ, რომ შემდგომშიც მათ შორის ურთიერთობაში კვლავ ცვალებადობა შეიმჩნევა. სომეხ-ქართველ მეფე-მთავართა შორის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი მასალები საკმაო რაოდენობით გვხვდება სწორედ იოანე კათალიკოსის „სომხეთის ისტორია“-ში. ეს ცნობები უმთავრესად შეეხება აშოტის მემკვიდრის სუმბატისა და დავით კურაპალატის მემ-

²⁴² მათიანე ქართლისა..., გვ. 259.

²⁴³ იო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ს „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 29.

²⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 98 — 99.

კვიდრის ადარნასე კურაპალატის, შემდეგში ქართველთა მეფედ წოდებულის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია შემონახული აგრეთვე აფხაზთა მეფის კონსტანტინეს (893—922) შესახებაც.

როგორც იოანე დრასხანაკერტელის ცნობებიდან ირკვევა, ადარნასე კურაპალატი, თავისი მამის დავით კურაპალატის მსგავსად, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა სუმბატ აშოტის, ძესთან. ესეც, რა თქმა უნდა, ერთგვარი პოლიტიკა იყო, რომლის განხორციელებაც ადარნასე კურაპალატს საჭიროდ და, შეიძლება აუცილებლადაც მიაჩნდა.

ადარნასე კურაპალატმა მიზნად დაისახა კარგი განწყობილება დაემყარებინა ახლად გამეფებულ სუმბატ აშოტის ძესთან და როდესაც ამ უკანასკნელის მამა აშოტ სუმბატის-ძე გარდაიცვალა, ადარნასემ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ: იგი სამძიმრის სათქმელადაც კი ეახლა სუმბატს მის ქვეყანაში. ადარნასე კურაპალატის ასეთმა ყურადღებამ ტახტის მემკვიდრისადმი მოსვენება დაუფრთხო სუმბატის ბიძას, აშოტის ძმას — აბას სპარაპეტს, რომელიც თავიდანვე პრეტენზიებს აცხადებდა სამეფო ტახტზე. ბიძა-ძმისწულს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაში ძალაუვნებურად ადარნასე კურაპალატიც ჩაება. საქმე ასე წარიმართა. სუმბატთან გზად მიმავალმა ადარნასემ ვანანდის გამგებელი აბას სპარაპეტიც მოინახულა და სამძიმარი გამოუცხადა ძმის გარდაცვალების გამო. „[ადარნასე] პატივისცემით და კარგად მიიღეს. [აბასს] აღარც კი უნდოდა, რომ [ადარნასეს] გზა განეგრძო და სუმბატთან წასულიყო, რადგან მას აფიქრებდა, რომ ისინი [ყველაფერს] გაიგებდნენ და ფიცის გატეხისათვის [აბასს] სამაგიეროს მიუზღავდნენ და იგი ვერ შესძლებდა განეხორციელებინა თავისი სურვილი — გამხდარიყო მეფე. [ადარნასემ აბასს] უპასუხა, რომ უფრო მეტად უადგილო იქნებოდა მისი იქ წაუსვლელობა, თანაც მღელვარების, შფოთისა და არეულობის რაიმე ფაქტისა და მიზეზის გარეშე. [ადარნასეს] ნება დაერთო და ისიც გაემართა, წავიდა და შეხვდა სუმბატს, გახადა მას თალხი სამოსელი და სამეფო ტანსაცმლით შემოსა: თვით კი დიდი და საპატიო საჩუქრებით იქნა დაჯილდოებული სუმბატისაგან“²⁴⁵. სუმბატისა და ადარნასეს შორის ასეთი კეთილგანწყობილების ამბავი აბასმა მალე შეიტყო, ეჭვებით აღევსო გული, თან ამას

²⁴⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 43 — 44.

დაემატა ზოგიერთ მოენეთა წაქეზება, თითქოს სუმბატმა და ადარნასემ აბას სპარაპეტის საწინააღმდეგო საქმე გადაწყვიტეს. ყოველივე ზემოთქმულმა ფრიად გააბოროტა აბასი, რომელიც უკან გამობრუნებულ, თავის სამფლობელოში მიმავალ ადარნასეს უკვე მტრულად შეხვდა, შეიპყრო იგი და კარის ციხის საპყრობილეში ჩასვა. აღნიშნულმა ფაქტმა აღაშფოთა აბასის ძმისწული სუმბატი. ამიერიდან ბიძა-ძმისწულს შორის ფარული შუღლი აშკარა მტრობად გადაიქცა. საქმე საომარ შეტაკებამდეც კი მივიდა, ისე. რომ სომხეთის კათალიკოსის გეორგ გარნელის შუამდგომლობაც კი საჭირო შეიქნა. კათალიკოსი სთხოვდა აბასს გაეთავისუფლებინა ადარნასე. სპარაპეტი თითქოს დაეთანხმა გეორგ კათალიკოსს იმ პირობით, თუ კი ადარნასე გადასცემდა მისი დის ქმრის გურგენის ორ ციხესიმაგრეს, რომელიც აბასის სიტყვებით ადარნასეს მიეტაცა, და თან მძევლად მისცემდა თავის შვილს დავითს.

აბას სპარაპეტს, როგორც ჩანს, აუსრულეს თხოვნა, მაგრამ მან კვლავ მზაკერობა გამოიჩინა და არ გაათავისუფლა ადარნასე. უთანხმოებამ აბას სპარაპეტსა და სუმბატ სომეხთა მეფეს შორის სერიოზული ხასიათი მიიღო. სუმბატ მეფემ დაუზოგავად იწყო აბასის მრავალრიცხოვანი სოფლების დარბევა. აბასი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და რა „ვერ პოვა სხვა რაიმე გამოსავალი, მიენდო ძმისწულს მშვიდობისმოყვარეობას. [აბასმა სუმბატს] მოსთხოვა მძევლებად მისი შვილი, თავისი სეხნა, და თავისი ძმის შაპუჰის შვილი აშოტი. [სანაცვლოდ კი] ისიც გამოიყვანდა ადარნასეს და გადასცემდა [სუმბატს]. მშვიდობისმოყვარე [სუმბატმა] არ აარიდა თავი მის თხოვნას, მიეცა მისთვის მძევლები. [აბასმა] კი გამოიყვანა და გადასცა მას ადარნასე. [სუმბატმა] დიდი პატივითა და დიდებით გავზავნა ადარნასე თავის ქვეყანაში“²⁴⁶. ამრიგად, როგორც მოტიანილი ნაწყვეტიდან ვხედავთ, სუმბატ აშოტის ძისა და ადარნასე დავითის ძის შორის თავდაპირველად საკმაოდ კეთილი განწყობილება არსებობდა. იოანე დრასხანაკერტელი სწორედ ასეთი შეგობრული ურთიერთობის შედეგს მიაწერს სუმბატ მეფის თაოსნობითა და უშუალო ჩარევით ადარნასეს გამეფებას ქართველთა ქვეყანაში. „ხოლო ქართველთა დიდი კურაპალატი ადარნასე სუმბატ მეფესთან ყველაფერში ერთობის, სიყვარულისა და მშვიდობის ურყევსა და მტკიცე პირობას იცავდა, — წერს იოანე კათალიკო-

²⁴⁶ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 46 – 47.

სი, — იგი მთელი თავისი შეგნებითა და ძლიერებით, დიდი მოკრძალებით, როგორც მამას, ანდა ამაზე უფრო მეტადაც, ემორჩილებოდა მას... ამის გამო სუმბატ მეფე მეტად კმაყოფილი იყო [ადარნასეთი] და მოსწონდა იგი. მან დიდი მზრუნველობით [ადარნასე] თავისთან მიიყვანა და გაამხნევა. შემდეგ დიდი პატივითა და ღირსებით გვირგვინი დაადგა მას, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლოთ შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა ქვეყნის მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად [მეფის შემდეგ] დაამტკიცა იგი. შემდეგ [ადარნასემ] მიიღო სამეფო პატივი [და მოაღწია] წარმატებებს, მაგრამ არა თუ გამედიდურდა, არამედ მუდამ თავმდაბლად ექცეოდა [სუმბატს]. მეფე სუმბატიც წყნარი ვონებით იმავე პირობაზე იდგა და ანიჭებდა მას სიკეთეს წინანდელ წესთა მიხედვით²⁴⁷. აღნიშნულ ცნობაში შემდეგი გარემოება იპყრობს ჩვენ ყურადღებას: რამდენად სწორია იოანე კათალიკოსის ცნობა სუმბატის თაოსნობით ადარნასეს გამეფების შესახებ? ქართულ წყაროთაგან განსხვავებით იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიაში“ ადარნასეს მეფედ დადგინების სხვა თარიღი გამოდის.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობას სუმბატ სომეხთა მეფის თაოსნობით ადარნასეს ქართველთა; მეფედ დადგინის შესახებ თავის დროზე შეეხო აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „შესაძლებელი იყო აქ (იოანე დრასხანაკერტელის ზემოთ მოტანილ ცნობაში — ე. ც.) შენახული ყოფილიყო უძველესი ცნობა აღდგენილი საქართველოს მეფეთა კურთხევის შესახებ, ამ ცნობას რომ ორი დაბრკოლება არ ეღობებოდეს და ორი გარემოება არ არყევდეს; პირველი დაბრკოლება ქრონოლოგიურია, მეორე კიდევ სახელმწიფო სამართლის სფეროს შეეხება. საქმე ისაა, რომ სუმბატ I სამეფო ტახტზე 891 წელს ავიდოდა, ხოლო ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსი ადარნასეს მეფედ „დანმას“ იხსენიებს 888—889 წ. (იხ. სუმბატ. ც. და უწყბა. 3 ქნკა 59), იმ დროს როცა სომხეთში მეფობდა აშოტი და მისი შვილი სუმბატი ჯერ ტახტზე ასული არ იყო. მაგრამ სხვა საკითხიც იბადება,—და ეს მეორე დამაბრკოლებელი გარემოება გახლავთ: როგორ მოხდა და შეიძლებოდა, რომ ბიზანტიის კეისრის დაუკითხავად და ნებადაურთველად ადარნასე, რომელიც თვითონაც პირადად და მისი სამფლობელოც ბი-

²⁴⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 89—90.

ზანტიის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ითვლებოდა, სუმბატს, არაბთა ხალიფას მფარველობის ქვეშ მყოფს, მეფედ დაესვა და გვირგვინი დაედგა იმ დროს, როცა ჩვენ ვიცით, რომ ერთის მხრით კურაპალატობის მიღებისათვისაც კი ბაგრატიისათვის „ღმრთისა“ და „ძმათა“ „ნება“ საკმარისი არ იყო და „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა“ ოდენ შეეძლო დაემკვიდრა ეს მისი მამის პატივი, ხოლო მეორეს მხრით თვით პირველ სომეხთა მეფის აშოტისა და მისი შვილისათვის მეფობის უფლების მიღებისათვისაც მათ მფარველ ხალიფას და მის წარმომადგენლის ამირას ნებართვა და თანხმობა იყო საჭირო, გვირგვინიც ორივემ მათგან მიიღეს, ხოლო აშოტის მეფედ დადგენისათვის ამას გარდა ბიზანტიის კეისრის თანხმობაც კი საჭირო ყოფილა? ამ მოსაზრებათა გამო იოანე კათალიკოსის ცნობა ან სრული არ უნდა იყოს, ან არეული იქნება“²⁴⁸.

იოანე დრასხანაკერტელის ცნობაში ადარნასეს ქართველთა მეფედ დადგენის შესახებ მართლაც ყველაფერი არ არის სიზუსტით წარმოდგენილი. მასში იგრძნობა ტენდენციურობა, იოანე კათალიკოსის მისწრაფება ბაგრატიუნიანთა დინასტიის წარმომადგენელი მეფეების განდიდებისა და ყოვლადშემძლეობის ჩვენებისა. მაგრამ ამასთან ერთად ამ ცნობასთან დაკავშირებით ერთ საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე. ეს უკვე ქრონოლოგიის საკითხს შეეხება. მართალია, იოანე დრასხანაკერტელი ზუსტად არ ასახელებს ადარნასეს გამეფების თარიღს, მაგრამ მის შიერ გადმოცემული მასალების გათვალისწინების შედეგად გამოდის, რომ ადარნასე უნდა გამეფებულიყო დაახლოებით 897 წელს, ე. ი. სწორედ იოანეს კათალიკოსად დადგინების დროს. ასეთი შთაბეჭდილება შემდეგ გარემოებასთან დაკავშირებით იქმნება. თავისი კათალიკოსად დადგინების ფაქტის აღნიშვნამდე, ე. ი. 897 წლის ამბების გადმოცემამდე, იოანე კათალიკოსი არა ერთხელ იხსენიებს ადარნასეს და ყოველთვის კურაპალატს ან ქართველთა დიდ მთავარს, დიდ კურაპალატს უწოდებს, ხოლო თავისი კათალიკოსად დადგენის ამბის გადმოცემის შემდეგ თხრობისას უკვე იგი ქართველთა მეფის სახელწოდებითა ჰყავს მოხსენებული. სწორედ იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორიის“ მასალებს ეყრდნობოდა ჯერ ადრე მარი ბროსე და შემდეგ ექვთარე თაყაიშვილი²⁴⁹, როდესაც ადარნასეს

²⁴⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 192 — 193.

²⁴⁹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე... გვ. 83.

გამეფების თარიღად 899 წელს აცხადებდნენ. ეტყობა, როგორც მ. ბროსე, ასევე ექვთიმე თაყაიშვილი ეყრდნობოდნენ სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას, სახელდობრ, იოანეს მიერ თავისი კათალიკოსობის დროიდან ადარნასეს უკვე მეფის ტიტულით მოხსენიებას. ჩანს, მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილს მხედველობაში ჰქონდათ იოანეს კათალიკოსად დადგინების არასწორი თარიღი — 899 წ., რომელიც, როგორც უკვე მიუთითეთ იოანე დრასხანაკერტელის ბიოგრაფიული ცნობების განხილვისას, ზოგიერთ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც დამახინჯებით იყო მითითებული. თქმა იმისა, ჩამდენად სწორია იოანე დრასხანაკერტელის ზემოთ მოტანილი ცნობა ადარნასეს გამეფების თარიღის შესახებ, რომელსაც ასე შორს გადააქვს ქართულ წყაროებში მითითებული თარიღი, ჭერჯერობით საქნელოა. მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. იოანე დრასხანაკერტელს ასევე შეეძლო ადარნასეს გამეფების თაოსნადა და ხელშემწყობად დაესახელებინა აშოტ სუმბატის ძე (885—891) და არა სუმბატი, თუ კი იგი საერთოდ მიზნად ისახავდა განგებ დაეშახინჯებინა ეს ფაქტი და არასწორი ცნობა მოეწოდებინა.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“, როგორც აღვნიშნეთ, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ადარნასესა და სუმბატის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სომხეთის მეფისა და ქართველთა გამგებლის ადარნასეს შორის თავდაპირველად საკმაოდ კეთილი განწყობილება სუფევდა. ადარნასე არა ერთხელ ყოფილა მოწვეული სუმბატ სომეხთა მეფის კარზე და ყოველთვის პატივისცემითა და საჩუქრებით განდიდებული გაბრუნებულა თავის ქვეყანაში. „ხლო ქართველთა მეფე, — წერს იოანე ისტორიკოსი, — პირობის შესრულების მოყვარული ადარნასე, სწრაფად გაემართა სუმბატ მეფის სანახავად, რათა ერთად ედღესასწაულათ დიდი აღსება, ზატიკი, შემდეგ კი სუმბატმა [ადარნასე] გამოისტუმრა დიდი საჩუქრითა და ჩინებული ძღვნით“²⁵⁰. მაგრამ ასეთი ურთიერთობა, როგორც იოანე დრასხანაკერტელის ცნობებიდან ირკვევა, დიდხანს არ გაგრძელებულა. საინტერესოა, რა იყო მიზეზი სუმბატსა და ადარნასეს ურთიერთდამოკიდებულების გაუარესებისა? ქართული წყაროები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაფერს ხელშესა-

²⁵⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-მდებარე გამოცემა, გვ. 105.

ხებს არ გვაწვდიან²⁵¹, იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორია“-ში კი საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ქართველ და სომეხ მეფეთა ურთიერთობის ამბავი. აქვე მოთხრობილია, აგრეთვე, აფხაზთა მეფის კონსტანტინე III-ის შესახებაც, რომლის მოქმედება სწორედ გახდა მიზეზი სუმბატ აშოტის ძისა და ადარნასე ქართველთა მეფის შორის კეთილი ურთიერთობის მტროლ განწყობილებად გადაქცევისა. დაახლოებით 904 წელს კონსტანტინე აფხაზთა მეფემ დაიპყრო ქართლი, რამაც სუმბატ აშოტის ძის დიდი უკმაყოფილება გამოაწვია, ვინაიდან იგი უფლებებს აცხადებდა ამ მხარეზე. ამ ფაქტს ასე აღნიშნავს „მატიანე ქართლისა“: „მას ჟამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიუზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო — კერძო და წარიღეს ციხე კერკითა“. აღნიშნული ფაქტი, ე. ი. ქართლზე გარკვეული უფლებების გამოცხადება და ასე აშკარად მთელი რიგი ადგილების დაპყრობა, ადარნასე ქართველთა მეფესაც არ ჰოეწონა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და ადარნასეს შორის ახლო ნათესაური დამოკიდებულება არსებობდა: ადარნასეს ქალიშვილი ცოლად ჰყავდა კონსტანტინეს. მაგრამ ამ უკანასკნელმა გარემოებამაც ვერ შეაჩერა ადარნასე მეფე და მახ მხარი დაუჭირა სუმბატ სომეხთა მეფის რისხევას კონსტანტინეზე. აღნიშნულ ამბავს საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს იოანე კათალიკოსი. „ეგრისის მეფემ კონსტანტინემ მეტად უჩვეულო და ურცხვი ქცევით იმუხტლა და არა თუ აღაპყრო თვალები სიწრფელით, არამედ ბოროტი განზრახვით შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხევეებით, რათა გუგართა ქვეყანა და ალახთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა. რადგან ეს ხალხი სუმბატ მეფეს ჰყავდა დამორჩილებული და ხელქვეითად ქცეული, [ამიტომ] ქართველთა მეფემ ადარნასემ სასწრაფოდ მისწერა ეგრისის მეფეს, თავის სიძეს, რომ გაეჯანტა. დაეშალა და ამოეგდო გულიდან ეს ფუჭი, უსამართლო

²⁵¹ საერთოდ ქართული წყაროები „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკა მხოლოდ ორიოდ სიტყვით გადმოგვცემენ ადარნასე ქართველთა მეფის შესახებ, ისიც უმთავრესად მის შინაურ საქმიანობაზე მოგვითხრობენ, მაგალითად, ორივე წყაროში მითითებულია ადარნასეს დროს ბანას ტაძრის აშენება. ასევე, დასახლებული ქართული წყაროები ადარნასეს შინაურ ბრძოლაში მონაწილეობასაც აღნიშნავენ (იხ. „მატიანე ქართლისა“; გვ. 259, 261, 266, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1949 წ. გვ. 64 — 66).

და ამო გადაწყვეტილება და არ გაეწია წინააღმდეგობა მასზე უფრო დიდისათვის. მაგრამ [კონსტანტინეს] დაეხმო სასმენელი, არ მიეცია ყურადღება [ადარნასეს] სიტყვებს და გონს არ მოვიდა²⁵². როგორც იოანეს ცნობიდანვე ირკვევა, ადარნასე 'ყოველ ღონეს ხმარობდა უმტკივნეულოდ მოეგვარებინა ეს საკითხი, მაგრამ საქმე მძვირობიანად ვერ დაბოლოვდა. ადარნასე სუმბატის მხარეზე დადგა და მტრულად განეწყო თავისი სიძის მიმართ, მალე თვით კონსტანტინე აფხაზთა მეფე დარწმუნდა, რომ ვერას გახდებოდა მათთან ბრძოლით და გადაწყვიტა შერიგება ეთხოვა სუმბატ მეფისათვის.

„მეფემ სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის — წერს იოანე დრახანაკერტელი—[კონსტანტინესთან] მისი სიძემარე ადარნასე და ზოგიერთი თავისი ნახარათაგანი გაგზავნა. ისინი შეხვდნენ რა ერთმანეთს პირისპირ, გაერთნენ საუბრით, [ამ დროს კი] უეცრად ადარნასეს ბრძანებით მეფის ნახარაებმა შეიპყრეს ეგრიისის მეფე და მოიყვანეს მის წინაშე, როგორც თხის ერთი თიკანი, რომელიც თავისი ბუნაგიდან გამოსული ღომის მსგავსად დახეტილოვს, დევნის და ფანტავს ხალხს. სუმბატ მეფემ მრავალი სიმამრე დაიპყრო გურიის ქვეყანაში და იმ მხარეებში თავისი გამგებელნი დააყენა ხოლო ეგრიისის მეფე კონსტანტინე თავისთან წაიყვანა და შეაგდო ანისის ციხეში, [შეკრა] რკინის ჯაჭვებით. მაგრამ კი არ შეურაცხყო, არამედ, პირიქით, ორმაგი პატივი მიაგო მას... [სუმბატ მეფემ] ამნაირად ოთხი თვე დაიცვა იგი საპყრობილეში, [სუმბატმა] დაიხანა განხეთქილება ეგრიისელთა, რომლებიც სასწრაფოდ დაიყენენ და უკვე მომზადებული იყვნენ სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ, [სუმბატი] არც კი შეკრთა, საჩქაროდ გაათავისუფლა [კონსტანტინე] და დაამკვიდრა წინანდებურად თავის სამფლობელოში“²⁵³.

მოტანილ ცნობაში, გარდა საყოყნადებო ფაქტობრივი ძასა-ლისა, ერთი რამ არის საინტერესო, სახელდობრ, სუმბატის შიერ დასავლეთ საქართველოში დაპყრობა ე. წ. „ვურის“ ქვეყნისა, (*Վուրի աշխարհ*), რომელიც პროფ. ილია აბულაძის აზრით გურიისა უნდა იყოს, „ვურის ქვეყანა — აღნიშნავს პროფ. ილ. აბულაძე — საქართველოს კუთხეთაგანი ჩანს. შესაძლოა გურია იყოს. ხშირია შემთხვევა, რომ სომხური „ვა“ ან „ვი“ ქართულში პოულობს

²⁵² იოანე დრახანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინანდებარე გამოცემა, გვ. 109.

²⁵³ იქვე. გვ. 110—111.

შესატყვისად „გუა“ („გვა“) ან „გუი“ („გვი“)-ს. მაგ. *ჴასაყოღრასკან* = გუასპურაგან, *ჴქრასყ* = გვირაბი და სხვ.²⁵⁴ ჩამოთვლილ მაგალითებს ასევე შეიძლება დაეუმატოთ სახელი ჰულაგუ, რომელიც სომხურში ჰულავედ (*Հուլաւու*) იწერება. პროფ. ილია აბულაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას „გურის ქვეყნის“ გურიად აღიარების შესახებ ვარდა ენობრივი მონაცემებისა, თვით ფაქტობრივი მასალებიც უჭერს მხარს. იოანე დრასხანაკერტელის ცნობის მიხედვით სუმბატი მიდის დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ და ამ დროს იპყრობს სწორედ სიმაგრეებს ამ გურის ქვეყანაში. ასე რომ ტერიტორიული მდებარეობის მიხედვითაც გურის ქვეყნის გურიად გამოცხადება, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სიმართლისაგან შორს.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“ ირკვევა, რომ კეთილგანწყობილება ადარნასესა და სუმბატს შორის დიდბანს არ გაგრძელებულა. ადარნასემ სუმბატსა და კონსტანტინე აფხაზთა მეფის შეთანხმებაში თავისთვის საშიშროება დაინახა და მტრულად განეწყო სუმბატის მიმართაც; როგორც იოანე ისტორიკოსი გადმოგვცემს, ადარნასემ მეფე სუმბატის საწინააღმდეგო შეთქმულებაშიც კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ეს შეთქმულება გაშლდა და ადარნასე თავის მომხრეებთან ერთად დამარცხდა²⁵⁵. კონსტანტინე მეფის სახით სუმბატ მეფემ მოკავშირეც კი გაიჩინა. ბოლოს იმდენად გამწვავებულა დამოკიდებულება მეფე სუმბატსა და ადარნასეს შორის, რომ ადარნასეს სავსებით შეუქცევია ძისთვის ზურ გიდა 907 წელს იუსუფის შემოსევის დროს გაგიკ არწრუნთან და სუმბატს ძმისწულ აშოტთან ერთად იუსუფ ოსტიკანსაც კი მიმხრობია.

ადარნასესა და სუმბატ მეფის შორის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ცნობები, რომლებიც იოანე დრასხანაკერტელის აზნულეზაშია დაცული, ერთ-ერთი საუკეთესო მაკალითია სწორედ IX—X საუკუნეებში სომეხ-ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლის ისტორიის შესასწავლად. იოანე დრასხანაკერტელთან ორიოდ ცნობა გურგენ ერისთავთ-ერისთავის შესახებაც მოიპოვება; ეს

²⁵⁴ იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი და კომენტარები ილ. აბულაძისა... გვ. 85.

²⁵⁵ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 112 — 119.

ცნობები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი აკად. ს. ჯანაშიას, ასე რომ აქ მათ განხილვას ჩვენ აღარ შევეუდგებით²⁸⁶.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდანაც. ეს ცნობები განსაკუთრებული ნდობის ღირსია, რადგანაც მათ ავტორს — იოანე კათალიკოსს სომხეთში არაბთა თარეშისა თუ შინაური ბრძოლების შედეგად შექმნილ ძნელბედობის ხანაში ხშირად უხდებოდა ხეტიალი მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოში, და არაერთგზის თავშესაფარიც კი უპოვია მის მხარეებში. ასე რომ მას, უეჭველია, ეცოდინებოდა ამა თუ იმ მხარის გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი ადგილმდებარეობა, აგრეთვე ისიც, თუ იმ დროს ვის კუთვნილებას წარმოადგენდა იგი, საქართველოსა თუ სომხეთისას.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ამსახველი მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი კარგად იცნობს თავისი დროინდელი საქართველოს როგორც პოლიტიკურ ვითარებას, ასევე მის გეოგრაფიულ გარემოს. როგორც ზემოთაც დავინახეთ, იოანე დრასხანაკერტელის ცნობების მიხედვითაც (რომ არ მივიღოთ მხედველობაში ქართული წყაროების მონაცემები) IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის პირველ მეოთხედს საქართველო ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ ქვეყნად წარმოგვიდგება. იოანე ისტორიკოსი არაერთგზის იხსენიებს დასავლეთ საქართველოს გამგებელს კონსტანტინეს ეგრისელთა, ან მეგრელთა შეფის სახელწოდებით. როგორც უკვე მივუთითეთ, მას სავსებით მართებულად ესმის ტერმინების „ეგრისი“, „მეგრისელების“ მნიშვნელობა და ხმარობს მათ სწორედ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად (ე. ი. ეგრისში გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო ეგრისელებში იქ მცხოვრებლებს). არაერთგზის იხსენიებს იოანე კათალიკოსი ტაოს (*Տաօ*), ტაოს სიმაგრეებს (*Տաօյի ամուրք*). იოანე ისტორიკოსის მითითებით ამ დროისათვის ტაო აღარნასე კურაპალატის სამფლობელოს წარმოადგენდა. სუშბატ შეფემ „სასწრაფოდ შეადგინა მცირედი გუნდი — წერს იოანე კათალიკოსი — და დიდი სიჩქარით გადავიდა ტ ა ო ს მ ხ ა რ ე თ ა ს ი მ ა გ -

²⁸⁶ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ; სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, გვ. 69 —85.

რეეზუმი. თავისი მეგობრის ადარნასეს მამულში²⁵⁷ როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ტაო მუდამ საქართველოს ფარგლებში როდი შედიოდა. ისტორიულ სიტუაციებთან დაკავშირებით იგი ხშირად იცვლიდა თავის გამგებლებს. თუ თვალს გავადევნებთ საქართველოს წარსულ ისტორიას, დავინახავთ, რომ 387 წლიდან, სომხეთის სასანიანთა სპარსეთსა და რომს შორის დაყოფის დროიდან, ტაო უკვე აღარ ითვლება იბერიის შემადგენლობაში, იგი ამიერიდან სომხეთს არის დაქვემდებარებული.

ადრინდელ სომხურ საისტორიო ძეგლებში IV—V საუკუნეებში ტაო სომეხ მამიკონიანელთა საგვარეულოს სამფლობელოს სახელით მოიხსენიება. ასე მაგალითად, როდესაც ფავსტოს ბიზანტიელი გადმოგვცემს არტავაზდ და ვასაკ მამიკონიანთა მიერ არწრუხთა და რშტუნთა შთამომავლების, ორი ჩვილი ყრმის — ტაქატისა და შავასპის დახოცვისაგან გადარჩენის ამბავს, იქვე მიუთითებს, რომ მათ ბავშვები წაიყვანეს „თავიანთ ქვეყანაში, ტაოს სომეგრეებში, სადაც დაყვეს მრავალი წელი თავის სახლელებითურთ, ბოლო სხვა სამფლობელოები მიატოვეს“²⁵⁸. გარდა მოტანილი მაგალითისა, ფავსტოს ბიზანტიელი თავის თხზულებაში კიდევ რამდენჯერმე ასახელებს ტაოს და ყოველთვის მისი მოხსენება მამიკონიანთა სახელთან აქვს დაკავშირებული²⁵⁹.

²⁵⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 90.

²⁵⁸ *Փ ա լ ա տ ի ի խ ի լ զ ա ն զ ա ղ յ ի յ Ղ ս տ ի լ խ ի ն հ ա յ յ. Ք ի Ֆ լ ի ս*, 1913, გვ. 73.

²⁵⁹ იქვე, გვ. 102, 198.

პ. ინგოროყვა მოსახრებით სომხეთთან დაკავშირებული იყო არა მთელი ტაო. არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, აახლდობო იმიერ ტაო. ამიერ ტაო კი ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდაო. იბ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 477 — 498. ზემოთ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ აქ არ შევედგებით იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორია აღნიშნული მოსახრება, ვინაიდან არ საკითხის კვლევა ამჯერად არ შეადგენს ჩვენი შრომის უშუალო მიზანს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვას მიერ თავისი დებულებების დასაბუთების მიზნით მისი მოსახრებებსაც კი ეწინააღმდეგება. ასე მაგალითად, თავისი ნაშრომის ერთ ადგილას პ. ინგოროყვა მიუთითებს „ტაოს იმ ნაწილს, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხურ წყაროებში ეწოდება მამიკონელთა ქვეყანაო“. ასეთი განცხადების წყაროდ მას ფავსტოს ბიზანტიელის თხზულება აქვს მითითებული. ფავსტოსის ცნობებში კი

სომხურ პროვინციად არის დასახელებული ტაო სხვა სომეხ ისტორიკოსებთანაც — მოსე ხორენელთან²⁶⁰, ელიშესთან²⁶¹, ლაზარე ფარბელთან²⁶². სომხურ გეოგრაფიაში, რომელსაც ანანია შირაკელს მიაწერენ, ტაო სომხეთის ერთ-ერთ მხარედ არის მოხსენებული. იქვე მითითებულია, რომ იგი გუგარეთის მეზობლად მდებარეობს, განსაკუთრებით მდიდარია ციხე-სიმაგრეებით და 9 გავაროსიდან შედგება²⁶³.

როგორც სომხური წყაროებიდანვე ჩანს, ტაო სომხეთის გამგებლობის ქვეშ VI საუკუნის დასასრულამდე ითვლებოდა. ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში ტაოს საეპისკოპოსო სომხეთის ეკლესიას ეკუთვნოდა²⁶⁴. 591 წლიდან კი ტაო უკვე ბიზანტიის გავლენის სფეროში ექცევა²⁶⁵. ისტორიკოს სებეოსთან ტაო ბიზანტიის გამგებლობას დაქვემდებარებულ მხარედ არის მოხსენებული²⁶⁶. ასეთსავე სურათს ვხედავთ ლევონდის თხზულებაშიც²⁶⁷. თვით იოანე დრასხანაკერტელსაც თავისი თხზულების წინა ნაწილში მოეპოვება ერთი საყურადღებო ცნობა მავრიკე კეისრის (582--602 წწ.) მიერ სომხეთის მხარეებისათვის სახელების გადაარქმევის შესახებ. სხვათა შორის, იქ სომხეთის სხვადასხვა ნაწილების ჩამოთვლის დროს ავტორი ტაოსაც ასახელებს, რომლის შესახებაც ასე აღნიშნავს: „მავრიკე კეისარმა... ტაოს მხარეს თავისი საზღვრები-

ტაოს შესახებ (სულ 3 ცნობაა ტაოს შესახებ) არსად არ არის მითითებული, რომ მამიკონიანთა ქვეყანას მხოლოდ ტაოს ერთ ნაწილს უწოდებდნენ. სამივე ცნობაში აღნიშნულია ტაო, როგორც მამიკონიანთა კუთვნილება („სა ჯოჯან კაქსარანს ქარხანე კამილირ შაკიე“, „ითანხერ ენიას კამილირ აქსარანს შაკიე ქარხანე აქსარანს“ ან „საკ ხერქხალ ფთანქერს ენა ქარლიმ ფალანს ქ შაკი“).

²⁶⁰ Մ ո վ ս է ս ի թ ո Ր ի ն ա յ լ ո յ Պատմութիւն հայոց..., გვ. 323.

²⁶¹ Տ զ ի շ շ ի Վասն Վարդանայ եւ հայոց պատերազմին..., გვ. 28, 127.

²⁶² Ղ ա դ ա Ր ա յ Փ ա Ր ա Յ յ լ ո յ Պատմութիւն հայոց..., გვ. 44, 73, 94, 110, 111, 121, 135.

²⁶³ Армянская география VII века по р. х. издал К. П. Патканов, 1877, Санкт. Петербург, гв. 20.

²⁶⁴ Գ ի Ր ք Ք զ Ք ո Յ..., გვ. 40—42, 81.

²⁶⁵ ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში..., გვ. 05—08.

²⁶⁶ Պ ա տ մ ո Ւ Ք ի Ն Ս ե Ր է ս ս ի ե պ ի ս կ ո պ ո ս ի ի Հ ե რ ա կ Ն..., გვ. 226, 228, 232, 233, 244 და სხვ.

²⁶⁷ Պ ա տ մ ո Ւ Ք ի Ն Ղ ե Ն ո ն դ ե ս յ մ ե Ց ի վ ա რ դ ս ա Յ ս ի հ ა յ ո Յ ..., გვ. 123, 168.

თურთ უღრმესი სომხეთი უწოდაო²⁶⁸. მოტანილი ცნობაც იმაზე მიუთითებს, რომ მავრიკე კეისრის დროს, სწორედ VI საუკუნის დასასრულისათვის ტაოზე უკვე ბიზანტიის საკეისროს გამგებელი აცხადებს თავის უფლებებს.

როგორც სხვა ძველ სომხურ წყაროებში, ასევე იოანე დრასხანაქერტელის თხზულებაში ტაოს შესახებ დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ტაო ყოველთვის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა როგორც გარეშე, ასევე შინაური მტრებისაგან თავის დასაღწევად. ასე მაგალითად, აფშინ ოსტიკანის რისხვისაგან თავის გადარჩენის მიზნით სომხეთის მეფე სუმბატ აშოტის-ძე თავს აფარებს ტაოს სიმაგრეებს. „ოსტიკანმა, — წერს იოანე კათალიკოსი, — ბოროტების ჩასადენად წარმართა თავისი აზრი და გონება, აბობოქრდა და წამოვიდა როგორც დიდი ნიაღვარი, რათა ბოროტი ღვართქათით შეერყია და წაელეკა თორგომიანთა სახლი და თავისი მწარე გესლი მეფეზე დაენთხია. [აფშინ ოსტიკანი] გაემართა უ ტ ი ს გ ა ვ ა რ ი თ და მოვიდა გ უ გ ა რ ე ლ თ ა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ხ ა რ ე ე ბ შ ი, რათა ჯერ ისინი დაემორჩილებინა, ანდა შფოთი და არეულობა ჩამოეგდო მათ შორის, რომ სუმბატს არ შესძლებოდა მისგან საღმე გაქცევა. მაგრამ იმ მხარეთა ნახარარები არ შეუერთდნენ მას განდგომის პირობაზე და [ოსტიკანმა] ვერ შეძლო ძალით შეხებოდა მათ მიუდგომელ სიმაგრეებს. [ამიტომ] იგი ვ ა ნ ა ნ დ ი ს - გ ა ვ ა რ ი თ კ ვ ლ ა ვ ს ო მ ხ ე თ შ ი გადავიდა და იქ გადაწყვიტა კვალდაკვალ დაღვენებოდა სუმბატს. ხოლო როცა [სუმბატი] გადავიდა ტაოს ღრატებთან ხევის კლდოვან სიმაგრეებში და ოსტიკანი დარწმუნდა, რომ ვერც ვერაგობით მოერეოდ და ვერც ბრძოლით გაწრთენიდა და მოიყვანდა მას გონს, [ოსტიკანი] წავიდა და მოიცვა კ ა რ ი ს ს ი მ ა გ რ ე ვ ა ნ ა ნ დ ი ს გ ა ვ ა რ შ ი, სადაც თავშეფარებული და დამალული იყვნენ ძაძებით მოსილი, შემონაზვნებული სომეხთა დედოფალი, სუმბატის მეუღლე, მისი რძალი, ეგრისის მეფის ასული და სხვა აზნაურ კაცთა ცოლები²⁶⁹. იოანე კათალიკოსის თხზულებიდან ზემოთ მოტანილი ვრცელი ნაწყვეტი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის გასაცნობად საინტერესო მასალებს გვაწვდის, ჯერ ერთი, მისი მეშვეობით წარმოდგენა გვექმნება იმ გზის შესახებ, რომლითაც არაბი ოსტიკანები — ატრპატაკანის გამგებ-

²⁶⁸ *მ.ქ.ანანიძე* „სომეხების ისტორიის“ წიგნი 68.

²⁶⁹ იოანე დრასხანაქერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 81 — 82.

ლები --- საქართველოში შემოიჭრებოდნენ ხოლმე. სურათი ასე გვე-
სახება: ატრაპატაკანიდან წამოსული დამპყრობი, როგორც ჩანს. სომ-
ხეთში პირდაპირ შეჭრას შემოვლითი გზით ამჯობინებდა წასვლას.
სწორედ ამიტომ, იგი გეზს ჯერ ჩრდილოეთისაკენ, უტიის გავარისა-
კენ²⁷⁰ იღებდა, შემდეგ კი მიმართავდა, როგორც იოანე ისტორიკოსი
გამოთქვამს „გუგართა და ქართველთა მხარეს“, რომ ამ ადგილების
დაკავებით გამოემწყვდია სუმბატ სომეხთა მეფე, აღარ მიეცა მის-
თვის საშუალება თავისი სამეფოდან კვლავ საქართველოში შეეფა-
რებინა თავი.

მოტანილი ცნობის მეორე ნაწილში განსაკუთრებით ერთი გარე-
მოება საყურადღებო: როგორც იოანე ისტორიკოსის გადმოცემიდან
ირკვევა, ტაოს გამაგრებული მხარეებიდან სომხეთისაკენ მიმავალი
გზის ჩამკეტ სიმაგრეს კარის ციხე წარმოადგენდა, რომელიც ვანან-
დის გავარში მდებარეობდა. სწორედ კარის ციხისა და საერთოდ მთე-
ლი ვანანდის გავარის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებამ
უკარნახა აფშინ ოსტიკანს დროულად ხელთ ეგდო ეს საყრდენი პუნქ-
ტი, რომ ტაოს სიმაგრეებში თავშეფარებულ სუმბატ მეფეს აღარ
ჰქონოდა თავის ქვეყანაში შემოსვლის შესაძლებლობა. ამრიგად.
როგორც ჩანს, ვანანდის გავარი თავისი ძლიერი სიმაგრეებით სომ-
ხეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას
წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელი მაგალითები იოანე დრას-
ხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში კიდევ მოიძებნება. რომ
ნამდვილად ტაოდან მომავალ მგზავრს სომხეთში. შირაკის ბაგრა-
ტუნიანთა სამეფოში მოხვედრა ვანანდის მხარისათვის გვერდის ავ-
ლის გარეშე არ შეეძლო, ამას იოანე დრასხანაკერტელის შემდეგი
საყურადღებო ცნობა ადასტურებს. აშოტ სუმბატის ძის (885 —
891 წწ.) გარდაცვალების ამბის შეტყობისას ტაო-კლარჯეთის გამ-
გებელმა აღარნასე კურაპალატმა გადაწყვიტა მოენახულებინა აშო-
ტის მემკვიდრე სუმბატი და თანაგრძნობა გამოეცხადებინა მის-
თვის მამის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებაში. მაგრამ სანამ
უშუალოდ სუმბატთან მივიდოდა შირაკში, უფრო ზუსტად ერაზ-
გავორში, სადაც სამეფო სასახლე იყო, აღარნასეს უნდა შეეველო ვა-
ნანდის გავარში სუმბატის ბიძასთან აბასთან, „რადგან აშოტ მეფის

²⁷⁰ უტიის ქვეყანა მდებარეობდა არაქსის დასავლეთით, არცახსა და
მტკვარს შორის. იგი შეიცავდა 7 გავარს. მის ფარგლებში შედიოდა საკუთრივ
უტი ქალაქ ბარდავით, რომელსაც მასზე გამავალი და ამ ქალაქის დვინთან
დამაკავშირებელი გზის გამო დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა, იხ. Армян-
ская география VII века..., გვ. 51.

ძმა, სომხეთის სპარაპეტი აბასი — მიუთითებს იოანე კათალიკოსი — ვანანდის სამთავროს მხარეებში იღვა, [ადარნასემ] თანახმად წესისა ჯერ მასთან შეუხვია, რათა სანუგეშო სიტყვა ეთქვა მისი მწუხარე სულიათვის²⁷¹. ავტორის გამოთქმა „თანახმად წესისა“: ჩვენი აზრით, სწორედ იმას უნდა გამოხატავდეს, რომ ტაოდახ სომხეთში გადმოსვლისას ჩვეულებრივ უპირველეს ყოვლისა ვახანდის გავარი უნდა გამოეწოდებოდა. იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში დაცული სხვა მასალების მეშვეობით შესაძლებელი ხდება აგრეთვე საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი კიდევ ერთი გზის დაზუსტება, ეს არის აშოცისა და ტაშირის მხარეთა ვიწროები და გასაყლები. იოანე კათალიკოსის მიერ თავის თხზულებაში მოხსენებული გეოგრაფიული სახელი ტაშრატაფი იგივე ტაშირია. პროფ. ილია აბულაძის განმარტებით ტაშრატაფი ტაშირის ტაფობი, ანუ ველია (ტაშირ + ტაფ)²⁷².

ტაშირის მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოსათვის, ასევე სომხეთისათვის პოლიტიკური და სამხედრო ოკლასაზრისით. იგი ხან სომხეთს ეკუთვნოდა და ხან საქართველოს. „მატიანე ქართლისა“-ის ცნობით IX საუკუნეში გუარამ მამფალს, აშოტ I დიდ კურაპალატის ძეს, დაუბყრია „ჩაგახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტაანი“²⁷³. შემდეგში კი, როგორც ეს ქართული და სომხური წყაროებიდან ირკვევა, ტაშირი სომხეთის სამეფოს ფარგლებში შედის. სტეფანე მტბევეარი თავის „გობროხის წამება“-ში ტაშირს სომხურ მხარეთა შორის იხსენიებს: „ესე არს საზღვარი მრჩი და სახელები ჰქვითა მისთაჲ: ვანანდი, აშორნია, ბაგრევანდი, აპაჰუნისი, წალკოიტნი, ჭაკატი, კოგოვიტი—ორი ჰქვი, შარური, ვასპურაგანი — ათორმეტი ჰქვი, ვაძორი — ოთხი ჰქვი, ღვინადაშტი — სამი ჰქვი, გელაქუნია — ოთხი ჰქვი, სივნიეთი—ათი ჰქვი, ტაშირი და კოლბოფორი. ესე ოთხმეოც და მჴდნი ჰქვი მოოჴრდა პირისაგანი უფლისა, ძვრისაგან ცოდვათა მათთაჲსა ამის-თჴს, რამეთუ არა იპოვა ამათ ჰქვითა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთაჲ“²⁷⁴. სომეხი ისტორიკოსების იოანე დრასხანაკერ-

²⁷¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 43.

²⁷² იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბილისი, 1937, გვ. 84.

²⁷³ მათიანე ქართლისა..., გვ. 257.

²⁷⁴ სტეფანე მტბევეარი, მარტულობა გობროხისი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I..., გვ. 175. აღნიშნულ

ტელისა და ასოლიკის თხზულებებშიც ხშირად გვხვდება ცნობები ტაშირის შესახებ. თუ რა დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა ტაშირის მხარეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იუსუფ ოსტიკანის (აბულკასიმის) შემოსევისას სუმბატ სომეხთა მეფემ უპირველესად იაწრაფა სწორედ ხელთ ეგდო „გზების გასაულები და ვიწროები აშოცისა და ტაშირის მხარეთა“. როგორც ცნობილია, ტაშირით მოემართებოდა „საქვეითო გზა“, რომლის დაუფლება გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა ამა თუ იმ მხარეს. ზემოხსენებული საისტორიო წყაროების მიხედვით სუმბატი და მისი ძე აშოტი ტაშირის ძეგლობელებად გვევლინებიან, მომდევნო პერიოდში კი უკვე იცვლება ვითარება. ტაშირი საქართველოს საზღვრებშია მოქცეული. ამაზე მიუთითებენ როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები, მაგრამ ჩვენ აღარ შევჩერდებით ამ ცნობების განხილვაზე. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე აშოცის მხარესთან დაკავშირებითაც. იოანე დრასხანაკერტელის ცნობებითაც, მის დროს, ე. ი. IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის დასაწყისში, აშოციც სომხეთის ფარგლებში შედის და სომეხი გამგებლები ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებენ მის გამაგრებას უცხო მტრის შემოსევის შემთხვევაში, როგორც ტაშირის მხარეს²⁷⁵. იოანე დრასხანაკერტელსაც, როგორც ჩანს. კარგად ესმოდა ამ ორი მხარის სტრატეგიული მნიშვნელობა და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა მათი გამაგრებისა და ჩაკეტვის შესახებ.

იოანე დრასხანაკერტელი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე იუსუფ ოსტიკანის საღაშქრო გზის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია აგრეთვე ისტორიკოს ასოლიკის თხზულებაში დაცული მასალებიც. რაც შეეხება ამ პერიოდის, სახელდობრ, იუსუფ ოსტიკანის (აბულკასიმის) საქართველოსა და სომხეთში შემოსევის ამსახველ ქართულ წყარო-

ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სომხეთის გეოგრაფიისათვის, რადგან მას ვერ ვხვდებით სომეხ ისტორიკოსთა აღწერებში, სომხურ გეოგრაფიაში და როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს, იგი არც არაბ გეოგრაფოსთა ნაწერებში მოიპოვება (X საუკუნის დასაწყისის აღნიშვნით) იხ. *Л. Меліксет-Бек - Фелікс, վրաց աղբյուրները Հայաստանի სվ. հայերի մասին, Երևան, 1934, გვ. 93.*

²⁷⁵ აშოცისა (აბოცისა) და ტაშირის შესახებ იხ. *Հին հայոց տեղւոյ անունները. գլխւ զ. Էիւլբէման ...*, გვ. 235, 237, 251, 252, 266.

Ղ. Ինճիճեան, Ստորագրութիւն հին Հայաստանայ. վեհախիչ, 1882, გვ. 361, 452.

ებს — სტეფანე მტბვერის „გობრონის წამებასა“ და „მატიანე ქართ-
ლისა“-ს, ისინი უმთავრესად სარკინოზთა მოქმედების ასპარეზის
(სომხეთისა²⁷⁶ და საქართველოს) დასახელებით კმაყოფილდებიან
და სულ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით
წამოვიდა აბულ-კასიმი. რამ შეუწყო ხელი მის შემოსვლას სომხეთ-
სა და შემდეგ საქართველოში და სხვ. იოანე დრასხანაკერტელი, ქარ-
თული წყაროებისაგან განსხვავებით, შედარებით დაწვრილებით
ცნობებს გვაწვდის იუსუფ ოსტიკანის სალაშქრო გზის შესახებ.
ატრპატაკანიდან წამოსულმა ამირამ „შიაღწია ქალაქ ფაიტაკარანს,
იქიდან კი მყისვე გამოვიდა უტიის გავარით და ტაშრატაფამდის
მივიდა. როგორც კი შეიტყო ეს მეფემ, დიდძალი ჯარი გამოიყვანა,
გემართა და დაიკავა აშოცისა და ტაშირის მხარეთა გზების ვიწრო
გასასვლელები, რომ არ მიეცა მისთვის საშუალება საქვეითო გზით
გადასულიყო. ეს რომ იუსუფმა დაინახა, ფარულად შემოუარა ძთას
დასავლეთის მხრიდან დაბალი ადგილებით და გადავიდა. შირაკის
გავარში, სადაც ღამე გაათია. [შემდეგ] კი ისწრაფა და შიაღწია ქა-
ლაქ დვინს. მეფემ გვიან შეიტყო იუსუფის მთის დასავლეთის მხრი-
დან წასვლის შესახებ და თუმცა დაედევნა უკან, მაგრამ ვერ დაე-
წია. [მეფემ] არაგაწის მთის ხეობებში, დაბა-ქალაქ არუჭში დაიბა-
ნაჟა. როცა იუსუფ ოსტიკანმა გაიგო, რომ მეფე მასთან ახლოს იმ-
ყოფებოდა, გაუგზავნა [მას] ერთი თავისი საპატიო მდივანთაგანი,
ტომით ასური და სარწმუნოებით ქრისტიანი. მან სათნო სიყვარუ-
ლით აღსავსე, საამო და წყნარი სიტყვებით და მრავალი პატივ-
მოყვარე მზრუნველობით შეთანხმების პირობა აუწყა მეფეს და ში-
სი გონებიდან ყოველგვარი შიში და ცილისწამება გააძევა და გააგ-
ღო“²⁷⁷.

სტეფანოს ტარონელიც იგივეს გვამცნობს აბულ-კასიმის მიერ
ატრპატაკანიდან დვინამდე განვლილი გზის შესახებ, მხოლოდ
უფრო მოკლედ გადმოგვცემს ყოველივეს და დამატებით ოსტიკა-
ნის მიერ განვლილ გეოგრაფიულ პუნქტთა შორის ქალაქებს ბარ-
დავსა და თბილისს ასახელებს. „ეს რომ იუსუფმა გაიგო, — წერს
ასოლიკი, — იქპარა, მივიდა ბარდავს, აქედან ფარულად წავიდა

²⁷⁶ თუმცა სომხეთის ტერიტორიის (87 ხევის) დარბევის შესახებ ცნობა
როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ „გობრონის წამება“-ში გვხვდება.

²⁷⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-
მდებარე გამოცემა, გვ. 103 — 104.

თბილისში, მივიდა ტაშირში... შირაკში გადავიდა და შიალწია დვინს“²⁷⁸.

სომეხ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით აბულ-კასიმის შე-
მოსევის მიმართულება შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ატრპატა-
კანი, ფაიტაკარანი, უტიის მხარე, თბილისი, ტაშრატაფი, შირაკი,
დვინი.

გზის მიმართულების ნათელსაყოფად მოკლედ შევეხოთ დასა-
ხელებულ გეოგრაფიულ პუნქტთა ადგილმდებარეობას.

ქალაქი ფაიტაკარანი მდებარეობდა ამავე სახელწოდების მხა-
რეში ფაიტაკარანში. ფაიტაკარანი, როგორც საისტორიო წყაროე-
ბიდან ირკვევა, სომხებს ჩამოუცილებათ ატრპატაკანისათვის, მაგ-
რამ იგი არც სომხების მფლობელობის ქვეშ დარჩენილა დიდხანს.
მისი ტერიტორია მოიცავდა ერთგვარ სამკუთხედს მდინარე არაქსსა
და მტკვარს შორის და ნაწილობრივ კასპიის ზღვამდე ვრცელდებო-
და. როგორც ისტორიკოსი ლეო (ბაბახანანი) მიუთითებს, „მიჩნე-
ულია, რომ ეს ის ქვეყანა იყო, სადაც ცხოვრობდა კასპის ტოში, ამა-
ვე სახელწოდების ზღვასთან, იქ, სადაც მტკვარი და არაქსი... ერ-
თიან კასპიის ზღვას“²⁷⁹.

უტიის მხარე ფაიტაკარანისაგან ჩრდილო-დასავლეთით ძდე-
ბარეობდა, ალბანეთსა და სომხეთს შორის, იგი ხან ერთის, ხან მე-
ორის ფარგლებში იყო მოქცეული. იოანე კათალიკოსი უტიელებს
(ე. ი. უტიის ქვეყნის მცხოვრებთ) სომხების მეზობლებს შორის
იხსენიებს. „ჩვენმა მეზობლებმა და ხალხებმა, ჩვენს გარშემო რომ
არიან, ბერძნებმა, მეგრელებმა, გუგარელებმა და უტიელებმა —
კავკასიის ძირას მოსახლე ჩრდილოელმა ტომებმა გადაწყვიტეს...“²⁸⁰.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“ ისიც ირ-
კვევა, რომ სუმბატ სომეხთა მეფის მამას აშოტ I-ს დაუმორჩილე-
ბია უტიის მცხოვრებნი და იქ მთავარიც დაუდგენია. სომხებას
მეგრ დამორჩილებული უტიის მხარე სუმბატის ძის აშოტის დროს
უკვე სომხეთისაგან განდგომილი ჩანს. აი, რას გვაუწყებს ამის შე-
სახებ იოანე კათალიკოსი:

„მეფისწული აშოტი გაემართა თავის სიმამრთან, დიდ მთავარ
საჰაკთან, ხოლო შემდეგ თავისი ჯარით ისიც თან წაიყვანა და უტიის

²⁷⁸ *Մատթիասն ուսի Տարւնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերա-
կան...*, გვ. 163.

²⁷⁹ *Լէօ, Հայ հայրենիքը, Ռիჭիქս*, 1915, გვ. 169 — 170.

²⁸⁰ *იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინა-
მდებარე გამოცემა*, გვ. 177.

გავარისავენ გასწია, რათა დაეთრგუნა სასტიკი განდგომილება მოსესი, რომელიც მას მთავრად და მბრძანებლად ჰყავდა დაყენებული უტიის გავარის ურჩხულის ჩვევების მქონე ტომებში“²⁸¹.

ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ უტიის გავარი ერთ-ერთ ყველაზე უფრო ურჩ მხარეს წარმოადგენდა იმ მხარეთა შორის, რომლებიც სომეხ მეფე-მთავრების მფლობელობის ქვეშ იყვნენ მოქცეული, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში ბევრია ცნობა უტიის სომხეთისაგან განდგომისა და სომეხთა მიერ მისი კვლავ დამორჩილების შესახებ. უტიის გავარში, სახელდობრ, მდინარე ტრტორის (ამჟამად თართარის ან ტერტერის) მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა ქალაქი ბარდავი, რომელიც 789 წლადან არაბთა მმართველის რეზიდენციად გადაქცეულა. საისტორიო წყაროებში იგი ხშირად იხსენიება, როგორც მსხვილი სავაჭრო ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ მთელი ამიერკავკასიიდან, დაღესტნიდან და სხვა ახლო მდებარე ქვეყნებიდან. დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა გზას, რომელიც ორ მსხვილ ცენტრს ამიერკავკასიისას — დვინსა და ბარდავს — ერთმანეთთან აკავშირებდა.²⁸²

ამრიგად, იოანე დრასხანაკერტელის ზემოთ განხილულ ცნობიდან უკვე სრული წარმოდგენა გვექმნება აბულ კასიმის სომხეთსა და საქართველოში ლაშქრობის გზის მიმართულებაზე. სტეფანე მტბევრისა და „მატიანე ქართლისა“-ის ცნობებში არაფერია თქმული ამ გზის შესახებ, იქ მხოლოდ ჩამოთვლილია აბულ კასიმის მიერ დარბეული გეოგრაფიული პუნქტები. როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, სტეფანე მტბევრის ცნობით არაბთაგან 87 ხევი იქნა დარბეული. სტეფანე მტბევართან დასახელებულ გეოგრაფიულ მხარეთა ადგილმდებარეობის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ზოგადად განისაზღვროს სომხეთის ის ტერიტორია, რომელიც აბულ-კასიმმა დალაშქრა: აირარატის აღმოსავლეთით, არცახის მოსაზღვრე ტერიტორია (სივნიეთი და მასთან ახლოს მდებარე გელაქუნი, ვაიოცქორი ანუ ვაჰქორი, შარური) არაქსის მარჯვენა სანაპირო; აირარატის დასავლეთი მხარე (ჰაკატი, კოგოვიტი, წალკოიტი), უფრო ჩრდილოეთით კი — ტაშირი და კოლბოფორი. „მატიანე ქართლისა“ კი გვაწვდის ცნობას თვით საქართველოს ტერიტორიაზე აბულ კასიმის მიერ რამ-

²⁸¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 232—233.

²⁸² დვინი — პარტავის გზის მნიშვნელობას დაწვრილებით ვხედავთ აკად. პ. მანანდიანი თავის წიგნში: *Հին Հայաստանի գլխավոր ճանապարհները, Երևակա՛ն, 1936, გვ. 175 — 204.*

დენიმი გეოგრაფიული პუნქტის დალაშქვრის შესახებ: „მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულკასიმ, ძე აბუსაჯისი, რომელი გამოგზავნა ამირ მუმნსა სპითა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა... და მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს, და მას ყაშსა აშირა: იყო ჭაფარ, ძე ალისი. მოვიდა და მოადგა უჯარმოს. შიგა დგა სამსი კაცი, და ჰბრძოლეს მრავალთა დღეთა. და ვითარ ახილეს, რამეთუ ვერ დაუდგმადეს. დააგდეს ღამე და გარდაიხუეწნეს... ვითარცა ცნეს ბოქორმელთა ციხოვანთა წადება უჯარმისა, დააგდეს ციხე და გადაიხუეწნეს. რაჟამს მოვიდეს, პოვეს იგი უკაცური და თქუეს: „რომელი ბაკი იყო, მუნ შინა ფიცხლად შეგუებნეს; და რომელი ციხე არს, აგი უკაცურად დაუგდიათ“. აღიღეს ბოქორმა და დაიჭირეს ციხედვე, და უჯარმის ზღუდენი დაარღვენეს... შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად, და მოაოჯრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღვენეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიძქირონ. შევიდა მუნით სამცხეს, და მოაოჯრა სამცხე და ჭავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვსასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყყო ბრძოლად. იყო მუნ შინა ჭაბუკი ერთი, სახელით გობრონ; ებრძოდა შიგნით გამოღმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თვსთა თანა, და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ და აწამეს... აღიყარა მუნით და წარვიდა დვინად ქალაქად. მოვიდეს და უთხრეს, ვითარმედ სუმბატ მეფე შევიდა ციხესა კაპოეტისასა; მსწრაფლ აღიყარა და მიუძეცნო ლაშქარსა თვსსა, რათა ყოველი კაცი, რომელი პოვონ ცოცხალი, გამოიყვანონ მის წინაშე. მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოეტისასა; და ცხოვანთა დედა-წული, რომელი პოვა გარეგნით, დაიპყრა ჭელთა. ამისთვის გამოსცეს ციხე და შეიპყრეს სუმბატი; წარიყვანა დვინს, ჩამოჰკიდა ძელსა და მოკუდა“²⁸³.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში, მართალია, აბულ-კასიმის საკუთრივ საქართველოში ლაშქრობისა და მისი შედეგებას შესახებ არაფერია თქმული, მაგრამ იოანე კათალიკოსის ცნობების თანახმად იუსუფის მიერ სომხეთში დატრიალებული უბედურების გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს ასეთივე სურათი საქართველოშიც წარმოვიდგინოთ, რადგანაც აბულ კასიმს ერთნაირად ამწიოკებლად და დამრბევად მოეკლინა როგორც სომხეთს, ასევე საქართველოს. სხვათა შორის იოანე დრასხანაკერტე-

²⁸³ მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა ..., გვ. 262 — 265.

ლი. ისევე როგორც „მატიანე ქართლისა“-ის ავტორი აბულ კასიმის ლაშქრობის აღწერისას მოწამე-მებრძოლთა შორის ასახელებს მიქელ-გობრონს, რომელიც სუმბატ სომეხთა მეფისა და სხვა მოწამეთა მსგავსად შეეწირა აბულ-კასიმის მრისხანებას. იოანე დრასხანაკერტელი მას უწოდებს „მიქაელი გუგარელთა ქვეყნიდან“: „მტრებმა, — წერს იოანე, რომლებიც [ტყვევების] გარშემო იდგნენ, დაინახეს წმინდანთა შორის ერთი ყრმა მხიარული და ლამაზი სახისა, სახელად მიქაელი, გუგარის ქვეყნიდან. მას ჯერ არც კი ამოსწლოდა და წამოზრდოდა ლაწვებზე წვერის ღინლი. მათ თითქოს კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს მის მიმართ, ხელი წაავლეს და ძალით თავისკენ მიიზიდეს, რომ ისიც სხვებთან ერთად არ დაღუპულიყო. მიქაელმა ცრემლმორეული ქვითინით ცისკენ აღაპყრო თვალები, ძალა მოაკრიბა ზეგარდმოს შემწეობით, თავი იხსნა მათგან და აჩქარებით და გაბედულად გაეშურა თავისი ამხანაგებისაკენ. საკუთარი სურვილით მახვილს მისცა თავი. ამგვარად, მსხვერპლად მიუძღვნა თავისი თავი ქრისტეს სხვა უმანკო შესაწირავსა და საკლავთან ერთად ზეციერი მამის სასულენელად“²⁸¹. სომხურ წყაროთაგან მიქელ-გობრონი მოხსენებულია აგრეთვე სტეფანოს ტარონელის „მსოფლიო ისტორია“-ში. თუ ერთმანეთს შევუდარებთ იოანე დრასხანაკერტელისა და ასოლიკის ცნობებს მიქელ-გობრონის თავგადასავლის შესახებ, დავინახავთ, რომ ასოლიკს უსარგებლია იოანე დრასხანაკერტელის თხზულებით; მათ ნაწარმოებებს შორის, გარდა შინაარსობრივი იგივეობისა, ფრაზეოლოგიურ დამთხვევებსაც აქვს ადგილი, მხოლოდ იოანე დრასხანაკერტელისაგან განსხვავებით ასოლიკი ასახელებს მიქელ გობრონის ადგილსამყოფელს — ყველის ციხეს. ძირითადი წყარო მიქელ-გობრონის თავგადასავლის შესასწავლად სტეფანე მტბევერის „გობრონი“ წამება“-ა, რომელშიც სწორედ აბულ კასიმის შემოსევისა და მის მიერ გობრონის წამების ამბავია გადმოცემული. ავტორი, როგორც აგიოგრაფი, უმთავრეს ადგილს მიქელ-გობრონის მოწამებრივი თავგადასავლის აღწერას უთმობს და დაწვრილებით არაფერს გვაწოდის მისი წარმოშობისა და ვინაობის შესახებ. სტეფანე მტბევეარი მიუთითებს, რომ მას ადრე მიქაელი ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ კი, „ვითარცა ყოველთა წმიდანთა“, იცვალა სახელი და გობრონი დაირქვაო. მიქელ-გობრონის ვინაობის შესახებ არც სხვა ისტორიულ წყაროებში მოგვეპოვება და-

²⁸¹ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 171.

წვრილებითი ცნობები. ქართულ წმინდანთა მოსახსენებლებში მიქაელ-გობრონი გობრონის სახელით იხსენიება. მაგალითად, H—40 ხელნაწერში, რომელიც წარმოადგენს ქართულ წმინდანთა ტროპაარს, სხვა ქართველ წმინდანთა შორის მოხსენებულია გობრონიც. ასევე H—1415 ხელნაწერშიც მარტვილი გობრონად იხსენიება: „წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა გობრონისა, რომელსაც პირველად ეწოდა მიხაილ და მის თანა წამებულთა ასოცდაათსამეტთა მოწამეთა“²⁸⁵.

სომხურ სვინაქსარში („*Մայրամուհի*“-ში) მოკლედ გადმოცემულია მიქაელ-გობრონის ისტორია და მოსახსენებელ დღედ დადებულია 16 აპრილი. აღნიშნულ წიგნში დაშვებულია შეცდომა, რადგან მის მიხედვით სომხეთისა და საქართველოს დარბევა მიეწერება არა იუსუფ ამირას, არამედ მის ძმას აფშინს, რომელიც 908 წელს (როცა ადგილი ქონდა ამ ლაშქრობას) ისტორიულ წყაროთა მიხედვით უკვე გარდაცვლილი ჩანს. სვინაქსარში აღნიშნულია, რომ სომხეთის მეფე და მიქაელ-გობრონი სიკვდილით დაუსჯია აფშინს.

ყველა ხელთ არსებული წყაროს განხილვის შედეგად (ეს შეეხება როგორც ქართულს, ასევე სომხურს), რომლებაც კი რაიმე ცნობას გვაწვდიან მიქაელ-გობრონის თავგადასავლისა და მისი დროის შესახებ, „*Մայրամուհի*“-ში მოცემული ცნობა არ დასტურდება. ქართული ძირითადი წყაროს, „გობრონის წამების“ მიხედვით გობრონი სიკვდილათ დაუსჯიათ აბულ კასიმის ბრძანებით, ხოლო სუმბატ მეფე გობრონის წამების შემდეგ, „ერთარ სხუაჲ ღონჲ ვერა იბოვა, შევიდა იგი ციხესა კაპოეტისასა... და მეფე იგი მრავლისა ტანჯვისა შემდგომად მოკლა და თავმოკუეთილი ჩამოჰკიდა ძელსა საშუვალ ქალაქსა დვინისასა“²⁸⁶.

მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ სუმბატ მეფე მიქაელ-გობრონის წამების შემდეგ უწამებიათ, სომხურ წყაროებში კი (იოანე კათალიკოსი, ასოლიკი) ჯერ სუმბატის სიკვდილით დასჯა აღნიშნული, შემდეგ კი მიქაელისა და სხვათა მრავალთა. ერთი ცხადია, რომ სუმბატ მეფისა და გობრონის სიკვდილით დასჯა უნდა მომხდარიყო 915 წლამდე მაინც, რადგან სომხურ საისტორიო წყაროთა მიხედვით 915 წლიდან სომხეთის ტახტზე ბაგრატუნისანთა საგვარეუ-

²⁸⁵ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექცია, № 1415, გვ. 66.

²⁸⁶ ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, მარტვლობაჲ გობრონისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I... გვ. 178.

ლოს უკვე ახალი წარმომადგენელი აშოტ სუმბატის ძე (აშოტ ერკათად წოდებული) ჩანს. (915—928 წწ.) ამრიგად, სომეხ ისტორიკოსთა ცნობებიც ეთანხმებიან ქართულ წყაროებს გობრონის წამების თარიღად 914 წლის აღიარებაში.

მიქაელ-გობრონის შესახებ იოანე დრასხანაკერტელთან დაკუთვლი ზემოთ მოტანილი ცნობა განსაკუთრებით შემდეგით იპყრობს ჩვენ ყურადღებას: როგორც აღვნიშნეთ, იქ მიქაელ-გობრონი გუგარეთის ქვეყნის მცხოვრებად არის დასახელებული. საინტერესოა, როგორ ესმის იოანე კათალიკოსს ტერმინი „გუგარეთი“, რა შინაარსს დებს. ამ სიტყვაში და საერთოდ გარდა ზემოთ მოტანილი ცნობისა კიდევ რა მასალები გვხვდება იოანეს თხზულებაში გუგარეთის შესახებ. იოანე დრასხანაკერტელი გუგარეთს და გუგარელებს აშკარად სომხეთისა და სომხებისაგან განასხვავებს და მათ სომხების მეზობელთა შორის ასახელებს: „ჩვენმა მეზობლებმა და ხალხებმა, ჩვენს გარშემო რომ არიან, ბერძნებმა, მეგრელებმა, გუგარელებმა და უტიელებმა — კავკასიის ძირას მოსახლე ჩრდილოელმა ტომებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალით ეხსნათ თავი“²⁸⁷.

როგორც ცნობილია, გუგარეთის (ბერძნულად გოგარენეს) ტერიტორია ყოველთვის ერთი გარკვეული ოდენობისა როდი იყო. სომხური გეოგრაფიის მიხედვით VII საუკუნეში გუგარეთი ასეთ სახეს ატარებდა. „გუგარეთი მდებარეობს უტიის დასავლეთით, აქვს 9 გავარი, რომელსაც ფლობენ ქართველები: ძოროფორი, წობოფორი, კობოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტაანი, ჯავახეთი, კლარჯეთი“. ძველ სომეხ ისტორიკოსთაგან გუგარეთი (*გუგარე*) მოხსენებულია ფავსტოს ბიზანტიელთან²⁸⁸ და მოსე ხორენელთან²⁸⁹. მაგალითად, მოსე ხორენელი გუგარეთის პიტიახშს უწოდებს ტაშირის გამგებელს აშუშას.

გუგარეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ იოანე კათალიკოსი გარკვევით არაფერს ამბობს, მხოლოდ მიუთითებს, რომ იქ შერეულა მოსახლეობა ბინადრობდაო. აშოტ მეფის ძის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ საუბრისას იოანე შენიშნა:

²⁸⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 177.

²⁸⁸ *Φαλασθίου Πιτταχίου ἱστορικῆς ἑπιστολῆς ἑκείνου...*, გვ. 24.

²⁸⁹ *Մովսէսի Խորենացւոյ Գատմուքիս հայոց...*, გვ. 356.

ნავს, რომ აშოტმა დააქვემდებარა „გუგარეთის ნარევი მოსახლეობა და უტიის გავარის ავაზაკობის მიმდევარი ხალხი“²⁹⁰.

რატომღაც პ. ინგოროყვა იოანე დრასხანაკერტელს ზემოაღნიშნულის სრულიად საწინააღმდეგო აზრს მიაწერს და აღნიშნავს, რომ „მე-10 საუკუნის ავტორმა იოანე კათალიკოზმა იცის, რომ გოგარეთის იბერიელთა იბერია იყო, რომ გოგარეთის მოსახლეობას იბერიელები შეადგენდნენ, და იგი გოგარეთს აიგივეებს საერთოდ იბერიასთან, აღმოსავლეთ საქართველოსთან“; ან კიდევ: „სომეხთა კათალიკოსის იოანე კათალიკოსის ჩვენების თანახმად გოგარეთი ეს არის იგივე იბერია და სახელწოდება გუგარელი იბერიელის სინონიმს წარმოადგენს“²⁹¹. პატივცემულ მკვლევარს ზემოთ მოტანილი დებულების დასამტკიცებლად მითითებული აქვს გვერდები იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორიიდან“, შესაბამის გვერდებზე წარმოდგენილი მასალების განხილვიდან კი ირკვევა, რომ იოანე კათალიკოსი არსად გუგარელებს იბერიელებად არ მიიჩნევს; ასე რომ ფიქრობდეს, მაშინ იგი აღარ იტყოდა ქართველთა და გუგარელებთა, „იმდროინდელი დევნის გამო მე, — წერს იოანე კათალიკოსი — როგორც მწირი, გუგარელთა და ქართველთა შორის ვიმყოფებოდი დიდად ბრძენ ადარნასესთან“.

გუგარეთის მხარის გეოგრაფიულ პუნქტთა შორის იოანე დრასხანაკერტელი ასახელებს სამშვილდის ციხე-სიმაგრეს: „მეფისწული აშოტ მეფე გაემართა, წავიდა და მიადწია გუგართა მხარეს, დიდი სიმაგრის მახლობლად, რომელსაც ქართულად შამშულდე, ე. ი. სამი მშვილდი ეწოდება. მამამისს ის ხალხი, ციხესთან რომ ცხოვრობდა, დასაკუთრებული ჰყავდა, ხოლო ორი ძმა — ვასაკი და აშოტი გნთუნთა ტომისაგან — ციხას მცველებად და იმ ოლქის ზედამდგომელად ეყენა. ამიტომ [აშოტმა] მათგან მორჩილება თავის მიმართაც მოითხოვა, რომ მოსულიყვნენ სამსახურის ერთგულებაზე. ჯარს საზრდო მოკლებული და შემცირებული ჰქონდა, ამიტომ მან თავისი ჯარი მახლობელ გავარებში გაგზავნა, რომ თავიანთი საზრდო თვითონვე მოეპოვებინათ იმ დრომდე. სანამ იქიდან უკან გაბრუნდებოდა. თვითონ თავის მშვენიერ ძმასთან აბასთან ერთად 250 კაცით წავიდა და დაბანაკდა სიმაგრის მახლობლად, რომელსაც საკუ-

²⁹⁰ იოანე დრასხანაკერტელის „სომეხეთის ისტორიის“ წინამდებარე განმცხადება, გვ. 38.

²⁹¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე..., გვ. 463, 475.

რეთი ერქვა“²⁹². როგორც მოტანილი ცნობიდან ირკვევა, აშოტ II-ის (915—928 წწ.) მამას სუმბატ აშოტის ძეს (891—914 წწ.) ციხე-სიმაგრე სამშვილდე დაუპყრია. ზუსტი თარიღი სომხების მიერ სამშვილდის დაპყრობის შესახებ თხზულებაში არ გვხვდება. ამ საყურადღებო ფაქტის შესახებ მხოლოდ ზოგადად არის მითითებული ზემოთ მოტანილ ცნობაში: „მამამისს (აშოტის მამას სუმბატს— ე. ც.) ის ხალხი, ციხესთან რომ ცხოვრობდა, დასაკუთრებული ჰყავდა“. როდის უნდა მომხდარიყო სუმბატ აშოტის ძის მიერ სამშვილდის ციხე-სიმაგრის დაპყრობა? ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ ფაქტობრივი მასალების შესწავლის შედეგად ხერხდება. ქართველ მკვლევარს ლევან მუსხელიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება სომხეთის მიერ პირველად სამშვილდის დაპყრობის შესახებ.

სამშვილდის სიონის წარწერების განხილვისა და ტაძრის აშენების თარიღის საკითხის გადაწყვეტისას განსვენებული მეცნიერი სამშვილდის სომხურ წარწერასაც ეხება²⁹³. როგორც თვითვე მიუთითებს, სამშვილდის ტაძრის სომხური წარწერა, შინაარსით „ბრძანებითა უფლისა გეორგისა სომეხთა კათალიკოსისაჲთა“ (*არამაზაჲს სისაჲს ჴიოიქსა რაიოე კა[შა[ღიქიოიქ]*) გამოქვეყნებულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ²⁹⁴, რომლის აზრით წარწერა XI საუკუნეს განეკუთვნება. „უეჭველხა — მიუთითებს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი — ეს წარწერა XI საუკუნისაა, რადგანაც მასში მოხსენებული გეორგი, კათალიკოსი გეორგ ლორელია (1069—1072 წწ.)“²⁹⁵.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ეს მოსაზრება ლ. მუსხელიშვილის მიერაცაა გაზიარებული. „ეს მართლაც ასე უნდა იყოს — აღნიშნავს იგი — გეორგ ლორელამდე ცნობილია კიდევ მხოლოდ ორი გეორგი: ერთი კათალიკოსობდა 792-დან 795-მდე, მეორე კი 877-დან 897-მდე. მათგან პირველი გამორიცხულია იმიტომ, რომ X საუკუნის დამდეგამდე სომხება სამშვილდეში არ შესულან. მეორის სუფევაც სამშვილდეში ძალიან საეჭვოა, თუმცა მისი უკანასკნელი წლები ემთხვევა სუმბატ I ბაგრატუნის (893—914 წწ.) პირველ წლებს, რომელმაც პირველმა სომეხთა მეფეთა შორის შედგა ფეხი

²⁹² ი დ ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ს „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 224 — 225.

²⁹³ ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ვნიშკის მთაბე. XIII, თბილისი. 1943. გვ. 100 — 101.

²⁹⁴ *Л. Меликсет-Бег. Г. Агвалянի „Историяхъ къ Самвелу“* ил. *Самвелуქიქი ირბაგარე. „Ирვალ“*, 1940, № 4, გვ. 52 — 55.

²⁹⁵ ი ქ ვ ე, გვ. 52 — 55.

სამშვილდეში (იოანე დრასხანაკერტელის ცნობით. იხ. ილ. აბულაძის გამოც. თბ. 1937 წ. გვ. 56). მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ყველა ნიშნებით ან IX საუკუნის მიწურულში, ანდა უკეთ. X საუკუნის დამდეგს, რასაც გეორგ კათალიკოსი ველარ მოესწრებოდა. ძნელი დასაჯერებელიცაა, რომ პირველ დაპყრობისთანავე სომეხთა კათალიკოსს, ანდა მისი სახელით ვისმე სხვას სამშვილდეში წარწერა გაეკეთებინა, ასიც ახლად აშენებულს ქართულ ტაძარზე²⁹⁶.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული მასალების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე კი ზემოთ მოტანილი აზრის საწინააღმდეგო ირკვევა. სამშვილდის სომხურ წარწერაში მოხსენებული გეორგ სომეხთა კათალიკოსი სუმბატ სომეხთა მეფის თანამედროვე კათალიკოსი გეორგ გარნელია (876—897 წწ.) და სამშვილდის დაპყრობაც, სომხების მიერ სწორედ მისი კათალიკოსობის დროს უნდა მომხდარიყო. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცული ცნობები გვაძლევს. საქმის ვითარება ასეთია: სუმბატ აშოტის ძემ (891—914 წწ.) გამეფების პირველ წლებშივე გააფართოვა თავისი სახელმწიფოს საზღვრები ახალა ტერიტორიების დაპყრობითა და შემოერთებით: „ამგვარად, გაიზიდა და გაიზარდა მისი სამფლობელოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთიდან კარნუ ქალაქამდე და კიდევ უფრო იქით, კლარჯეთამდე, შიალწია დიდი ზღვის ნაპირამდე, ეგრისის [ქვეყნის] საზღვრამდეც და დიდი მთის კავკასიის ძირამდის. [დაიმორჩილა] გუგარელსი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო. იქიდან კი სამხრეთის მხარეს [დაპყვა] და მდინარე მტკვრით ქალაქ თბილისამდე [მოვიდა]. [შემდეგ კი დაეუფლა] უტიის გავარს ქალაქ ჰუნარაკერტამდის, ტუსამდისა და შამქორამდის. ასე ამგვარად განავრცო მან თავისი სამფლობელოს საზღვრები და სამეფო გამოსაღების, ბეგარისა და ბაჟის უღელს დაუქვემდებარა იგი და სიმხნის საჭურველი თავისი ბრძოლისა ძლევის ნიშნად აღძმართა“²⁹⁷.

ზემოთ აღნიშნული დაპყრობები სუმბატ აშოტის ძეს უნდა განეხორციელებინა თავისი მეფობის პირველსავე წლებში. დაახლოებით 891—894 წლებში მაინც. სწორედ ამ დაპყრობების აღწერი-

²⁹⁶ ლ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრომი..., გვ. 100.

²⁹⁷ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა..., გვ. 64—65.

შემდეგ იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს დვინში მიწისძვრის ამბავს შესახებ, რასაც 894 წელს ჰქონდა ადგილი²⁹⁸.

ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში სხვა მხარეთა შორის გუგარეთის დაპყრობის შესახებაცაა მითითებული. სუმბატის მიერ გუგარეთის ციხე-სიმაგრის სამშვილდის დაპყრობაც სწორედ ამ ლაშქრობის დროს, ე. ი. 891—894 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგანაც უფრო გვიან, ვთქვათ X საუკუნის დასაწყისში, როცა ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობს სომხების გამგებლობაში სამშვილდის გადასვლას. გუგარეთის მხარის სომხების მიერ დაპყრობის შესახებ არაფერი აქვს თქმულა იოანე დრასხანაკერტელს. სუმბატის მეფობის დროს გუგარელთა მხარის ხელმეორედ დალაშქვრას მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, იოანე დრასხანაკერტელი აუცილებლად ამ ფაქტსაც მოიხსენებდა.

როგორც იოანე კათალიკოსის თხზულებიდან ირკვევა, X საუკუნის დასაწყისში სუმბატ აშოტის ძეს არ ექნებოდა შესაძლებლობა თვითონ წამოეწყო დაპყრობები, რადგანაც 895—896 წლებიდან დაწყებული სუმბატის მეფობის დასასრულამდე, ე. ი. 914 წლამდე სომხეთს ჯერ აფშინ ოსტიკანი არბევდა, შემდეგ კი მისი ძმა იუსუფი. აღნიშნული პერიოდი სომხებისათვის ყველაზე ძნელმდობის ხანას წარმოადგენდა. თვით სუმბატ მეფე იძულებული იყო ტაოს მიუდგომელ ციხე-სიმაგრეებისათვის შეეფარებინა თავი. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში სუმბატს არა თუ ახალი ტერიტორიების შემოერთებაზე (ვთქვათ სამშვილდის დაპყრობაზე) შეეძლო ფიქრი, არამედ იგი ცდილობდა როგორმე ეხსნა ქვეყანა არაბთაგან შოველენილი რისხვისაგან. ყოველივე ზემოთქმულის გამო უფრო შესაძლებელია სომხების მიერ სამშვილდის აღება სუმბატის მეფობის პირველ წლებში ვივარაუდოთ, სომეხთა კათალიკოსის გეორგ გარნელის დროს. სომხების მიერ სამშვილდის დაპყრობის განხორციელებას გეორგ გარნელის კათალიკოსობის დროს ლ. მუსხელიშვილი იმიტომაც მიიჩნევდა შეუძლებლად, რომ მისი აზრით „ჩხელო დასაჯერებელიცაა, რომ პირველ დაპყრობისთანავე სომეხთა კათალიკოსს, ანდა მისი სახელით ვისმე სხვას სამშვილდეში წარწერა გაეკეთებინა, ისიც ახლად აშენებულს ქართულ ტაძარზეო“²⁹⁹.

სინამდვილეში კი, IX საუკუნის 90-იანი წლებისათვის, როდესაც ვვარაუდობთ სომხების მიერ სამშვილდის პირველად დაპყრო-

²⁹⁸ *ძიქიძე აქი ქარგაყისთი მრბრისანიკ შათილქიან თანე*
მტბრისხაყ..., გვ. 370 — 371.

²⁹⁹ ლ. მუსხელიშვილი, დასახელებული ნაშრომი... გვ. 100.

ბას, სამშვილდის ტაძარი უკვე საუკუნეზე მეტი ხნის ნაშენი ძეგლი იყო. (როგორც ცნობილია, ტაძარი აგებულია 759—777 წწ)³⁰⁰, ე. ი. არც ისე ახალი, რომ მასზე წარწერის გაკეთება არ ყოფილიყო შესაძლებელი. ამრიგად, ვფიქრობთ არც ეს გარემოება ჩაითვლება დაბრკოლებად იმისათვის, რომ სამშვილდის სომხური წარწერის ამოკვეთა მივაწეროთ გეორგ გარნელის დროს და არა გეორგ ლორელის თანამოსაყდრეობის პერიოდს (1069—1072 წწ.), რასაც შესაძლებლად და უფრო მართებულად თვლის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მის მოსაზრებას ლ. მუსხელიშვილიც იზიარებს, თუმცა რაღაც ეჭვს მაინც გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით. „XI ს-ის შუახანებში, — მიუთითებს ლ. მუსხელიშვილი, — როგორც ვიცით სამშვილდეში ჭერ ისევ სომეხი მეფენი იხსნდნენ. 1065 წლის ახლო ხანებში ჩამოართვა ბაგრატ IV-მ კვირიკე სომეხთა მეფეს ეს ქალაქი და „იპყრა სახლად თვსად“. მართალია, გეორგ ლორელის თანამოსაყდრეობა ცოტა უფრო გვიან დაიწყო, 1067-სა თუ კიდევაც 1069-ში, მაგრამ ამ დროს აქ სომხეთის მრეელი მტკიცედ ფეხმოკიდებული უნდა გვეგულებოდეს და სომეხთა კათალიკოსის ხსენება სომხურ წარწერაში არ უნდა გვაკვირვებდეს, თუმცა მაინც კადევ უცნაურია, რომ ეს წარწერა ქართულ ტაძარზე მოუთავსებიათ“—ო³⁰¹.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ განხილულ მასალებს, ვფიქრობთ უფრო მართებულია სამშვილდის სიონის სომხური წარწერა მივაწეროთ სწორედ გეორგ გარნელის დროს, სომხეთის შედარებით ძლიერების ხანას, სომხების მიერ ამ ციხე-სიმაგრის პირველად დაპყრობის პერიოდს, ვიდრე გეორგ ლორელის თანამოსაყდრეობის ხანას (1069—1072), როდესაც სამშვილდე უკვე საქართველოს ეკუთვნის და სომეხ მეფე-მთავართა უფლებები აღკვეთილია მასზე.

გარდა ზემოთ მითითებული გეოგრაფიული მხარეებისა და პუნქტებისა, იოანე დრასხანაკერტელი რამდენჯერმე ასახელებს ქალაქ თბილისს (*თბილისი ქალაქი*) და მდინარე მტკვარს ჩვეულებრივ სომხურ მწერლობაში გავრცელებული „*სიორ*“ ფორმით.

იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში მოხსენებული არიან წანარები. ერთი ცნობის თანახმად სუმბატმა „[დაიმორჩილა] გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგ-

³⁰⁰ იხ. ლ. მუსხელიშვილის დასაზღვრებული ნაშრომი.

³⁰¹ იქვე, გვ. 100.

რე თავად აიღო“³⁰². მეორე ცნობით „დიდი ქორეპისკოპოსი, რომელიც ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა, მოვიდა დიდძალი ჯარით მეფის დასახმარებლად“³⁰³.

ზემოთ მოტანილ ორივე ცნობაში ალანთა კართან მოსახლე წინარებზეა საუბარი. წინართა საკითხი შესწავლილი აქვს ისტორიკოს მ. ლორთქიფანიძეს³⁰⁴. როგორც ირკვევა „კახეთის დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბების დროისთვის წამყვან როლში წინარნი გამოდიან. თავდაპირველად მათ აქვთ არაბებთან ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბებულ, მთლიან კახეთის სამთავროს, რომელიც თავიდანვე მოიცავს კახეთ-კუხეთ-წინართ-გარდაბანს — არაბი ავტორები სანარაის უწოდებენ. შემდეგ, IX ს-ის დასაწყისში, მთავრობას და პირველობას კახეთის სამთავროში გარდაბანელნი იგდებენ ხელთ, რისი გამოძახილიცაა, როგორც პირდაპირი მითითება ქართულ წყაროებში ამ ფაქტზე, ასე შემდეგ კახეთის გარდაბნის და გარდაბანელთა სახელით მოხსენიება. მაგრამ არაბულ წყაროებში ეს ადგილი, ძველი ტრადიციით, სანარებს (წინარებს) უკავიათ. ამით უნდა იყოს გამოწვეული, როგორც აღვნიშნეთ, ქართული წყაროს გარდაბნის და კახეთის — სანარით მონაცვლეობა არაბულ წყაროებში“³⁰⁵. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე დრასხანაკერტელის ორივე ცნობაში მართალია წინარები არიან მოხსენებული, მაგრამ კახეთი და კახელები იგულისხმებიან. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როგორიც არაბულ წყაროებში შეინიშნება, სახელდობრ, ძველი ტრადიციით კვლავ წინარების მოხსენიებასთან.

³⁰² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 64.

³⁰³ იქვე..., გვ. 233.

³⁰⁴ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 152 — 161.

³⁰⁵ გ. ლორთქიფანიძე. დასახელებული ნაშრომი..., გვ. 161.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტის შესწავლისათვის

1. „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერები

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტი მრავალმა ხელნაწერმა შემოგვინახა. მართო სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მესროპ-მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ე. წ. „მატენადარანში“, აღნიშნული თხზულების 17 ნუსხაა დაცული³⁰⁶. „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერები სსრკ-ის ფარგლებს გარეთაც, სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებსა და საცავებშიც მოიპოვება. საზღვარგარეთ დაცულ ნუსხებს ჩვენ ზოგადად გავეცანით მათ შესახებ არსებული, ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღწერილობების, ცნობარებისა და კატალოგების მეშვეობით.

სანამ „მატენადარანში“ შემონახული „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერთა შესწავლასა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ სხვა საცავებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ნუსხებიც.

როგორც ირკვევა, „სომხეთის ისტორიის“ საზღვარგარეთული ნუსხების ყველაზე დიდი რაოდენობა ვენის მხითარაანთ სიძველეთსაცავზე მოდის. აქ შემონახულია აღნიშნულ თხზულების 8 ხელნაწერი, რომელთაგან სამი მე-18 საუკუნისაა, ოთხი მე-19 საუკუნისა, ხოლო ერთი მე-18-19 საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნება. აქვეა დაცული აგრეთვე ერთი მე-19 საუკუნის ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდან ამოღებული ნაწყვე-

³⁰⁶ „მატენადარანის“ ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ასე რომ იოანე დრასხანაკერტელის თხზულების „სომხეთის ისტორიის“ შემცველი ნუსხების მოძებნაში დახმარება გაგვიწია კატალოგმა, რომელშიც მოცემულია მხოლოდ ხელნაწერის ნომერი, ავტორი, თხზულების სათური და გადაწერის თარიღი.

ტებას კრებულს წარმოადგენს. მასში არის შესული ნაწყვეტები იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდანაც“³⁰⁷.

ჩამოთვლილი ნუსხებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა და-
შიანის კატალოგში 152-ე ნომრით დაცული XVIII საუკუნის ხელ-
ნაწერი. როგორც ამ ნუსხის ბოლოში დართული ანდერძ-მოსახსე-
ნებლიდან ირკვევა, იგი მიმდინარეობს ეპისკოპოს ვარდან პოლო-
ნელის ნუსხიდან, რომელიც გადაწერილია სომხეთის ქალაქ ბაღეშ-
ში, 1680 წლის 5 ივლისს³⁰⁸.

ამრიგად, № 152 ხელნაწერი წარმოადგენს პირს 1680 წელს
გადაწერილი ნუსხისას, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ (ე. ი. „მა-
ტენადარანის“) და აღწერილობების მეშვეობით გაცნობილ ხელნა-
წერებს შორის ყველაზე უძველესია. აქვე უნდა დავასახელოთ პა-
რაზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში შემონახული ოთხი ნუსხა, რო-
მელთაგან ერთი XVIII საუკუნისაა, დანარჩენი სამი კი XIX საუკუ-
ნეშია გადაწერილი³⁰⁹. ამ ოთხ ხელნაწერთაგან ერთ-ერთი, კერძოდ
XVIII საუკუნისა, მისი აღმწერლის ფრედერიკ მაკლერის ცნობით,
მომდინარეობს ბითლისში (ანუ ბაღეშში) 1680 წელს გადაწერილი
ნუსხიდან, რომელიც ვენის მხითარაანთ სიძველეთსაცავშია დაცუ-
ლი³¹⁰. მოტანილი ცნობა შემდეგი ფაქტის დაზუსტების შესაძლებ-
ლობას იძლევა: 1680 წლის ხელნაწერი, რომელიც, მაკლერის მითი-
თებით, ბითლისშია გადაწერილი და ეპისკოპოს ვარდან პოლონელის
კუთვნილი და იმავე 1680 წელს ბაღეშში გადაწერილი ხელნაწერი
ერთი და იგივე ნუსხაა. ამ ნუსხის შესახებ არაფერია თქმული და-
შიანის ვენის მხითარაანთ სიძველეთსაცავის ხელნაწერების კატა-
ლოგში, რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სომხეთის ისტო-
რიის“ სხვა 8 ხელნაწერია აღწერილი. მაკლერის მიერ 1680 წლის
ხელნაწერის ვენის მხითარაანთ სიძველეთსაცავის კუთვნილებად
გამოცხადება შემდეგნაირად უნდა აიხსნას: როგორც ჩანს. 1680
წლის ნუსხამ ბაღეშიდან (ბითლისიდან) ვენის მხითარაანთ სიძვე-
ლეთსაცავში 1895 წლის შემდეგ მოაღწია (1895 წელსაა გამოცემუ-
ლი დაშიანის კატალოგი), წინააღმდეგ შემთხვევაში მის შესახებ სა-

³⁰⁷ *Յուզյակ հայերէն ձեռագրաց Մատենադարանին Մխիթարեանց ի Վի-
եննա, կազմեց Հ. Յակովբոս Վ. Տաշեան, Վիեննա, 1895, გვ. 197, 337,
455, 622, 637, 642, 726, 727, 729, 772.*

³⁰⁸ იქვე, გვ. 455.

³⁰⁹ *Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de la bibli-
othèque nationale par Frédéric Macler, Paris, 1908, გვ. 116—117.*

³¹⁰ იქვე, გვ. 116.

თანადოდ იქნებოდა მითითებული დაშინის მიერ „სომხეთის ისტორიის“ იმ რვა ხელნაწერთან ერთად.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ვენის მხითარაანთ სიძველეთსაცავის XVIII საუკუნის ხელნაწერსა (დაშინის კატალოგში 152-ე ნომრით აღნიშნული) და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის XVIII საუკუნის ხელნაწერს (მაკლერის აღწერილობაში 211-ე ნომრით მითითებული) შორის გარკვეული დამოკიდებულება მყარდება: ორივე ნუსხა ერთი და იმავე 1680 წლის ბაღეშური ხელნაწერიდან მომდინარეობს.

თავრიზის ხელნაწერების ფონდში დაცულია იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ერთი მე-19 საუკუნის ნუსხა³¹¹, რომელიც ახლო დამოკიდებულებაშია „მატენადარანის“ № 3729, 3042 და 6467 ხელნაწერებთან. როგორც თავრიზული ნუსხის აღწერილობისა და № 3729, 3042, 6467 ხელნაწერების ანდერძ-მოსახსენებლებისა, და ბოლოში დართული ცნობების ურთიერთშეჯერებიდან ირკვევა, ეს ოთხივე ხელნაწერი ერთი საერთო დედნიდან მომდინარე ნუსხებს უნდა წარმოადგენდნენ³¹².

ეპისკოპოს პოლარიანის მიერ შედგენილ ხელნაწერთა ერთ-ერთ აღწერილობაში, რომელიც იერუსალიმშია გამოქვეყნებული, 375-ე ნომრით ვხვდებით „სომხეთის ისტორიის“ 1685 წლის ხელნაწერს³¹³. იგი ყურადღებას იპყრობს თავისი თარიღით, როგორც ერთ-ერთი აღრინდელი ნუსხა ამ თხზულების შემცველ ხელნაწერებს შორის. სამწუხაროდ, აღნიშნული ხელნაწერის შესახებ ჩვენ არა გვაქვს სრული წარმოდგენა მისი ჩვენთვის ხელმეორედომლობისა და თან ამ ნუსხის შესახებ არსებული ზერელე აღწერილობის გამო.

რომში ლევონიანის სომხურა სასწავლებლის ხელნაწერთა ფონდში დაცულია „სომხეთის ისტორიის“ ორი მე-19 საუკუნის ნუსხა³¹⁴, რომელთა აღწერილობებიდან ჩანს, რომ ისინი შედგენილობის (წინასიტყვაობა, დასაწყისი, დასასრული) მიხედვით ერთ-

³¹¹ *მოცგაკ ჩაქერენ მხიადრავ ზადრეღქ, ჯაღმხე ჯ. Աճ ա ռ ի ս ա ն, Վ. Ի խ ն ն ա*, 1910, გვ. 126 ა — 126 ბ.

³¹² მათი ურთიერთთან მიმართების საკითხს უფრო დაწვრილებით „მატენადარანის“ № 3729, 3042, 6467 ხელნაწერების განხილვისას შევეხებით.

³¹³ *Մայր ցուցակ մեռագրաց Սրբոց Յակոբեանց, Զորրորդ հատուր, Կաղմից Նորայր Կպս. Պողոսեան, Նրուսաղէմ, 1956, გვ. 37.*

³¹⁴ *Հ. Ն. Ակիխեան, Մուցակ հաქերեն մեռագրաց ճահանայապետական Լեռնեան հայ վարժարանի ի Հոյմ, „Հանդես Ամսօրեայ“, 1958. Մունուսր-սպրէլ, 83. 64.*

ნაირია. სხვა რაიმე ცნობა, ამ ნუსხების რომელიმე ხელნაწერიდან მომდინარეობაზე მანიშნებელი, არ მოგვეპოვება.

ერთი მე-18 საუკუნის ნუსხა ბრიტანეთის მუზეუმის სომხურ ხელნაწერთა ფონდშიც გვხვდება³¹⁵. როგორც ხელნაწერის აღწერილობიდან ირკვევა, იგი ისააკ არქიეპისკოპოსის მზრუნველობითაა გადაწერალი ეკმიწინში და გადატანილია კონსტანტინეპოლში 1790 წელს. ამ ცნობის საშუალებით აღნიშნულ ნუსხასა და „მატენადარანის“ რიგ ხელნაწერებს შორის გარკვეული დამოკიდებულება მყარდება, რის შესახებაც დაწვრილებათ უფრო ქვევით გვექნება საუბარი.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტი ბუქარესტის „Հայ մշակույթի տան“-ის ერთმა XVIII საუკუნის ხელნაწერმაც შემოგვინახა³¹⁶.

ასეთია მოკლედ საზღვარგარეთულ საცაგებსა და ბიბლიოთეკებში იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერების გავრცელების სურათი.

ეხლა კი გადავიდეთ „მატენადარანში“ დაცული იმ 17 ხელნაწერის შედარებით შესწავლასა და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევაზე, რომელთა გაცნობის საშუალება ერევანში მივლანების დროს მოგვეცა. „მატენადარანის“ 17 ხელნაწერთაგან „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე ტექსტის გამართვისათვის 5 ხელნაწერი გამოვიყენეთ. იმის ნათელსაყოფად, თუ რა პრინციპით ვხელმძღვანელობდით ამ 17 ხელნაწერიდან მხოლოდ 5 ნუსხის (და არა მეტის ან ნაკლების) შერჩევისას, აუცილებლად მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა ხელნაწერი და გავარკვიოთ მათი ერთმანეთთან მიმართების საკითხი.

ქრონოლოგიური რიგის მიხედვით განსახილველი ნუსხები ასე ნაწილდებიან: მათგან მხოლოდ ერთი ნუსხაა მე-17 საუკუნისა, ორი მე-18 საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო დანარჩენი 14 ნუსხა მე-19 საუკუნეშია გადაწერილი.

³¹⁵ A Catalogue of the armenian manuscripts in the British Museum by Frederick Cornwallis Conybear, London, 1913, გვ. 304 b, 305 a, 305 b.

³¹⁶ ბუქარესტში დაცული სომხური ხელნაწერების აღწერილობა შეადგინა „მატენადარანის“ თანამშრომელმა ს. ქოლანჯიანმა „Մուսակ հայերէն ձեռագրաց Բուխարեստի Հայ մշակույթի տան“. აღნიშნული კატალოგი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ მისმა შემდგენელმა მოგვცა შესაძლებლობა გავცნობოდით მას ხელნაწერის სახით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ყველაზე უძველესია ხელნაწერი № 1896, რომელიც 1689 წელსაა გადაწერილი ორ სვეტად და ტყავის ყდაშია ჩასმული. შეიცავს 276 ფურცელს. ხელნაწერი რამდენიმე ისტორიული შრომის კრებულს წარმოადგენს. მასში თხზულებების თანმიმდევრობა ასეთია: 1—139 ფურცელს მოიცავს მათე ურპაელის³¹⁷ „ყამთალმწერლობა“. შემდეგ მას მოსდევს იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“, რომელსაც დასაწყისიდან 1 ფურცელი აკლია, ასე რომ მისი სათაური ამ ნუსხიდან არ ჩანს. იოანე დრასხანაკერტელის თხზულებას 140—251 ფურცელი უჭირავს. კრებულის ბოლოს (251—276) მოთავსებულია თხზულება პაპლაეუნებისა და მამიკონაანების შესახებ (*Շորադրութի հոմերական վիպասանութն Սակս Պարլամենտացն զարմի և Մամիկոնիանցն սնի ի սկզբանէ մինչև վախճան ուրդի զհարան զիսանասկեյով*).

მათე ურპაელის თხზულების დასასრულს მოთავსებულია გადამწერის შემდეგი ანდერძი: „დაიწერა ეს ისტორია ქალაქ ბალეშში. ამრტოლის მონასტერში, რომელიც არის წმინდა იოანე ნათლამცემლისა, წმინდა ღვთისმშობლის, წმინდა სტეფანე პირველმოწამისა და ყველა იმ წმინდანის საფარველ ქვეშ, რომლებიც კი აქ არიან თავმოყრილნი, რათა თქვენთვის და ჩვენთვის იყვნენ მეოხნი ღვთის წინაშე. სომეხთა წელთაღრიცხვის *მ-ձ.Ը* (1138 + 551 = 1689) წელს 24 აგვისტოს, შაბათს დასრულდა იგი. ქრისტეს დიდება უკუნისამდე, ამინ“³¹⁸. № 1896 ხელნაწერს ზემოთ აღნიშნული ანდერძის გარდა არ აბადია სხვა რაიმე ყურადსაღები მინაწერი. მხოლოდ რამდენიმე ფურცლას ქვედა კიდეზე (იშვიათად გვერდით კიდეებზეც) ვხვდებით ცალკეულ ფრაზებს, ან სიტყვებს, რომლებიც გადამწერს სათანადო ადგილას გამორჩენია.

ქრონოლოგიური რიგით 1689 წლის ნუსხას მოსდევს „მატენადარანის“ № 3537 ხელნაწერი, რომელიც 1771 წელსაა გადაწერილი. იგი 230 ფურცელს შეიცავს, სრულაა და ჩასმულია ყდაში. ხელნაწერის პირველ გვერდზე მითითებულია გადამწერის ვინაობა და თარიღი: „გადამწერილია წმინდა ეჟმიაწინის ძმობის წევრას ვარდაპეტ პეტრე ალამალეანცი ნახიჭევანელის³¹⁹ მიერ 1771 წელს“³²⁰.

³¹⁷ მათე ურპაელი-ედესელი, მე-12 საუკუნის ისტორიკოსი, გ. წ. ანგლთათობის (გრიგოლ ხუცესი, სამუელ ანელი; მხითარ ანელი) ერთ-ერთი წარმომადგენელი, ავტორი „ყამთალმწერლობისა“ (*ժամանակագրութիւն*).

³¹⁸ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 1896, გვ. 139 v.

³¹⁹ პეტრე ალამალეანცი ბერთუმინცი ნახიჭევანელი სომეხთა კათალიკოსის სიმონ გრევენელის (1763—1780 წწ.) თანამედროვე იყო.

³²⁰ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 3537, გვ. 1 r.

ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის პატრონის ნახიკვევანელი არქიეპისკოპოსის მესრობ სმბატიანცის ცნობა აღნიშნული ნუსხის რაობისა და მისი ისტორიის შესახებ. ეს ცნობა, რომელიც დაახლოებით 5 გვერდს მოიცავს, „სომხეთის ისტორიის“ ძირითადი ტექსტისაგან ხელითავე განსხვავდება და საწერი ქალღმერთაა. ეტყობა, მესრობ სმბატიანცს საჭიროდ მიუჩნევია 1771 წლის ხელნაწერის შესახებ ყველა გაგონილი ცნობის აღნუსხვა და მისი მიწოდება მკითხველისათვის. ამისათვის კი მას „სომხეთის ისტორიის“ ძირითადი ტექსტის წინ დაუმატებია ფურცლები. ხელნაწერის გადამწერად მესრობ სმბატიანციც ვარდაპეტ პეტრე აღამალეანც ბერთუმიანც ნახიკვევანელს მიიჩნევს და იქვე დასძენს, რომ 1771 წლის ნუსხა კათალიკოსის სიმონ ერევნელის რჩეული ნუსხიდან არის გადაწერილი²¹.

როგორც ირკვევა, 1771 წლის № 3537 ხელნაწერი მესრობ სმბატიანცს მოუპოვებია ერთი თავისი მეგობრის არმავირელი მღვდლისაგან და შეუწირავს წმინდა ეკიმიაწინის ბიბლიოთეკისათვის.

1771 წლის ხელნაწერის ტექსტის სათაური, აბზაცების დასაწყისი და ბოლოსატყვაობის სათაური სინგურიტაა ნაწერი. გადამწერს ყურადღების გასამახვილებლად ხელნაწერის გვერდით კიდებზე სინგურით გაუტანია საკუთარი სახელები, მაგალითად: მარაბას კატინა, გელამი, ვალარშაკი; სმბატი და სხვ. იქვე კიდებზე მოცემულა აგრეთვე რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნა. ტექსტს ბოლოში ერთვის საკუთარ-სახელთა და ფაქტების აღმნუსხველი სია. ანბანური რიგით მითითებულია ამა თუ იმ მეფის გამეფებისა, თუ გარდაცვალების, ან რომელიმე მამამთავრის საკათალიკოსო ტახტზე ასვლის ფაქტი და იქვე გვერდია აღნიშნული.

1771 წლის № 3537 ხელნაწერი საყურადღებო ნუსხაა, რადგანაც, როგორც ჭეშმით ვნახავთ, მასთან „სომხეთის ისტორიის“ რამდენიმე ნუსხას აქვს საერთო. აღნიშნული ხელნაწერი ჩვენს ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ იგი, როგორც ეს ამ ხელნაწერის პატრონის მესრობ სმბატიანცის ცნობიდან ირკვევა, კათალიკოსის სიმონ ერევნელის ერთ-ერთი რჩეული ნუსხიდანაა გადაწერილი. შესაძლებელია ამ რჩეულ ნუსხას სწორედ ჩვენთვის უკვე ცნობილი 1680 ან 1689 წლის რომელიმე ხელნაწერი წარმოადგენს.

²¹ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 3537, გვ. 2 v — 3 r.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ მატენადარა-
ნისეული ხელნაწერების შესწავლისა და მათი ანდერძ-მოსახსენებ-
ლების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად შესაძლებელია რიგი
ნუსხების დაჯგუფება 1771 წლის № 3537 ნუსხის ირგვლივ. ასეთ-
თა რაცხვს განეკუთვნებიან „მატენადარანის“ შემდეგი ხელნაწე-
რები: №№ 6908, 4111, 3073, 5590, 6455, 2721, 6296³²². განვი-
ხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ხელნაწერი № 6908 მე-19 საუკუნისაა. შეიცავს 120 ფურცელს
და ჩასმულია ტყავის ყდაში. „სომხეთის ისტორიის“ ძირითად
ტექსტს წინ უძღვის გადაწერის ხელით ნაწერა წინასიტყვაობა, რო-
მელშიც მოცემულია მოკლე ცნობები იოანე დრასხანაკერტელისა
და მისი თხზულების რაობის შესახებ. აღნიშნული წინასიტყვაობი-
დანვე ირკვევა, რომ № 6908 ხელნაწერი გადაწერილია კარინელის
გრიგორ შაქარციანის მიერ ქალაქ კარინს (არზრუმს) 1817 წლის
5 აგვისტოს. აქვე მითითებულია, რომ ეს ნუსხა ეკმიაწინის იმ
გამართულ-გასწორებული ნუსხიდან (*սրբագիր օրինակ*) მომდინა-
რეობს, რომელიც 1790 წელს ეპისკოპოს ისააკ გელამელის
შზრუნველობით გადაიწერა³²³. ეს უკანასკნელი ნუსხა კი სწო-
რედ ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებული ბრიტანეთის მუზეუმ-
ში დატული 1790 წლის ხელნაწერია³²⁴. სავარაუდებელია, რომ
1790 წლის ეკმიაწინის ნუსხა სწორედ 1771 წლის № 3537
ეკმიაწინისეული ნუსხიდან იყოს გადაწერილი, აღნიშნული ვა-
რაუდის დაშვების შესაძლებლობას შემდეგი გარემოება უწყობს
ხელს. ჩვენს ხელთ არსებული და აღწერილობების მეშვეობით
გაცნობილი „სომხეთის ისტორიის“ ნუსხებს შორის, გარდა 1771
წლის ნუსხისა, 1790 წლამდე არც ერთი ნუსხა არ ჩანს ეკმიაწინში
გადაწერილი. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ 1790
წლის ეკმიაწინისეული ხელნაწერის გადაწერა, უფრო ბუნებრი-
ვია, ისარგებლებდა იმავე ეკმიაწინში 1771 წელს გადაწერილი ნუს-
ხით, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას შემონახულით. ამდენად, შე-
საძლებელია აგრეთვე 1790 წლის ნუსხიდან გადაწერილ № 6908
ხელნაწერის 1771 წლის № 3537 ნუსხიდან მომდინარეობაც ვივა-
რაუდლოთ.

³²² 1771 წლის № 3537 ხელნაწერთან „მატენადარანის“ სხვა ხელნაწერე-
ბიც იჩენენ აზღო დამოკიდებულებას, რის შესახებაც ქვევით მივუთითებთ.

³²³ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6908, გვ. 1 r — 1 v.

³²⁴ იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 0150.

ხელნაწერი № 4111 მე-19 საუკუნეშია გადაწერილი³²⁵. იგი სრულია, შეიცავს 241 გვერდს და ჩასმულია ტყავის ყდაში. ძირითადი ტექსტის წინ მოთავსებული წინასიტყვაობიდან, რომელიც თითქმის ისეთივე შინაარსისაა, როგორც № 6908 ხელნაწერი, ირკვევა, რომ ეს ნუსხა გადაწერილია ეკმიაწინში ე. წ. ეკმიაწინისეულ გამართულ-გასწორებული ნუსხიდან (*აჲრჲაჲჲრ ოჲჩნასჲ*) სომეხთა კათალიკოსის დანიელის დროს³²⁶. მართალია, წინასიტყვაობაში გამართულ-გასწორებული ნუსხის (*აჲრჲაჲჲრ ოჲჩნასჲ*) თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, სწორედ 1790 წლის გასწორებული ნუსხაა, რომლიდანაც გადაწერილია ზემოთ განხილული № 6908 ხელნაწერი. ამრიგად, როგორც ვხედავთ № 6908 და № 4111 ნუსხები 1790 წლის ეკმიაწინის ე. წ. გამართულ-გასწორებულ ნუსხიდან მომდინარეობენ. აღნიშნული ხელნაწერების ერთი საერთო დედნიდან მომდინარეობის სასარგებლოდ მათი წინასიტყვაობების სიტყვასიტყვითი დამთხვევის ფაქტაც მეთყვევლებს. მართალია, № 4111 ნუსხის გადაწერის ზუსტი თარიღი არ მოიპოვება, მაგრამ დაახლოებით შესაძლებელია მისი ქრონოლოგიურ საზღვრებში მოქცევა: 1806—1809 წწ. (მხედველობაში გვაქვს დანიელ კათალიკოსის მამამთავრობის ხანა).

ხელნაწერი № 3073-იც მე-19 საუკუნით თარიღდება; სრულია, შეიცავს 198 ფურცელს და ყდაშია ჩასმული. ამ ხელნაწერშიც ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ იგი გადაწერილია ქალაქ კარინს 1825 წლის 24 თებერვალს, მიჯაგიულში 1822 წლის 8 იანვარს გადაწერილი ნუსხიდან, რომელიც თავის მხრავ ისააკ არქიეპისკოპოსის მზრუნველობით 1790 წელს ეკმიაწინში გადაწერილი ხელნაწერიდან მომდინარეობს.³²⁷ № 3073 ხელნაწერს ბოლოში ცოტა აკლდა და, ეტყობა, სხვა ნუსხასთან შედარებისას ვიდაცას შეუვსია. წინასიტყვაობის სათაური და აბზაცების დასაწყისი ასოები სინგურიითაა შესრულებული. ხელნაწერს ბოლოში ერთვას პირთა საძიებელი, უფრო ვრცლად და დაწვრილებით იქვე მითითებულია ამა თუ იმ მეფის გამეფების, კათალიკოსის სა-

³²⁵ № 4111 ხელნაწერი ადრე სევანის მონასტრის ხელნაწერთა ფონდში იყო. იხ. *ს. შაი, მიუცაქ ჯამაოთი ბხრაღრავ ქანოსე მსახრაჲ... შიი-ლისა, იმხს.*

³²⁶ „მატენდარანის“ ხელნაწერი № 4111 გვ. 1 — 2.

³²⁷ „მატენდარანის“ ხელნაწერი № 3073, გვ. 1 რ — 1 ვ.

კათალიკოსო ტახტზე ასვლისა, ან რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ. ასეთი მითითებებით № 3073 ხელნაწერი 1771 წლის № 3537 ნუსხასთან ახლოს დგას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ № 3073 ხელნაწერისათვისაც. ისევე როგორც № 6908 და № 4111 ნუსხებისათვის პირველწყაროს 1790 წლის ეკმიაწინური ხელნაწერი წარმოადგენს.

ხელნაწერი № 5590 თავისი აღნაგობითა და წარმომავლობით № 6908, № 4111 და № 3073 ნუსხებთან ახლო დამოკიდებულებაშია, იგი სრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შეიცავს 136 ფურცელს და ჩასმულია ტყავის ყდაში. ტექსტის ნაწილი თავებადაა დაყოფილი, მხოლოდ მე-14 თავამდე, შემდეგ კი ტექსტი გაბმულ სახეს ატარებს. აბზაცების დასაწყისი ასოები სინგურითაა ნაწერი. პირველ თავს თავსამკაულად აქვს საკმაოდ დაბალი გემოვნებით შესრულებული მინიატურა. როგორც ხელნაწერის წინასიტყვაობიდან ირკვევა, იგი გადაწერილია კონსტანტინეპოლში 1824 წლის 20 ოქტომბერს ვარდაპეტ ავეტიქ ბეშტიმალჭიანის მოწაფის იაკობ ვანელის მიერ ეკმიაწინის რჩეული ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერიდან, რომელიც 1790 წელს ვილაცას თავებადაც კი დაუყვია.³²⁸ № 5590, ხელნაწერის წინასიტყვაობა უფრო მეტად № 3073 ნუსხის წინასიტყვაობის მსგავსია, ვიდრე № 4111 და № 6908 ხელნაწერებისა. № 5590 ხელნაწერის კადემბზე ვხვდებით საკუთარი სახელებისა და მნიშვნელოვანი ფაქტების აღნიშვნას, რაც № 5590 ნუსხის 1771 წლის № 3537 ნუსხასთან სიახლოვეს მოწმობს.

№ 6455 ხელნაწერიც მე-19 საუკუნის ნუსხაა. თავისი შედგენილობით სრულია. შეიცავს 140 ფურცელს და ყდაშია ჩასმული. ხელნაწერი გადაწერილია ეკმიაწინში ვარდაპეტ გრიგორ ჰოვბეანც, ვალარშაპატელის მიერ 1854 წელს, სომეხთა კათალიკოსის ნერსეს მე-5 აშტარაკელის³²⁹ მამამთავრობის ჟამს.³³⁰ ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა, რომელიც ზემოთ განხილულ ხელნაწერთა წინასიტყვაობების მსგავსია. ეს უკანასკნელი გარემოება გვაძლევს უფლებას № 6455 ხელნაწერიც 1771 წლის № 3537 ნუსხის ირგვლივ თავმოყრილ ხელნაწერთა რიცხვს მივაკუთვნოთ.

ხელნაწერი №2721 მე-19 საუკუნისაა, სრული სახითაა მოღწეული. შეიცავს 96 ფურცელს და ჩასმულია ტყავის ყდაში. მისი

³²⁸ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 5590, გვ. 1 რ.

³²⁹ ნერსეს მე-5 აშტარაკელი სომხეთის კათალიკოსად იყო 1843—1857 წწ.

³³⁰ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6455, გვ. 1 რ.

წინასიტყვაობაც თითქმის სიტყვა-სიტყვით მსგავსია № 4111 და № 6908 ხელნაწერების წინასიტყვაობებისა, რაც № 2721 ნუსხის 1771 წლის № 3537 ხელნაწერთანაც ახლო დამოკიდებულებაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, იგი გადაწერილია ქ. სამარაში და შემდეგ კი შედარებულა „ჩრეულ ნუსხასთან“ ვინმე გრიგორ კონსტანტინეპოლელის მიერ 1829 წლის 25 აგვისტოს³²¹.

ზემოთ განხილულ ხელნაწერთა რაგს შეეკუთვნება აგრეთვე „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6296. იგი სრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შეიცავს 118 გვერდს და ჩასმულია ყდაში. როგორც ირკვევა, № 6296 ხელნაწერის გადამწერსაც 1771 წლის № 3537 ხელნაწერიდან მომდინარე რომელიღაც ნუსხით უსარგებლია, რადგანაც მისი წინასიტყვაობაც № 3537 ხელნაწერიდან მომდინარე ნუსხების წინასიტყვაობების განმეორებას წარმოადგენს. № 6296 ნუსხა, მისივე წინასიტყვაობის თანახმად, გადაწერილია ნორ ჯულაში, 1849 წლის თებერვალს, იოანე კარაპეტთან დაეთიანტის მიერ.³²²

1771 წლის № 3537 ხელნაწერის ირგვლივ თავმოყრილი ნუსხებიდან ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ „მატენადარანის“ შემდეგი ხელნაწერები: №№ 3729, 3042, 6467. ვინაიდან ეს ნუსხები ახლო დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან როგორც წარმომავლობით, ასევე შედგენილობითაც, ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ.

სამივე ნუსხა სრულია და ყდაშია ჩასმული. № 3729 ხელნაწერი 204 გვერდს შეიცავს, № 3042 — 292 გვერდს, ხოლო № 6467 — 286 გვერდს. ჩამოთვლილი ხელნაწერების ძირითად ტექსტებს წინ ერთვის წინასიტყვაობები, რომლებიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გადამწერთაგან ზოგიერთი სიტყვის სხვა სინონიმური სიტყვით შეცვლას, ზემოთ განხილულ ხელნაწერების წინასიტყვაობებს ემსგავსებიან. ასე რომ ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს სამივე ნუსხისათვის ამოსავლად ერთი საერთო დედანი ვივარაუდოთ. მაგრამ ჩვენ წინაშე ისმის კითხვა: ხელნაწერები №№ 3729, 3042, 6467 უშუალოდ ამ საერთო დედნიდან მომდინარეობენ. თუ ერთი ერთმანეთის გადანაწერს წარმოადგენენ? წამოჭრილი საკითხის გასარკვევად საჭიროდ ვთვლით თვით ამ ნუსხების შედარებით განხილვასა და მათი ერთმანეთთან მიმართების დადგენას. მსგავსი წინასიტყვაობების გარდა, აღნიშნულ ნუსხებს ერთნაირი ანდერძ-მოსახსენებლებიც მოეპოვებათ. მათი ურთიერთ

³²¹ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 2721, გვ. 1 რ — 1 ო.

³²² „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6296, გვ. 1 — 2.

შეჯერებიდან შემდეგი ირკვევა: სამივე გადამწერი თავის მოძღვრად და მასწავლებლად ლაზარე მარტიროსიანს ასახელებს, რომელსაც ვინმე ფრანგ ბორისაგან შეუძენია იოანე დრასხანაყერტელის „სომხეთის ისტორიის“ შემცველი ერთი ხელნაწერი და გადაუცია იგი თავისი აღზრდილებისათვის — №№ 3729, 3042 და 6467 ნუსხების გადამწერთათვის. საილუსტრაციოდ საკმარისად მიკვანია მხოლოდ ერთ-ერთი, ვთქვათ № 3042 ხელნაწერის ანდერძ-მოსახსენებლის შემდეგი ნაწყვეტის მოტანა: „ჩემმა მოძღვართ-მოძღვარმა, ბრძენმა... ლაზარემ მიიღო სომეხთა კათალიკოსის, უფლის, ბრძენი იოანეს თხზულება ვინმე ფრანგ ბორისაგან და მომცა მე, მის აღზრდილ მოწაჟეს — წმინდა ეჰმაწინის ძმობის წევრს, უფროს დიაკონს, ერევენელ მკრტიჩ ანდრეასიანს, რათა გადამეწერა იგი.. ამრიგად დავიწყე [გადაწერა] 1839 წლის 3 მაისს... და დავამთავრე იმავე წლის 26 აგვისტოს... გადაიწერა [ეს ნუსხა] ქალაქ თავრიზში სომეხთა სასწავლებელში... ბრძენი უფლის ლაზარე მარტიროსიანის ხელმძღვანელობით³³³.

№ 3729 ხელნაწერის ანდერძ-მოსახსენებელიც შინაარსით № 3042-ისას ემსგავსება, მხოლოდ განსხვავება გადამწერლის ვინაობასა და გადაწერის თარიღშია. როგორც ირკვევა, აღნიშნული ნუსხის გადამწერი იმავე ლაზარე მარტიროსიანის მოწაჟეა; მისთვის ლაზარეს დაუვალებია ფრანგ ბორისაგან შეძენილი ხელნაწერი გადაწერა. გადამწერია ვინმე იოსებ იოვანესიანი, რომელსაც დავალების შესრულება დაუწყია 1839 წლის 9 მაისს და 29 ივნისისათვის დაუმთავრებია. № 3729 ხელნაწერიც ქალაქ თავრიზშია გადაწერილი. მესამე — № 6467 ხელნაწერის ანდერძ-მოსახსენებელიც, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა № 3042-ისას, გადამწერად იმავე იოსებ იოვანესიანს ასახელებს, მხოლოდ გადაწერის თარიღად 1839 წლის 3 მაისი — 13 ივლისია მითითებული, გადაწერის ადგილად კი კვლავ თავრიზია აღნიშნული.

განხილული ხელნაწერების ანდერძ-მოსახსენებლების ერთმანეთთან შეჯერება შემდეგი ვარაუდის დაშვების შენაძლებლობას იძლევა: სამივე ნუსხა — №№ 3729, 3042, 6467 ერთი საერთო დედნიდან მომდინარეობს (იქნება ეს №4111, № 6908, თუ სხვა რომელიმე ხელნაწერი), ყოველ შემთხვევაში ისეთი ნუსხიდან, რომელიც ახლო დამოკიდებულებაშია 1771 წლის № 3537 ხელნაწერთან. ხოლო ამ სამი ნუსხის ერთი ხელნაწერიდან გადაწერის ტექნიკური

³³³ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 3012, გვ. 292.

მხარე³³⁴, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად უნდა აიხსნას: გადამწერლები, უფრო ზუსტად 2 გადამწერი (№ 6467 და № 3729-ს ერთი გადამწერი ყავს) ერთმანეთთან შეთანხმებით, რიგ-რიგობით იწერდნენ თავთავიანთ ნუსხებს ლაზარე მარტიროსიანის მიერ ფრანგ ბორისაგან შეძენილი ხელნაწერიდან.

№№ 3042, 3729, 6467 ხელნაწერებთან ახლოს მდგომად უნდა ჩაითვალოს ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებული თავრიზის ხელნაწერების ფონდში დაცული ერთი ნუსხა³³⁵, რომელიც მისი აღმწერლის კ. აქარიანის აღწერილობის მიხედვით მე-19 საუკუნეშია გადაწერილი. „მატენადარანის“ №№ 3042, 3729, 6467 ხელნაწერების ანდერძ-მოსახსენებლებისა და ზემოთ მითითებული თავრიზული ნუსხის აღწერილობის შედარებიდან ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი თავისი წინასიტყვაობითა და ანდერძ-მოსახსენებლის შინაარსით „მატენადარანის“ ხელნაწერების მსგავსია. მის გადამწერად დასახელებულია ვინმე დანიელ მელქონიანი, იმავე ლაზარე მარტიროსიანის მოწაფე, რომელიც ნუსხის გადაწერას შესდგომია 1839 წლის 29 ივნისს და დაუმთავრებია 1840 წლის 20 მაისს. გადაწერის ადგილად აქაც თავრიზია მითითებული.

დარჩენილი განსახილველი ნუსხებიდან განცალკევებით დგას ხელნაწერი № 1892. იგი სრულია. გადაწერილია ორ სვეტად და ჩასპულია ყდაში. შეიცავს 123 გვერდს. ხელის მიხედვით მას XVIII საუკუნის ნუსხად მიიჩნევენ. გადაწერის ადგილის, თარიღისა და გადამწერის ვინაობის მაუწყებელი რაიმე ცნობა მას არ მოეპოვება. აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს საშუალებას № 1892 ხელნაწერის რომელიმე ნუსხიდან მომდინარეობაზე ვიმსჯელოთ.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე „მატენადარანის“ № 6716 ხელნაწერთანაც. მართალია იგი სრულია, მაგრამ საკმაოდ გაუჩრკვეველი ხელითაა ნაწერი. ხელნაწერი 186 ფურცელს შეიცავს. გადამწერის ვინაობა, თარიღი და გადაწერის ადგილი უცნობია. ხელის მიხედვით იგი მე-19 საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი. ხელნაწერს ანდერძ-მოსახსენებელი არა აქვს. მხოლოდ ბოლოში სხვა ხელით მიწერილი მცირე ცნობიდან ირკვევა, რომ იგი ჩვენთვის უკვე ცნობილი, 1771 წლის № 3537 ხელნაწერის პატრონის ეპის-

³³⁴ განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სამივე ნუსხა თითქმის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთშია გადაწერილი: № 3042 — 1839 წლის 3 მაისი — 26 აგვისტო; № 3729 — 1839 წლის 9 მაისი — 29 ივნისი, № 6467 — 1839 წლის 3 მაისი — 13 ივლისი.

³³⁵ იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 0149.

კოპოს მესრობ სმბატიანც ნახიჭევანელის კუთვნილებას წარმოადგენდა.

№ 5692 ხელნაწერიც № 1892 და № 6716 ხელნაწერების მსგავსად „მატენადარანის“ სხვა ნუსხებთან ვერ პოულობს საერთოს. ხელნაწერი სრული სახითაა შემონახული. შეიცავს 247 გვერდს და ტყავის ყდაშია ჩასმული. ტექსტს ბოლოში ერთვის გადამწერის შემდეგი ანდერძი: „იოანე კათალიკოსის ისტორიული თხზულება გადაიწერა უფლას გრიგორ თადეოსიანის ხელით 1838 წლის ივნისში“³²⁶. № 5692 ხელნაწერი იმით არის საყურადღებო, რომ 67 თავადაა დაყოფილი. თავებს სათაური არა აქვს, მხოლოდ მითითებულია თავი 2 (*ყოცხ ს*) და ა. შ. ტექსტის თავებად დაყოფის შემთხვევას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ № 5590 ხელნაწერთანაც ვხვდებით³²⁷, იმ განსხვავებით, რომ იქ ტექსტი მხოლოდ მე-14 თავამდეა დაყოფილი. ასე რომ, ამ მხრივ, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ შემცველ ხელნაწერთა შორის ხელნაწერი № 5692 გამონაკლისს წარმოადგენს.

„მატენადარანში“ დაცულ „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერთაგან ცალკე გამოყავით ორი ნუსხა — № 6537 და 1893.

ხელნაწერი № 6537 სრული სახითაა მოღწეული. შეიცავს 290 გვერდს და ტყავის ყდაშია ჩასმული. „სომხეთის ისტორიის“ თავფურცელი (*ჟლსაქხრქ*) მინიატურითაა შემკული, რომელიც ვილაც ისააკ მხატვრის მიერ არის შესრულებული 1811 წელს. ორი მინიატურა ტექსტის ბოლოსიტყვაობის დასაწყისშიცაა მოთავსებული. № 6537 ხელნაწერს მე-18 საუკუნით ათარიღებენ, მინიატურები კი, როგორც ჩანს, უფრო გვიანაა შესრულებული. ხელნაწერის კიდებზე გატანილია რომელიღაც ხელნაწერთან შედარების შედეგად მიღებული ვარიანტები. ნუსხები ერთმანეთისათვის შეუჭვრებიან მსერ მსერიანცს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მკრტიჩ ემინისადმი თვით ამ მსერიანცის წერილი, რომელიც № 6537 ნუსხას ერთვის ბოლო 3 გვერდზე. წერილი დაწერილია მოსკოვში, 1853 წლის 10 თებერვალს.

№ 6537 ხელნაწერი განსაკუთრებით იმით არის ჩვენთვის საყურადღებო, რომ იგი საფუძვლად უდევს იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ 1853 წლის მოსკოვის ემინისეულ გამოცემას. ხოლო „სომხეთის ისტორიის“ 1912 წლის თბილისის გა-

³²⁶ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 5692, გვ. 247.

³²⁷ იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 0155.

მოცემა, რომელიც ჩვენი წინამდებარე გამოცემისათვის ძირითად ტექსტად გამოვიყენეთ, სწორედ 1853 წლის მოსკოვის გამოცემიდან არის გადმობეჭდილი.

როგორც მკრტიჩ ემინისადმი მსერიანცის ზემოთ მოხსენებული წერილიდან ირკვევა, № 6537 ნუსხის ირგვლივ ცნობების მოწოდება ემინს მსერ მსერიანცისათვის თვითონ დაუვალეზბია. აღნიშნული ხელნაწერი მსერიანცს მოუპოვეზბია ეჭმიაწინში 1828 წელს არქეპისკოპოს სტეფანოს ენოვექიანის წიგნსაცავიდან. მართალია, გადამწერის ვინაობა და თარიღი უცნობია, მაგრამ, მსერიანცის ვარაუდით, ხელნაწერის ხელის მიხედვით იგი გადაწერილი უნდა იყოს საპატრიარქო სახლის რომელიმე მარჯვე მწერლის მიერ სიმონ კათალიკოსის, ლუკას³³⁸, ან მისი მემკვიდრის დროს³³⁹. ისიც ირკვევა, რომ № 6537 ხელნაწერი მსერიანცს შეუღარეზბია ორ ნუსხასთან, რომელთაგან ერთი 1824 წელს სმირნაში იყო გადაწერილი, ხოლო მეორე იოანე შახათუნიანცის მიერ იყო ჩამოტანილი კონსტანტინეპოლიდან. ამ უკანასკნელს მსერიანცი რჩეულ ნუსხას უწოდებს, რადგანაც 15 სხვა ნუსხასთან შეჯერების შედეგად იგი გაცხრილული იყო ყოველგვარი შეცდომებისაგან. № 6537 ხელნაწერი, როგორც ჩანს, მსერიანცს გულდაგულ შეუღარეზბია შახათუნიანცის აღნიშნულ ნუსხასთან. აი რას წერს იგი: „...ამრიგად, ფრთხილად შევამოწმეთ და გავწმინდეთ წიგნი გადამწერთა შეცდომებისაგან, ბუნდოვანებისაგან ნათელი გავხადეთ, დანაკლისი შევავსეთ, ზედმეტი მოვაშორეთ და განსხვავებული და საექვო წაკითხვებიდან უმთავრესი მათგანი შერჩევით ქვევით დავურთეთ“³⁴⁰.

„სომხეთის ისტორიის“ ე. წ. შახათუნიანცისეული ნუსხა ამჟამად „მატენადარანის“ ხელნაწერთა ფონდშია დაცული 1893-ე ნომრით. ხელნაწერი სრულია. შეიცავს 127 ფურცელს და ტყავის ყდაშია ჩასმული. ძირითად ტექსტს წინ ერთვის წინასიტყვაობა, რომელიც 1771 წლის № 3537 ხელნაწერიდან მომდინარე ნუსხების წინასიტყვაობების მსგავსია. მე-2—4 ფურცლებზე მოთავსებულია შახათუნიანცის შენიშვნები ნუსხის ირგვლივ. თვით ტექსტი კი მე-10 ფურცლიდან იწყება. № 1893 ხელნაწერი გადაწერილია 1821 წლის 12 თებერვალს კონსტანტინეპოლში ვანმე იოანე სარკავავის (დიაკ-

³³⁸ ლუკა კარინელი — სომეხთა კათალიკოსი 1780 — 1799 წლებში, სიმონ კათალიკოსის საყვარელი მოწაფე, დამხმარე და მისი საქმიანობის თანამონაწილე.

³³⁹ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6537, გვ. 278 — 279.

³⁴⁰ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 6537, გვ. 280.

ვნის) მიერ³¹¹. შახათუნიანცის წერილში (გვ. 2—4) აჟუბარია იოანე დრასხანაქერტელის მოღვაწეობისა და მისი თხზულების შესახებ. როგორც ირკვევა, № 1893 ხელნაწერი იოანე შახათუნიანცს შეუძენია კონსტანტინეპოლში და შეუდარებია იგი 15-მდე ნუსხისათვის, რის საფუძველზეც შესაძლებელი გამხდარა ხელნაწერის გაცხრილვა შეცდომებისაგან. იქვე მოცემულია სხვა ნუსხებთან შედარების შედეგებიც. შახათუნიანცს საჭიროდ მიუჩნევია აგრეთვე ხელნაწერის კიდევებზე საკუთარი სახელების გატანა და მნიშვნელოვანი ფაქტების აღნიშვნა. როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, № 1893 ხელნაწერს სხვა ნუსხებთან შედარების შედეგები იოანე შახათუნიანცმა აცნობა მსერიანცს. რომელმაც თავის მხრივ ყოველივე ემინს მიაწოდა. № 1893 ხელნაწერის ბოლო გვერდზე ერთი საყურადღებო ცნობაა მოთავსებული, რომლის წყალობითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელი გახდა 1689 წლის № 1896 ხელნაწერის გადაშწერისა და პატრონის ვინაობის დადგენა. ამჭერად, № 1893 ხელნაწერთან დაკავშირებით, ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებს ცნობის მე-2 ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ 1689 წელს ნუსხიდან შემდეგ გადაიწერა ახალი ნუსხა სომხეთში მწერლის გეორგ კონსტანტინეპოლელის მიერ სომეხთა წელთაღრიცხვის *ՌՄԼ* (1781) წელს. იოანე შახათუნიანცს თავისი ნუსხა სწორედ: ამ 1781 წლის კონსტანტინეპოლის ნუსხისათვისაც შეუდარებია.

ამრიგად, „მატენადარანში“ დაცული „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერების შესწავლისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის შედეგად შემდეგ დასკვნამდე მივიღივართ:

1. აღნიშნული ნუსხები რედაქციულ სხვაობებს არ იძლევიან, არამედ ერთი საერთო დედნის სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ.

2. განხილული ხელნაწერებისათვის თავდაპირველი დედნის დაძებნა, ჯერჯერობით, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საშუალებით არ ხერხდება. ყველა ნუსხისათვის ამოსავალ საერთო დედანს x-ით აღვნიშნავთ.


3. „მატენადარანის“ 17 ხელნაწერიდან 11 ნუსხა (№№ 6908, 4111, 3073, 5590, 6455, 2721, 6296, 3729, 3042, 6467, 1893) ერთი საერთო დედნიდან — 1771 წლის № 3537 ხელნაწერიდან მომდინარეობს³¹².

³¹¹ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 1893, გვ. 8 რ — 8 ვ.

³¹² უშუალოდ № 3537 ხელნაწერიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში მიიღივან მომდინარე ნუსხებიდან მაინც.

4. დანარჩენი ნუსხები (№№: 1896, 6537, 1892, 5692, 6716) ცალკე დგანან როგორც 1771 წლის № 3537 ხელნაწერიდან, ასევე ერთმანეთისაგან.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ხელთ არსებულ „სომხეთის ისტორიის“ შემცველ ხელნაწერების შედარებითი შესწავლის შედეგებს, ზემოთ განხილული ნუსხების მიმართება ერთმანეთთან შემდეგნაირად გამოისახება:



როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ განხილული ნუსხა ძირითადად 6 ხელნაწერზე დადის. ეს ხელნაწერებია — №№ 1896, 1892, 3537, 6716, 6537 და 5692. ჩამოთვლილი ნუსხებიდან „სომხეთის ისტორიის“ ტექსტის წინამდებარე გამოცემისათვის 5 ნუსხა გამოვიყენეთ.

სომხური ტექსტის გამართვისას გავითვალისწინეთ ჩვენ მიერ შერჩეული ნუსხების როგორც ორთოგრაფიული, ასევე ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, რომელთა შესახებაც უფრო ქვევით მივუთითებთ, როცა საუბარი გვექნება გამოცემისათვის საფუძვლად დადებულისა და შესადარებელი ნუს-

ნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აქ მხოლოდ ერთი უნდა აღვნიშნოთ. „მატენადარანის“ ყველა დანარჩენი 12 ნუსხის გამოყენება წინამდებარე გამოცემისათვის ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგანაც ზედმეტად მივიჩნიეთ ტექსტის გადატვირთვა მისთვის არაფრის მომცემა ვარიანტებით.

2. „სომხეთის ისტორიის“ გამოცემები

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტი სომხურად პირველად გამოქვეყნდა 1843 წელს იერუსალემში, იერუსალემის პატრიარქის ზაქარიას ბრძანებით. „*Պատմագրութիւն Յովհաննու Կաթողիկոսի ա՛մ հայոց. Տպագրեալ է ա՛ր Նրուսահլէմ է Պատմագրութ՛ն տեառն Ջաճարիայի արքեպիսկոպոսի է տպարանի Մ՛րց Յակոբեանց Ս.ուսճից*“³⁴⁸. აღნიშნული გამოცემა შეიცავს 272 გვერდს. წიგნს ბოლოში ერთვის პირთა საძიებელი. „სომხეთის ისტორიის“ ძირითადი ტექსტის წინ მოთავსებულია ზაქარია პატრიარქის მოკლე ცნობა, რომელშიც აღნიშნულია საერთოდ სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით კი გახაზულია იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტის გამოცემის აუცილებლობა და საჭიროება. გამოცემაში არსებული ნაკლოვანებების შევსება, კერძოდ, ტექსტის რიგი ადგილების დაზუსტება კომენტარებით, მომავლისთვისაა გათვალისწინებული. დაბეჭდვით თქმა იმისა, თუ რომელი ხელნაწერი უღვეს გამოცემას საფუძვლად, არ შეგვიძლია.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ მეორეჯერ გამოიცა 1853 წელს მოსკოვს: „*Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցոյ Պատմութիւն Հայոց. է լոյս ընծայեաց Մկրտիչ Լժին տեսուչ Լադարեանց ճիմարանի արևելեան լեզուաց. Մոսկվա. է տպարանի Վլադիմիրայ Գուսիչ. 1853 թ.*“³⁴⁹. წიგნი 219 გვერდს შეიცავს. აღნიშნული გამოცემის რედაქტორია მკრტიჩ ემინი. წიგნის I გვერდზე მოთავსებული მცირე ცნობიდან, რომელიც თვით მკრტიჩ ემინს ეკუთვნის, ირკვევა, რომ „სომხეთის ისტორიის“ ტექსტის გამოცემის საქმეში ემინისათვის გარკვეული დახმარება გაუწევია მის მასწავლებელს სარგის ვარდანოვს, რომელსაც მიუძღვნა სწორედ 1853 წლის გამოცემა მადლიერმა მოწაფემ³⁴⁹.

³⁴⁸ იხ. *Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցոյ Պատմութիւն հայոց...*, *Մոսկվա*, 1853.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, „სომხეთის ისტორიის“ 1853 წლის მოსკოვურ გამოცემას საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ უკვე განხილული № 6537 ხელნაწერი, მსერ მსერიანცის ნუსხა, რომლის დაწვრილებითი აღწერა წინამდებარე ნაშრომის წინა გვერდებზეა მოცემული.

„სომხეთის ისტორიის“ 1853 წლის მოსკოვური გამოცემის ძირითად ტექსტს წინ უძღვის მკრტიჩ ემინის საკმაოდ ვრცელი (15 გვერდის მოცულობის) წინასიტყვაობა, რომელშიც გადმოცემულია იოანე დრასხანაყერტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები და მოკლედ მიმოხილულია მისი თხზულების შექმნის ისტორიაც. მკრტიჩ ემანი „სომხეთის ისტორიის“ თავის გამოცემასაც ეხება და მასთან დაკავშირებით მოჰყავს მსერ მსერიანცის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი დაწვრილებით ცნობებს აწვდის მკრტიჩ ემინს მის მიერ შერჩეული (№ 6537) ნუსხის შესახებ.

ამრიგად, 1853 წლის მოსკოვური გამოცემა ერთ გარკვეულ ხელნაწერს ემყარება, მაგრამ, როგორც ემინისავე განცხადებიდან ირკვევა, იგი იერუსალემის 1843 წლის გამოცემასთანაცაა შედარებული. შეჯერების შედეგად მიღებული განსხვავებული წაკითხვები წიგნს ბოლოში ერთვის. 1843 წლის გამოცემისაგან განსხვავებით, 1853 წლის მოსკოვურ გამოცემას არ აქვს პირთა საძიებელი.

ქრონოლოგიური რიგით აღნიშნულ გამოცემებს მოსდევს „სომხეთის ისტორიის“ 1867 წლის იერუსალემის გამოცემა: *„Պատմութիւն Յովհաննոս կաթողիկոսի ի հայրապետութիւնն Տ. Տ. Կէրփալ նորնտիր վհայտառ կաթողիկոսի Ամենայն հայոց հրամանի Տ. Տ. Նսայեսայ Սրբազան Արքեպիսկոպոսի՝ եւ պատրիարքի Ս. Էրուսաղէմայ եւ ի պատրիարքութեան Կոստանդնուպոլսոյ Տ. Տ. Պօղոսի Սրբազան արքեպիսկոպոսի ի սպարանի առաքելական աթոռոյ Ս. Յակոբկանց Յերուսաղէմ, 1867“*. წიგნი 464 გვერდს შეიცავს. წინა გამოცემათაგან განსხვავებით აღნიშნული გამოცემის ტექსტი დაყოფილია 67 თავად. თავებს აქვთ სათაურებიც. ბოლოში ერთვის თავების სათაურების სია, ხოლო ძირითად ტექსტს წინ უძღვის მოკლე ცნობა 1867 წლის იერუსალემის გამოცემის შესახებ, რომელსაც რედაქტორი მეორეს უწოდებს (I-ად მიიჩნევს 1843 წლის იერუსალემის გამოცემას). ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მიღებული 1853 წლის გამოცემა, თორემ საერთოდ იოანე დრასხანაყერტელის „სომხეთის ისტორიის“ გამოცემათა შორის 1867 წლის იერუსალემის გამოცემა რიგით მესამეა. როგორც ჩანს, გამომცემელს 6 ხელნაწერით უსარგებლია, რომელთაგან 2 ნუსხა

თავებად ყოფილა დაყოფილი. ამ ნუსხათაგან მხოლოდ ერთი ნუსხის თავებს აქვთ სათაურები, მეორე კი მხოლოდ თავებად დაყოფილ ტექსტს შეიცავს. ეს უკანასკნელი ნუსხა ალბათ ჩვენ მიერ უკვე განხილული № 5692 ხელნაწერია. რაც შეეხება მე-2 დასათაურებულ ნუსხას, იგი ჩვენ ხელთ არსებულ ნუსხებს შორის არ შეგვხვედრია. ამ ნუსხით უსარგებლია სწორედ „სომხეთის ისტორიის“ 1867 წლის გამოცემის რედაქტორს. სავარაუდებელია, რომ ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში გათვალისწინებული დანარჩენი 4 ხელნაწერიც (ყოველ შემთხვევაში ნაწილი მანც) ჩვენ მიერ უკვე განხილულ ხელნაწერთაგანია, მაგრამ ამჯერად ძნელია ზუსტად თქმა სახელდობრ რომელი, რადგანაც ექვსივე ხელნაწერის წაკითხვები არასრულყოფილი სახით არის გამოცემაში მოტანილი. ასე, მაგალითად, მითითებულია: სამ ნუსხაშია „*Կիրոս*“. აქ გაურკვეველია 6 ხელნაწერიდან სახელდობრ რომელ 3 ხელნაწერში გვხვდება „*Կիրոս*“ ფორმა.

„სომხეთის ისტორიის“ IV გამოცემა სომხურ ენაზე 1912 წელს გამოქვეყნდა თბილისში. ვინაიდან იგი 1853 წლის ემინისეული გამოცემიდან არის გადმობეჭდილი და მის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, ამიტომ მასზე ჩვენ აღარ შევჩერდებით, მხოლოდ მივუთითებთ, რომ 1853 წლის მოსკოვის გამოცემისაგან განსხვავებით თბილისის 1912 წლის გამოცემას ერთვის სახელთა საძიებელი.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ ევროპული ენებიდან მხოლოდ ფრანგულადაა თარგმნილი: „*Histoire d'Arménie, par le Patriarche Jean VI, dit Jean Catholicos, traduite de l'Arménien en français par M. Saint—Martin. Ouvrage posthume, publiée sous les auspices du ministère de l'Instruction publique, par Félix Lajard, 1841*“. აღნიშნული გამოცემა საერთოდ „სომხეთის ისტორიის“ I გამოცემად ითვლება. თარგმანი შესრულებულია ცნობილი არმენოლოგის სენ-მარტენის მიერ და გამოქვეყნებულია მისი გარდაცვალების შემდეგ ფელიქს ლაგარდის თაოსნობით. თარგმანს ბოლოში ერთვის კომენტარები, ხოლო ტექსტის წინ მოთავსებულია იოანე დრასხანაკერტელის ცხოვრებისა და მისი თხზულების „სომხეთის ისტორიის“ მიმოხილვითი ხასიათის შესავალი, რომელიც ფელიქს ლაგარდს ეკუთვნის. ჩვენი აზრით, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ფრანგული გამოცემა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. ამის ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: ფრანგულ თარგმანში სომხურ დედანთან შედა-

რებით წინადადებების შეკვეცასა და აზრთა გაჰარტივებული სა-
ხით გადმოცემას აქვს ადგილი. მთარგმნელი ხშირად ტოვებს მთელ
რიგ ადგილებს, უმთავრესად რთულსა და ბუნდოვან წინადადებებს,
ან რამდენიმე წინადადებას თუ აბზაცს აერთიანებს და ერთი ფრა-
ზით გადმოსცემს. ზემოთ აღნიშნული გარემოება შეიძლება ერთი
შეხედვით დიდ დანაშაულად და ნაკლად არ ეჩვენოს კაცს, მაგრამ
როდესაც საქმე გვაქვს ძველი წყაროს ტექსტის თარგმანთან. იგი
გადმოცემული უნდა იყოს მთელი სიზუსტით, უფრო მეტად დე-
დანთან სიახლოვით და მისი ყველა ნიუანსის დაცვით. წინააღმდეგ
შემთხვევაში თარგმანს ეკარგება სანდოობა და მეცნიერულა ღი-
რებულება.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფრანგული თარგმანისა, იოანე დრას-
ხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ გარკვეული ადგილების, უმ-
თავრესად საქართველოს შესახები მასალის, ქართული თარგმანიც
არსებობს, რომელიც პროფ. ილია აბულაძეს ეკუთვნის: „იოანე
დრასხანაკერტელი. თარგმანი შენიშენებითა და საძიებლითურთ
ილია აბულაძისა. თბილისი. 1937“. წიგნი შეიცავს 94 გვერდს. ქარ-
თული თარგმანი მისი პარალელური სომხური ტექსტით არის წარ-
მოდგენილი. რედაქტორის მიერ გამოყენებულია 1853 წლის მოს-
კოვისა და 1912 წლის თბილისის გამოცემები. ტექსტს წინ უძღვის
მოკლე შესავალი, რომელშიც მიმოხილულია ძირითადი მომენტებო
იოანე დრასხანაკერტელის ბიოგრაფიიდან. ბოლოში კი დართულია
შენიშვნები და საკუთარ სახელთა საძიებელი.

3. „სომხეთის ისტორიის“ სომხური ტექსტის გამართვისა და მასთან ქართული თარგმანის მიმართების საპიტიხისათვის

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „სომხეთის ისტორიის“ შემცვე-
ლი ხელნაწერების მეშვეობით, ბუნებრივია, არ შეიძლება თხზულე-
ბის პირვანდელი სახის აღდგენა, რადგანაც ყველაზე ადრინდელი
ნუსხაც კი საკმაო დროითაა (7 საუკუნით) დაშორებული იოანე
დრასხანაკერტელის ეპოქიდან. ასე რომ სავსებით მოსალოდნელი და
ბუნებრივია გადამწერთა ნაკვალევს სიჭრელე, რომელიც, იოანე
დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ შემცველ ხელნაწერებს
ახასიათებთ. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „სომხეთის ის-
ტორიის“ ნუსხები რედაქციულად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან,
არამედ მათ შორის განსხვავება ვარიანტულ ფარგლებს არ სცილ-
დება.

წინამდებარე გამოცემისათვის ნუსხების შერჩევას ვცდილობდით მოგვეძებნა და ჩვენი გამოცემისათვის საფუძვლად დაგვედვა ხელთ არსებულ და შესწავლილ ხელნაწერთაგან ყველაზე სრულყოფილი ნუსხები, რომლებიც ყველა დანარჩენი ნუსხისაგან გარკვეული უპირატესობით გამოირჩევიან. ასეთებად ჩვენ შემდეგი ხელნაწერები მივიჩინეთ: № 1896 ხელნაწერი (ლიტერით A) ყველაზე ადრინდელია „სომხეთის ისტორიის“ შემცველ ნუსხებს შორის. № 3337 ხელნაწერი (ლიტერით B) საყურადღებოა, როგორც ამოსავალი დედანი „მატენადარანის“ 11 ნუსხისათვის. № 1892 ნუსხა (ლიტერით C) არც ერთ ხელნაწერს არ ემხრობა და სრულიად ცალკე დგას. ჩვენი ყურადღება, უმთავრესად, სწორედ ამ გარემოებაში მიიპყრო.

№ 5692 ხელნაწერიც (ლიტერით D) ასევე არცერთ ნუსხასთან არ ამკვდევნებს სიახლოვეს, მაგრამ მათგან ძირითადად იმით გამოირჩევა, რომ თავებადაა დაყოფილი.

რაც შეეხება მე-5, № 3337 ხელნაწერს, მით, მართალია, უშუალოდ არ გვისარგებლია, მაგრამ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, გამოვიყენეთ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ 1912 წლის თბილისური გამოცემა, გადმობეჭდილი 1853 წლის მოსკოვეური გამოცემიდან, რომელსაც საფუძვლად სწორედ № 6537 ნუსხა უდევს.

იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დაედვა „სომხეთის ისტორიის“ 1912 წლის თბილისური გამოცემა. ჩვენი არჩევანის ამ უკანასკნელზე შეჩერება შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: მიუხედავად იმისა, რომ 1912 წლისა და 1853 წლის გამოცემები ერთნაირია, ჩვენ მაინც 1912 წლისა გამოვიყენეთ, რადგანაც იგი 1853 წლის გამოცემასთან შედარებით უფრო სრულყოფილი ჩანს, თუნდაც იმით, რომ ბოლოში ერთვის სახელთა საძიებელი. 1853 წლისა და, მაშასადამე, 1912 წლის გამოცემაც ერთ გარკვეულ, მსერიანცისეულ ნუსხას ემყარება. აღნიშნული გარემოება უპირატესობას ანიჭებს 1912 წლის გამორტემას წინარე გამოცემებთან (1843 წ. და 1867 წ. იერუსალემის გამოცემებთან).

1912 წლის თბილისური გამოცემის ტექსტს ჩვენ, ამ შემთხვევაში, ხელნაწერის მნიშვნელობას ვანიჭებთ და E ლიტერით აღვნიშნავთ. ტექსტის ზოგიერთ ადგილს ვასწორებთ A, B, C და D ხელნაწერების წაკითხვების როგორც ერთმანეთთან, ასევე ძირითად E ტექსტთან შეჯერების საშუალებით.

ორთოგრაფიული, თუ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას მრავალფეროვნებას ვხვდებით არა მარტო სხვადასხვა ნუსხებს შორის, არამედ თვით ცალკეულ ნუსხებში. A, B, C და D ხელნაწერთა განსხვავებული წაკითხვები ვარიანტებადა გვაქვს სქოლიოებში გატანილი. ვარიანტებად გავაქვს აგრეთვე ძირითადი E ტექსტის წაკითხვებიც იმ შემთხვევაში, თუ E ტექსტის ამა თუ იმ ადგილს სხვა ნუსხებას ჩვენებებს მიხედვით ვასწორებთ. ტექსტის ზოგი ადგილის გამართვისას ყოველთვის მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ მიერ შერჩეული ნუსხების უმრავლესობა (ვთქვათ 3 ნუსხა) და E ტექსტი ერთი და იმავე ფორმით იძლევა რომელიმე სიტყვას, ან მთელ ფრაზას, ხოლო მხოლოდ ერთადერთი ნუსხა წარმოადგენს ამავე სიტყვას უფრო მართებული და მისაღები ფორმით. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რაოდენობას უგულვებელყოფთ და უფრო სისწორეს ვუჭერთ მხარს. ზემოთქმულის დამადასტურებელი მაგალითები ჩვენ მრავლად შეგვიძლია მოვიტანოთ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმეთი დავეყაროთ ილუბრებით. ასე მაგალითად, წინამდებარე გამოცემის ტექსტის მე-10—11 გვერდზე ვხვდებით შემდეგ წინადადებას: *„ისი აყა აწიონის ხიხიხეხი ჴრისათიხი, ირ სერსამ სერქსაგხან ღრ ჴიარათამანჯ იხსაიხს ჴარბსაქ ქანდნ ვიხსაან არაყათათლირ ჴირიყაყჷს აყაბათანაყჷ“*. [ამიერიდან ქრისტეს ეკლესიაში, რომელიც ერთხანს მოკლებული იყო შენებას სიძის დევნის გამო, დაიბრუნა სიძე და ხელახლა გაბრწყინდა]. მოტანილ წინადადებაში სიტყვა *ხიხიხეხი* მხოლოდობით რიცხვში მხოლოდ D ხელნაწერში გვხვდება. A, B, C ხელნაწერი და E ძირითადი ტექსტი მას მრავლობით რიცხვში წარმოგიდგენენ — *ხიხიხეხიღ. ხიხიხეხი* ფორმა, ამ შემთხვევაში, როგორც კონტექსტის, ასევე გრამატიკული ნორმების დაცვის თვალსაზრისით უფრო მისაღებია, ამიტომ *ხიხიხეხიღ-ს* ჩვენ *ხიხიხეხი* ფორმით ვასწორებთ.

43-ე გვერდის მე-20 სქოლიოში C ხელნაწერის ვარიანტი იძლევა სიტყვა *იჟი-ს* (სული) ნათესაობით ბრუნვას — *იჟლი* ფორმით. A, B, D ხელნაწერსა და E ტექსტში კი იგივე სიტყვა *იჟი* ფორმით გვხვდება. ჩვენ *იჟი* ფორმას *იჟლი*-ით ვასწორებთ, როგორც უფრო ძველით. ზუსტად ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ტექსტის 81-ე გვერდზე, სქ. 7.

ხშირად მხოლოდ ერთი ხელნაწერის ჩვენება რომელიმე ფაქტის დაზუსტების შესაძლებლობასაც იძლევა. ასეთ შემთხვევას 28-ე

გვერდზე ვხვდებით. იქ ვკითხულობთ: „*შაჰან კი ზანდვალ რანჰი იჯ სრქიორქსქ მქსანაჟამ ყრსასანა ღრღვთე შაჟრქიქ ჩაჟერათონსიქ, ლ მქროამი ქამანასქი აჟათამაჟქი, ირ ქაქიოთაჟათომ ქასქ არა-რსაქ ჭ ყოიქვა აქაქაჟათოქსანს Ⴀქოთიქ ირქლიქ აჟარაჟსქისქ Ⴀქრათოჟ ქიქქსონასქანს აჟათამოქქქანს*“.

„საქიროდ ვცანი, აღარ გამემეორებინა ჩვენი ღროის ისტორიკოსის შაჟუქ ბაგრაქუნის [მიერ აღწერილი] ამბები, მან ნათლად გადმოსცა აშოქტის, სუმბატ სპარაპეტის ძის, ჩამომავლობისა და შმართველობის ისტორია...“

მოტანილი წინადადებიდან ორი სიტყვა გვაინტერესებს *Ⴀქოთიქ ირქლიქ*. ასეთი თანმიმდევრობით ეს სიტყვები მხოლოდ D ხელნაწერში გვხვდება. ABC ნუსხები და E ტექსტი კი *ირქლიქ Ⴀქოთიქ*-ს იძლევიან. D ხელნაწერის წაკითხვის მიხედვით აშოქტი სუმბატ სპარაპეტის შვილად არის დასახელებული, რაც ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. რომ აქ ნამდვილად სუმბატ სპარაპეტის შვილზე — აშოქზეა საუბარი, ამის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: 29-ე გვერდზე ასეთ წინადადებას ვხვდებით: „...*ღაჟან სსქჩ ჩამათოთ ღსქ Ⴀნბხოლქქანს აინსქიქ, ქიორბსეჟეჟე აასქალოქქ ქქრ ზსრათოქსანს სღანასქალ*‘ ირქაქა ქსრაჟიქანს აას-გვალ, ქ მანსქოქქსანს მქნქღ ვსრსიქქს სრქოთაჟარქოქსანს Ⴀქოთიქ‘ ირქლიქ Ⴀქრათოჟ აჟარაჟსქიქ“.

[მხოლოდ მას გადმოგცემ შენ. მოკლედ, ვეცდები მცირედი შესავლის სახით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სუმბატ სპარაპეტის ძის აშოქტის ბავშვობიდან მის ახალგაზრდობამდე], როგორც ვხედავთ აქაც 28-ე გვერდზე მოხსენებულ აშოქ სუმბატის ძეზეა ლაპარაკი. ასე რომ 28-ე გვერდზე *ირქლიქ Ⴀქოთიქ*-ს შეცვლა *Ⴀქოთიქ ირქლიქ*-ით სავსებით გამართლებულია.

შესაღარებელი ნუსხების წაკითხვების მეშვეობით შესაძლებელი გახდა წინამდებარე გამოცემის ტექსტის 100-ოდე ადგილის დაზუსტება და გასწორება. შესწორებების უმრავლესობა მაინც ორთოგრაფიული შეცდომების შესწორებების ხარჯზე მოდის. მაგრამ გარდა ორთოგრაფიული შეცდომებისა, ისეთი შეცდომების გასწორებაც მოგვიხდა, რომლებსაც გარკვეული ბუნდოვანება შეჰქონდათ ტექსტში. მაგალითად 191-ე გვერდზე ერთ ასეთ გაუგებარ ფრაზას ვხვდებით: „*ღიოთ ამქან ასაქი აოაღსეჟაღ ქოღქქ ს აოი კო-რაჟაჟაჟათოჟ აოი ალაღან Ⴀქქსაჟაღე*‘ ქრათხიქიქ აოი ქ ქსქ ქრათოჟ ღსრქიქ ლ მქოანსაქ Ⴀღნქ მქმხანსა ჩაროქმანს“.

მისი შესაბა-

„, *ჟ*, *ზ* ნაცვალსახელითი ძირების ხმარება, ან პირიქით მათი დაკლება აუცილებელ შემთხვევაში.

ჩვენ მიერ ტექსტში შეტანილი შესწორებებიდან. რა თქმა უნდა, ყველას აქ ვერ განვიხილავთ და არც არის საჭირო³⁴⁴, ასე რომ ამჯერად ამ ზოგადი მიმოხილვით დავკმაყოფილდებით³⁴⁵.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ ტექსტში დაწვრილებითი ენობრივი მიმოხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც წარმოვადგინოთ წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული ნუსხების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად გამოვლინებული ძირითადი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. თუ თვალს გადავაელებთ ტექსტის გამართვისათვის ჩვენ მიერ შერჩეული ნუსხების (A, B, C და D) წაკითხვებს, დავინახავთ, რომ მათგან უმრავლესობა ორთოგრაფიულ შეცდომებს წარმოადგენენ. ხშირია ასოთა დაკლებისა, თუ ზედმეტობის, ერთის ნაცვლად სხვა ასოს ხმარების შემთხვევებიც. განსაკუთრებით შესამჩნევია *ჩ(ქ)*-ს დაკლება ადგილობითი (*ხსრციქასქან*) და დაწყებითი (*ქაგაიასქან*) ბრუნვების ხმარების დროს³⁴⁶.

დაწყებითი ბრუნვა: *იასქანჯნ* C, გვ. 2, სქ. 11 (*იასქანჯნ*); *ღისანსაგ* BC, გვ. 35, სქ. 15 (*ღისანსაგ*) და სხვ.

ადგილობითი ბრუნვა: *აიანჯიორქოქხან* BC, გვ. 35, სქ. 11 (*აიანჯიორქოქხან*); *აქღონასქან* D, გვ. 117, სქ. 12 (*აქღონასქან*); *ამაიქან* AD, გვ. 126, სქ. 10 (*ამაიქან*) და სხვ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა *ჩ(ქ)*-ს კლება-მატების ფაქტები არც თუ ისე მცირე რაოდენობით გვხვდება ზმნების ფორმებშიც. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ:

თა A, გვ. 22, სქ. 11 (*თაქ*); *ღნა* A, გვ. 23, სქ. 13 (*ღნაქ*); *თა* B, გვ. 29, სქ. 3 (*თაქ*); *აბა* D, გვ. 129, სქ. 18 (*აბაქ*) და სხვ.

³⁴⁴ ამ შესწორებებიდან ბევრი მათგანი ერთნაირი ხასიათისაა, უმთავრესად ორთოგრაფიული.

³⁴⁵ ტექსტში ჩვენს მიერ შეტანილი ყველა შესწორების სურათი სქოლიოებშია წარმოდგენილი. მაგალითად 63-ე გვ. სქ. 10 *იასქან* ABC] *იასქან* DE ასე უნდა გავიგოთ: *იასქან* ფორმა გვხვდება A, B და C ნუსხებში, ხოლო D ხელნაწერსა და E ტექსტში იგივე სიტყვა *იასქან* ფორმითაა დაცული, რაც არ არის სწორი. ამიტომ იგი AB და C ხელნაწერების წაკითხვის საფუძველზე მართებული *იასქან* ფორმით შევცვალეთ.

³⁴⁶ ჩვეულებრივ ორივე ბრუნვისათვის *ჩ(ქ)* თანდებული (რომელიც სომხურში წინდებულია) აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. *ჩ* თანდებული ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ სუსტდება და მას *ქ* ცვლის, რომელიც შეერწყმის სიტყვის ფუძეს.

კ-ს ზედმეტად ხმარების შემთხვევებს ნაცვალსახელებშიც ვხვდებით:

ჟიყაჲ B, გვ. 44, სქ. 3 (*ჟიყა*); *სიყაჲ* A, გვ. 50, სქ. 8 (*სიყა*); *ზამაჲ* A, გვ. 77, სქ. 8 (*ზამა*) და სხვ.

შესაღარებელი ნუსხების განხილვისა და შესწავლის დროს შემდეგი თავისებურებები შევნიშნეთ: A ხელნაწერი, რომელიც ქრონოლოგიურად არც თუ ისე დაშორებულია დანარჩენ ნუსხებს (A — მე-17—ს. B და C — მე-18—ს. D — მე-19—ს), თავისი ორთოგრაფიით მათგან განსხვავდება და სიძველის ნიშნებს ამჟღავნებს. აღნიშნული ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხელნაწერი რომელიღაც ადრინდელი ნუსხიდან არის გადაწერილი. ნუსხაში ხშირად ვხვდებით *აღ* დიფთონგს, რომელიც სხვა ხელნაწერებში *ო* დაწერილობითაა შეცვლილი: *აღრანოქხამაღ*, *აღრჩნაჲ* და სხვ.

A ხელნაწერის გადამწერი, სხვა გადამწერთაგან განსხვავებით, საკუთარ სახელთა წერისას მთავრულ ასოებს არ იყენებს; ხშირად უმატებს *ღ* (და) კავშირს იქ, სადაც არ არის საჭირო. A ხელნაწერისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე თითქმის ყოველთვის *აზჟ* (იქ) ზმნისზედის *აზთ* ფორმით ხმარება. A ნუსხის კიდევ ერთი თავისებურებაც უნდა აღვნიშნოთ: მასში ხშირად ვხვდებით უწყვეტლის III პირის მხოლოდობით რიცხვში *ქარ* აფიქსით დაბოლოებულ ფორმას ნაცვლად *ქრ* დაბოლოებიანისა, თუმცა ასეთი შემთხვევები მარტო A ხელნაწერში არ შეინიშნება, იგი სხვა ნუსხებისთვისაც არ არის უცხო:

ანოანხარ ABCE — *ანოანხერ* D გვ. 34, სქ. 10;

ჟაოანხერ BDE — *ჟაოანხარ* AC გვ. 38, სქ. 3;

გრერ DE — *გრჩარ* ABC გვ. 38, სქ. 14;

თხაანხერ DE — *თხაანხარ* ABC გვ. 65, სქ. 6;

ხრერ DE — *ხრჩარ* ABC გვ. 65, სქ. 10;

ქანასხერ DE — *ქანასხარ* ABC გვ. 76, სქ. 20.

მოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ D ხელნაწერსა და E ტექსტში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) უწყვეტლის ფორმა *ქრ* დაბოლოებით ვხვდება. დანარჩენ ხელნაწერებში კი უფრო ხშირად *ქარ* აფიქსიანი უწყვეტლის ფორმები დასტურდება. ზმნების ფორმებთან დაკავშირებით აქვე ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა დროში ვხვდებოდა, რიგ ხელნაწერებში ნამყოფს მიმღობის ფორმით, სხვებში კი საწყისი ფორმით:

ჯარძსალ ABCE — *ჯარძხლ* D გვ. 97, სქ. 6;

ჩაყესლ BCDE — *ჩაყესალ* A გვ. 110, სქ. 7;

ჩანრქრძსალ ABCE — *ჩანრქრძხლ* D გვ. 124, სქ. 7 და სხვ.

ზოგ შემთხვევაში ესა თუ ის ზმნა რიგ ხელნაწერებში პირიანი ფორმითაა წარმოდგენილი, დანარჩენებში კი საწყისით:

ჩაოსანსლ ABDE — *ჩაოსანს* C გვ. 100, სქ. 8;

ქრძქრ ACDE — *ქრძხლ* B გვ. 144, სქ. 4;

სლანსქრ ACDE — *სლანსლ* B გვ. 152, სქ. 12 და სხვ.

ხშირად ზოგ ხელნაწერში ზმნის აწმყო დროა ასახული, სხვებში კი უწყვეტელი, ან II კავშირებითი.

საგოგანს ADE — *საგოგანსქრ* BC გვ. 89, სქ. 9;

სოანს BE — *სოანსხყ* AD გვ. 109, სქ. 7;

ფნაქ ABCE — *ფნაქრ* D გვ. 91, სქ. 2 და სხვ.

ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ნუსხებში ზოგჯერ მხოლოდით რიცხვში გვხვდება, ზოგჯერ კი მრავლობითში:

სინარჩხეა ECE — *სინარჩხეან* AD გვ. 135, სქ. 11;

ჩხბ ADE — *ჩხბს* BC გვ. 204, სქ. 4 და სხვ.

A, B, C და D ნუსხების ფონეტიკური თვალსაზრისით განსილვისას ვხვდებით მქლერი თანხმოვნების გაფშვინიერების, ან გამკვეთრების შემთხვევებს.

განხილულ ხელნაწერებში არც თუ ისე მცირეა აგრეთვე პარალელური წყვილის *ლ* და *ღ*-ს ხმარების შემთხვევები.

ღლაბქ ABCE — *ღლაბქ* D გვ. 78, სქ. 2;

ჩარაქქ BCDE — *ჩარაქქი* A^ჟ გვ. 88, სქ. 5;

მათასოღ CDE — *მათაყოღ* AB გვ. 133, სქ. 5 და სხვ.

საკმაო სიჭრელე შეინიშნება A, B, C, D ხელნაწერებსა და E ტექსტში განსაკუთრებით გეოგრაფიულ, პირთა და ეთნიკურ სახელთა ხმარების დროს.

ყველა ზემოთ განხილულ ხელნაწერს გადამწერის კვალი ატყვია. მათში ხშირად არ არის დაცული მართლწერის ერთიანი პრინციპი. შეცვლილია სიტყვების ფორმები, ადგილი აქვს სიტყვებას გადაადგილებას, მათ დამატებას, ან პირიქით გამოტოვებას. ორთოგრაფიული, თუ ფონეტიკურ-მორფოლოგიური სხვაობები, რომლებიც გვხვდება A, B, C და D ხელნაწერებში, ჩვენს მიერ უკლებლივ წარმოდგენილია სქოლიოებში და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულიც. აქვე ერთ გარემოებასაც უნდა მიუქცეს ყურადღება: ტექსტის გამართვაზე მუშაობისას უმ-

რავლეს შემთხვევაში თითქმის ოთხივე ნუსხაში საკმაო რაოდენობით შეგვხვდა ბუნდოვანი და გაუმართავი წინადადებები, მაგრამ ვინაიდან ამაში ბრალი უფრო თვით იოანე დრასხანაყერტელს მიუძღვის. ვიდრე გადამწერლებს, ამიტომ ჩვენ მათ უცვლელად ვტოვებთ.

იოანე დრასხანაყერტელის „სომხეთის ისტორიის“ ძველი სომხური ტექსტის გამართვისა და მისი უფრო მეტი სრულყოფისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის გარკვეულ თავებად დაყოფა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვერდი ავუარეთ ტექსტის ნებისმიერ დანაწილებას და მივმართეთ 1867 წლის იერუსალემის გამოცემას, რომელიც 67 თავადაა დაყოფილი. თავებად დაყოფისა და დასურათების იგივე პრინციპი წინამდებარე გამოცემისათვის უცვლელად გამოვიყენეთ.

„სომხეთის ისტორიის“ ძველ სომხურ ტექსტს პარალელურად ჩვენი ქართული თარგმანი ახლავს. რომელიც 786—925 წლების ამბებს მოიცავს. იოანე დრასხანაყერტელის აღნიშნული თხზულება ქართულად თითქმის სრული სახით პირველად ქვეყნდება. თითქმის ვამბობთ, რადგანაც მასში არ შედის მთელი სომხური ტექსტის დაახლოებით 1/4 ნაწილი, რომელიც გადმოგვცემს სომხეთის თავგადასავალს დასაბამიდან 786 წლამდე. ჩვენი ქართული თარგმანის ასეთ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა შემდეგითაა გამოწვეული: ძველი პერიოდის ამბების გადმოცემისას იოანე დრასხანაყერტელი თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებით სარგებლობს და მეტად ზოკლედ, სქემატურად გადმოგვცემს სომხეთის ისტორიის ამ საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს (დასაბამიდან 786 წლამდე). ჩვენ მიერ ქართულ თარგმანში გაუთვალისწინებელი ის 1/4 ნაწილი უმთავრესად აღრიხნული ხანის ისტორიკოსთა თხზულებებიდან ცნობილი ფაქტებისა და თვით ავტორის ლირიული წიაღსვლების თავმოყრას წარმოადგენს. „სომხეთის ისტორია“-ში ავტორის ყურადღების ცენტრი მისი თანადროული ისტორიის სრულყოფილი სახით გადმოცემაზეა გადატანილი. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ სომხეთის ისტორიის უდიდესი მონაკვეთი, სახელდობრ დასაბამიდან 786 წლამდე ტექსტის 1/4-ს მოიცავს, იმ დროს, როდესაც სომხეთის ისტორიის არც თუ ისე ვრცელი პერიოდის, 786—925 წლების ამბებს თხზულების 3/4 ნაწილი უჭირავს. ეს უკანასკნელი ფაქტიც იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ არასრული და ზოგადი ხასიათისაა იოანე დრასხანაყერტელის მიერ მისი არათანადროული ისტორიის აღწერა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემ-

დეგ აუცილებლად არ ჩავთვალეთ სომხეთის ისტორიის უძველესი პერიოდის (დასაბამიდან 786 წლამდე) ამბების თარგმნა ქართულ ენაზე და ჩვენი ქართული თარგმანი უმთავრესად იოანე დრასხანაკერტელის თანადროული ხანით შემოვფარგლეთ. ხოლო იმ ფაქტს, რომ ჩვენ ერთგვარად ვარღვევთ ჩვენს მიერ ზემოთ მიღებულ გადაწყვეტილებას — ქართულ თარგმანში მხოლოდ იოანეს თანადროული პეროდი ავსახოთ, — და თარგმანს 786 წლის ამბებით ვიწყებთ, შემდეგი გამართლება მოეპოვება: ლევონდი. რომელიც იოანე დრასხანაკერტელის წინამორბედი ისტორიკოსია, თავის თხზულებას სწორედ 785—90 წლებს ამბების აღწერით ამთავრებს. ასე რომ მის ნაწარმოებში ვერ პოულობს ასახვას მისი შემდგომი პერიოდის მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, განსაკუთრებით კი ბულა თურქის ლაშქრობა სომხეთში.

მართალია, იოანე დრასხანაკერტელი 786—850 წლების ამბების თანამედროვე და თვითმხილველი ვერ იქნებოდა; მაგრამ ამ პერიოდის ბევრი საყურადღებო ცნობა მხოლოდ მის თხზულებაშია შემონახული³⁴⁷, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ წინამდებარე ქართული თარგმანის 786 წლის ამბების გადმოცემით დაწყება.

„სომხეთის ისტორიის“ ტექსტის ქართულ თარგმანში არ შეგვიტანია მაშტოც მოძღვრის წერილი ქალაქ დვინის მცხოვრებლებისადმი და აგრეთვე თხზულების ბოლოსიტყვაობა. პირველში გამოხატულია დვინის მცხოვრებთა მიმართ მაშტოცის მანუგეშებელი თანაგრძნობა იმ უბედურების გამო, რაც მათ თავს დაატყდათ დიდი მიწისძვრის შედეგად. „სომხეთის ისტორიის“ ბოლოსიტყვაობა კი წარმოადგენს იოანე დრასხანაკერტელის დამრიგებლობითი ხასიათის მიმართვას სომხეთის იმდროინდელი საზოგადოებისადმი. ვინაიდან ეს ორი ადგილი არაფერს მნიშვნელოვანს, ფაქტიურ მასალას არ გვაწვდის, მათი გამოტოვება ქართულ თარგმანში დანაკლისად არ მიგვაჩნია.

„სომხეთის ისტორიის“ ქართულ თარგმანზე მუშაობისას ჩვენ მხოლოდ საქართველოს შესახები მასალის თარგმნით არ შემოვფარგლულვართ. ზემოთ მითითებული ორი ნაწყვეტის (მაშტოცის წერილი და ბოლოსიტყვაობა) გამოკლებით, წინამდებარე გამოცემის ძვე-

³⁴⁷ იოანე დრასხანაკერტელი 786 — 850 წლების ისტორიის აღწერისას, უდავოა, სარგებლობდა რომელიღაც წყაროთი, რომელიც დღეისათვის ჩვენთვის უცნობია. სწორედ ამიტომ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ ამ შემთხვევაში, მისი არათანადროული ხანის (786 — 850 წლების) ისტორიის აღწერისას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ლი სომხური ტექსტი და მისი პარალელური ქართული თარგმანი მოიცავს იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ უწყვეტ ტექსტს, 786—925 წლების ისტორიას, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის როგორც სომხეთის, ასევე საქართველოსა და სომხეთის სხვა მეზობელი ქვეყნებისა, თუ ხალხების შესახებ. ამ ცნობების მეშვეობით შესაძლებელია საქართველოს ისტორიის მთელი რიგი კონკრეტული საკითხების გარკვევა და დაზუსტება, ასევე მახლობელი აღმოსავლეთისა და ა/კ-ის იმდროინდელ საგარეო ვითარებაზე სრული წარმოდგენის შექმნა. „სომხეთის ისტორიის“ ტექსტის ქართულად თარგმნისას მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ ქართული თარგმანი ზედმიწევნით ახლოს მდგარიყო დედანთან, როგორც შინაარსის სიზუსტის დაცვით, ასევე ავტორისათვის ნიშანდობლივი გამოთქმებისა და წინადადებების კონსტრუქციის შენარჩუნებით.

თარგმანზე მუშაობისას მთელ რიგ დაბრკოლებებს შევხვდით, რაც უმთავრესად იოანე დრასხანაკერტელის ენის სიმძიმითაა გამოწვეული. ავტორისათვის დამახასიათებელია ორაზროვანი, ბუნდოვანი გამონათქვამები და განსაკუთრებით სინონიმურ წყვილთა სიხშირე, რაც რიგ შემთხვევებში თვით ჩვენი ქართული თარგმანის სტილის დამძიმებასაც იწვევს. ტექსტში გვხვდება ისეთი წინადადებები და გამოთქმები, რომელთა თარგმნა ხშირად მხოლოდ კონტექსტის გააზრების საშუალებით ხერხდება. ამიტომ რიგ შემთხვევებში აზრის დაზუსტებისა და მისი უფრო ნათლად გადმოცემისათვის ჩვენ მიერ ქართულ თარგმანში აღდგენილია სიტყვები და ზოგჯერ ფრაზებიც, რომლებსაც კვადრატულ ფრჩხილებში ვათავსებთ. ასევე აუცილებლად ჩავთვალეთ დაგვეზუსტებინა სომხურ ტექსტში ჩართული ნაწყვეტები ძველი და ახალი აღთქმიდან, შემდეგ კი მოვძებნეთ იგივე ციტატები ქართულ ძველსა და ახალ აღთქმაში და ქართული თარგმანის შესაბამის ადგილას ჩავურთეთ. დაიძებნა დაახლოებით 12-მდე ასეთი ნაწყვეტი და დაზუსტდა მათი ადგილი ქართულ ტექსტში.

წინამდებარე ქართულ თარგმანსა და სომხურ ტექსტს შორის შემდეგი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს: ზოგ შემთხვევაში სომხური ტექსტის რომელიმე ფრაზის გასარკვევად და დასაზუსტებლად ქართულ თარგმანში დამატებით შეგვაქვს სიტყვები. ხშირად მთელი ფრაზები, ხოლო ხშირად აზრის გამარტივების მიზნით პირიქით ვამცირებთ სინონიმურ წყვილებს, რომლებიც საკმაოდ კარბად გვხვდება „სომხეთის ისტორიის“ ტექსტში. ასევე რთულსა

და გრძელ წინადადებებს ვანაწილებთ უფრო პარტიულ წინადადებებზე.

მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით იოანე დრასხანაკერტელი სრულიად მარტივ აზრსაც კი მრავალსიტყვაობით გადმოსცემს, რითაც ამძიმებს სტილსა და რიგ შემთხვევებში ბუნდოვანს ზღის მთელ წინადადებას. სომხურ ტექსტზე ჩვენი დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ავტორის მიერ გამოყენებულ სინონიმურ წყვილთა უმრავლესობა ზმნებზე მოდის; მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„*მწაფსაღ զօղակ դարեակ կային ընդ լծով ծառայութեան նոյս*“³⁴⁸. „გადარჩენილები მათი მონღის უღელ ქვეშ მოექცნენ“.

„*իսկ նորა հამაպունդ զօրօք չուեսալ, եկեսալ, հասեսալ ի Տարին գաւառ*“³⁴⁹. „...დიდძალი ჯარით მოვიდა და მოაღწია ტარონის ვავარს“.

მრავალსიტყვაობის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ტექსტის 21-ე გვერდზე გვხვდება. თახი ერთიდაიგივე მნიშვნელობის ზმნა ქართულ თარგმანში მხოლოდ ერთი სიტყვით გვაქვს გადმოცემული:

„*Ալլ էրն სა იմანք ի նոյսնէ, որք ոչ կարացեսալ տեսլ, ժուժալ, սսնել և համբերել պասերագմին*“³⁵⁰. „იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ვერ შეძლეს აეტანათ ბრძოლა“.

მსგავს შემთხვევებს სხვაგანაც შევხვდით.

„*Ապա ոստիկանն գომարսակ զօրու բագմի կաղმեսլ՝ չուեսալ, լსაղալ, գալ, հասանէ լკաշխար մեր*“³⁵¹. „ოსტიკანმა გააწყო დიდძალი ჯარი, დაიძრა და გამოემართა ჩვენი ქვეყნისაკენ“.

სინონიმურ წყვილთა შესწავლისას ავტორის ერთი თავისებურებაც შევნიშნეთ: იოანე დრასხანაკერტელი ხშირად ერთი წინადადების ფარგლებში რამდენიმე სინონიმურ წყვილსაც კი იყენებს,

³⁴⁸ იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“. წინამდებარე გამოცემა, გვ. 4.

³⁴⁹ იქვე, გვ. 13.

³⁵⁰ იქვე, გვ. 21.

³⁵¹ იქვე, გვ. 124.

ნაწილი ზმნებისა ერთ გარკვეულ მოქმედებას გამოსატყვევ, სსკეპი კი უკვე ასალ მოქმედებაზე მიუთითებენ.

ასე, მაგალითად 144-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„*ჩხტსანტ ღიღსაღ, სრქსაღ- თვითონ კი წავიდნენ [და]*
აღ, ჟნაგსაღ, ღიღსაღ, თავი შეაფარეს გარდმანისა
ღაღარქჩნ კანბაღსაღს და არცახის სიმაგრეთა უდაბურ
ამრიგა მარქსაღს წარქმანაღ ტყეებს“.
ღ. სრესაღსაღ“³⁵².

მოტანილ წინადადებაში *ღიღსაღ, სრქსაღ, ჟნაგსაღ* = წავიდნენ, სინონიმთა ერთი ჯგუფია, ხოლო *ღიღსაღ ჟაღარქჩნ* = თავი შეაფარეს — მეორე, პირველი ჯგუფისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი.

დასასრულს კიდევ ერთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება: სომხურ საკუთარ სახელებში ასო *ღ* ქართულ თარგმანში ყოველთვის *ღ*-თი გადმოგვაქვს, ვინაიდან იოანე კათალიკოსის ხანისათვის ის ჯერ კიდევ *ღ*-ს აღნიშნავდა და არა *ღ*-ს, როგორც ეს შემდეგში მოხდა.

მოქიან — სოლომონი, *სღესაღ* — ალბაკი, *წიღარღსაღ* — გელარქენი, *წიღარღ* — კლარჯეთი, *წიღსაღ* — თულბი, *წიღსაღ* — მუშელი, *წიღ* — კოლბი, *წიღამ* — გელამი, *წიღსაღ* — ელია, *წიღსაღ* — იერუსალემი, *წიღარღსაღ* — შოლაგა, *წიღარღსაღსაღ* — ვალარშაქერტი, *წიღარღსაღ* — ამაღეკი, *წიღსაღ* — გოლთანი, *წიღსაღ* — წალკოტი და სხვ.

გარდა ზემოთ მოტანილი მაგალითებისა, კიდევ ბევრი ანალოგიური შემთხვევის დასახელება შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მასალაც საკმარისია ქართულ თარგმანზე ჩვენი მუშაობის ზოგიერთი მხარის გასათვალისწინებლად.

³⁵² იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიის“ წინამდებარე გამოცემა, გვ. 144.

ဝိဂ္ဂဟိတံ

მკ. ა. ჯ. უ. მ. ფ. ზ. შ. ა. გ. ი. ბ. გ. მ. დ.
უკო. უ. კ. ზ. ხ. ლ. მ. რ. წ. ჯ. ზ. მ.
რ. ფ. ი. ბ. გ. მ. დ. ს. ბ.
ყ. ა. ლ. ი. ბ. გ. მ. დ. რ. წ. ჯ. ზ. მ.

სოფელ ბაბუნის ეკლ. ი. ი. ს.
 მ. შ. მ. ლ. ს. და სპატიონატოს
 ნაწილის მიტაცების
 შესახებ

გადასული წამანსაკლე სეჟით იან
 იათიქანს ქ ლაჟა ქამირაჟიანს
 ათაღახალ ქინჯრ . ირ ქირის ხაჟა
 ქ სხაქუჯიანს¹ დოჟაღ² აჟაჟა
 კლასაკიჟა ლ დორბასაკიჟა უთა გა-
 ლათაჟე გალათაჟე ათაღჯრ³ სე
 ქლანს ვქ დნჟ ნოღოღ ნოლანსალ
 ჳრ ვათლანს რათქრსანსა⁴ დნჟ აჟნ
 აჟა ვქ ქ აჟათლალორაჟ⁵
 იათიქანს⁶ ათაღჯ . ირქ სქქსალ
 ლასალ ქ ქლანს მქიჟანსარანსქ⁷
 სეროჟნ⁸ რქრქრქრქ, ირ ქ ვქღ⁹
 რაჟღლანს¹⁰ ხრსქიქმ ანჟ ალანჯრ:
 სე თხსალ აჟა ვქღიქიქიქ ლ
 ვქალჯო ჳღნაჟათისა აჟათა
 აჟათლადასქრქო ჟორანსქ¹¹ ვიქს-
 ჟქნა ლ ვარქაქსქღქნა ლ ვქღნასქ
 ვქღნასქ სქრანჯა ათაჟაჟათსქ
 სეროქსქლანს ლ ვქანსქქრბანსა ლ ვარ-
 ქანსქიჟა, აჟა ლრაჟოქრსალ ქ ჳარ
 აჟანოქსქინჯნ¹² ჟორამანსქ¹³ მათოღ
 ჳანსაქრ ლანსარ მარქსქ ვათანსქ
 აჟასქ ქინჯნ ქაქქოთასქსქოქ ვაჟ-
 ათლადასქინ ალანსქ¹⁴ სე უთ
 აჟქრათ ჟორღოქინჯ ვქ ქ
 ბათლქიჟ ქლრთე ანსარჟაჟღანსქ¹⁵
 ქ ბათლქ ქსარჟაღლანსქლ სსქ-

ამ დროს ვინმე ოსტიკანი ეზი-
 ტი ხალიფასაგან სომხეთს იყო
 განოგზავნილი. როცა მან ქალაქ
 ნახიქვეგანს ნიაღვია, მხარეთგან-
 გებელნი და მოხელენი გავარებში
 დაგზავნა. რადგან ბაგრევეანის გა-
 ვარი მათ ჰქონდათ დაჰყრობილი,
 ოსტიკანმა იქ ერთი საპატრიოთა-
 განი გავგზავნა. იგი გაემართა
 წმინდა გრიგორის მონასტრისა-
 კენ, მივიდა სოფელ ბაგე. წმი და
 ლამე იქ გაათია. მან იქ იხილა
 ღვთივნაგები ტაძრის მკვენიერი
 და ფრად ლამაზი ოქროსა და
 ვერცხლის კურქელი და სხვადა-
 სხვა ფერის სიწმინდის ფარდები,
 შესამოსელი და მოსასხამები. იგი
 ბოროტი სიხარბით მოიხიბლა და
 ცბიერი გონებით ცდილობდა
 ეპოვნა მიზეზი, რომ ღმრთის ბო-
 ძებული მიეტაცა. უხამსი აზრით
 [შეჰყრობილმა] ერთი თავისი უპა-
 ტრო მსახურთაგანი ფარულად
 მოახრო, ჩაავდო ლამით მღვი-
 მის დიდ ნაპრალში. და შესასვ-
 ლელი აღვილი დაუხმო. დილით
 კი, სანამ საქმე გამომგლავნდებო-

¹ სქქინანს D. ² + ქლრთე ABCD. ³ იათიქანს BCD. ⁴ ქ ვქღ D. ⁵ რა-
 ვღლანსქ⁶ რაჟღლანსქ A, რაჟღლანსაქ B. ⁷ ჟორამანსქ A. ⁸ ალანსქ D. ⁹ ქანსარ-
 ვაჟღლანსქ D.

